მედეა ბენდელიანი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

XX საუკუნის 30-40-იან წლებში

თბილისი
2002

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულების ფილიალი

ნაშრომში განსაზღვრულია საბჭოური წყობილების სარწმუნოებრივი პოლიტიკა და ქართული საეკლესიო ცხოვრება მეოცე საუკუნის 30-40-იან წლებში.

გამოკვლევაში გაშუქებულია "მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" ადგილი და დანიშნულება საბჭოთა წყობის პოლიტიკაში. ქართველი სამღვდელოების აქტიური მოღვაწეობა ეროვნული ეკლესიისა და მისი კრებულის გადასარჩენად. ამასთან, შესწავლილია ქართული ეკლესიის პოლიტიკურ-ეკონომიკური წვლილი დიდ სამამულო ომში, მისი ადგილი და დანიშნულება საერთაშორისო პოლიტიკაში.

მრავალრიცხოვან მასალებზე დაყრდნობით შესწავლილია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი მომენტები, მისი მეტ-ნაკლებად გამოსვლა ტოტალური კარჩაკეტილობიდან და საერთაშორისო ასპარეზზე გაჭრის მცდელობანი.

ნაშრომი განსაზღვრულია როგორც ეკლესიისა და საერთოდ საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის, ისე ქვეყნის წარსულით დაინტერესებული ფართო საზოგადოებრიობისათვის.

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით

რედაქტორი:
ქეთევან პავლიაშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:
1. ბორის კვარაცხელია - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
2. სერგო ვარდოსანიძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ახალი ქართული სახელმწიფოს შექმნამ დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დააყენა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის ნებისმიერი ეტაპის ობიექტური შესწავლა. ამ მხრივ განსაკუთრებული ინტერესის სფეროში საქართველოს ეკლესიის ისტორია აღმოჩნდა, რადგან ის, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის ნაწილი, ყველა ეპოქის ეროვნულ ისტორიასთან მჭიდრო კავშირშია და მის ფონზე განიხილება. დღეს, ფაქტიურად შეუძლებელია საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების შესწავლა ეკლესიის ისტორიის გათვალისწინების გარეშე, რამეთუ საქართველოს ეკლესიის მრავალფეროვანი წარსულის გაუთვალისწინებლად სახელმწიფო სამოქალაქო ისტორიას სრულყოფილად ვერ წარმოვადგენთ.

თანამედროვე ისტორიოგრაფია მკვლევართა წინაშე აყენებს ახალ მოთხოვნებს — ღრმად და ობიექტურად იქნეს შესწავლილი საქართველოს ეკლესიის ევოლუციური გზა სამოქალაქო ისტორიული ეტაპების თანხვედრითი მიდგომით. საკითხის განხილვის ამ სპექტრში, საქართველოს ისტორიოგრაფიაში სხვა მრავალ საკითხთან ერთად, შეუსწავლელ პრობლემას წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის დროინდელი საქართველოს ეკლესიის ისტორია.

ნებისმიერი ომის თემა და მასთან დაკავშირებული საკითხები მკვლევართა ინტერესს არც ერთ ეპოქაში არ კარგავს, რადგან ის ყოველთვის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასში მონაწილე ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ომის ირგვლივ ჩატარებული კვლევა ხშირად თანხვედრი ეპოქის შესატყვისია. სამწუხაროდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ომის საკითხი რიგ ეპოქაში ცალმხრივად შუქდებოდა, რაც კვლევის ობიექტურობას არღვევდა, ან კიდევ, ამ საკითხებს ზოგიერთ შემთხვევაში ტაბუ ჰქონდა დადებული. ზემოაღნიშნული მეორე მსოფლიო ომსაც ეხება. მით უფრო, რომ მან მსოფლიო ისტორიის შემდგომი განვითარების პროცესებზე ერთობ დიდი გავლენა

იქონია. ალბათ ამიტომ, მის ირგვლივ საკითხებს უცხოური და საბჭოთა ისტორიოგრაფია სხვადასხვა მიდგომით განიხილავს. თუ უცხოურ ისტორიოგრაფიაში მეორე მსოფლიო ომი ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის ფონზე შეისწავლება, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამ კუთხით კვლევა საერთოდ არ წარმოებდა. აღნიშნული ვითარება, ბუნებრივია, გამომდინარეობს იმ საერთო პოლიტიკური წყობიდან, რომელ ეპოქაშიც უხდებოდა ცხოვრება — მოღვაწეობა განსხვავებული ეროვნებისა და სარწმუნოებრივი კრედოს მატარებელ ხალხებს. ასეა ქართულ ისტორიოგრაფიაშიც.

ჩვენთვის მეორე მსოფლიო ომის თემა იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც იმ დროს საბჭოთა იმპერიაში შექმნილმა საშინაო ვითარებამ და საერთაშორისო მდგომარეობამ წინა რიგში წამოსწია საერთოდ ეკლესიისა და ამ შემთხვევაში, ქართული ეკლესიის ადგილი და დანიშნულება. ქართულმა ეკლესიამ შეძლო ომის დროს არსებული ხელსაყრელი მდგომარეობის თავის სასარგებლოდ გამოყენება. თავის მხრივ, საბჭოური პოლიტიკაც ნაყოფიერად იყენებს ეკლესიის ავტორიტეტს საზოგადოებაში და ცდილობს მის ჩაყენებას სახელმწიფო სამსახურში, მეორე მსოფლიო ომის წლები ორივე მხარისათვის, როგორც საბჭოური სისტემის, ისე ქართული და ზოგადად ეკლესიისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა. თემის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ თვით საბჭოურ იმპერიაშიც და ახლაც ეკლესიის დანიშნულება განსაკუთრებულია ქვეყნის სახელმწიფოებრიობაში, რომ ეკლესიას უდიდესი ძალა შეწევს უმძიმეს პირობებშიც კი, არა მხოლოდ შეინარჩუნოს არსებობა, არამედ საკუთარი და ერის კეთილდღეობისათვის ხელი შეუწყოს ქვეყნის სამომავლო ინტერესებს. ორივე ეპოქაში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება მრავალფეროვნებით ხასიათდება. ქართველი საზოგადოებრიობის პროგრესული ძალები ეროვნული ეკლესიის მოღვაწეებთან ერთად იბრძოდნენ და დღესაც იბრძვიან პოლიტიკური და ეროვნული კონსოლიდაციისათვის; ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისათვის. ამდენად, მეორე მსოფლიო ომის წლებში ქართული ეკლესიის როლისა და დანიშნულების მეცნიერული გაანალიზება-განზოგადება,

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვის უდიდეს გამოცდილებას და პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ფაქტიურად არ შექმნილა სამეცნიერო მონოგრაფია, რომელშიც მეცნიერებს საშუალება ექნებოდათ ობიექტურად და დაუფარავად წარმოეჩინათ ქართული ეკლესიის მდგომარეობა საბჭოთა საქართველოში, ეროვნული ეკლესიის მოღვაწეთა ბრძოლა თავისთავადობის დაცვა-გადარჩენისათვის, ეროვნული თვითმყოფადობის გაღვივებისათვის. ასეთი ვაკუუმის მიზეზი 1921 წლიდან შექმნილი ვითარებაა, რომელიც განაპირობა საბჭოურმა სარწმუნოებრივმა პოლიტიკამ.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები გადაუდებლად მოითხოვს, ახლებურად იქნეს გააზრებული, როგორც საბჭოთა საზოგადოების სამოქალაქო, ისე ეკლესიის ისტორიაც; წარმოჩინდეს მისი როლი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, რადგან დადგა დრო, როდესაც ქართულ ეკლესიას თავისუფალი მოღვაწეობის, მისი ისტორიული დანიშნულების წარმოჩენის საშუალება მიეცა. ქართველმა ერმა გაიზიარა ეროვნული ეკლესიის როლი ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში და არნახულად გაიაზრდა საზოგადოების ინტერესი ქართული ეკლესიის წარსულისადმი, რაც ბუნებრივია, ისტორიკოსების წინაშე აყენებს ახალ მოთხოვნებს — ღრმად და ობიექტურად იქნეს შესწავლილი საბჭოური პერიოდის ეკლესიის ისტორია.

რაც შეეხება მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ქართული ეკლესიის ისტორიის მეცნიერულ გააზრებას, იგი სრულიად შეუსწავლელია და მოითხოვს მონოგრაფიულად გამოკვლევას. რადგან ომის წლების ქართული ეკლესიის ცხოვრება გამოძახილი გახლდათ 30-იანი წლების საბჭოური სარწმუნოებრივი პოლიტიკისა, ამიტომ ბუნებრივია, მის ისტორიაში არსებული კატაკლიზმების დახასიათებისას საჭიროებამ მოითხოვა ომის წინა პერიოდის მიმოხილვაც.

აქედან გამომდინარე, ნაშრომის ერთ-ერთი მიზანი გახდა წარმოეჩინა საბჭოური წყობილების სარწმუნოებრივი პოლიტიკა და ქართული საეკლესიო ცხოვრება მეოცე საუკუნის

30-იან წლებში, ამ ამოცანის გადასაჭრელად პირველად სპეციალურ ლიტერატურაში განისაზღვრა საბჭოური სარწმუნოებრივი პოლიტიკა; ეკლესიის საწინააღმდეგოდ გატარებული საბჭოთა ხელისუფლების სტრატეგიული ამოცანები, შესაბამისი იდეოლოგია და მუშაობის განსაკუთრებული მეთოდ-ხერხები. პირველად საკითხის ისტორიოგრაფიაში შევეცადეთ წარმოგვეჩინა საბჭოური სარწმუნოებრივი პოლიტიკის გამტარებლის — "მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" დანიშნულება და საამისო მუშაობის მეთოდები. ზემოაღნიშნული "კავშირის" მუშაობის შესწავლამ ნათელჰყო, თუ რა ადგილი ეკავა მას საბჭოთა ქვეყნის სარწმუნოებრივ პოლიტიკაში, რომ მისი დანიშნულება ნებისმიერ ვითარებაში უცვლელი იყო:

1. გაეწია კონკურენცია ეკლესიის ავტორიტეტისათვის საზოგადოებაში და ამით, დაეკავებინა მისი ადგილი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის იდეოლოგიაში;
2. ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარების შესაბამისად, პარტია უცვლის "კავშირს" მუშაობის მეთოდ-ხერხებს, რაც საბჭოთა ქვეყნის კომპრომისულ პოლიტიკაში ვლინდებოდა ეკლესიის მიმართ.

ნაშრომში ყურადღება გამახვილდა სარწმუნოების საკითხში ლენინური პრინციპის განხორციელებაზე, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნას. აღნიშნულის განსახორციელებლად კომუნისტურმა სისტემამ უარყო ეკლესიის სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელიც ეროვნული ინტერესების გამტარებელი იყო და სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა კომუნისტურ იდეოლოგიას, ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთ ქვეყნის ძირითად ამოცანად იქცა.

ვითარება საგრძნობლად შეიცვალა სამამულო ომის წლებში, როდესაც აღნიშნულმა პოლიტიკამ ხელისუფ-ლებისათვის დაპირისპირებული შედეგი გამოიღო. მას ქვეყნის შიგნით ესაჭიროებოდა ერთგული დასაყრდენი, რომელიც დახმარებას გაუწევდა გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო მოსახლეობის სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებში მოქცევა, საბჭოთ

წყობის ინტერესების ამაღლება, მსოფლიოს პოლიტიკური ნდობის მოპოვება და სხვა. ამით იყო განპირობებული, რომ საბჭოთა მთავრობა წინა წლებისაგან განსხვავებით რადიკალურად იცვლის საეკლესიო პოლიტიკას. მიუხედავად ყოველივესი, ხელისუფლება არ უცხადებს ეკლესიას აბსოლუტურ ნდობას და მასზე განსხვავებული მეთოდებით აგრძელებს ზედამხდველობას.

გამოკვლევებში ცალკე პრობლემად განხილულია ომის წლებში საბჭოთა მთავრობის ეკლესიასთან განსაკუთრებული მიდგომის პოლიტიკა. მისდამი დამოკიდებულების შეცვლის მრავალ მიზეზთა შორის ნიშანდობლივია, ხელისუფლების მცდელობა ჩართოს ეკლესია საბჭოური წყობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში. სოციალისტური წყობის გადარჩენისათვის მთავრობას ეკლესიის სახით ესაჭიროებოდა ძლიერი და ერთგული ძალა ქვეყნის შიგნით პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებისათვის; ანტიფაშისტური იდეოლოგიის წარმართვისათვის, რითაც ძლიერ დასაყრდენს იძენდა კაპიტალისტური ბანაკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საკვლევი პრობლემის შესწავლისას, საჭიროებამ განაპირობა წარმოდგენილი ნაშრომის ძირითადი მიზანი ყოფილიყო — საერთაშორისო პოლიტიკაში ხელისუფლების მიერ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე დაკისრებული მისიის შესწავლა, რაც უპირველეს ყოვლისა მისი პოლიტიკური კურსის ორგანულ ნაწილად იქცა.

თეირანის კონფერენციის წინ საბჭოთ ხელისუფლების დღის წესრიგში დადგა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში აემოქმედებინა ისეთი პოლიტიკური მექანიზმი, რომელიც ა/კ-ის რესპუბლიკებს მისი პოლიტიკური კურსის დასაყრდენ ობიექტად აქცევდა. აღნიშნულ საქმეში კი უდიდესი როლისა და მისიის შესრულება კავკასიაში ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას უნდა მინიჭებოდა, რის აუცილებლობასაც იძლეოდა ქვეყნის როგორც სამინაო, ისე საერთაშორისო ვითარება.

ნაშრომზე მუშაობამ მოითხოვა გვეჩვენებინა სამამულო ომის პირობებში საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი

ძალისხმევა რეგიონალური ეკლესიების (მათ შორის ქართული ეკლესიის) აბსოლუტური დაქვემდებარებისაკენ რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე. მათ ერთობლივად უნდა დაეცვათ საბჭოური ინტერესები მსოფლიოში და ქვეყნისათვის ძლიერი ავტორიტეტი შეექმნათ.

ამავდროულად, ქართული ეკლესიის თავის ინტერესების სფეროში მოქცევით ხელისუფლება იბრძვის მისი ჩამოცილებისათვის ეროვნული მოძრაობიდან და უდიდეს მიზანს უსახავს ერთიანი, საბჭოთა სახელმწიფოს დაცვას და მის ინტერესებში ჩადგომასა და ანტიფაშისტური იდეოლოგიის ხელმძღვანელობას. აღნიშნული პოლიტიკის განხორციელებას საბჭოთა ხელისუფლება რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიით იწყებს. რამეთუ ამ უკანასკნელის საშუალებით, მას უნდა მოეძია ეროვნულ ეკლესიასთან მიახლოების გზები და საშუალებანი, რითიც აღნიშნული პრობლემის განხორციელებას შედარებით უმტკივნეულოდ გადაჭრიდა.

წინამდებარე ნაშრომში პირველად ეროვნულ ისტორიოგრაფიაში შევეცადეთ წარმოგვეჩინა ქართული ეკლესიის ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ, ეროვნულ და ეკონომიკურ სისტემაში.

სამამულო ომის პირობებში ხელისუფლების წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით დადგა ამ საქმისათვის დამხმარე ინსტიტუტის — ეკლესიის ამოქმედება. აღნიშნული ამოცანის შესრულებას სისტემატური ზედამხედველობა ესაჭიროებოდა, რაც დაევალათ ადგილობრივ პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებს (მათ რიცხვში შედიოდა "მებრძოლ უღმერთოთ კავშირიც"). მათი იდეოლოგიური მუშაობა, მსოფლიო მტრის - ფაშიზმის წინააღმდეგ უნდა მიმართულიყო და ამ საქმეში ერთ-ერთი ლიდერის როლი ეკლესიას უნდა შეესრულებინა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ქართული ეკლესიის ფუნქცია გაიზარდა. ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, მას რესპუბლიკაში უნდა მოეწესრიგებინა ყველა გამწვავებული საკითხი, მათ შორის ეროვნულიც, ამავდროულად, ეკლესიას ფრონტის ეკონომიური გამაგრების მისიაც დაეკისრა, რასაც ქართული ეკლესია პირნათლად ასრულებდა.

საკვლევ თემაზე მუშაობის დროს საჭიროებამ მოითხოვა გამოგვეკვლია საბჭოთა სარწმუნეობრივი პოლიტიკისადმი ქართული ეკლესიის პოზიცია. სათანადო კვლევამ გვიჩვენა, რომ ის აშკარად არ გამოდის საბჭოთა ინტერესების წინააღმდეგ, არც ომის დაწყების წინ და, არც მის პირობებში.

ისტორიული მწარე გამოცდილება ეკლესიას დიპლომატიური პოლიტიკისკენ უბიძგებდა. ქართული ეკლესია 20-იანი წლებისაგან განსხვავებით ცდილობს შებურვილი ფორმით ფეხი აუწყოს საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის პროცესს და ამ გზით გადარჩეს განადგურებისაგან. სწორედ ამიტომ, გარეგნულად ქართული ეკლესია აქტიურად ებმის სახელმწიფო პოლიტიკურ კურსში და გვევლინება მის დამცველად და გამარჯვების ერთ-ერთ ინციატორად.

ნაშრომში სპეციალურადაა შესწავლილი ქართული ეკლესიის ინტერესები დიდ სამამულო ომში. მისი მცდელობა იყო ყოველი ხელსაყრელი მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ტაქტიანი და მიზანმიმართული ქმედებით იპოვებს იურიდიული პირის უფლებას (ავტოკეფალიის ცნობა რუსული ეკლესიის მიერ) და აშკარა პირობას იქმნის თავისი უფლებების საბოლოო აღიარებისათვის.

ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ კვლევა მე-19 საუკუნეში დაიწყო. პირველი მონოგრაფია ცნობილმა ისტორიკოსმა პ. იოსელიანმა 1845 წ. გამოსცა. მას მოჰყვა გ.საბინინის, მ. ჯანაშვილის და სხვათა ნაშრომები. ამ მიმართულებით მუშაობა უფრო აქტიური გახდა რუსეთის 1905-1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, როდესაც ქართველმა საზოგადოებამ რუსეთის საიმპერატორო კარის და წმინდა სინოდის წინაშე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი დააყენა. შემდგომ პერიოდში ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევა ბუნებრივია ახალ საფეხურზე ავიდოდა, მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და ამ მიმართებით მუშაობა შეწყდა, მაგრამ, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური მდგომარეობისა ივ. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ, ს. კაკაბაძემ, ბ. ლომინაძემ, ზ. ალექსიძემ და სხვებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეკლესიის ისტორიის ცალკეული საკითხების კვლევის საქმეში.

დღევანდელი სუვერენული სახელმწიფოს არსებობამ ქარ-თული ეკლესიის ისტორიის კვლევას ახალი მასშტაბები შესძინა. ქართველ მეცნიერებს მეტი შესაძლებლობა მიეცათ ობიეტურად გაეშუქებინათ ქართული ეკლესიის ისტორიის სხვადასხვა ეტაპი, თამამი სიტყვა ეთქვა ეროვნული ეკლესიის იმ მძიმე წლებზე, რომლის ირგვლივაც საბჭოურ იმპერიაში აკრძალული იყო სამეცნიერო მუშაობა. ამ მიმართულებით მუშაობამ ინტენსიური სახე მიიღო. მოცემულ პერიოდში 1990 წლიდან ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ხარ-ვეზებს ავსებს ქ. პავლიაშვილის მონოგრაფია "საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წწ." და მ. ხუციშვილის გამოკვლევა — "საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზი-ცია XIX სს. (1887წ.)").

ქ. პავლიაშვილის ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს საეგზარქოსო რუსეთ-იაპონიისა და პირველ მსოფლიო ომში. ქართველი სამღვდელოების აქტიური მოღვაწეობა ეროვნული კულტურის დაცვა-აღორძინების საქმეში. ამასთან შესწავლილია საეგზარქოსოს საქმიანობა რუსეთის პირველ და მეორე რევოლუციებს შორის არსებულ პერიოდში. გამოკ-ვლევაში ახლებურადაა დანახული საქართველოს ეკლესიის მმართველობის, საეკლესიო-სასულიერო სფეროში გატა-რებული ორგანიზატორული ღონისძიებები.

მ. ხუციშვილის გამოკვლევა ეხება საქართველოს მართლმა-დიდებლური ეკლესიის (საეგზარქოსოს) პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობას მე-19-20 საუკუნეებში; მთავრობის მიერ საქართველოს ეკლესიის მმართველობის, საეკლესიო-სასულიერო განათლებისა და სასულიერო-სამისიონერო სფე-როში გატარებული ორგანიზაციული ღონისძიებების მიზნებსა და ამოცანებს; საეგზარქოსოს ადგილსა და როლს თვით-მპყრობელობის მიერ გატარებულ ღონისძიებებში მიმართულს ანტირეჟიმული, ეროვნულ-გამათავისუფლებელი და რევოლუ-ციური მოძრაობის წინააღმდეგ. ეკლესიის საწინააღმდეგო გამოსვლებს მე-19-20 საუკუნეებში და სხვა.

უკანასკნელ წლებში საქართველოს საზოგადოებრიობამ მიიღო საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის წევრის, წალკა-მანგლისის ეპარქიის მთავარეპისკოპოს ანანია

ჯაფარიძის მონოგრაფია — "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია" (ახალციხე, რაბათი, 1983-1988 წწ). მონოგრაფიაში ავტორი ახერხებს არა მარტო სრულყოფილად გადმოსცეს ქართული ეკლესიის ისტორია, არამედ ქართული ეკლესიისათვის დღეს მეტად აქტუალური ზოგიერთი პრობლემა ახლებურად დასვას. დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ბევრი საკამათო საკითხი მონოგრაფიაში ახალი მასალითაა შევსებული და სათანადო დასკვნებიცაა გამოტანილი.

რაც შეეხება საბჭოური პერიოდის ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომები არ გაგვაჩნია. არის ცალკეული სახის ნაშრომები, რომლებიც ზოგადი მიმოხილვით და ბიბლიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. მათ შორის გ. როგავას "როგორ ებრძოდნენ რელიგიას და ეკლესიას საქართველოში" (1994 წ.),სადაც ავტორი საარქივო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე იძლევა საბ. ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის პოლიტიკის დახასიათებას რელიგიისა და ეკლესიის მიმართ 20-30-იან წლებში; ნაჩვენებია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და ისლამის წინააღმდეგ არა მარტო იდეოლოგიური, არამედ პოლიტიკური ბრძოლის რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი.

ამავე მიზანს ემსახურება თ. ცნობილაძის სტატია "ბოლშევიკების დიქტატურის ისტორიიდან" (1999 წ.), რომელშიც მკაცრადაა გაკრიტიკებული საბჭოთა ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკა, გამოტანილია შესაბამისი დასკვნები; 30-40-იანი წლების ქართულ ეკლესიის ისტორიის ზოგად მიმოხილვას იძლევა ვ.ა. და ნ.ვ. თორაძეების ნაშრომი "საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მე-19 და მ-20 საუკუნეებში" (1995 წ.).

მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის თემაზე არა ერთი ნაშრომი არსებობს, ომში ქართული ეკლესიის მონაწილეობის შესახებ და მის ადგილსა და დანიშნულებაზე სამამულო ომში დღემდე არ შექმნილა მონოგრაფიული გამოკვლევა. ფაქტიურად, სამამულო ომის ისტორია არ გამოკვლეულა ეკლესიისა და კერძოდ, ქართული ეკლესიის

ისტორიის ფონზე. მხოლოდ საქართველოს ისტორიის ნარკვევების მე-8 ტომში, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში და სხვა. მიმდინარე სამარი მოვლენების საკმაოდ ფართო სპექტრია წარმოდგენილი, მაგრამ ისინი საბჭოური იდეოლოგიური შეზღუდულობის გამო სრულ-ყოფილ წარმოდგენას ვერ ქმნიან ეკლესიის როლზე მოცემულ პირობებში.

ამ მიმართულებით, ერთ-ერთი ნაშრომი შესრულდა ნ. პაპუაშვილის მიერ "საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის" (1996 წ.). სადაც სამამულო ომის პერიოდის რამდენიმე დოკუმენტია მიმოხილული და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვლევი თემის პირველ თავზე მუშაობისას. სადაც ვიხილავდით ქართული ეკლესიის საკითხს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ სისტემაში, ძირითადად საარქივო მასალასთან ერთად ვეყრდნობით იმ პერიოდის ნაშრომებს, რომლებიც პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა, მათ შორის აღსანიშნავია სპეციალური პერიოდიკა "მებრძოლ უღმერთოთა კავშირის "ცენტრალური საბჭოს ორგანო-ჟურნალი" "მებრძოლი ათეისტი" (1934-1941 წწ.). აქ გამოქვეყნებული მასალები ჟურნალისათვის დასახული ამოცანიდან გამომდინარე, ცალმხრივად აშუქებდნენ რელიგიის მნიშვნელოვან საკითხებს, მათი ძირითადი ამოცანა იყო ქართული ეკლესიის როლის გარკვევა საზოგადოების ისტორიაში, მისი დამოკიდებულება ეროვნულ- გამათავისუფლებელ და რევოლუციურ მოძრაობასთან.რომელიც საბჭოური ინტერესების, კომუნისტური პარტიის და ათეისტური იდეოლოგიის საფუძველზე მუშავდებოდა. ჟურნალში თავიანთ ნაშრომებს აქვეყნებდნენ: ი. იმედაშვილი, გ. მანტკავა, იპ. ვართაგავა, ა. ბილანიშვილი, ს. სახაროვი და სხვა.

ნაშრომზე მუშაობისას საგანგებოდ შევისწავლეთ და ვიხელმძღვანელეთ მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებით, მათ შორის ვ.ი. ლენინი, "სოციალიზმი და რელიგია", (თხზ. ტომი მე-8), ი.ბ. სტალინი "თავბრუსდახვევა

წარმატებებისგან" თხზ. ტომი მე-7) და სხვა.

კვლევის პროცესში დიდი დახმარება გაგვიწია ანტირელიგიურმა მეთოდურმა სახელმძღვანელოებმა: "ანტირელიგიური სახელმძღვანელოები წრეებისა და თვითგანვითარებისათვის" (1941 წ.), სტალინური კონსტიტუცია და ა\რ პროპაგანდა ქოხ-სამკითხველოებში" (1939 წ.) და სხვ. მათში მოტანილმა მდიდარმა მასალამ საშუალება მოგვცა ახლებურად გაგვეაზრებინა საბჭოური სარწმუნოებრივი პოლიტიკა და ქართული ეკლესიის საზოგადო მდგომარეობის მნიშვნელოვანი საკითხები.

სამამულო ომის პერიოდის საერთო ვითარების შესასწავლად ვისარგებლეთ 1940-1945 წლების საბჭოური პრესით. ომის წინა პერიოდის (1940-1941წწ.) პრესა ეკლესიასთან მიმართებაში ძირითადად ტენდენციურია. გაზეთი "კოლმეურნის ხმა", "აფხაზეთის კომკავშირელი", "საბჭოთა მასწავლებელი", "ჭიათურის მაღაროელი", «Молодой Сталинец» ("ახალგაზრდა სტალინელი") და სხვები ძირითადად აშუქებდნენ ა\რ ხასიათის თემებს, ხოლო სამამულო ომის დროს სახ. ოფიციალური ორგანო "კომუნისტი" ეკლესიასთან მიმართვებში მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის ცნობებს ბეჭდავდა. იგივე სახის მასალებს ვხვდებით საქართველოში გამომავალ რუსულ-ენოვან პერიოდიკაში: "Заря Востока", "Советская Абхазия", "Батумский Вестник", "Молодой Сталинец" и т.д.

საკვლევი თემისადმი განკუთვნილ მეტად საინტერესო ფაქტებს ვხვდებით რუსეთის საპატრიარქოს ჟურნალ "მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალი" ("Ж. Московской Патриархии")-ის ფურცლებზე (1943წ.). აქ წარმოდგენილი მასალები ძირითადად ასახავს ომის წლების რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობების, რუსეთის წმ. სინოდის მხრიდან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების დოკუმენტურ მასალას.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდის საქართველოს ეკლესიის ისტორიის ამსახველი მდიდარი მასალა დაცულია საქართ-ველოს სხვადასხვა არქივ-საცავებში.

საბჭოური იდეოლოგიური შეზღუდულობის გამო, წლების

მანძილზე აღნიშნული ხასიათის საარქივო მონაცემები მეცნიერ-მკვლევარებისათვის ხელმიუწვდომელი იყო. უკანასკნელ ხანს შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ყველა საკითხთან ერთად ქართველ მეცნიერებს საშუალება მისცა გაცნობოდნენ ხანგრძლივი დროით ტაბუდადებულ მასალებს.

განსაკუთრებულად საინტერესო მასალა ინახება საქართველოს უახლოესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივის მრავალ ფონდში. მათ შორის აღსანიშნავია: საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ფონდი (ფ.1165), საქ.სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ფონდი (ფ.300), საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიის საქმეთა სარწმუნებლო (ფ.1879), საქ. სსრ უმერთოთა კავშირის ცენტრი. (რესპუბლიკური საბჭო), საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო (ფ.600) ქ. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი (192) და სხვა. საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივი, ფ.66, საოჯახო არქივები და სხვა.

აღნიშნული ფონდის მასალებმა უდიდესი დახმარება გაგვიწია საბჭოთა ხელისუფლების როგორც 30-იან, ისე მეორე მსოფლიო ომის წლების სარწმუნოებრივი პოლიტიკის შესწავლაში. "მებრძოლ უმერთოთა კავშირის" ცენტრალური საბჭოს ფონდში (ფ.1547) დაცულმა მასალებმა საშუალება მოგვცა დაწვრილებით გაგვეანალიზებინა ხელისუფლების ზრახვები აღნიშნული ორგანიზაციის ფუნქცია-დანიშნულების შეცვლაში, რაც ომში მისი პოლიტიკური კურსის გამარჯვების საწინდარი უნდა ყოფილიყო. ყურადღებას იპყრობს საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერი ინსტიტუტის არქივ-საცავებში დაცული კ. ცინცაძის პირადი ფონდი (ფ. 66). აქ წარმოდგენილი მასალა საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ კათალიკოს-პატრიარქის დღემდე უცნობ წერილებს როგორც საერო ხელისუფალთა, ისე სასულიერო წრეებთან, მიმართულს ქართული ეკლესიის სასარგებლო საქმიანობისათვის. ამ მხრივ, მოცემული დოკუმენტური მასალები პირველად ჩვენს მიერ შემოდის

სამეცნიერო მიმოქცევაში. საქართველოში ანტირელიგიური მიუზეუმის დაარსების და მისი სამომავლო ამოცანების შესახებ საუკეთესო მასალა მოგვაწოდა საქ. სსრ განათლების სახალხო კომისართა საბჭოს ფონდში (ფ.300) დაცულმა მასალებმა, სადაც წარმოჩენილია საბჭოთა ხელისუფლების საპროპაგანდო საქმიანობა მიმართული ეროვნული ეკლესიის ავტორიტეტის დაცემისაკენ.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ქართული ეკლესიის უდიდესი ინტერესი — მოეპოვებინა რუსეთის სინოდის მხრიდან ავტოკეფალიის აღიარება, მიღწეული იქნა. ეს პროცესი უნდა მივიჩნიოთ ქართული ეკლესიის თავისთა-ვადობის აღიარებისათვის ბრძოლის ხანგრძლივი ისტორიის ერთ-ერთი ეტაპად. რაც შეეხება მის დამაგვირგვინებელ ეტაპს, იგი კვლევის განსხვავებულ სფეროს მოიცავს და ჩვენს სამეცნიერო ინტერესებში ამჟამად არ შედის.

თავი პირველი - ქართული ეკლესია საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ სისტემაში

1. საბჭოური წყობილების სარწმუნოებრივი პოლიტიკა და ქართული ეკლესია სამამულო ომის წინ (მე-20 საუკუნის 30-იან წლებში)

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში შემავალი საქართველოს რესპუბლიკა ე.წ. გამარჯვებული სოციალიზმის სტადიაში შევიდა.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში დაიწყო მისი, როგორც სოციალისტურ ერად ჩამოყალიბების პროცესი. იგი სხვა ერებთან ერთად საბჭოური ცხოვრების ხვედრს იზიარებდა.

ამიერკავკასიის და კერძოდ, საქართველოს ხალხების საბჭოთა სისტემაში შემომტკიცების საკითხს, პარტია მეტად ფრთხილი და წინდახედული ფორმით ახორციელებდა.

თავის დროზე, ლენინი სტატიებსა და დირექტივებში, აფრთხილებდა საქართველოს კომუნისტებს, რომ ელემენტარულ შეცდომებს ამ მეტად რთული საქმის მოგვარებაში, შეიძლებოდა გამოუსწორებელი შედეგები მოჰყოლოდა.

ამიტომ, დასახელებულ პერიოდში ვ.ი. ლენინის მიერ დასახული და ი.ბ. სტალინის მიერ გაღრმავებული გეგმები (საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება და განმტკიცება საქართველოში, "დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა", ეროვნული მშვიდობიანობის შექმნა და კონტრრევოლუციური საქმიანობის ლიკვიდაცია) წარმატებით ხორციელდებოდა (10, 8).

აქედან გამომდინარე, საქართველო, როგორც საბჭოთა იმპერიის შემადგენელი ნაწილი, მთელი თავისი სახელმწიფოებრივი ყოფიერებით ცენტრთან პირისპირ აღმოჩნდა. საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთ სფეროში მას დამოუკიდებელი მიმართულება არ გააჩნდა. დირექტივები ამ მიმართებით კრემლიდან მოდიოდა, რომლის ცხოვრებაში რეალიზება ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები წარმატებით ახორციელებდნენ.

თუ თავის დროზე "ცარიზმი საქართველოს ათვისება

შემომტკიცებისათვის საფუძვლის მომზადებას თვითმპყრობელობას და მართლმადიდებელ ეკლესიას აკისრებდა" (7,17), კომუნისტურმა სისტემამ დასახელებულისაგან განსხვავებით, უარყო ეკლესის სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რადგან ეს უკანასკნელი, შესაძლებელი იყო, ყველა ერისთავის ეროვნული ინტერესების მატარებლად ქცეულიყო. საეკლესიო ეროვნული იდეოლოგია სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა კომუნისტურ იდეოლოგიას და მის წინააღმდეგ ბრძოლის გამართლებულ საშუალებებს ეძებდა. მისივე განმარტებით, მას ამ საქმეში დამხმარე ძალა არ სჭირდებოდა და ეს "მძიმე ტვირთი" თავად უნდა ეკისრა.

ასეთმა პოლიტიკამ განსაკუთრებული გამოვლინება მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში ჰპოვა, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგილობრივ მმართველობით ორგანოებთან ერთად "მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" მეშვეობით ყველაფერს აკეთებდა, რომ ცენტრის განკარგულებათა ცხოვრებაში რეალიზაცია მოეხდინა, რეალურად ჩამოეცილებინა ეკლესია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან, მოეხდინა მისი სრული ნეიტრალიზაცია და ამით განემტკიცებინა თავისი პოზიციები.

ამ საქმისთვის, საბჭოთა სახელმწიფოს კარგად ჰქონდა გააზრებული საკუთარი სტრატეგიული მიზნები, შესაბამისი იდეოლოგია და სააღმზრდელო ამოცანებიც — "ახალი ადამიანის" ჩამოყალიბება და ფორმირება მისი "ზრუნვის" ობიექტი გახდა.

ეკლესია, როგორც სოციალური ინსტიტუტი, რომელიც ყოველთვის ეროვნული მსოფლმხედველობის გაცნობიერების საქმეს ემსახურებოდა, "კონტრრევოლუციურ" ძალად გამოცხადდა და მის წინააღმდეგ ბრძოლა პარტიის ერთ-ერთ და უპირველეს ამოცანად იქცა. ამიტომ საკითხი რელიგიის შესახებ ვ.ი. ლენინის მიერ ჩადებული პროგრამაში, განუყრელად სრულდებოდა და ცხოვრებაში რეალიზაციას პოულობდა.

აღნიშნულით იყო განპირობებული, რომ საბჭოთა წყობილების პოლიტიკურ კურსში მე-20 ს-ის 30-იანი წლების მიწურულს ერთ-ერთ მთავარ საკითხად საეკლესიო პრობლემა იქცა. საბჭოთა იდეოლოგიაში, მოცემულმა საკითხმა

ევოლუციის მკვეთრად ურთიერთგანსხვავებული ეტაპი განვლო. სათანადო საარქივო მონაცემები ნათელყოფენ, რომ ეს წლები მთავრობის ფრთხილ და ამავდროულად მკაცრი პოლიტიკით ხასიათდება. პარტიამ ბრძოლა გამოუცხადა "ბურჟუაზიულ ელემენტებს", რომელთა შორის სამღვდელოებაც იყო და, რომელთაც ნებისმიერ დროს შეეძლოთ პარტიისათვის ზიანის მიყენება" (5,4 19), ამიტომ პარტიამ უკიდურეს ზომებს — მკაცრ რეპრესიებს მიმართა, რომელიც მისთვის პოლიტიკური ძლიერების მოპოვება-შენარჩუნების ერთ-ერთ იარაღს წარმოადგენდა.

ამავდროულად, ლენინი სასტიკად ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ, ვინც პროლეტარიატის "რელიგიური ბურუსისაგან" - განთავისუფლების საქმეს სწყვეტდა მხოლოდ აგიტაცია-პროპაგანდით: "ვერავითარი ქადაგებით, ვერ განანათლებთ პროლეტარიატს, თუ იგი კაპიტალიზმის ბნელ ძალთა წინააღმდეგ საკუთარმა ბრძოლამ არ განანათლა" (5, 419) "განათლებაში" კომუნისტური პარტია გულისხმობდა: მასების გადმობირებას, მრევლის ეკლესიისადმი დაპირისპირებას, მორწმუნეების მიერ რელიგიის უარყოფასა და რევოლუციის ბელადების ღვთაებრივ ხარისხში აყვანას: "ღრმად მორწმუნე ბრუდვინმა იწყო რა დასწრება ანტირელიგიურ ლექციებზე, მან მალე შეწყვიტა კავშირი რელიგიასთან და რაიონულ ცენტრში, ეკლესიის დახურვისთვის წარმოებულ მასიურ მუშაობაში აქტიურ დახმარებას უწევდა სათანადო ორგანოებს. ერთ-ერთ კრებაზე, სადაც იხილავდნენ საკითხს ეკლესიის დახურვის შესახებ, მან განაცხადა, რომ აღარ იწამებს ღმერთს და თავის სიტყვა ასე დაამთავრა: "ჩვენ ამიერიდან უნდა ვიწამოთ არა ღმერთი და მისი აგენტები, არამედ ლენინ-სტალინი, რომლებიც გვასწავლიან ადამიანის დაფასებას და რომლებმაც შეგვიქმნა ბედნიერი ცხოვრება" (39, 65) აღნიშნულის ნათელი გამოვლინებაა საბ-ჭოთა წყობილების მიერ შემუშავებული ეკლესიის საწინააღმდეგო ბრძოლის მეთოდისა, რომელმაც დროთა განმავლობაში სულ უფრო დახვეწილი სახე მიიღო.

სარწმუნოებრივ საკითხებში ლენინური თეზისების გან-

ხორციელების ერთ-ერთ გზას სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნა წარმოადგენდა, მხოლოდ ასეთი გზით შეიძლებოდა სსრ კავშირის ცალკეულ ერებში ეროვნული თვითმყოფადობის მისწრაფებების აღმოფხვრა, რომლის იდეოლოგიური საყრდენიც ეროვნული ეკლესია იყო. პარტიისათვის ცნობილი იყო, რომ ისტორიულად, სახელმწიფოსა და ადგილობრივი ეკლესიის ერთობლივი მოღვაწეობა ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა, აღვივებდა მასებში ეროვნულ თვითმყოფადობას, რაც, ბუნებრივია დაუპირისპირებდა მათ საბჭოურ იდეოლოგიას. ასეთი მიმართულების აღმოფხვრას საბჭოთა ხელისუფლება სხვადასხვა მეთოდებით ცდილობდა. პარტიის ბელადები ისწრაფვოდნენ ხალხში ეროვნული ეკლესიის ავტორიტეტის შელახვას, ისტორიული ტრადიციის, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთობლივ, ჰარმონიული თანამშრომლობის აღკვეთას და აღნიშნულის ფონზე კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრებას. აღნიშნულის მაგალითია ჯერ კიდევ 1921 წლის ოქტომბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო ცირკულარის გამოცემა სამაზრო და საოლქო კომიტეტებისათვის ათეისტური პროპაგანდის ძირითად მოთხოვნებზე. (42,67) მას ერთგვარი ნიადაგი უნდა შეემზადებინა სამომავლო ანტირელიგიური პროპაგანდისათვის, რომელიც მთელი სიმძლავრით 30-იან წლებში ამოქმედდა. ყოველივეს კი შედეგად მოჰყვა ღონისძიებები საეკლესიო ქონების ამოღებაზე (1932 წ. 2ვ. 2-ის დეკრეტი რომლის საფუძველზე საბჭოთა მთავრობამ მასიურად დახურა საქართველოს 600-მდე ეკლესია და ჩამოართვა მათ საეკლესიო განძეულობა (22,2) ასეთი სახის ღონისძიებებს, ეკლესია ეკონომიურად უნდა დაესუსტებინა და საბჭოთა წყობილებისათვის უსაფრთხო ელემენტად ექცია.

მასებში ავტორიტეტის მოსაპოვებლად, საბჭოთა იდეოლოგია ითვალისწინებდა თავისებურ კეთილდღეობრივი ცხოვრების იდეოლოგიურ მრწამსს,საამისოდ ხელისუფლებას საჭირო დირექტივები შეჰქონდა, პარტიის პროგრამაში და მათი ცხოვრებაში გატარებისათვის არანაირ მეთოდს არ ერიდებოდა. მაგალითად, სტალინური კონსტიტუციის 124-ე

მუხლი "ხალხის ბედნიერ მომავალს" შემდეგნაირად განმარტავდა: "სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფით, ესე იგი მისთვის ყოველგვარი სახელმწიფო დახმარებისა და მხარდაჭერის გაუქმებით და მოზარდ თაობაზე რელიგიის მავნე გავლენის აღკვეთით, სინდისის თავისუფლება მორწმუნეთათვის უზრუნველყოფს რელიგიური კულტურის თავისუფალ შესრულებას, უღმერთოებისათვის თავისუფლებას ანტირელიგიურ პროპაგანდას, რომელიც ამხელს ყოველი რელიგიის მავნებლობას, ანტიმეცნიერულობას და კონტრევო-ლუციურობას" (14,41).

ასეთი იდეოლოგიის საფუძველზე, ბუნებრივია, პარტია ვერ შეურიგდებოდა მის გვერდით რომელიმე განსხვავებული მიმართულების სოციალური ინსტიტუტის არსებობას, მით უფრო ეროვნული ინტერესების გამტარებლისას (ქართული ეკლესია მ.ბ.), ამიტომ გასაბჭოების დღიდანვე გაჩაღებული ანტირელიგიური პროპაგანდა მეორე მსოფლიო ომის წინა ათწლეულში განვითარების უმაღლეს ფაზაში შევიდა. ამ ეტაპზე, პარტიის მოხელეთა მთავარ ამოცანას მორწმუნე მრევლის ეკლესიისაგან ჩამოცილება წარმოადგენდა.

პარტიის მიერ მორწმუნე მასების გადმობირება და სოციალიზმის სამსახურში ჩაყენებისათვის იდეოლოგიური საფუძვლის მომზადება დაევალა არა ერთ ორგანიზაციას, რომელთა შორის წამყვანი ადგილი ეკავა ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ნებაყოფლობით ორგანიზაცია — "მებრძოლ ღმერთოთა კავშირს", რომელიც პარტიის უდიდესი ნდობით, მხარდაჭერითა და ხელშეწყობით სარგებლობდა.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის შედეგად, ეროვნული ეკლესია იდეოლოგიურად ძლიერი მტრის წინაშე აღმოჩნდა, თუ თვითმპყრობელობის ბატონობის პერიოდში ქართულ ეკლესიას, თუმცა მართლმადიდებლური, მაგრამ გასხვავებული ტრადიციების მატარებელი (რუსული მართლმადიდებლური ეკლესია — მ.ბ.) ეკლესიასთან ასიმილაცია ემუქრებოდა, საბჭოთა სისტემის მმართველობის ხანაში, საზოგადოდ ეკლესიას ძირეული განადგურების საშიშროება შეექმნა, აღნიშნული კი, ბევრად სახიფათო უნდა ყოფილიყო არა, თუ საზოგადოებრივი განვითარებისათვის, არამედ ცალკეული

პიროვნების მორალურ-ზნეობრივი მდგომარეობისთვისაც, რაც, ეროვნულობის საბოლოო განადგურებით დასრულდებოდა.

ქართული ეკლესიის მოღვაწენი კარგად ხედავენ არსებული ვითარებით შექმნილ ახალ საშიშროებას, რომელიც ცარიზმის დროის სარწმუნოებრივი პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა და, რომელსაც მუშაობის განსხვავებული, უფრო დახვეწილი მეთოდები გააჩნდა. ამიტომ იყო, რომ, თუ 20-იან წლებში ქართული ეკლესია საბჭოთა იდეოლოგიის მიმართ მწვავე დაპირისპირებულობით მოქმედებდა და სასულიერო მოღვაწენი აქტიურად მონაწილეობდნენ ანტისაბჭოურ პოლიტიკაში (51,) 30-იანი წლებიდან ქართულმა ეკლესიამ მოქმედების გზები და მეთოდები შეცვალა.

მან გადარჩენის ახალი გზების ძიება დაიწყო; ლავირების განსხვავებული მეთოდით ყველანაირად ცდილობდა არსებული პოლიტიკური ვითარების შესაბამისად ემოქმედა.

ამით იყო განპირობებული ეკლესიის მესვეურთა იმ დროის ერთგვარი "შემგუებლური" პოლიტიკა, რომელსაც ის ხელისუფლების კურსის მიმართ აწარმოებდა და, რომელიც პირველ ეტაპზე ეკლესიის ერთ შეხედვით პასიურობაში ვლინდებოდა. ქართული ეკლესიის ახლებური პოლიტიკის შესანიშნავი დასტურია კათალიკოს-პატრიარქის კ. ცინცაძის (1932-1952 წწ.) მოღვაწეობა, სადაც კარგად ჩანს ეკლესიის ახალ სახელმწიფოსთან მისთვის სასარგებლო კავშირში შესვლისათვის მეცადინეობა: "საბჭოთა კავშირში" - წერდა კათალიკოს-პატრიარქი კ. ცინცაძე — "ქრისტიანული ეკლესია თავისუფალია შინაურ საქმეებში, მას რწმუნებულთა მეშვეობით ხელსაც უწყობენ..." (4, 268).

საქართველოს ეკლესია მოთმინებით ისმენდა ანტისახელმწიფოებრივ ლოზუნგებს "ეკლესიას არასოდეს არ აღუმაღლებია ხმა დაჩაგრულ ხალხთა დასაცავად, ეკლესია აკანონებს ქალის დამონებას, ეკლესია ხალხს უნერგავს "ღვთის წინაშე" მათ არარაობის იდეას, შთააგონებს მათ, რომ ისინი მონები არიან, რომ ადამიანები ვერასოდეს ვერ შეიცნობენ სამყაროს და ბუნებას" (1,19).

ა\რ-რი აგიტაცია-პროპაგანდით გათამამებულმა მუკის

საქართველოს ორგანიზაციამ თავისი არსებობის 15 წლისთავის ზეიმზე (1940 წ.) აღნიშნა: "საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოს ეკლესიამ კათალიკოს ლეონიდეს და კათალიკოს ამბროსის მეთაურობით დიდი მავნებლური, ანტისახელმწიფოებრივი მუშაობა ჩაატარა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მოახლოებასთან დაკავშირებით "უწმინდეს" ლეონიდეს კარნახით, სიონისა და მცხეთის ტაძრების ძვირფასი განძეულობანი მოპარული და გადამალული იქნა. ამავე დროს ბნელეთის მოციქულებმა კარგად იცოდნენ იმ განძეულობის შესახებაც, რომელიც უცხოეთში მენშევიკურმა მთავრობამ გაიტაცა. მათ არა თუ ამხილეს მენშევიკური მთავრობა, არამედ კიდეც დაეხმარნენ და თვითონაც იწყეს დანარჩენი ქონების გადამალვა-განიავება" (37,6) .

საქართველოს ხელისუფლება ნაყოფიერად იყენებდა თავის პოლიტიკის შედეგად ბნელით მოცულ რიგ სახელმწიფოებრივ ფაქტს და ცდილობდა ხალხთა მასების თვალის ახვევას, მის გამოყენებას საკუთარი იდეოლოგიის განმტკიცებისა და ეროვნული ეკლესიის ავტორიტეტის შელახვისათვის. ამიტომ იყო, რომ საქართველოში ერთეულებმა თუ იცოდნენ ეროვნული განძეულობის უცხოეთში გატანის ჭეშმარიტი მიზეზი, ხოლო, რაც შეეხება ამ საქმეში გაურკვეველ მასას, მისი სიცრუეში დარწმუნება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. აღნიშნული მეთოდით მიმდინარეობდა ანტირელიგიური პროპაგანდა მაშინ, როდესაც მენშევიკების "აგენტებად" მონათლული ქართული სამღვდელოება ხმას იმაღლებდა ანტირელიგიური პროპაგანდის წინააღმდეგ და სპეციალური მიმართვით ახსენებს საბჭოთა ხელისუფლებას ქართული ეკლესიის დიდ კულტურულ-სახელმწიფოებრივ წვლილზე ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ქართველ სასულიერო მოღვაწეთა ერთ-ერთ მიმართვაში აღნიშნულია: "...ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დედობრივი როლი ითამაშა საქართველოს ეკლესიამ. ამ საქმეშიც თავისი წვლილი შეიტანა ჩვენმა სამღვდელოებამ. ჩვენი ეკლესია თავისი სამღვდელოებით დროჟამის შესაფერისად სწევდა ერისა და სამშობლო ქვეყნის ისტორიულ ჭაპანს...(53, 57-59).

მიუხედავად ქართული ეკლესიის დიპლომატიური პოლი-

ტიკისა მთავრობა კვლავინდებურად აგრძელებდა ეკლესიასთან ბრძოლას. ხელისუფლების ზეწოლას განიცდიდნენ ის ეკლესია-მონასტრები, სადაც ჯერ კიდევ სისტემატიური ხასიათი ჰქონდა ეროვნული მიმართულების საღვთისმსახურო საქმიანობას. პარტიის მუშაკთა მთავარი მიზანი იყო თავად მრევლის ხელით მოეხდინა მოქმედ ეკლესიათა დახურვა და მათი სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა, სწორედ მოქ-მედების ასეთ ტაქტში ვლინდებოდა ეკლესიისა და მორწმუნე მრევლის დაპირისპირება, ეკლესიისა და სახელ მწიფოს ძირი-თადი რეალური გამიჯვნა. ასეთი პოლიტიკის შედეგად, საქარ-თველოს არა ერთი ეკლესია-მონასტერი დაიხურა, სახელ-მწიფო ხაზინას გადაეცა, ან კოლმეურნეობის ქონებად გამო-ცხადდა (62,25) და ა.შ. მაგალითად, სისტემატური ხასიათი მიეცა წმინდა ნაწილების გახსნა-ამოღებას ეკლესია-მონას-ტრებში, ე.წ. "რელიგიის გასამართლებას"; ხელყოფილ იქნა მოწამეთას მონასტრის წმინდა ნაწილები, სიღნაღის რაიონის წმ. ნინოს მონასტერი, აფხაზეთის სოფ. ილორის ეკლესია, რაჭის — ნიკორწმინდის ეკლესია და სხვა. რკპ (ბ) XII ყრილობის შემდგომ, სოციალისტური რევოლუციის "ანტირე-ლიგიური პროპაგანდის დაყენების შესახებ", 20-30-იანი წლების მიჯნიდან მასიურად იხურება როგორც მართლმადი-დებლური, კათოლიკური, მუსლიმანური საკულტო ნაგე-ბობანი (42,68-69).

ამ მიმართულებით მუშაობის გაშლა ხელისუფლებამ ადგი-ლობრივ მართველობით ორგანოებს დააკისრა, რომლებმაც უმძიმესი გადასახადებით დაბეგრა ის ეკლესიები, რომლებსაც ჯერ კიდევ მრევლი ჰყავდა და მოქმედებდნენ. გადასახადის უნარმოკლებულ სამღვდელოებას, ბუნებრივია კულტმსახუ-რება უნდა შეეწყვიტა, რაც ხელისუფლების ინტერესში შედი-ოდა (1-41,58,1-3; 61;1-9). ეკლესია-მონასტრებიდან ამოღებულ ქონებას ხელისუფლება ჰყიდდა კერძო პირებზე და, როგორც იმ დროის პრესა იუწყებოდა "ახმარდნენ გლეხთა კომიტე-ტებს", "კულტურული ობიექტების მშენებლობას" (22,2).

საბჭოთა ხელისუფლების მეცადინეობა — მრევლი ნებაყოფლობით დაეპირისპირებინა ეროვნული ეკლესიისა-

თვის, ნათლად ჩანს იმერეთის ეპარქიაში მიმდინარე პროცესების მაგალითზე. სოფ. ფარცხანაყანების კოლმეურნეთა ერთ-ერთ საერთო კრებაზე "შებრძოლ ულმერთოთა" აგიტაცია-პროპაგანდის მეშვეობით, ამავე კოლმეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ "წმინდა გიორგის" ეკლესიის კოლმეურნეობაზე გადაცემის მომხრედ, კოლმეურნეთა უმეტესობა გამოვიდა (62,25). ისინი ამ მოქმედებას იმით ხსნიდნენ, რომ კოლმეურნეობას არ გააჩნდა კლუბის შენობა, ეს იმ დროს, როცა შესაძლებელი იყო მათი საშენ მასალად გამოყენება. რაც შეეხება საეკლესიო ინვენტარს, რომელსაც ისტორიული ღირებულებანი გააჩნდა, ხელისუფლების ბრძანებით უნდა გადასცემოდა კულტურის ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმებს (61,13).

საგანგებოდ და კარგად "დამუშავებული" კოლმეურნეები კრებაზე ეკლესიას სიბინძურის ბუდედ აცხადებდნენ, სამღვდელოებას შეურაცხყოფდნენ: "დღევანდელ ჩვენს კრებაზე ჩატარებული ლექცია გვარწმუნებს, რომ რელიგია და სამღვდელოება საერთოდ მატყუარობა და თვალის ახვევაა, თუ ავიღებთ საკითხს ჩვენს პირობებში, სამწუხაროდ ჯერ კიდევ ჩვენი კოლმეურნეობის ტერიტორიაზე არის ორი ეკლესია. მართალია, მათ შორის ერთი დაკეტილია, მოქმედებაში არ არის, მაგრამ მეორე ეკლესია ე.წ. "წმინდა გიორგის" ვიღაც მღვდელს აქვს საცხოვრებელ ბინად გადაქცეული. აქვს შიგ ყველაფერი სიბინძურე, მიუხედავად იმისა შიგ არავინ დადის, დაისაკუთრა შენობა. ამიტომ შემოვდივარ წინადადებით, რომ აღნიშნული ეკლესიიდან გამოიდევნოს შეხიზნული მღვდელი და ორივე ეკლესიის შენობა გამოყენებული იქნას კოლმეურნეობის კლუბის საშენ მასალად" (62,2).

საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ ანტისაეკლესიო გამოვლინებას მკაცრად იურიდიულ სახეს აძლევდა, მათ შორის ეკლესიის შენობების კოლმეურნეობებზე გადაცემას სახელმწიფოებრივ კანონიკური უფლება, რომ მისცემოდა, საქართველოს საინფორმაციო სტატისტიკური განყოფილება ადგილობრივი საბჭოებისაგან მოითხოვდა იურიდიულ საბუთს, კოლმეურნეთა ხელმოწერილ სიებს. ასეთი სახით, მთავრობა

ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ძალადობას ამ შემთხვევაში არ ჰქონდა ადგილი და ყოველივე ხალხის ნებით ხდებოდა. მაგალითად, ასეთი წესით, 1940 წლის ოქტომბერს საფ. ფარცხანაყანების კიდევ ერთი "ქაშუეთის" სახელობის ეკლესია კოლმეურნეთა საერთო კრებამ 1041 კაცის ხელმოწერით კოლმეურნეობას გადასცა, იმ მოტივით, რომ მას მრევლი არ ჰყავდა და უქმად იყო, სადაც "შინაური ცხოველები აფარებდნენ თავს" (62,48).

პარტია, როგორც აღინიშნა, სარწმუნოებრივი პოლიტიკის გატარებისას ფრთხილი მეთოდებით სარგებლობდა. ეკლესიების ნგრევას მასიური ხასიათი, რომ არ მისცემოდა და მასების უკმაყოფილება არ გამოეწვია, არქიტექტურული თვალსაზრისით საინტერესო და მაღალი კულტურის მაჩვენებელ ეკლესიებს მთავრობა ხელუხლებლად ტოვებდა და კულტურის ძეგლთა დაცვის ორგანოს უქვემდებარებდა.

ამ მიზნით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ ფარცხანაყანევის "წმინდა გიორგის" ეკლესიის შენობა, მართალია, გადასცეს კოლმეურნეობას, მაგრამ იქვე განემარტა წყალტუბოს რაისაბჭოს აღმასკომს იმის თაობაზე, რომ დაეცვა აღნიშნული შენობა დანგრევისაგან, რომელიც ძვირფასი ხისაგან იყო აშენებული და იშვიათ ნაგებობას წარმოადგენდა (62,50).

გაძლიერებულმა ანტირელიგიურმა იდეოლოგიამ თავისი ნაყოფი გამოიღო და ომის წინა წლებისათვის უკვე მრავალი მორწმუნე ჩამოსცილდა ეკლესიას და აქტიურად ჩაება სოციალიზმის მშენებლობაში.

თუ 1917 წლისათვის საქართველოს საკათალიკოსოში 1500 ეკლესია, 1600 მღვდელი და ამდენივე დიაკონ-მედავითნე იყო, 1921 წლისათვის მოქმედი ეკლესია-მონასტრების რიცხვი 2000-ს აღემატებოდა; 1930 წელს 1050 ეკლესია-მონასტერი და სამლოცველო სახლი; რელიგიური კულტურის 1200-ზე მეტი მსახური იყო. 1937 წლის დასაწყისში: ეკლესია - 187, მღვდელი — 203 და დიაკონ-მედავითნე — 43. 1940 წლისათვის მომქმედ ეკლესია-მონასტრებისა და სამლოცველო სახლების რიცხვი 78-ს არ აღემატებოდა, ხოლო კულტმსახურთა - 128 კაცს უდრიდა (81,2). მართალია, 30-იანი

წლების მიწურულს საქართველოში მრავალი ეკლესია დაიკე-ტა, სამღვდელონი ნებსით თუ უნებლიეთ ჩამოშორდნენ ეკლესიას, მაგრამ ზოგიერთ კუთხეში, მრევლის დაჟინებული თხოვნით სასულიერო პირებმა განაგრძეს საქმიანობა — "დარჩით ჩვენთან და უტაძროთ გაგვიწიეთ მოძღვრობა" (81,2-3). როგორც ჩანს, საქართველოს მოსახლეობაში ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა ეკლესიური ცხოვრების მიმდევარი აქტიური მრევლი, რომელიც ეროვნული ეკლესია და მის სასულიერო კრებულის უფლებათა შეზღუდვა-ალაგმვას ვერ ეგუებოდა.

სამლოცველო ადგილს მოკლებული სამღვდელოება ძველებურად განაგრძობდა მრევლის სარწმუნოებრივ მომსახურებას, პარალელურად სახელმწიფო ხელისუფლების დადგენილებით იხდიდა სახელმწიფო გადასახადს, იძენდა სავალდებულო ფასიან ქაღალდებს და სხვა (81,2-3).

მთავრობა სამღვდელოებას ავალდებულებდა მოქმედი ეკლესიებიდან სახელმწიფოს სასარგებლოდ დაწესებული თანხის გადახდას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოქმედი ეკლესია-მონასტრების დახურვით იმუქრებოდა.

აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის გადასახადები სოლიდურ თანხებს ითხოვდა. ისედაც ეკონომიურად დაუძლურებულ ეკლესიას უკიდურესად უჭირდა სახსრების გამოყოფა, მით უფრო, რომ ბოლო პერიოდში მიმდინარე ანტისაეკლესიო კურსმა ეკლესიას მორწმუნეთა დიდძალი ლაშქარი დააკარგვინა, რამაც უპირველეს ყოვლისა საეკლესიო ხაზინაში თანხების შეუსვლელობაში იჩინა თავი.

სახელმწიფოსაგან უარყოფილი ეკლესიები მატერიალურად მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას. ეს უკანასკნელი კი სარწმუნოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, ეროვნული ეკლესიის შენარჩუნებისათვის, ყოველ ღონეს ხმარობდა და ამ საქმეში თავისი სათანადო წვლილი შეჰქონდა.

მრევლის ეკლესიისადმი დამოკიდებულების განსხვავებულ პოზიციებს, ანტირელიგიის მსახურნი თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ და მძიმე მატერიალურ ყოფაში მყოფ მოსახლეობას ეკლესიის წინააღმდეგ ამხედრებდნენ. ასეთი პოლიტიკით, ერთის მხრივ ეკლესიის კრებულში განხეთ-

ქილებას, ხოლო მეორეს მხრივ სამღვდელოებისა და მრევლის დაპირისპირებას ეწეოდნენ, საბოლოო შედეგები კი ეროვ-ნული ეკლესიის დეგრადაცია და მისი განადგურება უნდა ყოფილიყო.

უსახსრობით შეწუხებული ქართული სამღვდელოება იძულებული ხდება ეკლესია მიეტოვებინა და საეკლესიაო ქონება უმეტეს შემთხვევაში ბედის ანაბარა დაეტოვებინა; უკიდურეს შემთხთვევაში, ადგილი ჰქონდა სამღვდელოების მხრიდან მანკიერ ქმედებათა გამოვლინების ფაქტებსაც. ასეთ დროს ხელისუფლება ეროვნულ სასულიერო განძს ეპატრონე-ბა, სოციალიზმის მშენებლობისათვის იყენებდა. აღნიშნულის მაგალითია 1940 წლის 25 მე-10-ს ქუთაისის "მწვანე ყვავილას" ეკლესიის მოძღვრის ნაუმ შავიანიძის განკუთვნების საფუძველზე საეკლესიო ქონების სახბანკს ჩაბარება, ხოლო შენობის საჭიროებისათვის გამოყენება (60,16).

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, "მწვანე ყვავილას" ეკლესიის დახურვა მრევლისათვის მოულოდნელად და ოპერატიულად მოხდა. რადგან, მოქმედი ეკლესიების დახურვა მიღებული წესით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ხდებოდა, ამიტომ, ბუნებრივია, თუ საბაბი არსებობდა "მწვანე ყვავილას" ეკლესიის დასაკეტად, ეს საკითხი ზემდგომ ორგანოებში უნდა წარდგენილიყო გადასაწყვეტად ყველა სათანადო ფორმით (60,1-6). ყოველივე ზემოთქმულს ნათელს ჰფენს ქალაქ ქუთაისიდან მოქალაქე მაქსიმოვიჩის მიერ ი.ბ. სტალინისადმი გაგზავნილი მიწერილობა, რომელშიც იგი აღშფოთებას გამოთქვამს ეკლესიის დახურვაზე და ხელისუფლებას ისტორიული ტრადიციის დაცვისაკენ მოუწოდებს, რადგან ასეთი მიმართუ-ლების პოლიტიკა მრევლის უკურეაქციას გამოიწვევდა. ნათელ მაგალითად მაქსიმოვიჩს მოჰყავს საეკლესიო განხეთქილებით მიღებული ისტორიული სავალალო შედეგები, უახლოესი დროის რევოლუციებით გამოწვეული უწესრიგობა, ქრისტიანობის მრავალგზის დევნა და ა.შ. წერილის ადრესანტი ჩივის იმ ფაქტის ირგვლივ, რომ ხალხთა ინტე-რესების დამცველმა რევოლუციამ ამ მხრივ ვერ გაამართლა, რომ ცარიზმისა და მისი წინა ეპოქის მსგავსად, სოციალიზმის

დროსაც იდევნება ეკლესია, სარწმუნოება და აქედან გამომდინარე ეროვნული ინტერესები. მიუხედავად ყოველივესი, ქრისტიანულმა სარწმუნოებამ საუკუნეების გამოცდილებას გაუძლო და არ აღგვილა "პირისაგან მიწისა". წერილი დასრულებულია მთავრობისადმი თხოვნით — "აღადგინონ" "მწვანე ყვავილას" ეკლესია და მიეცით ინვალიდებს საშუალება წყნარად ილოცონ თავიანთი მოძღვრის ნაუმ შავიანიძის ლოცვა-კურთხევით" (60,1-6).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ვ. ეგნატაშვილის განკარგულებით, ცენტრიდან დაბრუნებული მაქსიმოვიჩის განცხადება განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის ქალაქის საბჭოს აღმასკომს. ამ უკანასკნელმა კი მდგომარეობა შემდეგნაირად განმარტა: "ეკლესია დაკეტილი იყო 3 თვის განმავლობაში, მაგრამ როცა საეკლესიო ნივთების რეალიზაცია ქმნილ იქნა და ეკლესიის შენობა გამოყენებული, მოქალაქე მაქსიმოვიჩი შემდეგ სვამს საკითხს, რომლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო და ამჟამადაც შეუძლებელი არის" (60,3). ე.ი. ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს ცენტრიდან მითითების გარეშე არ შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღება. მსოფლიოს საეკლესიო კანონმდებლობის ძალით მკაცრად იკრძალება სასულიერო კრებულის მოვალეობის აღსრულება სათანადო ნაგებობების — ეკლესიის გარეშე. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საქართველოს ეკლესია და მისი უმაღლესი ხელისუფლება, როგორც მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილების ისტორიულად ზედმიწევნით მკაცრი და ზუსტი დამცველი, ვერ შეეგუებოდა სახელმწიფო ხელისუფლების ანტიკანონიკურ ქმედებას, საეკლესიო კანონთა ხელყოფას და მის საწინააღმდეგო აზრსაც გამოთქვამდა. ამ მიმართულებით აქტიური გახდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის შემდგომი ნაბიჯიც. მან სამოქალაქო ხელისუფლების წინაშე. მწვავედ დააყენა საკითხი — სამღვდელოებისათვის ეკლესიების დაბრუნებაზე. საერო და სასულიერო ხელისუფალთა საერთო გადაწყვეტილებით, მღვდლები კათალიკოსის მიერ აყვანილი იქნენ აღრიცხვაზე და ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეთანხმებით მათ ეძლეოდა

შემდგომი ფორმის მოწმობა: "ხელის მოწერითა და ბეჭდის დასმით დასტურდება, რომ ამის წარმომდგენელი მღვდელი NN უფლებამოსილია შეუსრულოს ყოველგვარი ქრისტიანული ღვთისმსახურება და წესები თავის მრევლს და გარეშემოთაც თუ უკანასკნელნი ისეთი ადგილებიდან იყვნენ, სადაც მღვდელი არ იყო და მამა N-ს იქ მიიწვევდნენ, ამის შესახებ უნდა ეცნობოს ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს" (81,2).

აღნიშნული კანონმდებლობით, სასულიერო პირები რეგისტრირებული იქნენ, მრევლს მიეცა საშუალება ნაწილობრივ დაეკმაყოფილებინა სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი; ნაწილობრივ, რადგან ის უეკლესიოდ რჩებოდა უზიარებელი და ბუნებრივია, ასეთ დროს რჩებოდა ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა.

ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, იბადება კითხვა: რითი უნდა ყოფილიყო განპირობებული საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ესოდენ კომპრომისული ნაბიჯი, რომელიც ზემოაღნიშნული კანონმდებლობის ძალაში შესვლით გამოვლინდა?

შევეცდებით, სათანადო საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით ავხსნათ პოლიტიკური ნაბიჯის რეალური მნიშვნელობა.

საბჭოთა მთავრობა კარგად იცნობდა მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობას, რომლის ხელყოფასაც ის ანტისაეკლესიო კურსით აწარმოებდა. პარალელურად, მან გააცნობიერა ის შედეგებიც, რომელიც შესაძლებელია იყო ასეთ ქმედებას მოჰყოლოდა. საეკლესიო კრების გადაწყვეტილებათა დარღვევა სერიოზულად დაუპირისპირდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს მთელ რიგ ძლიერ ქვეყანას, რაც ბუნებრივია, საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებში არ შედიოდა. სწორედ ამიტომ, ცენტრი ცდილობდა რიგ დათმობებზე წასვლას, რაც საეკლესიო ხელისუფალთა მოთხოვნის ნაწილობრივი დაკმაყოფილებით გამოიხატებოდა.

სამამულო ომის დაწყების წინა პერიოდში მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული აქტიური ანტირელიგიური პროპაგანდისა, ეროვნული ეკლესიის გავლენა მასებში მაინც

ძლიერი იყო. მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ურიგდებოდა საუკუნეების მანძილზე, ისტორიულად ფესვმოკიდებული სარწმუნოებისა და ეროვნული წესჩვეულებების წინააღმდეგ ლაშქრობას და ფარული, თუ აშკარა გამოვლინებით ცდი-ლობდა მათ შენარჩუნებას და თაობებისათვის გაცემას.

მუკის ორგანიზაციების დიდი ცდის მიუხედავად დაეცა ავტორიტეტი ისეთი ადგილობრივი რელიგიური დღესასწაულებისა, როგორიც იყო: ალავერდობა, მცხეთობა და სხვა. პირიქით, მორწმუნეები დღესასწაულების მოახლოებისთანავე ტოვებდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს და მიდიოდნენ სარწმუნოებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, "გიორგობის" რელიგიურ დღესასწაულს (თელავის რაიონი) გასულ წელს 600-მდე კაცი დაესწრო, მლოცველებით ჩამოსული ურმებისა და ორთვალების რაოდენობა 450-500 ერთეულს უდრიდა. დღეობის დროს მოინათლა 314 ბავშვი; ჩატარდა 19 ჯვრისწერა; დაიკლა 600 წვრილფეხა საქონელი, 6 ხარი და აუარება ფრინველი, ქადაგად დაეცა რამდენიმე ქალი და კაცი. თბილისის რაიონში, თელეთობა დღესასწაულს დაესწრო 3000-მდე კაცი, დაიკლა 200-მდე ცხვარი, 2 მოზვერი და აუარებელი ფრინველი, დღესასწაულის დღეს მოინათლა 100-ზე მეტი ბავშვი. გაცდენილი შრომა-დღეების რაოდენობა უდრიდა 6000" (36,3) .

ზემოაღნიშნული ფაქტი იმაზე მიუთითებდა, რომ ხალხთა მოწინავე ნაწილს გააზრებული უნდა ჰქონოდა რელიგიური დღესასწაულების დანიშნულება, რომელიც აახლოებდა მათ ერთმანეთთან, უქარწყლებდა ყოფით გამოწვეულ სინამდვილეს. აღნიშნული კი, ვფიქრობთ, არც ეროვნული ეკლესიის გულგრილობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. სასულიერო მოღვაწენი, ფრთხილი და გონივრული მოღვაწეობით აგრძელებდნენ ხალხში მუშაობას. საარქივო მასალები გვაუწყებენ უმაღლესი სასულიერო კრებულის ძალისხმევას - შეენარჩუნებინა რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნის ფაქტი, რათა ამით უფრო დაახლოვდებოდნენ მრევლს.

არსებულ რეალობას პარტია ვერ ურიგდებოდა. გარდა

იმისა, რომ რელიგიური მოსახლეობის დაკმაყოფილების მიღმა ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა და იდეოლოგია იმალებოდა, სარწმუნოებრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე დახარჯული დრო გარკვეული შრომა-დღეების რაოდენობას უდრიდა, რომელიც კომუნიზმის შენების შეფერხებას იწვევდა და სახელმწიფოს ეკონომიკურ კურსს სერიოზულ ზიანს აყენებდა.

აღნიშნულის საპასუხოდ, ამ მიმართულებით, 30-იანი წლების მიწურულს ქვეყანაში გაძლიერდა ანტირელიგიური იდეოლოგია. სისტემატიური ხასიათი მიეცა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და წარმოება-დაწესებულებებში ლექცია-მოხსენებების ჩატარებას რელიგიური დღესასწაულებისა და მათი მავნებლობის შესახებ. ხელისუფლებამ ამ საქმეში ჩართო ქალაქისა და სოფლის ინტელიგენცია, კერძოდ, მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, აგიტატორ-პროპაგანდისტები და სხვა. ლექცია-სემინარების თემატიკა ეხებოდა ადგილობრივი დღესასწაულების წარმოშობას, მის არსს და მავნებლობას. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მორწმუნეთათვის სათანადო ხელისშემშლელი სპეციალური ღონისძიებებიც დასახა. საგანგებოდ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ კოლმეურნეობების კუთვნილი ტრანსპორტი: ურმები, ორთვალები მლოცველთა რელიგიური დღესასწაულებზე გამოსაყვანად არ გაცემულიყო; აგიტატორებს ასეთ დროს მაქსიმალურად უნდა გაეშალათ ანტირელიგიური პროპაგანდა მორწმუნეთა შორის (36, 3)

რელიგიური დღესასწაულების ძავნებლობის საკითხთან დაკავშირებით გატარებულ ღონისძიებებში, პარტია უდიდეს მისიას აკისრებს ადგილობრივ პროფკავშირებსა და კომკავშირულ ორგანიზაციებს — "რაიონულმა გაზეთებმა, რადიომ და კედლის გაზეთებმა უნდა გააშუქონ საკითხები იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობას აწარმოებს ამ ხაზით ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები. ძოთმინებით, დამაჯერებელი — ანტირელიგიური აგიტაცია-პროპაგანდის წყალობით ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ამა თუ იმ სოფლის, რაიონის მშრომელი

მოსახლეობა არ ესწრებოდეს რელიგიური წესების შესრულებას" (36,3). აღნიშნავდა იმ დროის პრესა.

რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში, იდეოლოგები ყველა ხერხს იყენებენ, მაგალითად, მოხსენება-საუბრებში კომკავშირელი აგიტატორები მორწმუნეებს აშინებდნენ, რომ საეკლესიო საიდუმლოთა შესრულების დროს შესაძლებელია "მალევე შეგიპყროთ ამა თუ იმ დაავადებამ. გადამდები სნეულებით შეპყრობილი ადამიანები კოცნიან ჯვარს ან ხატს, მასზე ტოვებენ ნერწყვის წვეთებს, რომლითაც ავადდებიან ჯანმრთელი ადამიანები. მოსკოვში 1970 წელს, ჭირის დროს ხუცები ხატზე დამთხვევას ურჩევდნენ მოსახლეობას. ამან გამოიწვია ჭირის ახალი გამძვინვარება, ხატი იქცა გადამდებ სნეულებათა გადამცემად" (21,3).

საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ გაშლილმა კომპანიამ განსაკუთრებული სახე საკ. კომ. (ბ) 18 ყრილობის შემდეგ მიიღო. რაც გამოიხატა დადგენილებით: "ყოველი აგიტატორი ვალდებულია იყო მრევლი გამოეყვანა ე.წ. "რელიგიური ბურუსისაგან" და აეძულებინა ის თავად უარეყო რელიგიური დღესასწაულები და ეკლესიური ცხოვრება". აღნიშნულის დასტურია 64 წლის დიასახლისის მონათხრობი: ერთხელ ის მიიწვიეს ოქტომბრის რევოლუციის 23 წლისთავის აღსანიშნავ სხდომაზე, რომელიც გაიმართა რაიონის კულტურის სახლში (სოფლის საკულტო შენობაში), როცა მოხსენება დამთავრდა და ცეკვა-თამაში გაიმართა, მან განაცხადა, თუ ამდენი ულმერთო ამ სახლში (ე.ი. ეკლესიაში მ.ბ.) დროს ატარებს და ხარობს, ხოლო ღმერთი მათ არ სჯის, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი სიცრუე ყოფილა" (33,66).

როგორც მოყვანილი დოკუმენტიდან ჩანს ამ მიმართულებით მუშაობამ ნაყოფი გამოიღო საქართველოს რიგ რაიონებში მოსახლეობამ ისტორიული საეკლესიო ტრადიცია უარყო. ეს მოვლენა საბჭოთა წყობის სერიოზულ "წარმატებად" შეიძლება მივიჩნიოთ.

ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერებამ თავისთავად მოითხოვა შესაბამისი ხელმძღვანელობით მუშაობის გააქტიურება; გაძლიერდა რაისაბჭოზე კონკრეტული, მათზე ოპერატიული ხელმძღვანელობა, რისი დასტურიცაა 1937-

1939 წლებში საქართველოს მუკ-ის ორგანიზაციის მიერ ქალაქად და სოფლად 25624 ანტირელიგიური ლექციასაუბრის ჩატარება; გაიმართა 924 ანტირელიგიური საღამოწარმოდგენა, მოეწყო 20-მდე ანტირელიგიური კუთხე, გამოიცა 30-მდე ანტირელიგიური ბროშურა, მომზადებული იქნა 170 პროპაგანდისტი ლექტორი (31,3) და ა.შ.

მასებს შორის ანტირელიგიური პროპაგანდისათვის შთამბეჭდავი სახე რომ მიეცათ, თბილისის მუკ-ის რაისაბჭოებმა იძულებით სალექციო შენობაში ჩართეს ცნობილი მეცნიერ-მკვლევარები: კ. კეკელიძე, ს. საჯაია, გ. ნიორაძე, გ. გოგიბერიძე და სხვა (27,41).

საბჭოთა მთავრობა ეკლესია-მონასტრებში გზავნიდა თავის ჯაშუშებს, რათა წარმოდგენა ჰქონოდათ ქართული ეკლესიის ორიენტაციასა და მისი კრებულის საქმიანობაზე. სახელმწიფო აგენტები იყენებდნენ სამღვდელოების მძიმე მატერიალური მდგომარეობით გამოწვეულ მათში დანერგილ ყოველ მანკიერ ქმედებას, ეწეოდნენ პროვოკაციულ საქმიანობას სამღვდელოებისა და მრევლის ურთიერთ დაპირისპირებისათვის, რასაც განსაკუთრებით ხშირად ჰქონდა ადგილი საეკლესიო დღესასწაულების დროს.

ჟურნალი "შებრძოლი ათეისტი" იუწყებოდა: "სექტემბრის ბოლო რიცხვებში "თეთრი გიორგის (თელავის რაიონი) სალოცავად ჩამოსულმა ოჯახმა ადათ-ჩვეულების თანახმად ეკლესიის ეზოში ცხვარი დაკლა. კირილე მღვდელმა მლოცველებისაგან მოითხოვა, წესისამებრ მისთვის "კუთვნილი" ცხვრის ბეჭის, შიგნისა და ტყავის მიცემა, რაზედაც ამ უკანასკნელმა უარი მიიღო. აღშფოთებულმა მღვდელმა ეკლესიის ეზოს დატოვება მოითხოვა და, როდესაც საწადელს ვერ მიაღწია, მათი ურთიერთობა ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა; მლოცველებმა მღვდელი ფიზიკურად შეურაცხყვეს" (32,75).

მსგავსი შემთხვევები, მაშინვე განსჯის საგანი ხდებოდა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების კრებებზე და რელიგიური ცერემონიალის აკრძალვის მოთხოვნის შესანიშნავი საბაბი ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებანი თვით ანტირელიგიური უჯრედების წევრთა შორისაც იყო შემორჩენილი, რაც მუკ-ის ხელმძღვანელობას

სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. აღნიშნული მიმართულებე-ბის წინააღმდეგ ბრძოლა მუკ-ის ხელმძღვანელობა ასაიდუმ-ლოებდა, რათა ფართო მასებში ამ ინფორმაციას არ გაეჟონა, მაგრამ, როდესაც მსგავსმა შემთხვევებმა ფართო ხასიათი მიიღო, მათ ურჩების დასასჯელად პრესა მოიშველიეს: "სოფელ კულაშში ალკკ-ს ორგანიზაციის კომიტეტის წევრმა ელენე ნინუამ 1939 წლის აგვისტოში რელიგიური წესების დაცვით ეკლესიაში მონათლა ამავე ორგანიზაციის კომიტეტის მდივანი ბენია თოხაძის ბავშვი. ხსენებულმა ბენია თოხაძემ 1940 წლის აღდგომის დღეს მონათლა თავისი უმცროსი ბავშვი. ნათლობა შეასრულა მღვდელმა კანდელაკმა. ამ ადამიანებმა თავიანთი შეუფერებელი საქმიანობით საქმეში ჩაითრიეს ქსენია შენგელია. ყველაფერ ამას უცქერდნენ კოლმეურნეობის წევრები და იძახდნენ: "შეხედეთ კომუნის-ტები ბავშვების ნათლობას დაუბრუნდნენო". ამ ამბავმა მიაღწია რაიონულ ორგანიზაციამდე და უღირსი კომკავშირ-ლები გარიცხულნი არიან ორგანიზაციიდან" (41,67). მსგავსი ადმინისტრაციული მეთოდები იძულებულს ხდიდა მრევლს და ეკლესიის კრებულს განდგომოდა ეკლესიას, ან ფარულად შეესრულებინა და დასწრებოდა ღვთისმსახურებას.

სისტემატიურმა და ტაქტიანმა ანტირელიგიურმა პოლიტიკამ თავისი დაღი ქართული ეკლესიის სასულიერო კრებულსაც დაამჩნია და მეტ-ნაკლებად ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვა. საბჭოური მოღვაწენი აქტიურად იყენებდნენ მათი პოლიტიკის წყალობით შექმნილი სამღვდელოების აუტანელ მატერიალურ ყოფას და მათ მოსყიდვა-გადმობირებით ანტირელიგიურ საქმიანობაში აბამდნენ. მაგალითად, "1940 წლის დეკემბერში (წყალტუბოს რაიონში) მღვდელი მგალობ-ლიშვილი დაესწრო ერთ-ერთ ლექციას თემაზე: "ცხოვრობდა თუ არა ქრისტე". ლექციის დამთავრების შემდეგ ის გამოვიდა სიტყვით და საჯაროდ განაცხადა: "მე ყურადღებით მოვისმინე ლექცია ქრისტეს შესახებ და როგორ ფიქრობთ თქვენ? განა მე კი მწამს ის, რომ ოდესმე ქრისტე არსებობდა? ჩვენ, მღვდლები მედროვენი ვიყავით და დროს ვემსახურებოდით, მღვდელმა მგალობლიშვილმა გაიძრო ანაფორა და სარწმუნო

წყაროს ცნობით იგი აღარ ეწევა საკულტო საქმეს" (41,66).

მიუხედავად ქართული ეკლესიის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლისა ეროვნულ სამღვდელოებაში მაინც მოიძებნებოდა საღად მოაზროვნე ნაწილი, რომელიც ცხადად თუ ფარულად ებრძოდა თანამედროვე პოლიტიკას და ამ ბრძოლას ღვთისმსახურების არალეგარული ჩატარებით ახერხებდა. ბუნებრივია, სასულიერო ფენის ეს ნაწილი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად იძულებითი წესით ჩამოცილებული იყო სასულიერო საქმიანობას და ე.წ. "შტატგარეშე" მღვდლებად იწოდებოდნენ.

ქართული ეკლესიის იატაკქვეშა საქმიანობა სულ უფრო მასიურ ხასიათს იღებდა; არანორმალურ პირობებში კი (სასაფლაოები, საერთო საცხოვრებლები და სხვ.) ღვთისმსახურების აქტს საკმაო რაოდენობის მსმენელი ესწრებოდა (941,68).

ბუნებრივია ასეთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ისტორიული ტრადიციების აღდგენას, ანუ სამღვდელოების სასარგებლო გამოსაღების გამოღებას. როდესაც სამღვდელოება ღვთისმსახურების აქტის შესრულებაში მრევლის შესაძლებლობიდან გამომდინარე საზღაურს იღებდა.

აღნიშნულ ფაქტს ანტირელიგიის მსახურნი თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ და მძიმე მატერიალურ ყოფაში მყოფ მოსახლეობას ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ. ასეთი პოლიტიკით სამღვდელოებისა და მრევლის დაპირისპირებას ეწეოდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო სიფრთხილითა და ტაქტით მოქმედებდა; შეგნებულად არიდებდა თავს ტრადიციულ წეს-ჩვეულებათა უხეში მეთოდებით აღმოფხვრას და მის მუშაკებს დიპლომატიისა და ტაქტიკისაკენ მოუწოდებდა; გონივრულ პროპაგანდასა და აგიტატორთა ტაქტიან ქმედებას ხალხში უნდა მოჰყოლოდა მასების ეკლესიისაგან ნებაყოფლობით ჩამოცილება. საქმე იმაში გახლდათ, რომ ჯერ კიდევ 20-იან წლებში, პარტიის მიერ გატარებულმა მკაცრმა ანტირელიგიურმა ღონისძიებებმა გამოააშკარავა სერიოზული შეცდომები, რამაც თავი იჩინა მორწმუნე საზოგადოების მხრიდან პარტიისადმი უნდობლობასა და დაპირის-

პირებაში. 1923 15 მაისს ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ტ. ლომინაძემ აღნიშნა — "ჩვენ დაუშვით მრავალი შეცდომა, შეცდომები კი უნდა გამოსწორდეს დროულად" (54,341), მორწმუნე მრევლი, პირიქით, უფრო დიდ ერთგულებას იჩენდა ეკლესიის მიმართ. ასეთ ვითარებაში, სახალხო უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა ეკლესიის მიმართ კომპრომისზე წასულიყო (გაიხსნა დახურული ეკლესიების ერთი ნაწილი).

ი.ბ სტალინი თავის სტატიაში "თავბრუსდახვევა წარმატებისაგან" დასცინოდა მათ, ვინც კოლექტივიზაციას სამრეკლოდან ზარების ჩამოხსნით იწყებდა "ეკლესიის დახურვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, - აღნიშნავდა სტალინი,- თუ მოსახლეობა თვითონ მიდის იმ შეგნებამდე, რომ საჭიროა ეკლესიის ლიკვიდაცია და თუ ეკლესია იკეტება იქ, სადაც მორწმუნეთა რიცხვი დიდია, პირიქით ეს ნიადაგს ამზადებს ანტისაბჭოთა პროპაგანდისათვის.

ამიტომ ჩვენ არ ვართ ეკლესიის ნაჩქარევად დახურვის მომხრენი და ჩვენ ულმერთოებს,ზოგჯერ გვიხდება კიდეც ეკლესიის ასეთი დახურვის წინააღმდეგ გამოსვლაც, როდესაც მოსახლეობაში მოიპოვებიან მორწმუნენი, რომელთა დაჯერება საჭიროა იმაში, თუ რა ზიანი მოაქვს რელიგიას" (1,14).

ასეთი ტაქტიკური ხერხებით ცდილობდა 30-იან წლების მიწურულს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა მათზე დასახული მიზნების განხორციელებას, რასაც უნდა განემტკიცებინა ხალხში პარტიისადმი რწმენა-იმედი, მსოფლიოსთვის არ შეექმნა მოძალადის შთაბეჭდილება, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ჯერ კიდევ მოუმძლავრებელი, ახლადშექმნილი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოსათვის არ დაეპირისპირებინა ხალხთა ფართო მასები.

ფაქტიურად კი, სინამდვილე, ცხოვრებაში სულ სხვა სურათს იძლეოდა: "ანტირელიგიური მუშაობა, რომ მოწოდების სიმაღლეზე იდგეს, საჭიროა აგიტატორ-პროპაგანდისტებმა, რიგითმა კომკავშირლებმა წამოსწიონ ანტირელიგიური წიგნები და განსაკუთრებული ზემოქმედება მოახდინონ მორწმუნეებზე" (45,1).

ამიტომ ანტირელიგიურ პროპაგანდისტთა მუშაობა დაიხვეწა 1939-1940 წლებში. მარტო 1939 წელს მუკ-ის ორგანიზაციების მიერ კავშირის მასშტაბით ჩატარდა 25 000-მდე კითხვა-საუბარი; გამოიცა 10 000-მდე ანტირელიგიური წიგნი 50 000-ზე მეტი ტირაჟით, მოეწყო 500-მდე ანტირელიგიური კურსები - 12 000 ათასი მსმენელით. 1940წ. იანვარში ანტირელიგიურ თემაზე ჩატარდა 9152 და 18006 საუბარი. აგიტატორების მოსამზადებლად გაიხსნა მოკლევადიანი კურსები, დაიდგა ანტირელიგიური წარმოდგენა და ა.შ.

დასახელებული ციფრები ცხადად მეტყველებენ, თუ როგორ აქტიურ პოლიტიკას ატარებდა საქართველოს რესპუბლიკა რელიგიის ფრონტზე მეორე მსოფლიო ომის წინ, რათა მოსახლეობის ნდობა და რწმენა მოეპოვებინა; პარტიისა და ხელისუფლებისადმი თავდადება შთაენერგა.

ომის წინა წლებში გაძლიერდა კომპარტიის აქტიური მუშაობა მის შიგნით ფესვმოკიდებული "მანკიერი" მხარეების მიმართულებით. აღნიშნულში იგულისხმებოდა პარტიის ზოგიერთი წევრის სარწმუნოებისადმი ერთგვარად ლოიალური დამოკიდებულება, რაც პარტიის თავდადებულ მუშაკთა მხრიდან "მერყევი" პოლიტიკით ფასდებოდა: "ეს განწყობილებანი მაინც არსებობდნენ ჩვენს პარტიაში. ამასთან საფუძველი არ გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ისინი არ გაძლიერდებიან და თუ მათ, ამ გადაწყვეტილებებმა მოქალაქეობრივი უფლებები მოიპოვეს ჩვენში, შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს იმაში, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის ჩაშლის საფრთხე შეიძლება რეალობად იქცეს" (13,211). ასეთი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში, პარტიის აქტივი და ხელმძღვანელობა სხვადასხვა ხერხებსა და მეთოდებს მიმართავდა. მათ შორის აღსანიშნავია განსაკუთრებულად აქტიურ აგიტატორ-პროპაგანდისტთა დაჯილდოება; დაწესებული იქნა პრემიები მათთვის, ვინც გაცილებით ძლიერ უღმერთობა გამოიჩინა და მეტი მორწმუნე გადმოიბირა. "ანტირელიგიური კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის დასაჯილდოებლად დაწესებულია ორი პირველი პრემია 700 მანეთის რაოდენობით და 5 მესამე პრემია 500 მანეთის რაოდენობით" (26,12).

ფართოთ გაშლილი ანტირელიგიური ფრონტის წნეხი მძიმე ლოდად დააწვა საგანმანათლებლო სისტემას. ანტირელიგიური იდეოლოგიის ყველაზე საუკეთესო საშუალება ხალხთა განათლების ქსელი იყო. საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სასკოლო მუშაობის შესახებ მთელი რიგი დადგენილებები იქნა მიღებული, რომელთა ცხოვრებაში რეალიზაცია პირველ ეტაპზე ყოველთვის სათანადო დონეზე ვერ ხერხდებოდა. ამ მხრივ პარტიას სერიოზული სირთულე-ნაკლოვანებები გააჩნდა. მაგალითად, "მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" უჯრედის მდივნები (ჭიათურის პირველი საშუალო სკოლა) ჯერ კიდევ ვერ ართმევდნენ თავს ანტირელიგიური პროპაგანდის საქმეს და სუსტად მუშაობდნენ. აქ არ ჩატარე-ბულა არცერთი ლექცია მოხსენება,არ არის გავრცელებული არც ერთი ჟურნალი "მებრძოლი ათეისტი" (43,4) "უღმერთო-ების" აზრით, საზოგადოებაში "მავნე ტენდენციამ" იჩინა თავი: "თითქოს ამჟამად ანტირელიგიური პროპაგანდა სკოლებში აღარაა საჭირო, ახლა ყველა უღმერთოა და რაღა დროს ანტირელიგიური პროპაგანდაა. იგი საჭირო იყო საბჭოთა წყობილების პირველ წლებში, როცა რელიგიას მასებში კიდევ ჰქონდა გავლენა, ახლა სოციალიზმის შემდგომ წარმატებათა შედეგად თავისთავად ანტირელიგიური პროპა-განდის გარეშეც განთავისუფლდებიან რელიგიური შეხედულე-ბებისაგან და რელიგია თავისთავად მოკვდებაო" (28,38) — აღნიშნავდა იმ დროის პრესა.

პარტიამ სასტიკად დაგმო ის "ვაიმოაზროვნენი", ვინც ანტირელიგიური პროპაგანდის ლიკვიდაციის მომხრენი იყვნენ და მიუთითა, რომ მსგავს დასკვნებს არავითარი საერთო არ ჰქონდა პარტიის ხაზთან; და ისინი, ვინც თანამედროვე ეტაპზე რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა "ზედმეტ ბარგად" მიაჩნდა, იგი პოლიტიკური უდარდელობის, უზრუნველობის, გულმავი-წყობის ობივატელურ ჭაობში იყო მოქცეული.

პარტიისათვის განსაკუთრებით საშიში იყო ჯერ კიდევ სასკოლო ცხოვრებიდან ამოუშლელი ისეთი "მავნე თეორიის" ნაშთები, როგორიც იყო ბავშვთა ე.წ. "ურელიგიო აღზრდის"

— აკრძალვა — "ამ მავნე თეორიას განსახკომის სისტემაში მოკალათებული ხალხის მტრები, რომლებიც შემდგომ გამოაშკარავებული იქნენ ჩვენი სახელოვანი დაზვერვის ორგანოების მიერ, მთელი ათეული წლების მანძილზე ნერგავდნენ სასკოლო მუშაობის პრაქტიკაში, იმათი თავხედობა იქამდეც კი მივიდა, რომ ანტირელიგიური აღზრდა სკოლაში ოფიციალურადაც კი აკრძალეს. ვისთვის არის დღეს ეს მავნე თეორია საჭირო? რა თქმა უნდა ეკლესიონისტები-სათვის, რომელთაც სურთ სკოლა ნეიტრალური იყოს რელიგიასთან" (28,38).

საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ ე.წ. "მახინჯ გამოვლინებებს" "მებრძოლი უღმერთოები" იმით ხსნიდნენ, რომ მასწავლებლები მოკლებულნი იყვნენ ანტირელიგიურ მეთოდურ ლიტერატურას, რაც თითოეულ მასწავლებელს გაუადვილებდა თავისი საგნის საპროგრამო მასალის მიმართვას რელიგიის საწინააღმდეგოდ.

ამ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით განსახკომის პოლიტგანყოფილების სამმართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. სკოლებში მოსწავლეთა და მშობელთა შორის საკლუბო და ქოხ-სამკითხველოების ხაზით ანტირელიგიური პროპაგანდის გაშლისათვის, განსახკომის მიერ მთელი რიგი ცირკულარები და მეთოდ-წერილები იყო გაგზავნილი, გამოიცა სპეციალური ბროშურები: "ანტირელიგიური პროპაგანდა საკლუბო დაწესებულებებში" და სხვა.

1940 წლის მეორე ნახევრიდან მოეწყო კადრების მოსამზადებელი დაუსწრებელი კურსები, რომელშიც ჩაბმული იყო 300 კაცი. რესპუბლიკურ კურსებს, რომელიც გაიარა 350-მა პროპაგანდისტმა, დათმობილი ჰქონდა 200 საათი. განსახკომის ხაზით, 1940 წელს ჩამოყალიბდა 290 ანტირელიგიური წრე, რომელმაც გადაამზადა 300-ზე მეტი აქტივისტი. ამავე წელს პოლიტგანყოფილების სამმართველომ სალექციო ბიუროს საშუალებით ჩაატარა 1200-ზე მეტი ლექცია ანტირელიგიურ თემაზე (38,63).

სკოლებში ანტირელიგიური აღზრდის სხვა ნაკლოვანებებიც იქნა შენიშნული, რომელიც "ანტირელიგიური ნახტომის" სახელწოდებით იყო ცნობილი. პრაქტი-

კულად, აღნიშნული შემდეგი სახით ხორციელდებოდა: "მორ-წმუნე მოსწავლეს სასტიკად კიცხავდნენ, სიტყვას ჩამოართ-მევდნენ, რომ მომავალ'ში ეკლესიაში არ წავიდოდა და როდესაც დარწმუნდებოდნენ, რომ ბავშვი საკმაოდ დაშინდა, თავს დაანებებდნენ; აქაო და ახლა ეს ბავშვი ულმერთო გახდაო. სად უნდა ვეძიოთ ნაკლი? რა თქმა უნდა მასწავლებ-ლის მუშაობაში" (38,63).

აღნიშნული მეტყველებდა იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რომელიც ანტირელიგიურ პროპაგანდისტებს გააჩნდათ სასწავლო დაწესებულებებში. ჯერ კიდევ დაუხვეწავი იყო სათანადო მუშაობის ფორმები და მეთოდები, რასაც ძირფესვიანად უნდა შეეცვალა მოსწავლე-ახალგაზრდობის მსოფლმხედველობა. ამ მიმართულებით საქმიანობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებად ხელმძღვანელობამ მიიჩნია სკოლის საპროგრამო მასალის შემუშავება, რომელ'შიც პედა-გოგს ანტირელიგიური არსი უნდა ჩაედო. გეოლოგია, ბიოლოგია, ზოოლოგია, დარვინიზმის საფუძვლები და მთელი რიგი სასწავლო დისციპლინები საუცხოო მასალას აძლევდა მასწავლებლებს ანტირელიგიური პროპაგანდისათვის (12,27).

რელიგიის წინააღმდეგ განათლების სისტემის აქტიურად გამოყენებისათვის, საბჭოთა ხელისუფლება გონივრულად იყენებდა მათ მიერვე მასებ'ში დანერგილ უნდობლობას საქართველოს დემოკრატიული წყობის და მისი მთავრობი-სადმი. აგიტატორების აღნიშვნით, მენშევიკური მთავრობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მის იდეოლოგიას საგანმანათლებლო სისტემაში წამყვანი როლი ჰქონდა, რადგან ეს უკანასკნელი დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკას მხარს უჭერდა. საამისოდ, ხელისუფლება იყენებდა საქარ-თველოს პოლიტიკურად რთულ რეგიონს - აფხაზეთს, სადაც ადგილი ჰქონდა "ულმერთოთა" აქტიური პოროპაგანდის ფაქტებს: "სოხუმის მასწავლებელთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა სოხუმის ეპარქიის ერთ-ერთ ყოფილ სასულიერო სკოლის შენობის კულტურული მუშაობისათვის გადაცემის შესახებ. საქმეში ჩაერია ჟორდანია და მასწავლებელთა კავშირმა ხელახლა დააყენა ეს საკითხი. ამით შეშფოთებული ცხუმის ეპარქიის მიტროპოლიტი დახმარებისათვის მიმართავს

"ყოვლად უსამღვდელოეს კათალიკოსს ლეონიდეს". ლეონიდე თავის მხრივ მიმართავს "საქართველოს მთავრობას" შემდეგი სიტყვებით: "გთხოვთ მიაქციოთ თქვენი განათლებული ყურადღება მასში აღნიშნულ თხოვნას და მოახდინოთ სათანადო განკარგულება დაკმაყოფილებისათვის" (40,18-19).

საქართველოს იმდროინდელმა სამინისტროებმა საკითხი კვლავ ეკლესიის სასარგებლოდ გადაწყვიტეს, მენშევიკურმა მთავრობამ სასულიერო განათლების ინტერესები უფრო მაღლა დააყენა, ვიდრე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რადგან ბნელეთის მოციქულთა ეკლესიის რეაქციული საქმიანობა წარმოადგენდა მენშევიკური მთავრობის დასაყრდენს, კათალიკოსი ლეონიდე ამას იმით ასაბუთებდა, რომ აფხაზეთში არ მოისპოს ქრისტიანობა და მისი ადგილი არ დაიჭიროს მაჰმადიანობამ, რაც სახელმწიფოებრივი წესწყობილებისათვის სასურველი არ უნდა ყოფილიყო" (40,19).

აქედან გამომდინარე, აშკარაა ორივე ხელისუფლებისა და წყობილების ინტერესები არა მხოლოდ საქართველოს ცალკეული ნაწილის - აფხაზეთის, არამედ მთელი ქვეყნის მიმართაც.

ქართველი სამღვდელოების პოლიტიკიდან ჩამოცილებით, ხელისუფლებამ ფართოდ გაიკაფა გზა მასებისაკენ თუკი მოსახლეობა აქამდე სულიერ საზრდოს ეკლესიაში ეძებდა მის შესაცვლელად მთავრობამ კულტურული ღონისძიებები შემოიღო, რომელიც გამიზნული იყო პარტიის სასურველ ადამიანთა "ჩამოსაყალიბებლად" და მისივე ავტორიტეტის ასამაღლებლად.

ამის ნათელი მაგალითია გელათის მონასტრის ქუთაისის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმის ფილიალად გამოცხადება, რათა ეს უდიდესი მნიშვნელობის კულტურის ძეგლი ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ. ამით მთავრობას სურდა ორი მნიშვნელოვანი საქმე ერთდროულად მოეგვარებინა: პირველი, მასებისათვის დაენახვებინა, თუ როგორ უფრთხილდებოდა ის ერის საუნჯეს — კულტურის ძეგლებს და მეორე, მონასტრები, როგორც კულტურის ღირებულების ნივთი შემოსავლის წყაროდ ექცია. 1941 წ. გამიზნული ექსკურსიებით გელათის

მონასტერი (მიუხედავად იმისა, რომ კვირაში მხოლოდ ერთი დღით იყო გახსნილი) 28 000-მა კაცმა დაათვალიერა (96,).

სათანადო მიმართულებით მუშაობისას განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა ექსკურსიების მონაწილეთა პირველი ნაკადი. მთავრობა ყოველნაირად ფრთხილობდა, რომ მნახველებში ისტორიული ძეგლისადმი ზედმიწევნითი ეროვნული ინტერესები არ აღძრულიყო. მით უფრო, რომ პირველ ეტაპზე ხელისუფლებას არ ჰყავდა სათანადოდ პოლიტიკურ დონეზე მომზადებული ექსკურსიამძღოლების კადრები, რომელთაც ამ მიმართულებით პარტიის სასარგებლო პროპაგანდის გაწევა შეეძლოთ. მთავრობის წინაშე დაისვა საკითხი სათანადო დაწესებულებათა შექმნისათვის, რომელიც პარტიას სათანადო კადრებს მოუმზადებდა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს დაქვემდებარებული მონასტრისადმი დამოკიდებულება მისმა ახალმა ხელმძღვანელობამ რადიკალურად შეცვალა. 1940-1941 წლებში ხელისუფლებისადმი გაგზავნილ მიმართვაში მუზეუმის ხელმძღვანელობა აღნიშნავდა, რომ გელათის ისტორიული ძეგლი მძიმე მდგომარეობაში იყო გუმბათიდან ჩამონადენი წვიმა და თოვლი აზიანებდა ფრესკებს. აღნიშნულის გამო, ეს უწყება ხელისუფლებისაგან მონასტრის შესაკეთებლად მოითხოვდა სასწრაფო ზომების მიღებას, ძეგლმუზეუმების მეცნიერული ძალებით უზრუნველყოფას (95) ყოველივეს ისიც ერთვოდა, რომ უყურადღებოდ იყო მიტოვებული მონასტრის საცავებში საგულდაგულოდ გადანახული საეკლესიო ქონებაც. ამ გარემოებას ნათელს ფენს გელათის მონასტრის შემოგარენში მცხოვრები მოსახლეობის წერილი ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ სადაც ისინი აღნიშნავდნენ, რომ მთავრობის მიერ დანიშნული მცველები ძარცვავდნენ ერის ამ უძვირფასეს საგანძურს: "მარტო ერთმა მცველმა ვინმე ე. ჯანგავაძემ გაანიავა და მიითვისა ძეგლ-მუზეუმების ქონება. იგი ამას არ დასჯერდა და გაკაფა ბერების მიერ გაშენებული მონასტრის მეურნეობა, დაარღვია მე-12 საუკუნის ქვის გალავანი, რომელიც მონასტერს გარს ჰქონდა შემოვლებული და პირადი დანიშნულებისათვის გამოიყენა" (92) აღშფოთებული მოსახლე-

ობა ხელისუფლებისაგან დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას მოითხოვდა. ასეთივე უხეშ ქმედებას ჰქონდა ადგილი ადგილობრივი კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის მხრიდანაც. რადგან მონასტრის შემოგარენი კოლმეურნეობის "კუთვნილებად" ირიცხებოდა, ისინი მას თხების სადგომად იყენებდნენ. აღნიშნული გარემოება კი მუზეუმის ხელმძღვანელობას რიგ პრობლემას უქმნიდა (93).

ყოველივე ნათლად მეტყველებს, რომ მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკის განხორციელებისას მოუმზადებელი კადრიც მოინახებოდა, რომ არაფერი ითქვას თავად ამ მიმართულებით სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსზე, რომელიც დღითიდღე აჩანაგებდა საუკუნეებგამოვლილ ისტორიული კულტურის ძეგლებს, რაც თავის მხრივ მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა, ლახავდა პარტიის ავტორიტეტს ხალხში და საბჭოურ სახელმწიფოებრივ ინტერესებს სერიოზულ ზიანს აყენებდა.

როგორც უკვე აღინიშნა, საბჭოთა ხელისუფლება სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად იყენებდა ყველა სფეროს. ანტირელიგიურ ბრძოლაში მან აქტიურად ჩართო ხელოვნების ყველა დარგი და ამ მხრივ არც თეატრი დაუტოვებია უყურადღებოდ. თეატრალური წარმოდგენები ანტირელიგიური პროპაგანდის შესანიშნავ საშუალებად იქცა. პარტიის 12-ე ყრილობის რეზოლუციებში მითითებული იყო საკითხი კომუნიზმისათვის ბრძოლის იდეათა მასიური პროპაგანდისათვის თეატრის პრაქტიკული ფორმით გამოყენებაზე. ამ მიზნით, აუცილებელი გახდა მოზიდულიყო ძალები, რათა გაძლილიყო ძუძაობა ანტირელიგიური თეატრალური რეპერტუარის შესარჩევად: "რაიონულმა სახელმწიფო თეატრმა (ლანჩხუთის, ხაშურის, ველისციხის,) დადგეს საკავშირო მუკ-ის მიერ რეკომენდირებული პიესა "დიდი ერეტიკოსი", ქუთაისის თეატრმა განსახილველად მიიღო "ჯორდანო ბრუნო" ქ. ქუთაისში სანკულტურის რესპუბლიკურმა თეატრმა დადგა ვოინიჩის პიესა "კრაზანა", წარმოადგინა წლის განძავლობაში 47-ჯერ განმეორდა. აღსანიშნავია, რომ თეატრის ხელმძღვანელობა ყოველ წარმოდგენაზე უფასო ბილეთებსაც აძლევდა დიასახლისებს" (34,64).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ძვრები ცენტრიდან მომდინარე, სოციალიზმისათვის დამახასიათებელი ტემპით მიდიოდა, ქვეყანას არ უნდა დავიწყებოდა მოსალოდნელი ომის საფრთხე, რომელიც შეიძლებოდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირსაც თავს დასტეხოდა. საჭიროებამ მოითხოვა საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე პოლიტიკური ძვრების გონივრული გათვალისწინება.

ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ეკლესიასაც თავისი დანიშნულება უნდა ჰქონოდა; საჭიროება მოითხოვდა მისდამი დამოკიდებულების გადასინჯვას და სათანადო პოლიტიკის შემუშავებას.

ასეთი პოლიტიკური კურსის შემუშავების პროცესში ძთავრობას მრავალი პრობლემური საკითხი გაუჩნდა; სერიოზული საფრთხე იყო მოსალოდნელი თავად ეკლესიის კრებულისაგანაც, რომელიც მანამდე ხელისუფლების ორგანოებიდან მძიმე ზეწოლას განიცდიდა — "ეჭვგარეშეა, რომ ამჟამად ყველა სჯულის კულტის მსახურნი, რელიგიურ ნიღბებს ამოფარებულნი, შეეცდებიან მთავრობის ეს ბრძანებულება თავიანთი მტრული აგიტაციისათვის გამოიყენონ ასეთ მტრულ აგიტაციას ექნება და აქვს ადგილი განსაკუთრებით შვიდდღიანი სამუშაო კვირაზე გადასვლას და დასვენების დღედ კვირა დღის დაწესებასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ადგილი აქვს ისეთ ფაქტებს, როდესაც კულტის მსახურნი საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს ისე სახავდენ, თითქოს თანდათან უბრუნდებოდნენ, რელიგიურ წესებს, უქმე დღეების აღდგენას. მათი აზრით, ამის ერთ-ერთი გამოხატულება კვირა დღის სადღესასწაულო დღედ აღიარებაა" (31,5).

როგორც ჩანს, პარტიის ღონისძიებები წინასწარ მოფიქრებული და საგანგებოდ დახვეწილი იყო, რათა თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი საფრთხე, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მიმართულებით მუშაობა ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ მოფიქრებულ-დახვეწილი და ბუნებრივია, მას შესაბამისი ნაკლოვანი მხარეებიც გააჩნდა, როგორც შემდგომ ეტაპზე (1941-1945 წწ.) ნახავთ, აღნიშნულმა ბევრად

სრულყოფილი სახე მიიღო და სათანადო შედეგიც გამოიღო.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის წინ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ადგილობრივ მმართველობით ორგანოებზე დაყრდნობით, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ რეალურად ჩამოეცილებინა ეკლესია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან. ამით განემტკიცებინა თავისი პოზიციები, სრულყო საბჭოთა სახელმწიფოებრივი იდეოლოგია და მოეხდინა ეკლესიის სრული ნეიტრალიზაცია. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ქართველი ხალხის თვალში გაემართლებინა ანტირელიგიური პროპაგანდა და კომუნისტური რეჟიმის არსებობა. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, ასრულებდნენ რა ცენტრიდან მიმდინარე დირექტივებს და სისრულეში მოჰყავდა ისინი, თავიანთი საქმიანობით დიდი მატერიალური და მორალური ზიანი მიაყენეს ქართულ ეკლესიას და მის კრებულს.

ქართული ეკლესია და მისი სამღვდელოება მთავრობასთან კომპრომისული პოლიტიკით მიისწრაფვოდა ერში ნდობა-პატივისცემის შენარჩუნებისაკენ და ამ საქმეში წარმატების მისაღწევად, მდგომარეობის შესაბამისად სხვადასხვა მეთოდებს და ხერხებს მიმართავდა.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკა ეკლესიის განადგურებისაკენ იყო მიმართული და ეკლესიის კრებულს ეროვნულ საქმიანობაში უკიდურესად ზღუდავდა, ეკლესიის მოღვაწენი თავიანთი არალეგალური საქმიანობით არ წყვეტდნენ კავშირს მრევლთან და მომავლის დიდი იმედითა და რწმენით იღწვოდნენ ერისა და ქვეყნის, მისი ეკლესიის საკეთილდღეოდ.

2. "მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" ადგილი და დანიშნულება საბჭოთა წყობის პოლიტიკაში (1941 — 1945 წწ.)

საბჭოთა წყობის სისტემაში რელიგიის დაძლევისა და ათეიზმის დამკვიდრების საქმეში საბჭოთა ხელისუფლება დიდ იმედს საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე ამყარებდა, რომლის ძალისხმევითაც მას ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი სახის გარდაქმნები უნდა მოეხდინა. კერძოდ, ცარიზმის თვითმპყრობელური წყობილებისაგან განსხვავებით უნდა უერეყო ეკლესიისა და სარწმუნეოების როლი ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, კონკურენცია გაეწია ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიისათვის, რითიც დასცემდა ეროვნული ეკლესიის ავტორიტეტს და ამ ნიადაგზე ჩამოაყალიბებდა იდეოლოგიურ მრწამსს — ხალხის კეთილდღეობრივ ცხოვრებაში პარტიის განსაკუთრებული როლის შესახებ.

ამ მიზნის მისაღწევად ხელისუფლებას ისეთი მექანიზმი უნდა შეემუშავებინა, რომ საზოგადოდ შექმნიდა შთაბეჭდილებას, რომ დასახელებული მიმართულებით გატარებული ღონისძიებანი საზოგადოების შეგნებული, ინტელექტუალური ნაწილის მეშვეობით ხდებოდა.

ჩვენ ზემოთ შევნიშნეთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ეკლესიის მიმართ გატარებულმა მძაფრმა პოლიტიკამ იმავე წელში მისთვის დაპირისპირებული შედეგი გამოიღო, მაგრამ მან მაინც მეტ-ნაკლებად მოახერხა ეკლესიისაგან მრევლის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოცილება და სოციალიზმის სამსახურში ჩაყენება. საზოგადოების სწორედ ამ ნაწილს უწოდებს ხელისუფლება "შეგნებულ ძალას" რომლის მიეშვეობითაც იგი ცდილობს (და ნაწილობრივ კიდეც ახერხებს) ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რომელსაც მისივე პოლიტიკიდან გამომდინარე შესაფერის სახელსაც უწოდებს — "მებრძოლ უღმერთოთა კავშირი". დასახელებული ორგანიზაცია ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ 1925 წლის აპრილში გაზეთ "უღმერთოს" მეგობართა საზოგადოების ყრილობაზე მოსკოვში. მისი ცენტრალური აპარატის შექმნა ფაქტიურად დამთავრდა 1928 წელს. კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ცნობილი ათეისტი, ვ.ი. ლენინის თანამებრძოლი ემ. იაროსლავსკი.

"მებრძოლ უღმერთოთა კავშირის "ორგანიზატორული სტრუქტურა და მიზნები განისაზღვრა მის I ყრილობაზე (1929 წ.), სადაც მიღებული იქნა "კავშირის წესდება. "მებრძოლ უღმერთოთა კავშირი", - ვკითხულობთ წესდებაში, - არის ნებაყოფლობითი პოლიტიკური საზოგადოებრივი ორგანიზა-ცია, რომელიც თავის ამოცანად ისახავს საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მასების შეკრებას რელიგიის (ყოველი სახის და ფორმის) როგორც სოციალისტური რევოლუციის შემაფერხებელი მოვლენის წინააღმდეგ აქტიურ-სისტემატიურ და თანმიმდევრობითი ბრძოლის საწარმოებლად". (49,5)

"მებრძოლ უღმერთოთა კავშირმა" სულ მალე ფართოდ გაშალა მუშაობა, ბუნებრივია, ცენტრალურ ორგანიზაციას მასზე დაქვემდებარებული რაიონული უჯრედები ესაჭიროებოდა, რომელიც ადგილზე (ცალკეულ რესპუბლი-კებში) "კავშირის" წესდების აღსრულების გარანტები იქნებოდნენ. ამ მიზნით, ცალკეულ სოციალისტურ ქვეყნებში ამოქმედდნენ "მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" ორგანიზაცი-ები. მათ შორის ფუნქციონირებდა საქართველოს უჯრედიც, რომლის რაოდენობა და კონტიგენტი სწრაფად იზრდებოდა. 1927 წლის 5 იანვარს საქართველოს კომპარტიის სამდივნომ მიიღო დადგენილება დაწყებულიყო უღმერთოთა საზოგადო-ების ოფიციალური ჩამოყალიბება რესპუბლიკებში.

1928 წლის გაზაფხულზე შეიქმნა საქართველოს "უღმერთოთა კავშირის" საინიციატივო ბიურო, ხოლო მოგვიანებით, ოქტომბერში - მისი დროებითი ცენტრალური საბჭო. მართალია, უღმერთოთა ორგანიზაციის რიცხვი სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ, 1929 წლამდე ჯერ კიდევ დეცენტრალიზირებულ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ. ამ დროისათვის რესპუბლიკის მასშტაბით უკვე არსებობდა 263 უჯრედი. კომპარტიას აუცილებლობად მიაჩნდა მათი მტკიცე და მთლიან ორგანიზაციად გაერთიანება, რაც კიდეც განხორ-ციელდა საქართველოს "მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" პირველ ყრილობაზე 1929 წლის 1 ივლისს ქ. თბილისში. ყრილობის გახსნის პერიოდში "კავშირის" 106 უჯრედში — 10000-მდე უღმერთო ირიცხებოდა (35,6).

რადგან საქართველოს მუკ-ის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა — უჯრედების მტკიცე შეკავშირება და მათი ორგანიზაციული განმტკიცება, ათეისტური მუშაობისათვის სათანადო კადრების მომზადება, ამტომ, ბუნებრივია, უჯრედების წევრთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა, 1940 წლისთვის საქართველოს მუკის ორგანიზაცია გაიზარდა 1777636-დან 2027011 კაცამდე, ფართო ხასიათი მიეცა საპროპაგანდო სამუშაოს. მაგ. ქართულ ენაზე გამოიცა 7 დასახელების ლიტერატურა საერთო ტირაჟი 25000.... დაისტამბა ლოზუნგები 15000 ტირაჟით, პროფკავშირებთან ერთად მოეწყო ა\რ კუთხეები, რომელ სამუშაოშიც მიზიდული იქნა 14782 კაცი. ამავე წელს ჩატარებული იქნა 9973 ა\რ ლექცია, საანგარიშო პეიოდში ა\რ მუშაობისათვის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ ამავე ორგანიზაციის აქტიური მუშაკები (63,17).

აღნიშნული ორგანიზაციის გასამყარებლად, მის სახელმწიფო პოლიტიკურ სისტემაში განსაკუთრებული სტატუსის მოსაპოვებლად ხელისუფლება აქტიურ მეთოდებსა და ხერხებს იყენებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებს კოლოსალური ხარჯები ესაჭიროებოდა, და, მიუხედავად იმისა, რომ, ახალფეხადგმულ სოციალისტურ სახელმწიფოს ეკონომიკური სახსარი უჭირდა, ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მისთვის სასურველი ორგანიზაცია მატერიალურად, გაემაგრებინა.

აღნიშნულის დასტურია 1941 წლის 31 დეკემბერს სარევიზიო კომისიის მიერ ჩატარებული საქართველოს მუკის ცენტრალური საბჭოს აპარატის ქონების ინვენტარიზაციის შედეგები. ირკვევა, რომ სამამულო ომის დაწყების წინ, მხედველობაში, რომ არ მივიღოთ საქართველოს მუკის რეგიონალური ორგანიზაციები, მხოლოდ ცენტრალური საბჭოს ქონება 18674 მანეთის ღირებულებას აღემატებოდა. ამავე ორგანიზაციის ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების ღირებულება 1338 მანეთს უდრიდა, ანტირელიგიური ლიტერატურა 27483 მან. (74,13) და ა.შ.

მასებში პროპაგანდითი მუშაობის გააქტიურებისა და

დასახული მიზნების ნათელსაყოფად აღსრულებისათვის "ულმერთოთა კავშირს" გააჩნდა თავისი ბეჭდითი ორგანო გაზ. "ულმერთო", რომელსაც მოგვიანებით ჟურნალის სახე მიეცა სახელწოდებით "შებრძოლი ათეისტი". მუკის ცენტრალურ საბჭოსთან არსებობდა ა\რ გამომცემლობა და საამისო ლექტორთა ბიურო. საქართველოს მუკის ცენტრალურ საბჭოში შედიოდა აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს სხვადასხვა რაიონების 60-მდე მუკის რაისაბჭო (77,2). 1929 წელს საქართველოს მუკის ცენტრალური საბჭო ერთიანდებოდა "შებრძოლ ულმერთოთა კავშირის" ცენტრალური საბჭოს სისტემაში (77,1)., რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ სამუშაო დირექტივები ცენტრიდან უნდა მიეღო საქართველოს მუკის საბჭოს. ამ დროიდან მუკ-ის საქმიანობა ერთის მხრივ, ფართო მასშტაბებზე განივრცო და მეორეს მხრივ, დაიხვეწა მუშაობის მეთოდ-გეგმები.

ასეთ შემთხვევაში, მთავრობა სულ უფრო მეტად ცდილობდა სახელმწიფო პოლიტიკურ კურსში მუკის ადგილისა და დანიშნულების მოპოვება-დამკვიდრებას. ხელისუფლება ისწრაფვის ამ საქმეში ქვეყნის ინტელექტუალურ ძალთა ჩაბმას მათ პარტიის ინტერესების დაცვის სამსახურში ჩაყენებას, ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ აღნიშნული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად მუშაობაში ჩართო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, რომელთანაც დაარსებული იქნა სპეციალური განყოფილება - რელიგიის ისტორიის და ათეიზმის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელსაც ევალებოდა სახელმწიფოს სარწმუნოებრივი პოლიტიკური კურსის დაცვა.

1940 წ. 18 სექტემბერს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი იძულების წესით, ნებაყოფლობით იღებს სპეციალურ დადგენილებას, რომლის ძალითაც აღნიშნული სექტორი უნდა გადიდებულიყო მეცნიერ-მუშაკებით და ჩამოყალიბებულიყო მუდმივმოქმედი ასპირანტურა რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის განხრით. ამავე სექტორს ფილოსოფიის ინსტიტუტთან ერთად უნდა მოემზადებინა კრებული თემაზე "მეცნიერება და რელიგია" (63,1-2). ამ

მიმართულებით მუშაობისათვის მუკის ცენტრალური საბჭოები ღებულობდნენ სპეციალურ ინსტრუქციებს. მაგ. 1940 წ. საქართველოში ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ა\რ მუზეუმები (ჩამოყალიბება დაიწყო 1937 წ) შედის საქართველოს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში, რომელსაც ის უშუალოდ ექვემდებარება და მისი ხელმძღვანელობით აწარმოებს მუშაობას. ანტირელიგიური მუზეუმის ფუნქციაში შედიოდა, საქართველოს მუზეუმის ფონდებში არსებული, მისი საქმიანობისათვის შესაბამისი ექსპონატების ამოკრება, რესპუბლიკაში რელიგიისა და ათეიზმის განვითარების ისტორიული პროცესის და სოციალისტური მშენებლობის შესწავლა, ამ პროცესის ასახვა და გამომზეურება, მშრომელთა ფართო მასებისათვის ისტორიის შესახებ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების გაცნობა (55,20).

ამ მიზნით, მუზეუმი 1941 წელს აწყობს გასვლით ექსპედიციებს რესპუბლიკის რეგიონებში. მაგალითად, ასეთი სახის ექსპედიციები მოეწყო — "აფხაზეთში "ილორის" წმ. გიორგის კულტის, ფშავში, ლაშარის წმინდა გიორგის კულ-ტის გადმონაშთებისა და რაჭაში წმინდა გიორგის დღესასწა-ულის "ნაციხრობის" შესასწავლად" (56,19-20).

სამამულო ომის წინა წელს ა\რ მუზეუმის მუშაობა ძირითადად მიმართულია ადგილობრივი დღესასწაულების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. მუზეუმის მუშაობის თემატიკა ეხება ისეთ საკითხებს როგორიცაა:

1. კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის და სხვათა მიმართვა გენუის კონფერენციისადმი 1922წ.
2. ქართული ეკლესიის კონტრრევოლუციური როლი მენშევიკების ავანტიურის დროს 1924 წ.
3. რელიგია და ათეიზმი ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის პერიოდში.
4. რელიგია და ათეიზმი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და ახალი კონსტიტუციის გატარების პერიოდში (1935-1937 წწ) (56,54).

როგორც მუზეუმის მუშაობიდან ჩანს, მის მთავარ მიზანს სახელმწიფო პოლიტიკის გამართლება და ეროვნული ეკლესი-

ის საზოგადოებაში ავტორიტეტის შებღალვა წარმოადგენდა. ამ ფონზე, "კავშირის" ერთ-ერთი პროპაგანდისტული ორგანიზაციის - ა\რ მუზეუმის სამეცნიერო ჯგუფის საქმიანო-ბა აშკარაა. აღნიშნული კუთხით მუშაობამ 40-იანი წლების დასაწყისში სერიოზული "წარმატებები" მოუპოვა მუკს. მას საბჭოთა საზოგადოება უნდა მოემზადებინა იმ რთული მსოფლიო საგარეო პოლიტიკური კატაკლიზმებისათვის, რომელიც მოსალოდნელი იყო სამომავლოდ. საბჭოურ იდეოლოგიაზე აღზრდილი და ეროვნულ ინტერესებ-შეზღუდული საზოგადოება სოციალისტური მიზნების მტკიცე დამცველი იქნებოდა მსოფლიო კაპიტალისტური ბანკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყოველივე კი, საბჭოთა ქვეყნის დაცვის მტკიცე გარანტი იქნებოდა, რაც მსოფლიოში მას უდიდეს უფლებამოსილებას მოუპოვებდა. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი მეორე მსოფლიო ომის წინ სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან მუკის ორგანიზაციისადმი განსაკუთრებული თანადგომა, მისი უჯრედების სათანადო დონეზე გამაგრება-დაფინანსება. ამ მიმართულებით ფართოდ გაცხოველდა მუშაობა მშრომელ მასებსა და კულტის მსახურთა შორის კავშირების სრული მოსპობის, ეკლესიებზე მკაცრი კონტროლის დაწესებისა და სამეცნიერო-საგანმანათ-ლებლო ა\რ პროპაგანდის ფართო წარმოებისათვის (64,1).

ხელისუფლება, აღნიშნულს იმით ხსნის, რომ მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და მის შეგნებაში კაპიტალიზმის დაძლევის საქმეში ა\რ მუშაობას უდიდესი ადგილი უნდა დათმობოდა, რათა ამ მიმართულებით მუშაობის შეუფასებ-ლობას ადვილი შესაძლებელი იყო სავალალო შედეგები მოჰყოლოდა*. კომუნისტური პარტიის მესვეურნი იმასაც აღნიშნავდნენ, რომ სოციალიზმის გრანდიოზულ გამარჯვება-თა შედეგად ქვეყანაში მოსპობილი იქნა რელიგიის წარმომ-შობი სოციალური ფესვები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, იგი ადამიანთა შეგნებიდან ამოიძირკვა, და, რომ ჯერ კიდევ

* ხელისუფლების მსჯელობაში პქონდა 1924 წ. აჯანყება და მასში ეკლესიის მხრიდან გაღაღგმული პოლიტიკური ნაბიჯი.

არსებობდა მისი გამოვლინების სრული პირობა (64,1).

ამ მიმართულებით აქტიური გახდა აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებების მობილიზაცია იმის დასტურად, რომ ეკლესია ამართლებს და აკურთხებს კაპიტალიზმის ისეთ გადმონაშთებს, როგორიცაა: შოვინიზმი, ნაციონალიზმი, კერძომესაკუთრული განწყობილებანი, ეგოიზმი, წამგლეჯელობა, ლოთობა, სიზარმაცე, ადამიანთა პატიოსანი მოღვაწეობის ათვალწუნება, უსულგულობა, მლიქვნელობა, საყოფაცხოვრებო გახრწნილობა, მშრომელ ქალზე მონური შეხედულება და სხვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მუკის ორგანიზაციას 40-იან წლების დასაწყისში განსაკუთრებული ფუნქცია დაეკისრა. საბჭოთა კავშირის ირგვლივ არსებული საერთაშორისო დაძაბულობა, მეორე მსოფლიო ომის დაწყება, მუკს დიდ პასუხისმგებლობას ავალებდა საბჭოთა მთავრობის წინაშე. საამისოდ, ხელისუფლება ცდილობს ძლიერი ზედამხედველობა დააწესოს მუკის უჯრედებზე, ალაგმოს მასში შემორჩენილი მანკიერი მხარეები, ძლიერი დასაყრდენი შეუქმნას საბჭოურ პოლიტიკურ კურსს რელიგიასთან ბრძოლაში. აქედან გამომდინარე, მთავრობის საგანგებო მუშაკები სისტემატიურად სწავლობდნენ ორგანიზაციის მუშაობას და უსახავდნენ სამომავლო ამიცანებს, სარევიზიო შემოწმებებმა გამოავლინეს ძირეული ორგანიზაციების მუშაობათა ნაკლოვანებანი, რის შედეგადაც მუკის რიგი უჯრედი დახურული აღმოჩნდა (66,1). აღნიშნულ მოვლენას სხვადასხვა მიზეზი გააჩნდა. უპირველეს ყოვლისა შევნიშნავთ, რომ საქართველოს მუკის ორგანიზაციის თანამშრომლებში ჯერ კიდევ არ იყო სათანადო იდეოლოგიური დონე, რასაც თავად ათეისტებიც აცნობიერებდნენ. თავიანთ საქმიანობაში რწმენის სისუსტე აშკარად ვლინდებოდა მათ მიერვე ჩატარებულ მუშაობაში, რასაც ხელს უწყობდა ქვეყანაში არსებული ეკონომიური სისუსტე, ცენტრიდან მიღებული დირექტივები ათეისტებს არ ჰქონდათ გაცნობიერებული და მათ შესრულებაში ენთუზიაზმის ნაკლებობა იგრძნობოდა. ყოველივეს ისიც ერთვოდა, რომ მუკის ორგანი-ზაციის შიგნით იმძლავრა მანკიერმა მხარეებმა, სისტემატურად ირღვეოდა ხელმძღვანელთა. არჩევითობის პრინციპი და მათი თანამდებობაზე განწესება დანიშვნის

სახით ხორციელდებოდა. მუკის ორგანიზაციებში შეაღწიეს სასულიერო აგენტებმა, მაგ. საქართველოში, აზოვ-შავიზღვისპირეთი, ჩრდილო ოლქში, აფხაზეთი (29,43). რიგი საარქივო დოკუმენტი მიუთითებს, რომ მუკის უჯრედის მდივნები იმის მიზეზებით, რომ მათ არ აძლევდნენ ხელფასს, ან უტრანსპორტობის გამო ვერ ახერხებდნენ სამსახურში გამოცხადებას და თხოუ-ლობდნენ დაკისრებული მოვალეობიდან განთავისუფლებას, რაც რეგიონალურ უჯრათა მასიურ ლიკვიდაციას იწვევდა.

შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად ცენტრალური მთავრობა რიგ ღონისძიებას სახავს, კერძოდ, ცდილობს უჯრედთა მდივნების ადგილზე გამაგრებასა და სცემს სპეციალურ დადგენილებას, რომლის ძალითაც მუკის უჯრედის მდივნებს დამატებით (ტრანსპორტისათვის) თვეში მისცემოდა 20 მანეთი (65,2) რესპუბლიკის ყველა რაიონს მუკის წევრების აღრიცხვის ფორმა 2, რომლის საფუძველზე აღნიშნულ ორგანოს უკეთესი საშუალება მისცემოდა ეწარმოებინა კონტროლი (64,15). სამამულო ომის დაწყებისთანავე მთავრობა სცემს ბრძანებას (72), რის საფუძველიც იძლევა განკარგულებას მუკის რაისაბჭოს პ\მ ხელფასების სახით ყოველთვიურად 175 მანეთი მისცემოდათ (ზოგიერთ რაიონს მითითების საფუძველზე 500 მანეთის ფარგლებში შეეძლოთ ხელფასის მიღება) საწევრო ანარიცხების იმ შემოსავლიდან, რომელიც დებულების თანახმად რჩებოდა რაისაბჭოს (65,12). აღნიშნული იმის მაუწყებელია, რომ ხელისუფლება ცდილობს წაახალისოს საწევრო ანარიცხების აკრეფაში "უღმერთოები" რის მეშვეობით უნდა მოახერხოს როგორც ორგანიზაციის შენარჩუნება, ისე თავდაცვის ფონდის გაძლიერება.

ამავე პერიოდში საკავშირო მუკის ცენტრალური საბჭო სცემს დადგენილებას საწევრო ანარიცხების აკრეფის შესახებ. საქართველოს მუკის ციფრობრივი მონაცემებით სჩანს, რომ 30%-50%-ზე მეტ საწევრო ანარიცხების აკრეფას ვერც ერთი ორგანიზაცია ვერ ახერხებს, რომელსაც ხელისუფლება არადამაკმაყოფილებლად აფსებს. დადგენილება კი ითვალისწინებ-და სასწრაფოდ გამოსწორებულიყო საწევრო ანარიცხების აკრეფა და დაწესებულიყო აღნიშნულ

ორგანიზაციებზე მკაცრი კონტროლი (63,33). ამ მიმართულებით საქმიანობაში, ხელისუფლებისათვის ცნობილია, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროება ითხოვდა მუკის შიდა საქმეების მოგვარებას, ე.წ. "წესრიგის დამყარებას, მანკიერ მხარეთა აღმოფხვრას. მთავ-რობა საგანგებოდ იმუშავებს დამსჯელ ღონისძიებებს, მაგა-ლითად "ულირსს მუშაკებს"* ითხოვს სამსახურიდან, ართმევს პრემიალურ დანარიცხებს და სხვა. ასეთი მეთოდით წარ-მოებდა მუკის "ღირსეულ" წევრთა სახელმწიფო სამსახურში იძულებითი დაკავება; და არასანდოთაგან განთავისუფლება.

ცენტრიდან წარმოგზავნილ მიმართვებში ხაზგასმით აღინიშ-ნებოდა, რომ მუკის უჯრედების მუშაობაში ყოვლად დაუშვებელი უნდა ყოფილიყო მავნებლური პრაქტიკა "ორგანიზაციაში" შემთხვევითი ადამიანების მოხვედრა, ინსტრუქტორების ე.წ. "საგასტროლო" ხასიათის მივლინებები, რომელსაც სახელმწიფოსთვის მხოლოდ ზარალის მოტანა შეეძლო. ბუნებრივია, საერთო და მით უფრო სამამულო ომის პირობებში ხელისუფლება ასეთ სახის სახელმწიფოებრივ დანაშაულებებს ვერ შეეგუებოდა და აპოლიტიკურად მიიჩნევდა (63,7-8).

მუკის მუშაობაში არსებულ სერიოზულ დარღვევებს ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ ძნელად შესარჩევი ხდე-ბოდა ორგანიზაციების პირველადი მდივნების კანდიდატურები. ფრონტისთვის წითელ არმიაში გაწვევასთან დაკავშირებით ვაკანსიური ადგილების შესავსებად კი მთავრობისათვის სასურველი პირი უნდა შერჩეულიყო, რომლებიც ხალხში ავტორიტეტით სარგებლობდნენ და, რომელთაც ხელისუფლება ნდობას უცხადებდა, ხშირ შემთხვევაში. ასეთი კანდიდატურების გამონახვა ძნელდებოდა, რაც ბუნებრივია "ორგანიზაციის" მუშაობის პარალიზებას იწვევდა (64,10).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმამ სოციალიზმის მონაპოვრის გადარჩენა სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა, რაც უდავოა, სახელმწიფო უმაღლესი ხელისუფლებისაგან,

* ამ შემთხვევაში, იგულისხმება ანტისაბჭოური ელემენტები.

როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში სერიოზული ცვლილებების შეტანას მოითხოვდა. მრავალეროვან სახელმწიფოში, ომის ფაქტორი ქვეყნის შიგნით. საბჭოთა წყობის წინააღმდეგ მიმართულ ცალკეულ ძალთა ინტერესების გამოვლინებისა და აღსრულების პირობად შეიძლება ქცეულიყო. სწორედ ამ ძალების თავის ინტერესებში მოქცევითა და მათი მისწრაფებების გადატანით საერთო სოციალისტურ ინტერესე-ბში უნდა ქცეულიყო ამ ომში პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასახულ მიზნების გამარჯვებათა გარანტად. აქედან გამომდინარე, ომის დაწყებისთანავე დღის წესრიგში დადგა "მებრძოლ ულმერთოთა კავშირის" დანიშნულებისა და ფუნ-ქციის შეცვლა სახელმწიფო პოლიტიკურ კურსში, რაც უდა-ვოდ მიმართული უნდა ყოფილიყო ჰიტლერულ ძალთა წინა-აღმდეგ მასების მობილიზაციისათვის.

სახელმწიფო ხელისუფლება იცვლის ეკლესიასთან მიდ-გომის მეთოდ-ხერხებს, რასაც ბუნებრივია, ასახვა უნდა ეპოვა დასახელებული "კავშირის" მოღვაწეობის სფეროში.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ომის დაწყების წინა თვეებში ხელისუფლებამ სცადა მუკის ორგანიზაციებში არსებული სერიოზული ხარვეზების აღმოფხვრა, რომAლი საქმის გან-ხორციელებაც სამამულო ომის დაწყებამ შეაჩერა. ცოტა მოგვიანებით კი, გარემოება აშკარად აჩენს, რომ საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე, საბჭოთა მთავრობამ საჭიროა შეიცვალოს პოლიტიკური მიდგომის გზები საერთო სახელმწიფო კურსის შეუცვლელად, როგორც საშინაო, ისე საგარეო სფეროში, ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა "კავშირს" ახალ ამოცანებს უსახავს, გადააქვს მისი ყურადღება ფაშიზმის წინააღმდეგ საპროპაგანდო მუშაობაზე და გარეგნულად შეგნებულად აცილებს მას ასარ პროპაგანდისაგან. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების ასეთი მიმართულებით მუშაობა ქვეყნისათვის იმ პერიოდიდან გამომდინარე, სერიოზული გამარ-ჯვების საწინდარი გახდა. საბჭოთა სახელმწიფომ მეტ-ნაკლებად შესძლო ეკლესიასთან მიდგომა, ერთი ინტერესებით სამშობლოს დაცვისთვის გაერთიანება და

რელიგიისადმი ლოიალური დამოკიდებულება.

პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი ხელისუფლებამ მუკის ორგანიზაციების არა მარტო სასწრაფოდ ამოქმედება, არამედ მათი ტაქტიანი და შენიღბული მეთოდებით ბრძოლა მოითხოვა.

ზემოაღნიშნული სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ მუკის ორგანიზაცია მისი ძირითადი დანიშნულებისაგან გაანთავისუფლა. მათ შენიღბული სახით უნდა დაეცვათ შიგნით სიმშვიდე და წესრიგი. მოეხდინათ ანტისაბჭოთა ელემენტების (განსაკუთრებით ღვთისმსახურთა) ზრახვათა გამოვლინება, დაეწესებინათ ეკლესიებზე მკაცრი კონტროლი, თვალყური ედევნათ საეკლესიო შემოსავლებზე და ამ გზით შეევსოთ თავდაცვის ფონდი (68,19).

ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს ეკლესიისადმი რადიკალური ცვლილება საზოგადოებას მაშინვე მისდამი ნდობით ვერ განაწყობდა. ხელისუფლებას ესაჭიროებოდა ისეთი სახის სამუშაოების შესრულება, რაც ხალხს დაანახვებდა მისი გადაწყვეტილებების სისწორესა და სიმტკიცეს.

ეკლესიისა და საერთოდ რელიგიის მიმართ ძველი დამოკიდებულების შეცვლის დასასაბუთებლად, ხელისუფლება ხურავს "მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" ანტირელიგიურ გამომცემლობებს. კერძოდ, 1941 წლის 14 ივლისის ბრძანებულებით (ბრძანება 72) იგი იღებს დადგენილებას ჟურნალ "მებრძოლ ათეისტის" დახურვისა და მისი რედაქციის თანამშრომელთა დროებით დათხოვნის შესახებ (65,9). ამავდროულად, ამავე წლის 27 ივლისის დადგენილებით ფუნქციონირება შეწყვიტა ანტირელიგიურმა მუზეუმმა. აურაცხელი საღვთისმსახურო დანიშნულების ნივთი, რომელიც მუზეუმს საკვლევ-სამეცნიერო დანიშნულებისათვის ჰქონდა გადანახული, - უპატრონოდ აღმოჩნდა (56,50).

არსებული ვითარება საქართველოს ეკლესიის მესვეურთ კიდევ ერთ საბაბს უქმნიდა ებრძოლათ ჩამორთმეული ეროვნული საეკლესიო საგანძურის დაბრუნებისათვის, რომელიც მუკის მუზეუმის ფონდებში ინახებოდა. ქართველი სამღვდელოება ომის მთელ მანძილზე ცდილობდა დასახული მიზნების განხორციელებას, მაგრამ უშედეგოდ (80,50).

ხელისუფლების დიდი ცდის მიუხედავად, გაეძლიერებინა

მუკის ორგანიზაცია, მის მუშაობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა მაინც ვერ შესძლო. 1941 წლიდან "კავშირი" უფრო მეტად განიცდის კადრების სიმცირეს ყველა იმ ზემოთ-ჩამონათვალი მიზეზების გამო, რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი.კერძოდ ომით შექმნილი გარემოებების გამო, ხელისუფლება ვეღარ ახერხებდა მის მიერ პ\მ მდივნებისათვის დაკანონებული ხელფასის (150-170) გაცემას და ეს უკანასკნელნი კი მძიმე მატერიალურ პირობების გამო უხელფასოდ მუშაობას აღარ აპირებდნენ, დასახელებული მიმართულებით მუშაობის საწარმოებლად აღარც ენთუზიაზმი არსებობდა, რაც უდაოდ "კავშირს" სრული დეზორგანიზაციის საფრთხეს უქმნიდა. (66,8).

არსებული საფრთხის ასაცილებლად 1942 წლის დასაწყისში ხელისუფლება მუკის საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოებისაგან ითხოვს 1941 წლის მუკის მუშაობის შედეგების გადამოწმებას და ანგარიშის ფორმით აღნუსხულ დეტალურ ცნობებს:

1. იყო თუ არა ადგილებზე მუკის რაისაბჭოს თავმჯდომარე და კ/მ მდივანი.
2. რამდენი და როგორი იყო პლენუმისა და პრეზიდიუმის შემადგენლობა.
3. შევსებულ იქნა თუ არა ახალი წევრებით ჯარში გაწვეული უჯრედის მდივნები.
4. ლექცია - მოხსენებათა თემატიკა.
5. სამამულო ომის პერიოდში ჩატარებულ მოხსენებათა რაოდენობა.
6. მუკის ორგანიზაციების ფრონტისათვის დახმარება:

ა) შეგროვდა თუ არა ლითონი;

ბ) საჩუქრები წითელი არმიელებისათვის;

გ) თბილი ტანსაცმელი;

დ) რომელმა ორგანიზაციამ რა რაოდენობით ფული გადარიცხა თავდაცვის ფონდში და სხვა (68,6)

აღნიშნული მიმართულებით მუშაობის სწორად წარმართვისათვის სადირექტივო მითითების საფუძველზე (1942წ. მონაცემებით) ა/რ თემაზე ჩაატარა ლექცია მოხსენებები: "ფაშიზმი ახრჩობს საბჭოების თავისუფლებას" და გერმანიის

ფაშიზმის რასობრივი თეორია" (67,2).

ლექცია-მოხსენებები შთაგონებული უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირში ადამიანთა უფლებების დაცვითა და თითოეული მოქალაქის უფლება-მოვალეობით ქვეყნის წინაშე, სოციალიზმის მონაპოვრის დაცვა - პატრონობით, ხოლო რაც შეეხება "გერმანიის ფაშიზმის რასობრივ თეორიას" - აღნიშნული თემა მთელი სამამულო ომის პერიოდში ყველა ორგანიზაციასა და საჯარისო ნაწილებში საგანგებოდ დამუშავდა. (67,2).

1943 წელს მუკის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი ღებულობს დადგენილებას, რომ მუკის საქალაქო და რეგიონალური საბჭოების პ/მ მდივნებს წარმოება-დაწესებულებებში, სკოლებსა და არტელებში ყურადღება მიექციათ, რომ ლექციამოხსენებების თემატიკა დაკავშირებოდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებასა და დისციპლინის გამაგრებას, ხოლო, რაც შეეხება დიაპოზიტიური ფილმების ჩვენებას - მას ჰქონდა სისტემატური ხასიათი. ასევე, მუკის უჯრედებს ევალებოდათ პლაკატების გაფორმება - წარწერებით: "სსრ კავშირის შეიარაღება და რელიგია", "ცეცხლითა და სისხლით ღმერთისათვის" და სხვ.

"ორგანიზაციების" ფუნქციაში იყო სასწრაფო ზომების მიღება წვევამდელთა ომში გასაწვევად. ამავდროულად "შებრძოლ უღმერთოთა კავშირს ევალებოდა წითელარმიელთა ოჯახების მორალურ - პოლიტიკური გამაგრება, მათთვის საჯარო ლექციების წაკითხვა, აგროკოლექტივების წინაშე მოხსენებებით გამოსვლა, და ა.შ. ხელისუფლება იმედს გამოთქვამდა, რომ აღნიშნული ორგანო ამ მძიმე ჟამს თავს გაართმევდა მასზედ დაკისრებულ მოვალეობებს (63,4-5).

სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ სამამულო ომის პერიოდში "ორგანიზაციის" ძირითადი დანიშნულება ფრონტისადმი ფინანსური დახმარება იყო. საქართველოს მუკმა საკავშირო მუკის ცენტრალურ საბჭოს მითითებით გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად 50% შემოსავალი საწევრო ანარიცხებიდან გადარიცხულიყო თავდაცვის ფონდში. აღნიშნული ღონისძიების შედეგით მარტო საქართველოს მუკის ორგანიზაციებს ფრონტისათვის შეეძ-

ლოთ რამდენიმე ათასი მანეთის მიცემა, დავალება უნდა შესრულებულიყო საზოგადოებრივი დატვირთვით. (67, 8). აღნიშნულ პოლიტიკურ ნაბიჯს ჰქონდა ორგვარი დატვირთვა: იდეურ-პოლიტიკურად და მატერიალურად გაემაგრებინა ფრონტი და სამომავლო საქმიანობისათვის შეენარჩუნებინათ არსებობა (67,2). ასეთი მიმართულებით გაშლილი ფართომასშტაბიანი ბრძოლის მაუწყებელია 1942 წ. 17 მარტის ხელისუფლების მიმართვა საქართველოს მუკის რაისაბჭოები-სადმი, სადაც აღნიშნულია, რომ: "სამამულო ომის დაწყებიდან მუკის ორგანიზაციებმა თავალსაჩინო მუშაობა ჩაატარეს, განსაკუთრებით ფრონტისადმი ფინანსური დახმარების აღმოჩენის საქმეში. შეგროვილ იქნა ფერადი ლითონები, თბილი ტანსაცმელი წითელი არმიის ნაწილებისათვის, აღებულ იქნა შეფობა ჰოსპიტლებზე და სხვ. (67,4). ხელისუფლებას აღნიშნული საკმარისად არ მიაჩნია და მიუთითებდა, რომ აუცილებელი იყო მუკის წევრთაგან ორი მანეთის გამოსაღები საწევრო ანარიცხებით და ავალებდა მათ მაქსიმალური მუშაობა გაეშალათ საწევრო ანარიცხების სასწრაფო დაფარვისა და ორგანიზაციის შემდგომი ზრდისათვის, ხოლო რაც შეეხებოდა თავდაცვის ფონდში შეტანილი თანხების რაოდენობის შესახებ ცნობებს, იგი ყოველთვიურად მოწოდებული უნდა ყოფილიყო შესაბამის ორგანიზაციებში (67,4). ამავდროულად საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე "მებრძოლ ულმერთოთა კავშირს" უნდა გაეგრძელებინა მუშაობა ამავე ორგანიზაციის საწევრო წიგნაკებისა და მარკების გაყიდვა-გავრცელებაზე. 1942წ. პირველი იანვრიდან მუკის ორგანიზაციებს მიეცათ განკარგულება მარკები გაეცათ 30%-იანი ფასდაკლებით, ხოლო საქალაქო საბჭოებს აღნიშნული მარკები გასცემოდათ 80% - იანი ფასდაკლებით (67,2). მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ საწევრო ანარიცხებისა და წიგნაკებიდან შემოსული თანხები ძირითადად მუკის საქალაქო საბჭოს უჯრედებზე შემოდიოდა და, რომ ამ მიმართულებით რეგიონალური მუკის უჯრედთა მუშაობა თითქმის არ წარმოებდა, ასევე "ორგანიზაციის" ყურადღება მოდუნებულ იქნა პოლიტიკური თვალსაზრისითაც.(68, 21).

1941 წლიდან სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან აღნიშნული მიმართულებით გაძლიერებულმა მუშაობამ თავისი შედეგი გამოიღო. "მებრძოლ უღმერთოთა კავშირი" მომძლავ-რდა და მასზე დაკისრებულმა ახალი სახის ფუნქციამ გაამარ-თლა. სტატისტიკური მონაცემებით მარტო თბილისის საქალა-ქო რაიონულ უჯრედებში 1945 წლისთვის სულ 405 უჯრედი არსებობდა, მუკის წევრთა რაოდენობა 14500 წევრს უდრიდა, ხოლო საწევრო ანარიცხების სახით ხელისუფლებამ მიიღო და თავდაცვის ფონდში გადარიცხა 9997 მანეთი. ამაღლდა პროპაგანდითი მუშაობის დონე და ხასიათიც, მარტო სალექ-ციო მუშაობით სახელმწიფო ბანკში შეტანილ იქნა 3235 მანეთი. (73,20).

1942 წლის მუკის სამეურნეო ანგარიში მის ფინანსურ შესაძლებლობებზე მიგვანიშნებს. ამ წლის შემოსავალი 68405 მანეთს შეადგენდა, 1943 წლისთვის 72337 მან, 1944წ. 72337 მან., ხოლო 1945 წ. ორგანიზაციის შემოსავალმა 69865 მანეთი შეადგინა (69,39; 71,6; 174,5; 75,2).

აღნიშნული ფაქტი იმის მაუწყებელია, რომ სამამულო ომის მსვლელობის მთელი ხნის მანძილზე ხელისუფლებამ შეძლო აღნიშნული ორგანიზაციის არა მარტო შენარჩუნება, არამედ თავის სასარგებლოდ გამოყენებაც როგორც ეკონომი-კური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. თუ მოცემულ ციფრებს დავუკვირდებით შევნიშნავთ, რომ ომის დაწყების წლებში და მისი მთელი მსვლელობის მანძილზე მუკის ორგანი-ზაცია მობილიზებული და აქტიურად მოქმედი ორგანოა, რამაც თავი იჩინა ფინანსური შემოსავლების ზრდაშიც, ხოლო ომის დამამთავრებელ ეტაპზე კი მისი შემოსავალი კლებუ-ლობს. ამ ფაქტს რამოდენიმე გარემოება ხსნის; ერთის მხრივ, იმის წლების შემდგომ ხელისუფლების მიერ მუკისადმი დაკის-რებული ფუნქციის შესაძლებლობათა ამოწურვა. აქედან გამომდინარე, მეორეს მხრივ, მთავრობის ნაკლები ზრუნვა მისი სიძლიერისათვის, შემდგომი ხანის საარქივო მასალა გვიდასტურებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება რელიგიასთან კავშირის ახალ გზებს ეძიებს, რაც უნდა გამოხატულიყო მუკის ან საერთოდ გაუქმებით, ან მისი სხვა სახის, უფრო პერსპექტიული, დროისათვის შესაფერი ორგანიზაციის შექმნით.

ამრიგად მეორე მსოფლიო ომში "მებრძოლ უღმერთოთა კავშირს" ხელისუფლება საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში აკისრებს განსაკუთრებულ ფუნქციას. სამამულო ომის პირობებში ორგანიზაციის 20-30-იანი წლების პოლიტიკური საქმიანობა უკვე მიუღებელი უნდა ყოფილიყო. მთავრობა საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე იცვლის ეკლესიასთან მიდგომის მეთოდ-ხერხებს, რასაც, ბუნებრივია, ასახვა უნდა ეპოვნა "მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" საქმიანობაშიც. მისი ძირითადი დანიშნულება - ანტირელიგიური პროპაგანდა შეიცვალა ანტიფაშისტური პროპაგანდით. ამავდროულად, "ორგანიზაციას" ევალებოდა ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში შენიღბული ფორმით კონკურენცია გაეწია ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიისათვის, აემაღლებინა პარტიის ავტორიტეტი ხალხში, ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაემაგრებინა ფრონტი და კონტროლი გაეწია მრევლის ეკლესიასთან კავშირისა და მისდამი დამოკიდებულებისათვის.

მიუხედავად დიდი დაბრკოლებისა, აღნიშნულმა ორგანიზაციამ მოახერხა სახელმწიფო დავალებების შესრულება, მისი პოლიტიკური კურსის განმტკიცება და ხელი შეუწყო ხელისუფლების მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებას.

თავი მეორე - ქართული ეკლესია მეორე მსოფლიო ომის დროს (1941 - 1945 წლებში)

1. საბჭოური სარწმუნოებრივი პოლიტიკა და ქართული ეკლესია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში

საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დაარსების დღიდანვე ქართული ეკლესია სრული გადაგვარების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და ქვეყნის განვითარება - წინსვლის საქმეში მისი ისტორიული ფუნქცია უაღრესად შეიზღუდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომუნისტური პარტია მისი საწინააღმდეგო იდეოლოგიის მქონე სოციალურ ინსტიტუტს ვერ შეეგუებოდა. ამით იყო განპირობებული, გაშლილი სოციალიზმის მშენებლობის პირობებში საეკლესიო საკითხის წინა რიგებში წამოწევა და ამით გამოწვეული ანტირელიგიური პროპაგანდის გაჩაღება; სათანადო ღონისძიებების გატარება, რომელთა შედეგიც იყო: ეკლესია-მონასტრების მასიური დახურვა, მრევლის სარწმუნოებიდან ჩამოცილაებისათვის ბრძოლა და მათი საბჭოთა ინტერესებში ჩაყენება.

ქართული ეკლესიის მოღვაწენი 30-იანი წლების მიწურულიდან დროის შესაბამისად მოქმედებდნენ; ხელისუფლებასთან ლოიალურ მიდგომას ამჯობინებდნენ, რაც იმ ეტაპზე ეკლესიის გადარჩენისა და მრევლის შენარჩუნების საწინდარი უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად ეკლესიის ხელისუფლებისადმი ლოიალური პოლიტიკისა, მისდამი მთავრობა მაინც უნდობლობით იყო განწყობილი და მას მტრულ ძალად აღიქვამდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ეკლესია საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან მუდმივი ზედამხედველობის ობიექტად რჩებოდა. აღნიშნულ პოლიტიკას მეორე მსოფლიო ომის მკაცრ პირობებშიც კი არ დაუკარგავს თავისი ძალა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, საბჭოთა ხელისუფლებამ თადარიგი დაიჭირა, რომ მოსალოდნელი საფრთხის პირობებში, "მტრულ ელემენტებს" (მათ შორის ეკლესიასაც) არ მისცემოდა საშუალება ეროვნული მიზნების გამოსავლენად. მით უფრო, რომ ხელისუფლებისთვის უკვე კარგა ხნის ცნობილი იყო, თუ როგორ ცდილობდა 20-იანი წლების დასაწყისში ქართული ეკლესია არ დაეშვა

საქართველოში კომუნისტური რეჟიმის არსებობა და საამისოდ მსოფლიოს კაპიტალისტური ქვეყნების მხარდაჭერას ეძიებდა. (33,20)

მეორე მსოფლიო ომის პირობებში, საბჭოთა ქვეყანას არა მხოლოდ გარეშე ძლიერი ძალის მხარდაჭერა ესაჭიროებოდა, არამედ უპირველეს ყოვლისა, შიგნით სახელმწიფოში ერთგული და სანდო დასაყრდენის დაგულება, რომელიც ძლიერი საფუძველი იქნება ქვეყანაში ძალთა დასარაზმად გარეშე აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ასეთ ერთ-ერთ გარანტად ხელისუფლებამ ეკლესია მიიჩნია; სწორედ მისი დახმარებით უნდა მომზდარიყო საქართველოსა რიგ რესპუბლიკებში არსებული ეროვნული მისწრაფებების ინტერესთა გადატანა საერთო სოციალისტურ ინტერესებში, ამიტომ საბჭოთა მთავრობა იცვლის ეკლესიასთან მიდგომის გზებსა და მეთოდებს; მთელი ძალისხმევით ცდილობს მისი ხალხში დიდი ავტორიტეტის თავის სასარგებლოდ გამოყენებას; მოსახლეობის დარაზმვას და მის ჩაბმას ომში სამშობლოს დაცვის მოწოდებით; ეკლესიის ჩამოცილებას ეროვნული ინტერესებიდან; ანტიფაშისტური მიმდინარეობის იდეოლოგიად; ეკლესიასთან კეთილმეგობრული ურთიერთობის დამყარებით მსოფლიოს პოლიტიკური ნდობის მოპოვებას და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების ეკლესიისადმი დამოკიდებულების შეცვლა არ ნიშნავდა იმას, რომ ეკლესია და მისი კრებული მთავრობისათვის ნდობით აღჭურვილ ორგანოს წარმოადგენდა; ხელისუფლება ეკლესიაზე ზედამხედველობის დაწესების მეთოდ-ხერხების შემუშავებას შეუდგა.

სამამულო ომით გამოწვეული, მძიმე სულიერი მდგომარეობა ხალხს ეკლესიისაკენ უბიძგებდა, რაც ხელისუფ-ლების პოლიტიკურ სიფხიზლეს აძლიერებდა. ამ მიმართუ-ლებით მუშაობა მთავრობამ ამ საქმეში უკვე გამოცდილ მუშაკებს "მებრძოლ ათეისტებს" დააკისრა. ქვეყნის თავდაც-ვითი მდგომარეობა, რომ არ მოდუნებულიყო, "მებრძოლი ათეისტები" (განსაკუთრებით რელიგიური დღესასწაულობის დღეებში) სამლვდელოებისა და მრევლის სულისკვეთების უკეთ შესასწავლად ეკლესიებში

თავიანთ აგენტებს გზავნიდნენ, მუკის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის სახელზე წარ-გზავნილ ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში 1942 წ. აღდგომის დღესასწაულის შესახებ ხელისუფლების აგენტი იტყობინე-ბოდა: "ეკლესიაში ხალხი ტაძარში არ ეტეოდა. აქ თავი მოეყარა, როგორც მორწმუნეებს ისე მერყევ ელემენტებსაც, მათ შორის მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ ფრონტიდან დაბრუნებულებიც. ბევრი მათგანი სანთელს უნთებდა ხატს და ლოცულობდა, ერთი პიროვნება, რომელიც ჯარისკაცის ფორმაში იყო გამოწყობილი მღვდელ-დიაკონთან ფუსფუსებ-და. შუა ლოცვის დროს მან სურვილი გამოუცხადა მღვდელს, რომ ის შეასრულებდა მოციქულის სიტყვებს. დართო რა ნება მღვდელმა, იგი დიდი აღტაცებით ემზადებოდა სიტყვების წარმოსათქმელად, მაგრამ მას ხელი შეუშალა იქვე მდგარმა ერთ-ერთმა მამაკაცმა, რომელმაც რამდენიმე კითხვა დაუსვა" (68,18) ზემოთმოყვანილი დოკუმენტი ნათელჰყოფს, რომ ხელისუფლება არ ენდობა ეკლესიასა და მის კრებულს, ცდილობს არ დაუშვას მრევლისა და სამღვდელოების ღრმა კონტაქტი; სიფხიზლე და სიფრთხილე გამოიჩინოს მიმდინარე პროცესების მიმართ; შეისწავლოს ეკლესიის ორიენტაცია და არ დაუშვას ნაციონალური "გადახრები".

აღნიშნულით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ ეკლესიასთან თანამშრომლობის გვერდით, საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად ამოქმედებს "მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" ორგანიზაციასაც. ამ უკანასკნელს, სასულიერო კრებულთან ერთად უნდა ეწარმოებინა ხალხში ანტიფაშისტური აგიტაცია-პროპაგანდა, განემტკიცებინა მოსახლეობის მორალურ-პოლიტიკური დონე. პარალელურად "მებრძოლი უღმერთოები" ვალდებულებას იღებდნენ ზედამ-ხედველობის ქვეშ ჰყოლოდათ ეკლესია; გაეგრძელებინათ აქტიური და ინტენსიური მუშაობა რელიგიის მავნებლობის მიმართულებით და ა.შ. (68,18).

სადირექტივო ორგანოების მითითებების თანახმად მუკის ცენტრალურმა საბჭომ გარდაქმნა თავისი მუშაობა და შეუფარდა ის ფრონტის ინტერესებს. თანდათანობით, ანტი-რელიგიურმა პროპაგანდამ შენიღბული სახე მიიღო და გარეგ-

ნულად შეიცვალა ანტიფაშისტური პროპაგანდით. (68,19). ასეთი მეთოდით, საბჭოთა ხელისუფლება ეკლესიის თავის სასარგებლოდ გამოყენებას უკეთ ახერხებდა; ადუნებდა მის ყურადღებას ეროვნული ინტერესებისადმი და მის საბჭოთა იდეოლოგიის სამსახურში ჩაყენებას ლამობდა მსოფლიო მტრის - ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბურველით.

საომარი მდგომარეობის მთელ მანძილზე, ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა მთის რეგიონებზე. კავკასიონის სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობის გამო დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა სვანეთის მუკის ორგანიზაციას. გერმანიის ჯარების კავკასიონის რეგიონებთან კონცენტრაცია სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებდა ქვეყნის თავდაცვითუნარიანობას. ამიტომ გასაგებია ამ მიმართულებით მუკის განსაკუთრებული ზეწოლა, სვანეთზე, რაც ერთის მხრივ ადგილობრივი დღესასწაულების შეზღუდვაში გამოიხატა. (72,1) ამ მხრივ, ხელისუფლებას სერიოზული დაბრკოლების გადალახვა უხდებოდა, რაც რიგი ფაქტორით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. უპირველეს ყოვლისა აქ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოს მთიან მოსახლეობაში ძლიერად იყო ფეხმოკიდებული კერპთაყვანისმცემლური ელემენტები, რომლებიც მყარად გადაჯაჭვულიყო ადგილობრივ ადათ-წესებში. მათ წინააღმდეგ ბრძოლა მთის ერთგვარ შეურაცხყოფას წარმოადგენდა, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა ბუნებრივია, ვერ შეგუებოდა.

ამრიგად, კომუნისტური პარტია მიუხედავად ზემოაღნიშნული სირთულეებისა, მაინც აგრძელებდა პარტიის გენერალურ ხაზს, ლენინურ პრინციპს, რაც გარკვეულწილად ომში გამარჯვების შემთხვევაში იმის გარანტსაც იძლეოდა, რომ ქვეყანა კვლავ იმავე სახელმწიფო კურსს გააგრძელებდა. ამავდროულად, საბჭოთა ხელისუფლება ითვალისწინებდა რიგ იმ დროით გამოწვეულ გასათვალისწინებელ მომენტსაც და გრანდიოზულ საერთაშორისო პოლიტიკაში სსრ კავშირის ჩაბმა მას რიგ საშინაო საკითხებში კომპრომისისკენ უბიძგებდა. სწორედ ამით იყო განპირობებული მთელი რიგი დათმობები რელიგიისა და სარწმუნოების მიმართ, რაც იმ ეტაპზე უმაღლესმა ხელისუფლებამ ზოგადად ცენტრის - რუსული

მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ გაატარა და რამაც გარკვეულწილად საქართველოს ეროვნულ ეკლესიაზე პირდაპირ იქონია გავლენა. აღნიშნულ საკითხს, ცალკე პარაგრაფში შევეხებით.

ომის დაწყებისთანავე საქართველოს ეროვნულმა ეკლესიამ ანტიფაშისტურ ორიენტაციას დაუჭირა მხარი. ამის ნათელი დადასტურებაა 1941 წ. 24 ივნისს კათალიკოს-პატრიარქის კ. ცინცაძის მიმართვა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სახკომსაბჭოს სახელზე, სადაც იგი აღშფოთებას გამოთქვამდა ფაშისტური გერმანიის საბჭოთა ქვეყანაში შემოჭრის გამო და საქართველოს მორწმუნეთა და კულტის მსახურთა სახელით აცხადებდა: "საუკუნეთა განმავლობაში კირთების ქვეშ მყოფმა ჩვენმა ხალხმა ოცდაოთხი წლის წინათ დააღწია თავი სამარცხვინო მონობას და თავის წიაღიდან წარმოშობილ გმირთა ბრძნული ხელმძღვანელობით შეუდგა თავისუფალ და მშვიდობიან აღმშენებლობით მუშაობას... "დასაბამიდან კაცის მკვლელს, ბოროტ სულს შეშურდა გუშინდელი მონების ასეთი წარმატება და აღიძრა ჩვენს წინააღმდეგ ცოდნითა და განათლებით სახელგანთქმული ერის ხელმძღვანელნი, ჩვენს მიერ დღევანდლამდე მეგობრად და კეთილმოსურნედ მიჩნეული გულმოდგინედ გადმოალახვინა მათ ჩვენი საზღვრები და "წუნწუფა და ცეცხლი" შემოატანინა ჩვენს მიწა-წყალზე, რათა შეაფერხოს ჩვენი სვლა ბრწყინვალე მომავლისაკენ" (84;1).

მსგავსი შინაარსის მიმართულებით საქართველოს ეკლესია ცდილობდა სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად ემოქმედა. თუ ხელისუფლებას აქამდე ქართული ეკლესიის მხრიდან ანტისაბჭოური გამოსვლების საშიშროება ემუქრებოდა, საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის სწორუპოვარმა პოზიციამ შექმნა შთაბეჭდილება, რომ ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის ისტორიულად, დემოკ-რატიული ტრადიციები გამორიცხავდა მისი ფაშიზმისადმი თანაგრძნობას, რაც იმავდროულად, მან გამოხატა მტერზე გამარჯვებისათვის ეკლესიებში დაგზავნილი, ყოველ წირვა-ლოცვაზე შესასრულებელი დიდ კვერექსში ჩასართავი ლოცვანი; პარაკლისის გადახდა, რომელშიც

მთელი ქართველი სამღვდელოება ღებულობდა მონაწილეობას (85, 2).

ასეთი გზით ქართველი სამღვდელოება აშკარად უპირისპირდებოდა ფაშიზმის მტაცებლურ პოლიტიკას და თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობდა სახელმწიფოს მიერ დასახული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას. ქართველ სამღვდელოებას სწამდა, რომ სახელმწიფოსადმი გამოცხადებული სოლიდარობა ნაყოფიერი იქნებოდა, როგორც ქვეყნისათვის, ისე ეკლესიისთვისაც. ამ მიზანს ემსახურებოდა კათლიკოს-პატრიარქის მიმართვები სრულიად საქართველოს მრევლისადმი. (85,1).

ქართული ეკლესია კათალიკოს-პატრიარქის ხელმძღვანელობით აქტიურად ჩაება სამამულო ომში გამარჯვებისთვის სასარგებლო აგიტაცია-პროპაგანდით სამუშაოებში. პატრიარქმა ომის საბჭოური პოზიციებიდან ახსნისათვის, მისი დაწყების პირველსავე დღეებიდან გააააქტიურა და მრავალმხრივი გახადა მუშაობა. საეკლესიო პერიოდულ გამოცემებში (შეზღუდული ფორმით, მაგრამ მაინც) ქართველი ეკლესიის ხელმძღვანელობა აქვეყნებდა სხვადასხვა სახის "ვედრებებს" მეომარია ომში გამარჯვებისათვის; მათი სულის საოხად; მოუწოდებდა მოსახლეობას თავდადებული ბრძოლისაკენ ქვეყნის გადარჩენისა და ფაშისტური იდეოლოგიის ამოძირკვისაკენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით მრავლისმეტყველია თავად კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის "ქადაგებანი". (85, 1)

1942 წლისთვის სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობა სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა. 1941-1942 წლის ნოემბერში წითელი არმიის იძულებითი უკანდახევის შედეგად მტერმა შეძლო საბჭოთა კავშირის სიღრმეში შემოღწევა. ფრონტის ხაზი ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე გაიშალა (11,7). აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში წარმოშობილი რიგი პოლიტიკური, ეკონომიური, სამხედრო, ეროვნული და სხვა მრავალი საკითხი ხელისუფლებას საშინაო პოლიტიკაში მთელი რიგი ცვლილებების შეტანის აუცილებლობისაკენ უბიძგებდა. ამავე დროს, ხალხის სულიერი მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მათი გაღიზიანების თავიდან

ასაცილებლად უმაღლესმა ხელისუფლებამ საეკლესიო პოლიტიკა კიდევ უფრო დახვეწა. მთავრობამ ღრმად გაიაზრა ამ შემთხვევაში ეკლესიის დანიშნულება სახელმწიფოებრიობის პოლიტიკურ კურსში. ქვეყანას აშკარად ესაჭიროებოდა მისი პოლიტიკის მხარდამჭერი და გამტარებელი ეკლესია; ეკონო-მიკური მდგომარეობის გამაძლიერებელი ობიექტი; რომელ საქმეშიც ეკლესიას დიდი როლის შესრულება შეეძლო, კერ-ძოდ საეკლესიო ფინანსების გადარიცხვა თავდაცვის ფონდში; და ბოლოს, ყოველი რესპუბლიკის ეკლესიას შესაძლებლობა ჰქონდა თავისი მრევლის ეროვნული ინტერესები მიემართა საერთო საბჭოური, ერთიანი დიდი ქვეყნის ინტერესებისაკენ, გაეძლიერებინა მრევლში საბჭოთა პოლიტიკის ავტორიტეტი; განეწყო მოსახლეობა მისდამი ნდობით; რათა ერთგულად ემსახურათ პარტიის სამომავლო მიზნებისათვის. სავსებით დასაშვებია, ითქვას, რომ ამ დროის საბჭოთა მთავრობის საეკლესიო პოლიტიკა კომპრომისული იყო და სახელმწიფო პოლიტიკური კურსის სისხლხორცეული ნაწილი. აღნიშნულის ნათელი გამოვლინებაა უმაღლესი მთავარსარდლის 1943 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკლესიის საქმეთა გამო ცალკე საბჭოს დაარსებაზე (81,2) ამ შემთხვევაშიც, აშკარად ჩანს პარტიის ფრთხილი დამოკიდებულება ეკლესიისადმი, რაც მთელი სისრულით ეროვნულ ეკლესიასთან მიმართებაში გამოვლინდა, ხელისუფლება ცდილობს ისეთი ორგანოს დაარსებას, რომელიც ზედამხედველობა-კურირებას გაუწევს ეროვნულ ეკლესიებს, დაუქვემდებარებს მათ რუსულ მართლმადიდებ-ლურ ეკლესიას, რომლის ერთგულების მოპოვებისთვისაც თავდაუზოგავად იღწვის ცენტრის საერო აპარატი. ასეთი გზით, სახელმწიფო ხელისუფლებას მუდმივ მეთვალყურეობაში ეყოლებოდა რესპუბლიკის ეკლესიები და საჭირო შემთხვევაში სათანადო საგანგებო ზომებსაც მიიღებდა. სწორედ ამის გამო, რუსულ ეკლესიასთან არსებულ საბჭოს იურისდიქცია მთელი კავშირის მასშტაბით გავრცელდა. მას, როგორც კავშირის სახკომსაბჭოსთან

არსებულ ორგანიზაციას დაექვემდებარა მთელი კავშირის მართლმადიდებელი ეკლესიები. მათ რიცხვში აღმოჩნდა საქართველოს სამოცი-ქულო მართლმადიდებლური ეკლესიაც, რესპუბლიკების მოსახლეობისა და ეროვნული ეკლესიების თვალის ახვევის მიზნით, რუსეთის რიგ რეგიონში მასიური სახე მიეცა 20-30-იან წლებში დახურულ ეკლესია-მონასტრების ამოქმედებით სამუშაოებს. მართალია, ასეთი სახის ღონისძიებანი ნაკლებ ეხებოდა ეროვნულ ეკლესიებს და მათ შორის ქართულ ეკლესიასაც. მაგრამ საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მრევლში ამ მიმართულებით ერთობ გაცხოველდა საქმიანობა. საქართვე-ლოს სამრევლოთა კრებულებმა მასიურად მოითხოვეს ეკლესიათა გახსნის უფლება. (81,2) არსებული ვითარება გაამაგრა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს 1944წ. 1 დეკემბრის დადგენილებამ "მართლმადიდებლური ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების შესახებ".

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენდა:

1. აიკრძალოს დახურვა დადგენილი წესით რეგისტრირებული მართლმადიდებელი ეკლესიებისა, რომლებიც ყოფილ საეკლესიო შენობებში მოქმედებდნენ, და იმ სამლოცველო სახლებისა, რომლებიც მორწმუნეთა მიერ იჯარით აღებულ სადგომებში არიან მოთავსებული, სსრ კავშირის სახკომ-საბჭოსთან არსებულ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეთა საბჭოს ნებადაურთველად;

2. ნება დაერთოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბ-ლიკების ადგილობრივ საბჭოებს, საოლქო და სამხარეო აღმასკომებს, საჭიროების შემთხვევაში, გაანთავისუფლონ სახელ-მწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა შენობები (სკოლები, კლუბები, საბავშვო და სამკურნალო დაწესებულე-ბანი და სხვ.) რომლებიც გერმანელთა ოკუპაციის პერიოდში გამოყენებული იყო ეკლესიებად და სამლოცველო სახლებად, ამასთან მისცენ საეკლესიო საზოგადოებებს დრო, რაც საჭი-როა იმისათვის, რომ მოძებნონ სხვა შენობები იჯარის უფლებით.

ასეთ შემთხვევაში, როცა აღნიშნული სახელმწიფო და

საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოთავსებული იყვნენ ყოფილ საეკლესიო შენობებში, ხოლო ოკუპაციის პერიოდში ეს შენობები რელიგიურმა საზოგადოებებმა დაიკავეს, ამ შენობების განთავისუფლების საკითხი უნდა გადაიჭრას სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოსთან შეთანხმებით;

3. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს, როცა მორწმუნეთა მნიშვნელოვანი ჯგუფისაგან მიღებულ იქნება შუამდგომლობა მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნის შესახებ, თუ რაიონში ან ქალაქში არ მოიპოვება მოქმედი ეკლესიები ანდა მოქმედი ეკლესია განმცხადებელთა საცხოვრებელი ადგილიდან მნიშვნელოვან მანძილზე მდებარეობს, - დააკმაყოფილოს ეს შუამდგომლობა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 28 ნოემბრის N 1325 დადგენილებით გათვალისწინებული წესით.

პირველ რიგში დაკმაყოფილებული უნდა იქნას მორწმუნეთა შუამდგომლობანი იმ ეკლესიების გახსნის შესახებ, რომელთა მიმართაც არ ყოფილა გამოტანილი დადგენილებანი მათი დახურვის შესახებ და საეკლესიო შენობები თავისუფალია და მათი გადაკეთება არ მომხდარა;

4. აიკრძალოს საეკლესიო შენობების გადაკეთება სხვა მიზნებისათვის სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს ნებადაურთველად;

5. დაწესდეს, რომ საეკლესიო შენობების დანგრევა ან აღება დაიშვება საოლქო (სამხარეო) აღმასკომის ან რესპუბლიკის სახკომსაბჭოს განკარგულებით განსაკუთრებულ შემთხვევებში (თუ შექმნილია მისი ჩამონგრევის საფრთხე და სხვა.), უკეთუ ამის შესახებ შედგენილია ტექნიკური აქტი და არსებობს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის დასკვნა;

6. დაწესდეს, რომ ახალი სამლოცველო შენობების მშენებლობა დაიშვება ცალკეულ შემთხვევებში მორწმუნეთა ძალებითა და სახსრებით, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან

არსებულ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს ნებართვით (57,71 -72).

ყურადღებას შევაჩერებთ დადგენილების მესამე პუნქტზე, რომელიც ითვალისწინებდა მორწმუნეთა შუამდგომლობის დაკმაყოფილებას მართლმადიდებელ ეკლესიისა და სამლოცველო სახლების გახსნის შესახებ - სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 28 ნოემბრის N325 დადგენილებით გათვალისწინებული წესით (58,5).

მოცემული დოკუმენტით აშკარა ხდება საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა ყველა პუნქტით ქართული ეკლესიის საშინაო საქმეები რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ჩარევის გარეშე არ წყდება. რუსეთის სასულიერო ხელისუფლებაში ქვეყნის მთავრობასთან შეთანხმებითა და ნებართვით წინასწარ ხდებოდა საქართველოს საპატრიარქოს ყველა ეკლესია-მონასტრის ისტორიული წარსულის შესწავლა-გაცნობა და იმ შემთხვევაში, თუ მათი სასულიერო კრებული საერო ხელისუფლების ნდობას დაიმსახურებდა, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის საბჭოს გადაწყვეტილებით აღნიშნულ ეკლესიათა ამოქმედებისათვის მზადება იწყებოდა.

საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობა სწორად აღიქვამდა ხელისუფლების მიზნებს და მიუხედავად ამ მზაკვრული პოლიტიკისა, ყოველნაირად ცდილობდა ზემოაღნიშნული დოკუმენტის თავის სასარგებლოდ რეალიზებას, რამეთუ ან მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტის საფუძველზე საქართველოს საკათალიკოსოს საშუალება ეძლეოდა მორწმუნეთა თხოვნები ეკლესიების გახსნის შესახებ გადაეგზავნა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარისათვის დასაკმაყოფილებლად. მხოლოდ ასეთი რთული ბიუროკრატიული გზით საქართველოს საეკლესიო საქმეთა მოგვარების ნებართვა ეძლევა სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკლესიის საბჭოს საქართველოს რწმუნებულს კ.ი. ქადაგიშვილს.

მიუხედავად მთავრობის საგანგებო დადგენილებისა, ქართული სამღვდელოებისა და მორწმუნე საზოგადოების

დიდი ძალისხმევისა, საქართველოს ეკლესია-მონასტრების ამოქმედების საკითხი, უკიდურესად ჭიანურდებოდა, რაც ბუნებრივია, მრევლის უკმაყოფილებას იწვევდა. ხელისუფლების გადაწყვეტილების არადროულად აღსრულებას მრავალი სერიოზული მიზეზი ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის საომარ მდგომარეობაში ყოფნა და სახელმწიფო სახელმწიფო სახარების თავდაცვის ფონდში გადასროლა. მთავრობას უჭირდა საეკლესიო საქმისათვის სახსრების გამოყოფა. ამავდროულად, საბჭოთა წყობილების ინტერესებში არ შედიოდა რეგიონალური ეკლესიის გაძლიერება, რაც ეროვნული ინტერესების გაღვივების მომასწავებელი იქნებოდა. საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება მეტ-ნაკლებად ვლინდებოდა საქართველოს ხელისუფლების საქმიანობაშიც, რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად - დროულად გადაჭრილიყო ეკლესია-მონასტრების უფლებრივი მდგომარეობის აღდგენა საქართველოში საპროცედურო საკითხების განხილვის გამო ჭიანურდებოდა. საქართველოს მრევლი ხედავდა რუსული ეკლესიების პრივილეგიებს და ამის მიზეზს ადგილობრივი ორგანოების ბიუროკრატიულ-შოვინისტური მიზნებით ხსნიდა. სწორედ ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული მორწმუნეთა მიმართვები, სადაც მისგან სამართლიანობის აღდგენას ითხოვდნენ (60,5-6), თუმცა, საბჭოთა მთავრობის არაერთგზისმა რეპრესიებმა მოსახლეობა იმდენად დააშინა, რომ მისი დიდი ნაწილი ფარულად ეწეოდა ეკლესიურ ცხოვრებას და საამისო პრეტენზიების გამოთქმისაგან თავს იკავებდა. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იტყობინებოდა, რომ ქართული ეკლესიის უფლება-მოსილების აღდგენას მორწმუნეთა დიდი ნაწილი მხოლოდ მასთან გამოხატავდა და ისიც სიტყვიერად. შეშინებულ მოსახლეობაში ანტირელიგიური ორგანოების წარმომადგენლები შიშის ზარს სცემდნენ, ხმებს ავრცელებდნენ, რომ რეპრესიებში მოხვდებოდნენ ისინიც, ვინც საეკლესიო საქმისათვის სახსარს გაიღებდა. აღნიშნულ საქმეში ჩართული იყო სასულიერო ფენის ის ნაწილი, რომელიც ხელისუფლების სასარგებლოდ საქმიანობდა და

მის აგენტურას წარმოადგენდა: "რად გინდათ ტაძრები და ეპისკოპოსებისაგან გამოგზავნილი მღვდლები, ეკლესიის შეკეთებაზე ბევრი ფული დაგეხარჯებათ, სასულიერო მთავრობისაგან დანიშნულ მღვდლებს სასტიკად დაბეგრავენ და ამ ბეგარის გადახდა თქვენვე დაგჭირდებათ, სარწმუნოებრივი წესები უჩუმრად სახლშიც შეიძლება შესრულდესო. ამ მხრივ ჩვენთან საქმის დაჭერა მეტად ხელსაყრელია, ჩვენ მღვდლებად არ ვირიცხებით, გადასახადს არავინ გვთხოვს და ამისათვის ძლიერ იაფად შეგისრულებთ წესებსო. მართალია, ჩვენ ღმერთიც დავგმეთ და ხატიც, მაგრამ ეს ჩავიდინეთ ძალდატანებით და კარგი დროის მოლოდინშიო". (79,4)

კათალიკოს-პატრიარქი მოტივირებას უკეთებდა რა ზემოდასახელებულს, მთავრობისაგან მოითხოვა აღნიშნულის აღსაკვეთად დროული ღონისძიებების გატარებას; ეკლესიის ავტორიტეტის შემლახველთა ქმედებების ალაგმვას; საეკლესიო სამსახურის კანონიერი გზით ჩატარების განახლებას; მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობით დადგენილი ქრისტიანული წესების აღსრულებას (79,4) და ა.შ. მიუხედავად ქართული ეკლესიის მეთაურთა დიდი მცდელობისა, საერო ხელისუფლების მხრიდან არ ხერხდებოდა ეროვნული ეკლესიის სასარგებლო ძვრების აღსრულება, რადგან ეკლესიის საქმეთა რწმუნებული საქართველოში დირექტივებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული მართლმადიდებლურ ეკლესიის საქმეთა საბჭოსგან ღებულობდა. დასახელებული ორგანო კი ამ მიმართულებით გადამჭრელ ღონისძიებათა გატარებას აყოვნებდა. რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები არ ჩქარობდნენ საჭირო გადაწყვეტილებების ბიღებას და ცენტრის განკარგულებას ელოდნენ. გადაუჭრელი რჩებოდა წლების მანძილზე შეჩერებული ქუთაისის "მწვანე ყვავილას" ეკლესიის ამოქმედებაც, რაც განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევდა მორწმუნე საზოგადოებაში. იმ დროისათვის "მწვანე ყვავილას" ეკლესიის გახსნის გაჭიანურება ყველაზე აშკარა ფაქტად იქცა მთავრობის რეალურ დამოკიდებულებაზე საქართველოს ეკლესიისადმი. ყოველივე კი საქართველოს მართლმადიდებელ მოსახლეობას უარყოფითად განაწყობდა ხელისუფლებისადმი და მის მიერ

დასახულ საეკლესიო ე.წ. "სასარგებლო" ღონისძიებებს უნდობლობით ეკიდებოდა.

საქართველოში ეკლესიათა საქმის რწმუნებულის უსუსურობაზე მიგვანიშნებს 1944 წლის 2 ნოემბერს " მოსკოვის საბჭოსაგან" გამოგზავნილი ანკეტა-კითხვარები, რომლის მიზა-ნი იყო საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის შესწავლა. განსაკუთრებული დაინტერესება იგრძნობოდა ისეთ საკითხებ-ზე, როგორც იყო: 1943 წლიდან ეკლესიათა გახსნის შუამ-დგომლობების რაოდენობა; ერთი და იგივე ეკლესიის გახსნის მოთხოვნილება და სხვ. (82,21).

"მოსკოვის საბჭოს" მოთხოვნით, საქართველოში ეკლესიათა გახსნის შუამდგომლობებს არა ნაკლებ 20 სრულწლოვანის ხელისმოწერა უნდა ჰქონოდა, რომელთაც არ ჰქონდათ სასამართლოს წესით ჩამორთმეული არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ის პირები, რომელნიც განცხადებაში რეგისტრაციის შესახებ მისცემდნენ არასწორ ცნობას, მოცემული იქნებოდნენ სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობაში. (79,28). იყო შემთხვევები, როდესაც "თავრობა"ში გაგზავნილ შუამდგომლობებს ადგილზე აყოვნებდნენ, განმეორებით შემთხვევაში კათლიკოს-პატრიარქისაგან დამატებით მასალებს ითხოვდნენ, ამასთან დაკავშირებით, კათალიკოს-პატრიარქი ხელისუფლების წინაშე კატეგორიულად აყენებდა ეკლესიათა ამოქმედების საკითხს და ღვთისმსახურების აღსასრულებლად დაეშვათ ის მღვდლები, რომლებსაც ექნებოდათ თავად პატრიარქისაგან გაცემული საბუთი. (79,3). ასეთი მოთხოვნით, საქართველოს სასულიერო ხელისუფლება ითხოვდა ნაწილობრივ მაინც კანონიკური საეკლესიო უფლებების აღიარებას და შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვას.

დროთა ვითარებაში, ამ მიმართულებით ქართული ეკლესიის ხელმძღვანელობის მოთხოვნებმა სულ უფრო მძაფრი ხა-სიათი მიიღო. მაგალითად, 1944წ. 11 იანვრისათვის განცხადებები ეკლესიათა გახსნის შესახებ იყო: ქუთაისიდან (საფიჩხიის სამრეკლოდან) ბათუმიდან, სოხუმიდან, გუდაუთიდან, ლაგოდეხიდან, გორიდან, თიანეთიდან, გურჯაანიდან, მანგლისიდან, საქობოდან, ნუკრიანიდან (სიღნაღის რ-ნი) საგარეჯოდან, მოხისდან, ატოციდან (გორის რ -ნი), აწყვე-

რიდან (ახალციხის რ-ნი) თბილისიდან: ვერის წმ. ნიკოლოზისა, ხარფუხის წმ. ნიკოლოზისა და სხვ. (80, 3).

საარქივო მასალები ნათელყოფენ მოთხოვნილების გადაწყვეტის აუცილებლობას, რასაც კათალიკოს-პატრიარქი ასეთ მოტივირებას უკეთებდა: "წინააღმდეგ შემთხვევაში, დასახელებულ ადგილებში თუ მის წარგზავნილ სამღდველოებას ღვთისმსახურების ჩასატარებლად ხელისუფლებანებას არ დართავდა, იმ შემთხვევაში იქ ის "სამღვდელოება" იმძლავრებდა, რომელსაც აღნიშნული საქმიანობის საწარმოებლად კანონიკური უფლება არ გააჩნია. მოსალოდნელი ქმედებანი კი არც ხელისუფლებისათვის არ უნდა ყოფილიყო სასურველი და მით უმეტეს არც ეკლესიისათვისაც (81,3).

ეკლესიების გახსნის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით სოხუმში, გუდაუთისა და ბათუმში იდგა. აღნიშნულ მოვლენას სერიოზული პოლიტიკური მიზანი გააჩნდა. ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ამ რეგიონების მოსახლეობის ჭრელი ეროვნული და სარწმუნოებრივი ფაქტორი. აფხაზეთისა და აჭარის რეგიონები, როგორც უძველესი ქართული მიწა-წყალი ძველი დროიდან რუსეთისათვის თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელების შესანიშნავი საშუალება იყო. რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის წყალობით, ამ ადგილებში მრავლად სახლობდა არაქართველი მოსახლეობა, რომელიც რუსეთის ხელისუფლებისათვის შესანიშნავ საბაბს წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიული დაქუცმაცებისათვის. საბჭოურ პოლიტიკაშიც მძლავრად მოქმედებდა იმპერიული " დაშალე და იბატონეს" პრინციპი. რუსეთის ეკლესიისა და საერო ხელისუფლების პოლიტიკა არ ითვალისწინებდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში აფხაზეთ-აჭარის მოქცევას. ის შესაფერის მომენტს ელოდა აღნიშნული რეგიონის ქართული ეკლესიისაგან ჩამოსაცილებლად, რაც აღკვეთდა იქ ეროვნული იდეოლოგიის არსებობას. აღნიშნული კი შესანიშნავი გარანტი იქნებოდა სამომავლოდ საქართველოსაგან მათი ტერიტორიული მოწ-ყვეტისათვის.

საქართველოს ეკლესიამ ამ შემთხვევაშიც სწორად აუღო ალღო საბჭოურ პოლიტიკურ მიზნებს და ცენტრის წინაშე

გადაჭრით დააყენა საკითხი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. საამისოდ, საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობა იშველიებდა მრევლის მიერ განცხადებებში მოყვანილ არგუმენტებს იმის დასტურად, რომ რუსეთის ეპარქიებში მასიურად მიმდინარეობდა ეკლესიების გახსნა (მაგ. სოჭში,), ხოლო გამორჩევით გუდაუთასა და სოხუმში კი ამ მიმართულებით საქმიანობა არ წარმოებდა. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ხელისუფლებას უწინასწარმეტ-ყველებდა სახელმწიფოებრივად საშიშ სამომავლო შედეგებს: "თუ აფხაზეთის მოსახლეობამ ეკლესიურად რუსეთისაკენ გაიწია, ვაი, თუ მან პოლიტიკურადაც (ტერიტორიულადაც) იქითკენ გაიწიოს" (80, 6). ასეთი გაფრთხილებით, სასულიერო ხელისუფლება ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკლესიისათვის ცნობილი იყო პარტიის სამომავლო გეგმები და მოუწოდებდა მას გონივრული პოლიტიკისაკენ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საბჭოთა ხელისუფლება შეუპოვრად აგრძელებდა პოლიტიკური პროგრამის აღსრულებისათვის საჭირო მუშაობას. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მთავრობის ასეთმა საქმიანობამ უახლოეს მომავალში მისთვის დაპირისპირებული შედეგი გამოიღო. ამ კუთხის რუსული სამრევლოების ხელში ჩაგდების მიზნით აქ მოაშურეს არაკანონიერმა საეკლესიო დაჯგუფებებმა, უეკლესიოდ დარჩენილ მრევლს სხვადასხვა მიმართულების სექტანტური გავლენის საშიშროება დაემუქრა. ასეთ შემთხვევაში, რუსული ეკლესია და საერო ხელისუფლება ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

აღნიშნულმა ვითარებამ განსაკუთრებულად საშიში პირობები სამამულო ომის დროს შექმნა. აფხაზეთის რეგიონის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივად არასაიმედო მოსახლეობის ერთი ნაწილი შესაძლებელი იყო სახელმწიფოსათვის საშიშ ელემენტად ქცეულიყო. კავკასიაში შექმნილმა მძიმე სამხედრო-პოლიტიკურმა მდგომარეობამ დააჩქარა საბჭოთა ხელისუფლების წინა წლებში გამოცემული საეკლესიო დად-გენილებათა სისრულეში მოყვანა და სოხუმის სამხედრო გზაზე განლაგებული

რამდენიმე ეკლესია ამოქმედდა (სოფ. წებელდა "გერგენიშის", სოფ. თავისუფლება "ამაღლების". სოფ. მარინსკოე - წმ. "ხარლამპის"). უფრო მოგვიანებით კი გუდაუთის სამლოცველო სახლი (81, 14-15).

ზემოდასახელებული სოფლები, რომლებიც სოხუმის სამხედრო გზაზე მდებარეობდნენ, საბჭოთა ხელისუფლების სამხრეთ ნაწილს ფრონტთან აკავშირებდნენ. ამ გზით, ფრონტი მარაგდებოდა როგორც სამხედრო ნაწილებით ისე ფრონტისათვის საჭირო სამხედრო ინვენტარითა და სურსათ-სანოვაგით. აქედან გამომდინარე, აქაური მოსახლეობის პოლიტიკურ სარწმუნოებრივი სიმტკიცე ქვეყნისათვის აუცილებელი ფაქტორი იყო და სამხედრო ნაწილებში პატ-რიოტული იდეოლოგიის ამაღლებაში ადგილობრივ მოქმედ ეკლესიებს დადებითი როლი უნდა შეესრულებინათ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ეკლესია დროისა და ვითარების შესაბამისად მოქმედებდა, აუღო რა ალღო სამამულო ომის პერიოდის საბჭოურ პოლიტიკას ეკლესიისად-მი, მისი ხელისუფლება ლავირების მეთოდით ცდილობს ეროვნული ეკლესიის გადარჩენას, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ და ეტაპობრივად ცდილობს ხელისუფლებისაგან საეკლესიო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ნებართვის მიღებას. ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნა იყო საეკლესიო დღესასწაულების აღნიშვნის ნებართვაც, რომელსაც ეროვნულ იდეოლოგიური დატვირთვა გააჩნდა და, რომელიც მკაცრად იდევნებოდა 20-30-იან წლებში. კათალიკოს-პატრიარქი მთავრობისაგან ითხოვდა ნება დაერთოთ ეკლესიისა და ხალხისათვის აღენიშნათ ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები. კათალიკოს-პატრიარქი აღუთქვამდა მთავრობას, რომ "თუ ხელისუფლება" ერთჯერად" წირვა-ლოცვაზე დათანხმდებოდა, მის მიერ ამა თუ იმ ტაძარში გაგზავნილი მოძღვარი დღესას-წაულისა და კვირა დღის გარდა წირვა-ლოცვას მხოლოდ საღამოს საათებში, სასოფლო-სამეურნეო მუშაობის შემდეგ ჩაატარებდა" (79,58-59).

უმაღლესი სასულიერო კრებულის ძალისხმევას — შეენარჩუნებინათ რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნის ფაქტი, დაახლოებოდნენ მრევლს აღაფრთოვანებდა ხალხს

და ეროვნული ეკლესიისადმი რწმენა-იმედით განაწყობდა.

ეროვნული ეკლესიის სადღესასწაულო დღეებში ამოქმედების ფაქტმა საყოველთაო ხასიათი მიიღო: აღდგომის, გიორგობის, ღვთისმშობლობის, ალავერდობის დღეებში საქართველოს ყოველი მხრიდან მოედინებოდა დიდძალი მლოცველი იმ ეკლესია-მონასტრებში, რომელთა დროებით გახსნაზე ხელისუფლებას დადგენილება ჰქონდა გამოტანილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ასეთი სახის შეკრებებს მთავრობის აგენტები ზედმიწევნით აკონტროლებდნენ და მოხსენებითი ბარათებით ხელისუფლების ზემდგომ ორგანოებს დაწვრილებით ინფორმაციას აწვდიდნენ. საერო ხელისუფლება ფრთხილობდა, რომ ხალხის შეკრების ადგილებში ადგილი არ ჰქონოდა ანტისაბჭოურ გამოსვლებს და ამით ქვეყანაში ისედაც დაძაბული მდგომარეობა უფრო არ გაერთულებინა.

იმ დროისათვის, ეკლესიის ეს ნაბიჯი მეტად გაბედული იყო. ხელისუფლება იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო. ამ ფაქტს ადასტურებს მთელი რიგი ეროვნულ ტაძრების: ალავერდის, კათედრალურის, აწყურის "თეთრი გიორგის", მანგლისის, "მიძინების" ტაძრების მრევლისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემა. (79,61-62).

ქართველი სამღვდელოების აღნიშნული კუთხით მოღვაწეობამ მრევლის ნდომა-პატივისცემა დაიმსახურა.ხალხი თანაუგრძნობდა ეროვნულ ეკლესიას და სოლიდარობას იმით უცხადებდა, რომ ადგილებიდან მთავრობის სახელზე განუწყვეტლივ გზავნიდა შუამდგომლობებს ეკლესიათა გახსნის შესახებ. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ ხელისუფლება აყოვნებდა, რიგ შემთხვევებში კი აღნიშნულ ფაქტს სუსტი არგუმენტებით ხსნიდა, მაგალითად: სამტრედიის რაიონიდან ეკლესიის გახსნის შესახებ გამოგზავნილ მოთხოვნას ასეთი რეზოლუცია დაედო: "მოხსნილია განხილვიდან, რადგან განცხადებას ხელს აწერს საჭირო მინიმუმზე ნაკლები რაოდენობა მორწმუნეობისა" (79,76) ხშირი იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადგილობრივი ხელისუფალნი აშინებდნენ გლეხებს "არ გაებედათ და ეკლესიათა გახსნის შესახებ განცხადებებზე ხელი არ მოეწერათ, თორემ "აღთქმული ქვეყანა" — უკან დარჩებოდათ (79,4). ამით

აიხსნებოდა ის ფაქტი, რომ შუამ-დგომლობა-განცხადებებს ეკლესიათა გახსნის შესახებ მორ-წმუნეთა მინიმუმზე ნაკლები აწერდა ხელს.

1944წ. 18 მარტს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ხელისუფლებას დამატებით გადასცა განცხადებები ეკლესიათა აღდგენისა და მათთვის ქონების დაბრუნების შესახებ. ეკლესიათა გახსნას ითხოვდნენ ჯინისის, ოლიანკის, სუჯუნის, გომეწრის, ქვემო და ზემო ქედისა, ახალსოფლის (ძვ. გავაზის), ტიბაანის კელასურისა (მარინსკოე), აღბულახისა (მანგლისი) და სხვ. სოფლების მრევლი.

ხელისუფლება ხედავდა ეკლესიის ფრთხილ და ამავდროულად გონივრულ ქმედებას. ამიტომ, ამ უკანასკნელის ინტერესები "შორს," რომ არ წასულიყო, დაიწყო ამოქმედებულ ეკლესიათა მიმართ 30-იანი წლების პრაქტიკის გამოყენება. 1944 წლის 30 დეკემბერს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ი.ბ. სტალინის სახელზე გაგზავნილი წერილობითი წყარო ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რა აუტანელ პირობებში უხდებოდა ქართველ სამღვდელოებას მოსახლეობისთვის სარწმუნეობ-რივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. აბაშის რ-ნი სოფ. სუჯუნას მღვდელი პეტრე კუცია აღნიშნავდა: "...1943 წელს თქვენს მიერ გაიცა ბრძანება, რის საფუველზეც შესაძლებელი იყო აღედგინათ ეკლესიები და დაეწყოთ სარწმუნოებრივი ნათვლა და სხვადასხვა საჭირო მღვდელთმსახურება. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა 1943 წლის 31 დეკემბერს დამავალა თავიდან დამეწყო მღვდელთმსახურება (რადგან იგი აუტანელი გადასახადების გამო მივატოვე 1938წ.) თანახმად უწმინდესის მოწერილობისა ამა წლის იანვრის ნახევრიდან მღვდელთმსახურება დავიწყე ჩემს ოჯახში, ვინაიდან ეკლესიის შენობა დღესაც გადმოუცემელია, ვინც მომიყვანდა ბავშვს სახლში ვნათლავდი. აბაშის რაიგანყოფილებისათვის მიცემული მქონდა ცნობა, რომ ჩემი თვიური შემოსავალი 1000 მანეთს აღარ აღემატებოდა. ამ შემოსავლით ვიძენდი ობლიგაციას და 150 მანეთს თვიურად ვუგზავნიდი საკათალიკოსო საბჭოს. აბაშის რაიფინგანმა კი დამაწესა საშემოსავლო 50 458 მანეთი და

სამხედრო 17 042 მანეთი. სრულიად 67 500 მან. გადასახადი.

მე ვარ უკიდურეს მდგომარეობაში, მოკლებული ვარ ყოველგვარ სახსარს ჩემი მოხუცებულობისა და სისუსტის გამო არავითარი ურთიერთობა სამეურნეო საქმიანობასთან არ გამაჩნია.

ამიტომ გთხოვთ, ინებოთ მამობრივი მოწყალება ჩემზედ და გამანთავისუფლოთ ასეთი აუტანელი გადასახადისაგან" (80,8-9)

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბჭოური საეკლესიო პოლიტიკა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს უმაღლესი საერო ხელისუფლება მზად იყო ეთანამშრომლა ხალხთან, დაეცვა მისი სარწმუნეოებრივ-ეროვნული ინტერესები, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება უხეშად არღვევდა დადგენილ კანონებს და ხალხის ბელადის "მამობრივი ზრუნვა" ადგილამდე ვერ აღწევდა. სწორედ ამით იყო განპირობებული მრევლისა და სამღვდელოების მიერ გაგზავნილი მიწერილობების ფაქტები უმაღლეს საერო ხელისუფლებაში. წერილობითი წყაროების ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გაცნობამ შექმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ სამამულო ომის მსვლელობის მთელი ხნის მანძილზე ხელისუფლება ეკლესიათა მიმართ დათმობებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას ამთხვევდა. ჩვენი კვლევის ობიექტს იმდროინდელი საგარეო პოლიტიკა არ წარმოადგენს, მაგრამ რადგან ისტორიულად, დღიდან ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა, ეკლესიას ქვეყნის პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა, ამიტომ ამ ეტაპზე ხელისუფლებამ იძულების წესით ეკლესია პოლიტიკაში ჩართო, მისი როლი მეტად აქტუალური გახადა და ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთი წამყვანი ფუნქცია დაეკისრა, ამ მხრივ, განსაკუთრებით ნიშანდობლივია ეკლესიის როლი ქვეყნის საშინაო საქმეებში, პირველ რიგში გასათვალისწინებელია ეკონომიკური ფაქტორი, რომელ საქმეშიც დიდი დატვირთვა შეიძლებოდა ჰქონოდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებს. საარქივო მონაცემები მეტყველებენ, რომ მათ სათანადო წვლილი შეიტანეს ქვეყნის თავდაცვითი ფონდის გაძლიერებაში. როგორც ცნობილია,

ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში სამონასტრო ცხოვრება-მოძრაობას ისტორიულად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ქართული კულტურისა და სარწმუნოების სავანეებში ყალიბდებოდა, იხვეწებოდა და პროპაგანდა ეწეოდა ეროვნულ სარწმუნოებრივ იდეოლოგიას. საქართველოს ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე, საშინაო და საგარეო ვითარების პირობებშიც სამონასტრო ცხოვრება არ წყვეტდა არსებობას, პირიქით, კიდევ უფრო იზრდებოდა მისი დანიშნულება ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში; გაცხოველე-ბულ პოლიტიკურ-კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ ქართველი ბერ-მონაზვნები და ამით ეროვნული ეკლესიისა და სახელმწიფოს დაცვა-გადარჩენისათვის იბრძოდნენ. ჩვენი კვლევის ქრონოლოგიურ ჩარჩოშიც, სამონასტრო ცხოვრებას უდიდესი მისია დაეკისრა ეროვნული ეკლესიისა და მრევლის წინაშე. საბჭოთა წყობას კარგად უწყოდა მონასტრების ფუნქცია-მოვალეობანი და განსაკუთრებით ზღუდავდა მის სასიცოცხლო წყაროებს. ეკონომიკურ-პოლიტიკურად ხელმოცარულ და დაუძლურებულ მონასტრებს ვერ უზრუნველყოფდა ასეთსავე მძიმე ყოფაში მყოფი ქართული ეკლესია და მისი ხელისუფლება. ეს უკანასკნელი საერო ხელისუფლებასთან ლავირების პოლიტიკაში სერიოზულ ადგილს უთმობდა სამონასტრო ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლას და ცდილობდა პარტიისაგან ნაწილობრივი უფლებების მოპოვებას. ასეთი პოლიტიკით, სათანადო საარქივო მონაცემები ცხადყოფენ, რომ დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, მათხოჯის, თეკლათის, ჯიხეითის და სხვა. მონასტრები, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას ეწეოდნენ, ეროვნული ეკლესიის სამსახურში იდგნენ და სამამულო ომში საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებისათვის ბრძოლაში წვლილი შეიტანეს. სამაგიეროდ, ისინი საერო ხელისუფლებისაგან დახმარებასა და ხელშეწყობას ითხოვდნენ.

1943წ. 27 დეკემბრის კათალიკოს-პატრიარქის სახელზე მიწერილობაში მათხოჯის დედათა მონასტრის იღუმენი ქეთევანი იტყობინებოდა, რომ "წმინდა ნინოს" მონასტრის

მონაზონთა საერთო საცხოვრებელი (36 ოთახი) საჭიროებდა კაპიტალურ რემონტს, რისთვისაც ითხოვდა მათთვის ნაღდ ანგარიშზე ხე-ტყის მათხოჯის კანტორას გამოეყო 25 კუბ. მეტრი ფიცარი. რაც საშუალებას მისცემდათ შეენერჩუნებინათ შენობა. იგი აღნიშნავდა, რომ მონასტრის მონაზვნები ეწეოდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, სახელ-დობრ: ქსოვდნენ წინდებს და ხელთათმანებს, კერავდნენ ტანსაცმელსა და საბნებს; ამუშავებდნენ მიწის ნაკვეთებს და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ სამამულო ომის მეომრებისადმი, იძენდნენ ობლიგაციებს, ხელს აწერდნენ ლატარიის ბილეთებს, სისტემატურად უგზავნიდნენ ფრონ-ტელებს საჩუქრებს. მონაზვნები თავიანთი საქმიანობით გარკ-ვეულ დახმარებას უწევდნენ ფრონტელთა ოჯახებს და სხვ. აგრეთვე ეეედრებოდნენ ღმერთს, რათა სახელოვან საბჭოთა არმიას ადრე და მალე დაეთრგუნა შემოსული სატანის ურ-დოები" - (79,36) დედათა სავანის მოთხოვნა კათალიკოს-პატრიარქმა დააყენა ხელისუფლების წინაშე და დაბეჯითებით მოითხოვა გადაერჩინათ დანგრევა-განადგურებისაგან "სახალ-ხო (ყოფ. მონასტრის) ქონება და სიცივით სიკვდილისაგან საქვეყნო საქმისათვის თავდადებით მშრომელი მოხუცებული მანდილოსნები" (79,37) ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისათვის აღნიშნული მოთხოვნა ხელისუფლებამ სწრაფად დააკმაყოფილა.

ასეთივე მძიმე მატერიალური მდგომარეობა იყო თეკლათის დედათა მონასტერშიც. მონასტრის 30 მონაზონი ქალი ი.ბ. სტალინს ატყობინებდა "...უმეტესობა მონაზვნებისა 80-90 წლისანი იყვნენ. მათ ცხოვრების არავითარი საშუალება არ გააჩნდათ. ერთადერთი ქონება რაც მათ ჰქონდათ იყო ორი ტონა დაფნა, რომლის ჩაბარებასაც ადგილობრივი დამამ-ზადებელი პუნქტი დაპირდათ კგ-ს 20 მანეთად. მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა დამამზადებლებმა 4 მანეთად ჩაბარება მოითხოვეს. მონაზვნები ძლიერ დააღონა ამ ამბავმა და სამართლიანობის აღსადგენად მიმართეს ი.ბ. სტალინს, რათა დართოს მან დავრდომილ მოხუც მონაზვნებს უფლება დაფნა გადაცვალონ მტკიცე ფასებში სიმინდზე. აქვე იმასაც მიუთითებდნენ, რომ მათ ქვეყნის ბელადი არ შეეწუხებინათ

ისეთ საკითხებზე, რომელიც იყო მონასტრის ეკლესიაში ღვთისმსახურების აღდგენა, რადგან ისინი თვლიდნენ, რომ მთავრობა ამ საკითხს შეუხსენებლადაც მოაგვარებდა" (80,108). საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ასეთი ფაქტებით ცდილობდა საერთო ხელისუფლებისათვის ეცნობებინა, რომ მსგავსი ქმედება პარტიას სახელს უტეხდა ხალხში.

ქართული ეკლესიისა და მისი მრევლის მეცადინეობას - შეენარჩუნებინათ ეროვნული ეკლესია - უშედეგოდ არ ჩაუვლია, ხელისუფლებამ გაითვალისწინა ეკლესიის დამსახურება 40-იან წლებში და 1944წ. პირველი ივლისის მონაცემებით, საქართველოში უკვე ფუნქციონირებდა 26 ეკლესია: ქ. თბილისში - სიონის "ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი" (თბილისის კათედრა) "სამების", ქვაშვეთის "წმინდა გიორგის", მთაწმინდის - "მამა დავითის", "მიხეილ ტვერელის", "იოანე ღვთისმეტყველის", დიდუბის "ღვთისმშობლის", კუკიის "ალ. ნეველის", კუკიის "წმინდა ნინოს", "პეტრე-პავლეს", ნავთლუღის "წმინდა ბარბარეს" ეკლესიები: სვეტიცხოვლის ტაძარი, "წმინდა ოლღას" ეკლესია სავანე, თვალთვალის "წმ. გიორგის", ქუთაისის "პეტრე-პავლეს", ქუთაისის "მწვავე ყვავილას" ეკლესიები; სოხუმის გარეუბანში: "ფერიცვალების", სოხუმის (მარინსკოე) "წმ. ხარლამპის" და ბარცხანის "ღვთისმშობლის დაბადების" ეკლესიები; თელავის ვარდისუბნის "წმ. გიორგის", თელავის "ფერისცვალების", ყვარლის (ძვ. გავაზის) "წმიდა გიორგის"; გულრიფშის რაიონის წებელდის "გერგემიშის" ეკლესიები. (81, 5-9).

ომში გამარჯვებისათვის ქართული ეკლესიის დამსახურებას ნაყოფიერად იყენებს სასულიერო ხელისუფლება და ცენტრის წინაშე ზრდის მოთხოვნების მასშტაბებს. 1945 წლის 12 თებერვალს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უმაღლესი საერო ხელისუფლებისა და "მოსკოვის საბჭოს" წინაშე აყენებს საკითხს, ბათუმისა და სტალინირის (ცხინვალის) ეკლესიების აღდგენის შესახებ. აღსანიშნავია, რომ გასაბჭოების შემდეგ, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში არც ერთი ეკლესია არ ამოქმედებულა. განსაკუთრებით ჭიანურდებოდა რეგიონების ცენტრებში: ცხინვალში, ბათუმსა და სოხუმში ეკლესიათა ამოქმედება. საქმე მით უფრო რთულდებოდა, როდესაც

სამლოცველო ადგილებში სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების დაწესებულებები ფუნქციონირებდა. (80,14).

ხელისუფლება ფრთხილობდა განაპირა მხარეებში ეკლესიების და მასში ღმვთისმსახურების აღდგენას, დარწმუნებული იმაში, რომ ვერ გაუწევდა მათ სათანადო კონტროლს, ამჯობინებდა მორწმუნეთა შუამდგომლობის შეჩერებას და დაპირებებით, გარკვეული დროით აფერხებდა საკითხის გადაჭრას.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1945წ. 23 მარტს ხელისუფლების სახელზე წარდგენილ ცნობაში "საეკლესიო საქმეთა წარმოებაში გატარებულ ღონისძიებათა შესახებ" აღნიშნავდა, რომ ის შუამდგომლობები, რომელიც 1944 წლის N 1222, 1261 და 1262-ით გადაგზავნილი იყო სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ მართლმადიდებელი ეკლესიის საბჭოს რწმუნებულის სახელზე, იქედან აღდგენილ იქნა სამი ეკლესია - მანგლისში, სტალინირში, სასაფლაოსი - ბათუმში და "წმინდა გიორგისა" ოჩამჩირეში (ილორის) (81,2).

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისათვის ცნობილი იყო, რომ საქართველოს საეკლესიო ტერიტორიული საზღვრები სომხეთზე გადიოდა ე.ი. სომხეთის მართლმადიდებლური ეკლესიები ოდითგან ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ პატრიარქი აყენებს საკითხს სომხეთში მომქმედი რუსული სამრევლოების საქართველოს იურისდიქციაზე დაქვემდებარების შესახებ. 1943 წ. 31 ოქტომბრის რუსეთისა და საქართველოს საეკლესიო განჩინების ე) მუხლის თანახმად: "ეთხოვოს საქართველოს უწმინდეს პატრიარქს მიიღოს თავის გამგებლობაში საეკლესიო საქმეები და სომხეთში მყოფი მართლმადიდებელი რუსული მრევლი), რომლებიც მართალია, არ იმყოფებიან საქართველოს სსრ-ს ფარგლებში, მაგრამ მანძილის სიშორის გამო უჭირთ მიმართონ რუსულ საეკლესიო გამგებლობას", საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უდიდესი ძალისხმევისა და ეკლესიის საქმეთა საქართველოს რწმუნებულის არაერთგზის მიმართვისა, სომხეთის სახალხო კომისართა საბჭომ ეს საკითხი იმ ეტაპზე საქართველოს სასარგებლოდ არ გადაწყვიტა (80,12) აღნიშნულიდან, ფაქტია,

რომ საბჭოთა ხელისუფლება მთელი ძალისხმევით ცდილობს არა, თუ გააფართოოს ეკლესიის იურისდიქციის მასშტაბები, არამედ პირიქით, უკიდურესად შეზღუდოს ის, რომელიც უკვე ვიხილეთ აფხაზეთისა და აჭარის მაგალითზე.

მიუხედავად ყოველივესი, ქართული ეკლესიის ამ მიმართულებით მეცადინეობას უშედეგოდ არ ჩაუვლია. 1945 წლის მარტის თვისთვის საქართველოს საკათალიკოსოში ამოქმედდა 29 ეკლესია, რომელშიც მოღვაწეობდა 5 მღვდელთმთავარი, 41 შტატიანი მღვდელი, ორი პროტოკიაკონი, 3 მედავითნე და ზედმიწერილნი: მღვდელი - 77 და მედავითნე 2. საკათალიკოსოში სრულიად ირიცხებოდა 135 ეკლესიის მსახური.

სამამულო ომის პერიოდში სამღვდელოების საქმიანობა გამოიხატებოდა წირვა - ლოცვათა წესების შესრულებით, შეძლებისდაგვარად ქადაგება-დარიგებების ჩატარებით, მორწმუნეებში სარწმუნოებრივ-ზნეობრივი დონის ამაღლებით, თავდაცვის ფონდში სახსრების შეტანით, როგორც პირადი წვლილით, ისე მორწმუნეთა გამოსაღების შეკრებით და ა.შ. (81,2).

ამავდროულად, საქართველოს უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება არ ივიწყებდა 20-30-იანი წლების რეპრესირებული საქართველოში მოღვაწე ყველა ერის სამღვდელოთა ბედის დადგენას, მათი ოჯახებისადმი დახმარებას და მათი დამსახურების მიხედვით ცდილობდა საერო ხელისუფლებისაგან დახმარება-თანადგომის მოპოვებას. 1945 წლისთვის სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ საქართველოს ეკლესიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს კ. ქადაგიშვილს კათალიკოს-პატრიარქი ატყობინებდა, რომ რეპრესირებულების ჭირისუფლები ითხოვდნენ თავიანთი ახლობლების შესახებ ცნობებს. მაგ. ერთ-ერთ განცხადებაში გადასახლებული მღვდლის შესახებ 26 ასირიელი მორწმუნე ირწმუნებოდა, რომ მღვდელი ავდეი გიორგის ძე გიორგიევი დაპატიმრებულ იქნა 1927წ. ისინი გარკვეულ წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავდნენ, რომ იგი იმჟამად ცოცხალი იყო და ითხოვდნენ საკათალიკოსოში მის დაბრუნებასა და მორწმუნეთა სამსახურში ჩაყენებას. (80,21). სახკომსაბჭოს

საქართველოს ეკლესიის რწმუნებული აღნიშნულთან დაკავშირებით უშიშროების სამძებრო განყოფილებას ატყობინებდა მოთხოვნის შესახებ და ითხოვდა მის დაკმაყოფილებას. აღნიშნულმა ორგანომ ეკლესიის საბჭოს გადმოსცა რეპრესირებულთა სია, რომელთაც მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა. მათ შორის იყვნენ:

1. ვაშაძე ბესარიონ იაკობის ძე, 2. ნანეიშვილი მიხეილ ზაალის ძე, 3. მირიანაშვილი იოსებ დომენტის ძე, 4. ოქროპირიძე ილარიონ სოლომონის ძე, 5. ეპიტაშვილი გიორგი ვასილის ძე, 6. ჩიტაძე ივანე ზაქროს ძე, 7. გოგოლიშვილი ერმილე ხოსროს ძე, 8. კააძე ივანე დავითის ძე, 9. წიკლაური მალაქია სიმონის ძე, 10. მძინარიშვილი სამსონ ვასილის ძე, 11. კეთილაძე სპირიდონ პეტრეს ძე, 12. ჩიხლაძე რომანოს ანტონის ძე, 13. ღონღაძე ნესტონ სპირიდონის ძე, 14. ბობოხიძე იოანე დავითის ძე, 15. ჩიგოგიძე პროკოფი ნიკოლოზის ძე, 16. დარჩია გიორგი ზურაბის ძე, 17. ანჩაბაძე ელიზბარ ალექსანდრეს ძე, 18 წულაია გიორგი მახოს ძე, 19ყ ფანცულაია იოანე სამსონის ძე, 20. აფხაიძე აპოლონ პავლეს ძე, 21. ბეშქანიძე ნიკოლოზ მათეს ძე.

გადასახლებაში გარდაცვალებულნი:

1. მაჭავარიანი გიორგი ილიას ძე, 2. ოქრომჭედლიშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე, 3. ჯანელიძე არსენ ივანეს ძე, 4. ჯალაჯონია ნესტორ ივანეს ძე, 5. ცქიფურიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე, 6. ნანეიშვილი ექვთიმე ბურდღუს ძე. (82,37)

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მეორე მსოფლიო ომის მთელ მანძილზე აქტიურად იბრძვის ცოცხლად დარჩენილთა, მაგრამ პატიმრობაში მყოფი სამღვდელოების რეაბილიტაციისათვის. საარქივო დოკუმენტები ასეთი შემთხვევის რეალობაზეც მიგვითითებენ, საგანგებო ბრძანებულებების საფუძველზე რამოდენიმე სამღვდელო პირი განთავისუფლდა. მათ შორის საკათალიკოსოში დაბრუნდნენ ყოვლადსამღვდელო ეფრემი, პრიტოსვიტერი იოანე ლოზოვო და პროტოდიკონი - ამროსი ახობაძე. (81,2).

ზემოაღნიშნული "დათმობებითა" და "შემწყნერებლური" პოლიტიკით საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა დაეფარა იმ სამღვდელოთა ბედი, რომლებიც იმჟამად ჯერ კიდევ საბჭო-

ურ ციხეებში იხდიდნენ სასჯელს და კომუნისტური იდეოლო-გიისათვის საშიშ დამნაშავეებად იყვნენ აღიარებულნი. მათი ციხეებიდან განთავისუფლება კი ნათელს მოჰფენდა საბჭოური პოლიტიკის რეალურ დამოკიდებულებას ეკლესიის მიმართ.

მეორე მსოფლიო ომის მიწურულს (1944 - 1945 წლებში) საქართველოს ეკლესიის მრავალმიმართულებიანი მოღვაწეობის შესანიშნავი დასტურია მისი ხელმძღვანელობის ძალისხმევა 20-30-იანი წლებში ეკლესიებიდან ამოღებული საღვთისმსახურო დანიშნულების ინვენტარისა და საეკლესიო განძეულობის დაბრუნებისათვის ბრძოლა. რიგი საარქივო დოკუმენტი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ როგორი ძალისხმევა სჭირდებოდა თავად კათალიკოს-პატრიარქს ამ მიმართულებით მუშაობისათვის. მაგალითად: მათხოჯიდან წამოღებული წმ. ვასილის ხატის მონასტრისათვის დაბრუნების შესახებ კათალიკოს-პატრიარქი ეკლესიის რწმუნებულს მიანიშნებდა, რომ "მის მიერ შეკრებილი ცნობებით, იგი უნდა ყოფილიყო "ულმერთობის" თბილისის მუზეუმში, მაგრამ მისი დაბრუნება ვერაფრით მოხერხდა. იგი კ. ქადაგიშვილს სთხოვდა გამოეჩინა შემწეობა და დახმარებოდა ხატის უკან დაბრუნებაში" (80,50). ასევე, ერთ-ერთ განცხადებაში მათხოჯის მონასტრის იღუმენი ქეთევანი ითხოვდა მონასტრის სამკაულების შესანახი კარადის უკან დაბრუნებას, რომელიც იმავე სოფლის კოლმეურნეობის კანტორაში იდგა და სხვ. (80,56).

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მსგავსი საკითხების მოგვარებაში სსრ კახკომსაბჭოსთან არსებული საქართველოს ეკლესიის საბჭოს რწმუნებული კ. ქადაგიშვილი კათალიკოს-პატრიარქს ამ საქმეში დახმარებას უწევდა. მისივე ძალისხმევით მრავალი ნივთი დაუბრუნდა ეკლესიას. კ. ქადაგიშვილის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ მისი შუამდგომლობანი "მოსკოვის საბჭოს" წინაშე. ქართულ ეკლესიას ნაწილობრივ მაინც დაბრუნებოდა ჩამორთმეული ქონება. კათალიკოს-პატრიარქი მადლიერებით აღსავსე წერილებს გზავნიდა ხელისუფლების სახელზე: "მოგვიძღვნით რა გულითად მადლობას საქართველოს მართლმადიდებელი მოსახლეობის

სარწმუნეოებრივ დარგში ხელმძღვანელობაზე მზრუნველობისათვის" (88;) იყო შემთხვევებიც, როდესაც ზოგიერთი უწყება ნებაყოფლობით აბრუნებდა საღვთისმსახურო დანიშნულების ნივთებს საკათალიკოსოში. მაგალითად, კახეთის რეგიონის ერთ-ერთ უწყება მზადყოფნას გამოთქვამდა ეკლესიისათვის დაებრუნებინა სასულიერო ხასიათის ლიტერატურა, რომელიც "რაღაც მანქანებით გადაურჩა დაწვას" და სხვ. (80, 30).

1941-1945 წლებში საქართველოს ეკლესიას მეტი აქტიურობის საშუალება მიეცა პერიოდული გამოცემების მხრივაც. ამავე პერიოდში, ხელისუფლების ნებართვით გამოიცა საეკლესიო კალენდარი, "საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებანი", "სიონის ტაძრის მცირე ცნობარი", "ღვთისმსახურების დროს სავედრებელი თხოვანი", (ქართულად და რუსულად), ჩაისახა სასულიერო სასწავლებლის გახსნისა და პერიოდული ჟურნალის დაარსების იდეა. (81,2-3)

საბჭოთა ხელისუფლების ამ მიმართულებით კომპრომისი, მისივე ინტერესებიდან მომდინარეობდა. მთავრობას ესაჭიროებოდა სასულიერო ორგანო, რომლის მეშვეობითაც ეკლესია შეასრულებდა საერო ხელმძღვანელობისაგან ნაკისრ ვალდებულებას; პროპაგანდას გაუწევდა პარტიის საგარეო პოლიტიკურ კურსს; მოუწოდებდა მასებს პატრიოტული სულისკვეთებისაკენ, გაამართლებდა საბჭოთა კავშირის ომში მონაწილეობას; მის ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ და ა.შ. ამით იყო განპირობებული სამამულო ომის წლებში, მძიმე ეკონომიკური ყოფნის მიუხედავად მრავალრიცხოვანი სასულიერო პერიოდიკისა და ლიტერატურის გამოცემა.

დიდ სამამულო ომში ქართული ეკლესიის დადებით წვლილს საბჭოთა მთავრობა ქველმოქმედებით პასუხობდა. საარქივო დოკუმენტები იუწყებიან, რომ პარტიის ხელმძღვანელობა ცდილობდა მძიმე მატერიალურ ყოფაში მყოფი სამღვდელოების ეკონომიურად გამაგრებას.

ეკლესიის სასარგებლოდ 1945წ. კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ხელისუფლებამ. სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით, ეკლესიამ მიიღო იურიდიული პირის უფლება, რომელიც მას 1929წ. საკანონმდებლო დებულებით ჰქონდა ჩამორთმეული. მას ნება ეძლეოდა გაეხსნა საფინანსო

ანგარიშები, დაედო გარიგებები, შეესყიდა ნაგებობები, გაეხსნათ საწარმოები, დაექირავებინა მუშები. (44,29)

აღნიშნული გადაწყვეტილება უშუალო კავშირში იყო ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტერესებთან. საბჭოთა ხელისუფლება დარწმუნდა ეკლესიის ეკონომიკური სიძლიერის აუცილებლობაში. პოლიტიკურად საიმედო ეკლესია, ეკონომიკურად ერთ-ერთი დასაყრდენი უნდა ყოფილიყო ქვეყნისათვის და მას ქვეყნის საერთო ეკონომიკურ სისტემაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა. ამიტომ ცდილობს საერო ხელისუფლება ეკლესიას შეუქმნას შეძლებისდაგვარად ყველა პირობა ეკონომიკური ბაზისის განმტკიცებისათვის.

მიუხედავად ქართული ეკლესიის სამამულო ომში დიდი დამსახურებისა, მას გადასაჭრელი კიდევ უამრავი პრობლემა ჰქონდა, მაგალითად, "მოსკოვის საბჭოზე" დაქვემდებარებას მის საეკლესიო საშინაო საქმეებში ჩარევას, ბუნებრივია, ქართული ეკლესია ვერ შეეგუებოდა. სარგებლობდა რა ქვეყანაში არსებული ვითარებით, 1945წ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი სვამს საკითხს უმაღლესი საერო ხელისუფლების წინაშე საქართველოში ეკლესიის საქმისათვის საკუთარი საბჭოს დაარსების შესახებ, რომელსაც ხელისუფლება კვლავ არ აკმაყოფილებს. (80.61);

პარტიის პოლიტიკიდან გამომდინარე, ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა საკითხის იმ მიმართულებით გადაჭრა. საქართვე-ლოს ეკლესიის საქმეთა ცალკე საბჭოს დაარსება ცენტრალუ-რი მმართველობის სისტემიდან გამოსვლას ნიშნავდა, რაც ეროვნულ ეკლესიებს დამოუკიდებელი, თვითმართველობის ფუნქციას უბრუნებდა, რასაც ხელისუფლება ვერ დაუშვებდა. იმჟამად, მის მიზანს შეადგენდა სსრკ-ში ერთიანი რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ბატონობა, რომელიც მისი ერთგული და ქვეყანაში აღებული პოლიტიკური კურსის გამტარებელი იქნებოდა. მართალია, ხელისუფლება ეროვნუ-ლი ეკლესიების მიმართ გარკვეულ დათმობაზე მიდიოდა, მაგრამ, ამავდროულად, ამ უკანასკნელის გაკონტროლების საშუალების უფლებას იტოვებდა. ხელისუფლებას ერთიანი ეკლესია გლობალური ინტერესებისათვის სჭირდებოდა. ეკლესიას მისი პოლიტიკის

დამცავი მექანიზმის ფუნქცია ეკისრებოდა, რომელიც მის მიერ აღებული კურსის არა მარტო გამმართლებელი, არამედ მისი დამცველიც იქნებოდა. ამით იყო განპირობებული საბჭოთა ხელისუფლების მეცადინეობა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ; მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა შეექმნა ერთგული, ერთიანი ქვეყნის მართლმადიდებლური ცენტრი, რომელსაც დაექვემდებარებდა ყველა რეგიონალური მართლმადიდებელი ეკლესია. აღნიშნული წარმოჩინდა რუსული ეკლესიის საპატრიარქოს აღდგენასა და მის ტახტზე ხელისუფლების სასურველი კანდიდატურის დამტკიცებით.

ქართული ეკლესიის მესვეურნი ჯანსაღ ანალიზს უკეთებდნენ არსებულ ვითარებას და ისეთ შემთხვევაში, ეროვნული ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესებას ჩქარობდნენ, კერძოდ, აჭარის, აფხაზეთის, საინგილოს, სომხეთის ეკლესიების თავის იურისდიქციაში მოქცევა. ამ მხრივ, საინტერესოა საკავშირო სახკომსაბჭოსთან არსებული საქართველოს ეკლესიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის კ. ქადაგიშვილის მოხსენება ამავე მოსკოვის უწყების თავმჯდომარე კარპოვისადმი, სადაც ის შენიშნავს, რომ თუ აღნიშნულ საკითხს ისტორიულად გამართლებული თვალსაზრისით მიუდგებოდნენ, მაშინ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისათვის უნდა გადაეცათ აზერბაიჯანის ტერიტო-რიაზე არსებული მართლმადიდებლური სამრევლოები, რადგან გასაბჭოებამდე ზაქათალის მხარე როგორც სასულიერო, ისე საერო თავლსაზრისით, შედიოდა საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში. ეს ტერიტორია დასახლებული იყო ინგილოებით; იმდროინდელმა ქვეყნის არასწორმა დარაიონებამ ეს მხარე აზერბაიჯანის ტერიტორიაში მოახვედრა - "მორწმუნე ინგილოთა სწრაფვა საქართველოს ეკლესიისაკენ კი დიდიაო" - ირწმუნებოდა სახკომსაბჭოს საქართველოს ეკლესიის რწმუნებული. (82,35)

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის საქართველოს საკათალიკოსოში ვიზიტის დროს (1945 წ.) აღნიშნული მთელი სიმწვავით წამოაყენეს საქართველოს როგორც საერო, ისე სასულიერო უწყებებმა მათ აღნიშნეს,

რომ იმჟამად, ზაქათალის მხარეში მხოლოდ ერთი ეკლესია ფუნქციონირებდა და ისიც სტავროპოლის ეპისკოპოსს ანტონს ექვემდებარებოდა. ქართული მხარე აღნიშნავდა, რომ ეპისკოპოსი ანტონი და საქართველოს პატრიარქი ერთმანეთთან მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ და აღნიშნულ საკითხს ქართული მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტდნენ, რაზედაც მოსკოვის პატრიარქმა თანხმობა განაცხადა. (82,35). მიუხედავად საქართველოს სასულიერო ხელისუფლების დიდი ძალისხმევისა, ზაქათალის მხარის ეკლესიათა საქართველოს იურისდიქციაზე დაქვემდებარება იმ ეტაპზე არ მოხერხდა.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის წლებში, საბჭოთა სახელმწიფოს გარეშე მხარდამჭერ ძალასთან ერთად, ესაჭიროებოდა ერთგული დასაყრდენი, რომელიც დაეხმარებოდა მას გარეშე აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთ-ერთ ასეთ გარანტად საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესია მიიჩნია, სწორედ ეკლესიის დახმარებით უნდა მომხდარიყო მოსახლეობის სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებში მოქცევა; საბჭოთა წყობის ავტორიტეტის ამაღლება; ანტიფაშისტური იდეოლოგიის წარმართვა; მსოფლიოს პოლიტიკური ნდობის მოპოვება და ა.შ. აღნიშნულის გამო, საბჭოთა ხელისუფლება წინა წლებისაგან განსხვავებით რადიკალურად ცვლის საეკლესიო პოლიტიკას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მთავრობა არ უცხადებს აბსოლუტურ ნდობას ეკლესიას და მასზე განსხვავებული მეთოდებით აგრძელებს ზედამხედველობას.

საბჭოთა ხელისუფლების ეკლესიასთან ერთიანობა, რეგიონალური ეკლესიისადმი ფრთხილ დამოკიდებულებაში ვლინდება. მთავრობა აარსებს ისეთ სასულიერო ორგანოს, რომელიც კურირებას გაუწევს ეროვნულ ეკლესიებს. დაუქ-ვემდებარებს მათ ცენტრს - რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომლის ერთგულების მოპოვებისათვის თავდაუზოგავად იღწვის საერო ხელისუფლება. ასეთი მეთოდით, სახელმწიფო ხელისუფლებას მუდმივ მეთვალ-ყურეობაში ჰყავს რესპუბლიკის ეკლესიები. მათ რიცხვში აღმოჩნდა ქართული ეკლესიაც, ბუნებრივია, საქართველოს

ეკლესია თავის საშინაო საქმეებში ჩარევაას ვერ შეეგუებოდა და საამისოდ საწინააღმდეგო მოქმედების ახლებური მეთოდები შეიმუშავა. ქართულმა ეკლესიამ თავის სასულიერო და საერო კრებულთან ერთად დროისა და ვითარების შესაბამისად დაიწყო ბრძოლა. საბჭოურ პოლიტიკასთან ლავირების მეთოდით ცდილობს ეროვნული ეკლესიის გადარჩენას: ეტაპობრივად ითხოვს საერო ხელისუფლებისაგან სათანადო ღონისძიებათა გატარების უფლებას, კერძოდ, ეკლესია-მონასტრების ამოქმედებას, ქრისტიანული დღესასწაულების აღნიშვნის უფლებას; რეპრესირებულ სამღვდელო პირთა განთავისუფლებას; მაოი ოჯახებისათვის დახმარების გამოყოფას და ა.შ.

საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის მეცადინეობას - შეენარჩუნებინათ ეროვნული ეკლესია - უშედეგოდ არ ჩაუვლია. ხელისუფლებამ გაითვალისწინა ეკლესიის დახმარება დიდ სამამულო ომის წლებშიც და კომპრომისული ღონისძიებებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა ქართველი სამღვდელოების მოთხოვნები. ეკლესიის ავტორიტეტის მოპოვებისათვის კომუნისტური პარტია მრავალ ხერხს მიმართავდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მის მიერ აღებული პარტიული კურსიდან გადაუხვია. საბჭოთა ხელისუფლება არ დაუშვებდა ქართული ეკლესიის უფლებათა გაფართოებას, პირიქით, ტაქტიანი სვლებით ცდილობდა მის პოლიტიკურ დასუსტებას, ცენტრზე - რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე დაქვემდებარებას, რათა მისი მართვა გაადვილებოდა. ამით იყო განპირობებული, რომ 40-იანი წლების საეკლესიო რეფორმაციისათვის დასახული მთავრობის ღონისძიებანი ხელოვნურად ფერხდებოდა.

2. ქართული ეკლესიის პოლიტიკურ-ეკონომიკური წვლილი დიდ სამამულო ომში (1941-1945)

XX საუკუნის 40-იანი წლები მძლავრი პოლიტიკური კატაკლიზმებით აღინიშნა მსოფლიო ისტორიაში. ომმა თავის ორბიტაში მოაქცია მთელი რიგი ქვეყნები, მათ შორის საბჭოთა კავშირი. ომის მიზანს, უპირველეს ყოვლისა, შეადგენდა კომუნისტური რეჟიმის დამხობა და მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება.

აღსანიშნავია, რომ ამ ომში მონაწილე ქვეყნებს თავიანთი ინტერესები გააჩნდათ. ამ მხრივ, არც საბჭოთა სახელმწიფო იყო გამონაკლისი, რომელიც მიუხედავად ქვეყანაში არსებული ფარული და ღრმა პოლიტიკურ-ეკონომიკური წინააღმდეგობისა, ის მაინც რჩებოდა მსოფლიოსათვის ერთ-ერთ მძლავრ და ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ, რომელსაც თავისი ადგილი ეკავა მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში. საბჭოთა ქვეყანასაც გააჩნდა თავისი მტაცებლური გეგმები და დიდ სახელმწიფოებს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების საქმეში მეტოქეობას უწევდა.

გერმანიის მიერ სსრ კავშირთან ომის დაწყებით მეორე მსოფლიო ომმა სულ სხვა მასშტაბები და ხასიათი შეიძინა. საბჭოთა სახელმწიფოსათვის მეორე მსოფლიო ომი, როგორც დიდი სამამულო ომი ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, სოციალისტური იდეოლოგიისა და ეკონომიკის, ხალხის პოლიტიკური სიმტკიცის დიდი გამოცდა უნდა ყოფილიყო. ამიტომ, ომის დაწყების პირველივე დღეებიდან, საბჭოთა ხელისუფლებისათვის დღეს წესრიგში დადგა სოციალიზმის მონაპოვრისა და მისი გადარჩენისათვის ბრძოლა, ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებას თვალნათლივ უნდა დაენახვებინა მსოფლიოსათვის სოციალიზმის უპირატესობა კაპიტალისტურ წყობასთან შედარებით.(2,75)

ამ უდიდესი მისიის განხორციელებისათვის, კომუნისტური პარტია დღის წესრიგში აყენებს კომუნისტური რეჟიმის შენარჩუნების, მასებზე ზეგავლენის გაძლიერებისა და ქვეყანაში წესრიგის დაცვის საქმეს, რისი მეოხებითაც მას უნდა მოეხერხებინა არა მარტო ომში გამარჯვება და საკუთარი

ტერიტორიული ფარგლების შენარჩუნება, არამედ მსოფლიოში სოციალისტური ბანაკის გაფართოებაც, რითაც გარკვეულ წილად მოამზადებდა ძლიერ დასაყრდენს კაპიტალისტური ბანაკის წინააღმდეგ.

საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლეს ხელმძღვანელობას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ამ ომში მოწინააღმდეგეთა პოლიტიკაც. ყველასათვის ცნობილი იყო, რომ საბჭოთა იმპერიაში, იძულების სახით, მრავალი რესპუბლიკა იყო გაერთიანებული. მოწინააღმდეგე მხარეს კი ნებისმიერ სიტუაციაში შეეძლო ამ ფაქტის თავის სასარგებლოდ გამოყენება. ხელისუფლება შიშობდა, რომ საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმა და ომის საშინელებანი გამოააშკარავებდა არარუსი ეროვნების სწრაფვას სეპარატიზმისაკენ. ასეთმა საფრთხემ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე განსაკუთრებით კავკასიისათვის გამართულ ბრძოლებში მიიღო. მოწინააღმდეგის მიერ საერთაშორისო პრესაში გავრცელებული ინფორმაცია - კავკასიის ხალხებისადმი საბჭოთა ხელისუფლების არალოიალობა, რომ არ დადასტურებულიყო, პარტიას ამ მიმართულებით უნდა ჩამოეყალიბებინა განსაკუთრებული მნიშვნელობის იდეოლოგიური სისტემა, რასაც გარკვეულ წილად უნდა გაეადვილებინა ნაციონალ-სოციალისტების კაცთმოძულე რასობრივი იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა (2,78). ასეთ ვითარებაში, საბჭოთა ხელისუფლებამ გონივრული გამოსავალი მოძებნა და მსოფლიოს საერთო მტრის - ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა აღმართა. საბჭოთა მთავრობისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა მსოფლიოში შელახული რეპუტაციის აღდგენა. მას მსოფლიოს ქვეყნებისათვის უნდა დაენახვებინა, თუ როგორ იბრძოდა კაცობრიობის ვერაგი მტრის - ფაშიზმის წინააღმდეგ, და ამ საბაბით, ის ილტვის გერმანიის მოწინააღმდეგე ბანაკთან საერთო ენის გამონახვისაკენ. ასეთი მეთოდით საბჭოთა კავშირი თავს იცავდა ფაშისტური გერმანიისაგან და მის წინააღმდეგ ბრძოლას სამამულო ომის სახელით ახორციელებდა. აღნიშნული პოლიტიკის სისრულეში მოყვანისათვის საბჭოთა იმპერიას ძლიერი იდეოლოგი ესაჭიროებოდა, რომელი

მიმართულებისაც იწყება მისი მუშაობა ომის დაწყების პირველივე წლებიდან.

ნაშრომის დასაწყისში უკვე აღინიშნა, რომ პარტიამ XX ს-ის 20-30-იან წლებში თავად იტვირთა სოციალისტური იდეოლოგიის ჩამოყალიბება. სამამულო ომის პირობებში ხელისუფლების წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით დადგა ამ საქმისათვის დამხმარე ინსტიტუტის - ეკლესიის ამოქმედება, მისი სახელმწიფო პოლიტიკურ კურსში ჩართვის აუცილებლობა, რაც უპირველეს ყოვლისა რეგიონალური ეკლესიების უფლებამოსილების აღდგენაში უნდა გამოხატულიყო. ყოველივეს კი საბჭოთა პერიფერიების მოსახლეობის სოციალისტური იდეოლოგიისადმი ერთგულება უნდა გამოეწვია. ამ მხრივ, თავისივე დაშვებული "შეცდომების" გამოსწორება საბჭოთა ხელისუფლებამ ომის დაწყების წინაც სცადა, მაგრამ იმ ეტაპზე აღნიშნული პოლიტიკის განხორციელებას ძვრები არ მოჰყოლია. ომის დაწყებისთანავე აშკარა გახდა ეკლესიისადმი დამოკიდებულების სახეცვლილება, ხელისუფლებამ მრავალმიმართულებიანი სამოქმედო პროგრამა შეიმუშავა. პროგრამა მოიცავდა როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ინტერესებს. მით უფრო, რომ საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, აშკარად გაიელვა კავკასიელი ხალხების დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეამ (47,7-8). ხელისუფლებას სწორედ იმჟამად სჭირდებოდა ერთიანი ფრონტი სოციალიზმის დაცვისათვის, რომელშიც აქტიური როლის შესრულება ცენტრით რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ირგვლივ დარაზმულ რეგიონალურ ეკლესიებს უნდა "შეესრულებინათ. მათ შორის ქართული ეკლესიაც იყო. აცნობიერებდა რა, ომის პირობებში ეროვნული ეკლესიის ადგილს და დანიშნულებას, უმაღლეს ხელისუფლებას ეტაპობრივად უნდა უნდა განეხორციელებინა ეკლესიის რიგი სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანიზაციული საკითხი. ასეთი გზით, საბჭოთა მთავრობა არა თუ იყენებდა ქართულ ეკლესიას საქართველოში სიმშვიდე-წესრიგის გარანტად, არამედ, მას აცილებდა ეროვნული ინტერესებისაგან.

ხელისუფლების მიერ ეკლესიისათვის დასახული ამოცანის

შესრულებას ზედამხედველობა ესაჭიროებოდა, რაც დაევალათ ადგილობრივ, პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავ-შირულ ორგანიზაციებს (მათ რიცხვში შედიოდა "შებრძოლ ულმერთოთა კავშირიც". მათი იდეოლოგიური მუშაობა, მსოფ-ლიო მტრის - ფაშიზმის წინააღმდეგ უნდა გაჩაღებულიყო და ამ საქმეში ერთ-ერთი ლიდერის როლი ეკლესიას უნდა შეესრულებინა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ქართული ეკლესიის ფუნქცია უდიდესი აღმოჩნდა, ადგილობრივ ხელი-სუფლებასთან ერთად, მას რესპუბლიკაში უნდა მოეწესრიგებინა ყველა გამწვავებული საკითხი, მათ შორის ეროვნულიც.)

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ცნობილი იყო, რომ გერმანული ფაშიზმი უდიდეს იმედს სამღვდელოებაზე ამყარებდა, მით უფრო, რომ ანტისაბჭოური სამღვდელოება სპეცრაზმებს ქმნიდა და მათ ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა საბჭოეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის,; ხოლო ფაშისტურ მოძრაობას "რუსეთის გამათავისუფლებელ ნაციონალურ მოძრაობას უკავშირებდა, ამასთან, ცნობილი იყო ჰიტლერის ნაშრომის "ჩემი ბრძოლის შინაარსიც, სადაც ის რელიგიურ ორგანიზაციებს "თანაბარი ფასოვნების დასაყრდენს უწოდებს, მას "რელიგიური ნიღბები სასარგებლოდ მიაჩნია ჯაშუშური საქმიანობის დასაფარავად", (29,16-19). ასეთი მიზნები პირდაპირ ეხებოდა ეროვნული ეკლესიებისა და სახელმწიფოებრიობის ინტერესებს, რაც ამ უკანასკნელთა ქვეყნის წყობისადმი მწვავე დაპირისპირებას იწვევდა. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, საბჭოთა მთავრობას ისეთი პოლიტიკური კურსი უნდა შეეშუშავებინა, რაც ჰიტლერისეულ მიზნებს მარცხს მიაყენებდა და სსრკ-ს რეგიონალურ ეკლესიებს სახელმწიფო ინტერესებში ჩააყენებდა. სრული პასუხისმგებლობით უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში საბჭოთა იდეოლოგიამ სრული პოლიტიკური გამარჯვება მოიპოვა.

საქართველოს ეკლესიამ სამამულო ომის დაწყებისთანავე ნათლად გამოჰკვეთა თავისი პოზიცია. გამომდინარე იქედან, რომ იმჟამად საქართველოს რესპუბლიკა ტერიტორიულად საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იმყოფებოდა, საქართველოს ეკლესია მოვალე იყო ელიარებინა სახელმწიფოს

პოლიტიკური კურსი, დაეცვა მისი ინტერესები და გამოეჩინა მისდამი ერთგულება. აღნიშნულს ისიც ემატებოდა, რომ ქრისტიანულ-ზნეობრივი პრინციპიდან გამომდინარე, ქართული ეკლესია ვერ გაამართლებდა ჰიტლერული გერმანიის ანტისაბჭოურ იდეოლოგიას - ფაშიზმს. ისტორიული ტრადიციებით და მსოფლიოს საეკლესიო კანონმდებლობით ეკლესია არ უნდა შეგუებოდა არაჰუმანურ არც ერთ მიმართულებას და მისთვის მკაცრი ბრძოლა უნდა გამოეცხადებინა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკლესია და მისი სასულიერო კრებული ერთიანი ძალით ირაზმება ფაშიზმის წინააღმდეგ. ამავდროულად, არსებულ სიტუაციაში საკუთარი ეკლესიის გადარჩენისა და სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის უპრიანი იქნებოდა მისი ხელისუფლებასა და რუსულ ეკლესიასთან თანამშრომლობა, რაც მისი გამარჯვების საწინდარიც უნდა ყოფილიყო. (84,1) ასეთი გადაწყვეტილებით ქართული ეკლესია ერთდროულად რამოდენიმე საქმეს აგვარებდა:

1. ანტიფაშისტური მიმართულების მებრძოლი ქვეყნებისა და საზოგადოების რიგებში ჩადგა;
2. საბჭოთა ხელისუფლების "ნდობას" იპოვებდა,
3. ეროვნული ეკლესიის დაცვა-გადარჩენისა და მისი იურიდიული უფლების აღიარებისათვის იღწვოდა.

ზემოაღნიშნულის განხორციელებისათვის საქართველოს ეკლესიამ მრავალმხრივი მუშაობა გაშალა. 1941წ. 24 ივნისის საქართველოს სახკომსაბჭოს სახელზე გაგზავნილ მიმართვაში საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი კ.ცინცაძე იტყობინებოდა: "გარნა ვსაასოობთ: ვინც "ამპარტავანთა შემუსრავს, ხოლო მშვიდთა მისცემს მადლსა", იგი მიანიჭებს "ძალსა და სიმხნევეს" ჩვენ სახელოვან არმიას, ფლოტსა და ავიაციას - წარსდევნონ ჩვენგან ყოველნი მტერნი და ზრახვანი", დაამშვიდონ მცირედი ჟამით შეშფოთებული ცხოვრება ჩვენი", რათა ხალხთა ბელადის, დიდი სტალინის და საბჭოთა კავშირის უზენაესი ხელისუფლების გარემოს შემოკრებილი გაორკეცებული ენერგიით განვაგრძოთ შრომა .საყვარელ სამშობლოს წარმატებისათვის სამეცნიერო, საგან-მანათლებლო,

სამეურნეო და საყოფაცხოვრებო სარბიელზე" (84,1). მსგავსი სახის მიმართვებით (85,4-5) ქართული ეკლესიის მესვეურნი ცდილობდნენ სახელმწიფოს ინტერესების შესა-ბამისად ემოქმედათ. მეომართა ომში გამარჯვებისათვის საქარ-თველოს ეკლესია აქვეყნებდა სხვადასხვა სახის "ვედრებებს", მოუწოდებდა მასებს თავდადებული ბრძოლისაკენ ქვეყნის გადარჩენისა და ფაშისტური იდეოლოგიის ამოძირკვისაკენ. მას უმძიმეს ტვირთად დააწვა ომით გამოწვეული სასოწარ-კვეთილი მოსახლეობის სულიერი გამხნევება-ნუგეშისცემა. სისტემატიური ხასიათის სავედრებელი ქადაგებებით ეკლესია მრევლს უქარწყლებდა ახლობელთა სიკვდილით გამოწვეულ ტრაგედიას და ქრისტეს მიერ, სიკვდილით სიკვდილზე გამარ-ჯვების რწმენას უნერგავდა: "ქრისტე აღდგა მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა, პირველად ქრისტე და მერმე ქრისტეში (კორ.15,20,23), ახლა კი გასაგებია, თუ რატომ ვეგებებით აღდგომის დღესასწაულს უდიდესი სიყ-ვარულით. იგი ჩვენი პირადი გამარჯვებაც არის სიკვდილზე. ქრისტე აღდგა, ჩვენეც ალვდგებით, ქრისტე ცოცხალია, ჩვენც სიკვდილის შემდეგ ცოცხალი ვიქნებით" - ასე მიმართავდა მრევლს განსაცდელის ჟამს კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში კათალიკოს-პატრიარქი კ. ცინცაძე.(85,6)

საქართველოს ეკლესიისა და მისი სასულიერო კრებულის თავდადებულ საქმიანობას უშედეგოდ არ ჩაუვლია, პირიქით, ყოველდღიურად იზრდებოდა ერთგულ მორწმუნე ქვეყნისა-თვის თავდადებულ მეომართა რიგები. საბჭოური წყობილების არც ერთ ეტაპზე ასეთი ღრმა ფუნქცია და ლაღი შემოქმედე-ბის პერიოდი ქართულ ეკლესიას არ ჰქონია. სრული პასუხის-მგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოს მოსახ-ლეობის ერთსულოვნება დიდი სამშობლოს სსრკ-ს დაცვის ერთიან ბრძოლაში სწორედ ლომის წილი ქართულ ეკლე-სიაზე მოდის. საქართველოში ეროვნულ პოლიტიკური სტაბი-ლიზაცია ომის წლებში, ქართული ეკლესიის დიდი დამ-სახურება იყო, რაც საბჭოთა მთავრობამ სარწმუნოებრივი პოლიტიკის კომპრომისში გამოხატა.

დიდ სამამულო ომში ქართული ეკლესიის მოღვაწეობა

მარტო პოლიტიკური წვლილით არ შემოფარგლულა. მან უდიდესი მუშაობა გააჩაღა თავდაცვის ფონდში ფინანსური წვლილის შესატანად. ცნობილია, რომ რუსეთის შემადგენლობაში შესვლამდე ქართული ეკლესია უდიდეს ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ქართულ ეკლესია-მონასტრებს დიდი რაოდენობით მამულები, სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები, სათევზაო ადგილები, საცხოვრებელი ბინები, წისქვილები, სამხატვრო-სამღებრო სახელოსნოები და სხვა ქონება გააჩნდა (7,21). ცარიზმის ეპოქაში, ქართველი სამღვდელოება ეკონომიკურ სახსარს მოკლებული აღმოჩნდა. თვითმპყრობელობამ ეკლესიას დაუტოვა მცირეოდენი სახნავ-სათესი მიწა, სათევზეო ადგილები და შემოწირულობათა აკრეფის უფლება. ქართული ეკლესიიდან ამოღებული ქონებით საეგზარქოსო დიდი შემოსავლის პატრონი გახდა. (7,23). განსაკუთრებული ხერხით მიუდგა ქართულ ეკლესიას საბჭოთა ხელისუფლება. საეკლესიო მიწების ნაციონალიზაციით (მასობრივი კოლექტივიზაციის პირობებში აღნიშნული მიწებით სახელმწიფო ფონდის გაზრდით), ხელისუფლებამ ძირფესვიანად მოშალა ამ უკანასკნელის ეკონომიკური საფუძვლები, და იგი სრულიად უსახსრო მდგომარეობაში დატოვა, ხოლო რაც შეეხება ეკლესიის შემოსავლების სხვა წყაროებს, მას ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოები დაეუფლა, რის შედეგადაც წლების განმავლობაში ეკლესია უდიდეს მატერიალურ სივიწროვეს განიცდიდა. ამას ერთვოდა ქვეყანაში გამეფებული მასობრივი ათეიზმი, რისი მეოხებითაც უკანასკნელმა მრევლის ნაწილი დაკარგა, რომელიც მისი არსებობის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა. აღნიშნულმა ღონისძიებებმა მთავრობისათვის დაპირისპირებული შედეგები გამოიღო, რამაც ეს უკანასკნელი იძულებული გახადა კვლავ ეკლესიის ეკონომიკური სფეროს გაუმჯობესებაზე ეფიქრა. ასეთი პოლიტიკის შედეგად, 40-იანი წლების დასაწყისში ეკლესიას არავითარი ნივთიერი საშუალება არ გააჩნდა თავდაცვის ფონდში სახსრების შესატანად. მიუხედავად აღნიშ-ნულისა, ხელისუფლება თავისას ითხოვდა და ეკლესიაზე ამ მიმართულებით ზეწოლა აშკარად იგრძნობოდა.

ომის დაწყებისთანავე, ეკლესია ინიციატორის როლით გამოდის მორწმუნეებში - გაიღონ შეძლების მიხედვით სახსრები თავდაცვით ფონდში შესატანად. ამ მიმართულებით ეკლესიამ ცხოველი მუშაობა გააჩაღა. შემოწირულობათა გამოღების ინიციატორი თავად ქართული ეკლესია და მისი მოთავე, კათალიკოს-პატრიარქი გვევლინება. მისი ვანკარგულების თანახმად მომქმედ ეკლესიებში ყოველ წირვა-ლოცვის დროს ჩამოტარდებოდა დალუქული ყულაბა და თეფში ნებაყოფლობითი შეწირულობის შესაგროვებლად. თვის მიწურულს, შეგროვილი თანხა სათანადო ოქმის თანდართვით ეკლესიებიდან თავს იყრიდა კათალიკოს-პატრიარქის სამდივნოში, აქედან კი იგზავნებოდა სახელმწიფო ბანკში, სადაც გახსნილი იყო კათალიკოს-პატრიარქის ანგარიში N 14001, რომელშიც თანხებმა 1942 წლიდან იწყო გადარიცხვა. 1943 წლის 3 თებერვალს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კ. ცინცაძე ი.ბ. სტალინს ატყობინებდა, რომ საქართველოს საკათალიკოსოს მრევლმა 85000 მანეთი შეიტანა სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში წითელი არმიის საჭიროებისათვის, (23,3) და სთხოვა მიეღო "წრფელი გულის სიყვარულით ეს მცირეოდენი ძღვენი მსგავსად სახარების ქვრივის წვლილისა". (23,3). ასეთ დროს კათალიკოსი საგანგებოდ აღნიშნავდა ქართული ეკლესიის სიღარიბეს და მიუთითებდა, რომ ზემოაღნიშნული თანხა იმჟამინდელი ქართული ეკლესიის მდგომარეობიდან გამომდინარე მაქსიმალური იყო,; ხოლო რაც შეეხებოდა ეკლესიებში არსებულ არა საჭირო ლითონის ნივთებს, ისინი ომისავე საჭიროებისათვის გადაიგზავნა "[illegible]"-ში (82, 3) ამავდროულად, ქართული ეკლესიის თავკაცები ცდილობდნენ სახელმწიფო ხელყოფისაგან გადაერჩინათ ის განძი, რომელიც ჯერ კიდევ ქართულ ეკლესიას გააჩნია. კათალიკოს-პატრიარქი ხელისუფლების სახელზე გაგზავნილ მიწერილობაში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ეკლესიის ძვირფასი ლითონების ნივთებსა და პატიოსან ქვებზე. იგი აღნიშნავდა, რომ მსგავსი სახის საეკლესიო განძეულობა (ეკლესიაში საჭიროთა გარდა) ჩაბარდა სახელმწიფო ბანკს

ჯერ კიდევ 1938 წელს (82,3).

მართალია საბჭოთა მთავრობისათვის ცნობილი იყო საეკ-ლესიო განძეულობათა 20-30-იან წლებში ამოღების ფაქტი, მაგრამ იგი დარწმუნებული იყო, რომ ეკლესიას ფარულად შემორჩენილი ჰქონდა ქონების ნაწილი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ეკლესიას ნებაყოფლობით შეჰქონდა ფონდში ფინანსური და მატერიალური სახსარი, ხელისუფლება (კერძოდ, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეთა საბჭო). ამ მიმართულებით თავის მხრივ ცალკე იძლეოდა განკარგულებას, რომლის ძალითაც ქართულ ეკლესიაზე ზედამხედველობის, მისი ფინანსურ-მატერიალური შემოსავლების გაკონტროლების საშუალებას ხელთ იტოვებდა. როგორც ჩანს იგი არ ენდობოდა ქართულ ეკლესიას და ცდილობდა მხედველობიდან არ გაეშვა მისი შემოსავლიანობის ხვედრი წილი. აღნიშნულზე ნათლად მეტყველებს გასაიდუმლებული ცირკულარი (1944 წლის დასაწყისი) გაცემული "მოსკოვის საბჭოს" რწმუნებულისაგან, რომელიც მიიღო საქართველოს ეკლესიის რწმუნებულმა ი. ქადა-გიშვილმა და, რომელიც მას ავალებდა ომის დაწყებიდან ზუსტად აღენუსხა ქართული ეკლესიის შემოსავალ-გასავალი: "ფული მანეთებსა და კაპიკებში, ოქრო და ვერცხლი გრამებში, ძვირფასი ქვები კარატებში, ლითონი და სურსათ-სანოვაგე კილოგრამებში", (82,1-2). რაც შეეხება შემოწირულ სხვადასხვა სახის ნივთებს - აღენიშნათ, "მისი სახელმწიფო და კოოპერა-ციული ფასები, ხოლო თუ ადგილი ექნებოდა ობლიგაციების პატრიოტული მიზნებით ჩაბარებას, - მიეთითებინათ საერთო რაოდენობის თანხა. (82,1-2). ცირკულარში მინიშნებული იყო ის სავარაუდო ეკლესია-მონასტრები, რომელთაც შესაძ-ლებელი იყო უარი ეთქვათ ნივთიერ დახმარებაზე (82,1-2). აღნიშნული დოკუმენტით კარგად ჩანს სახელმწიფო ხელისუფლების უნდობლობის ფაქტი ეკლესიისადმი და საა-მისოდ, ეკლესია-მონასტრებზე ამ მიმართულებით მომქმედი აგენტურა. მაგალითად, 1942წ. 10 აპრილს, მთავრობის სახელ-ზე წარდგენილ მოხსენებით ბარათში ხელისუფლების აგენტი იტყობინებოდა, რომ "აღდგომის დღესასწაულზე, წირვის

შემდეგ ხალხში ჩამოატარეს შემოწირულობის ჯამი, როგორც ეკლესიისა ისე თავდაცვის ფონდისათვის, მაგრამ ვერ გაარჩიეს ვინ რომელი შემოწირულობისათვის რამდენ თანხას დებდა" (68,4).

იმ დროს, როდესაც ხელისუფლება შეფარვითი მეთოდებით ცდილობს ეკლესიის შემოსავლებში გარკვევას, ეს უკანასკნელი მთელი ძალისხმევით იბრძვის შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილოს მთავრობის მოთხოვნები, ისე, რომ დაიცვას ეროვნული საეკლესიო ქონება საბოლოო განადგურებისაგან. და თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ტოლი არ დაუდოს ამ მიმართულებით ჩართულ არც ერთ ორგანიზაციას. ქართული ეკლესიის ინტერესები კი, როგორც ზემოთ ავღნიშ-ნეთ, მისი უფლებრივი მდგომარეობის აღიარება უნდა ყოფილიყო რუსეთის ეკლესიის მხრიდან.

1944 წელს ეკლესიის მესვეურნი უმაღლესი საერო ხელისუფლების მიმართ გაგზავნილ წერილებში კმაყოფილებას ვერ ფარავდნენ: აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის ამ უკანასკნელმა დააფასა ქართული ეკლესიის ღვაწლი სამშობლოს წინაშე და მას მთელი რიგი უპირატესობა მიანიჭა. 1943 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს ეკლესიის ტერიტო-რიული ავტოკეფალია ცნო რუსეთის ეკლესიამ, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი საერო ხელისუფლებას მიუძღვოდა. აღნიშნული კი ქართული ეკლესიისათვის სამომავლოდ დიდი სტიმულის მიმცემი უნდა ყოფილიყო. (80.6). 1944 წ. 16 მაისს კათალიკოს-პატრიარქი ი.ბ. სტალინს ატყობინებდა: "თქვენი მეთაურობით წითელი არმიის დასავლეთისაკენ ძლევამოსილი წინსვლის შედეგად, საქართველოს საკათალიკოსოს მორწმუნეებმა სულიერი სიმშვიდითა და მყუდროებით გაატარეს პასექის დღეები. მადლიერნი ამ დიდი სიხარულისათვის, მოწიწებით გთხოვთ თქვენ, მშობლიურო იოსებ ბესარიონის ძევ, მიიღოთ სამშობლოს გმირ დამცველთა სადღესასწაულო საჩუქრად მცირე ძღვენი 15000 მანეთის რაოდენობით. ვევედრებით მკვდრეთით აღმდგენ, სიკვდილისა და ჯოჯოხეთის დამთრგუნველ ქრისტე ღმერთს მალე მიაგოს

საზღაური იმით, ვინც უდანაშაულო სისხლს ღვრიდა ჩვენს მიწა-წყალზე, ხოლო ჩვენი მხედრობის უმაღლეს მთავარსარდალს, რომელსაც გამარჯვებიდან გამარჯვებისკენ მივყავართ, მიანიჭოს ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და მრავალჟამიერ სიცოცხლე". (25,3).

ხელისუფლების მიერ ქართული ეკლესიის სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებამ, ერთი-ორად გაზარდა ფინანსური გამოსაღების მხრივ ეკლესიის დაინტერესება. 1944 წლის 3 მაისს საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი ხელისუფლების სახეზე წარდგენილ საფინანსო-საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ - "1943წ. 30 იანვრიდან 1944 წლის აპრილამდე სახელმწიფო ბანკში გაგზავნილ იქნა 89474 მანეთი და 48 კაპიკი ნაღდ ანგარიშზე და 3650 მანეთის ღირებულების ბილეთები, ამის გარდა 1944წ. 29 აპრილს თავდაცვის ფონდში კვლავ იქნა გაგზავნილი 15000 მანეთი". (82,3). ანგარიშებს ერთვოდა ამ საქმეში მონაწილე ეკლესიათა და მრევლის სიაც. აღმოჩნდა, რომ "1944 წლის აპრილში აღნიშნულ საქმიანობაში თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეუტანიათ საქართველოს შემდეგ ეკლესიებს:

1. წმ. პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია -2000 მან.
2. წმ. სამების სახელობის ეკლესია - 205 მან.
3. ალ. ნეველის ეკლესია - 4371 მან.
4. წმ. ბარბარეს ეკლესია - 1000 მან.
5. კუკიის წმ. ნინოს ეკლესია - 1233 მან.
6. ვერის იოვანე ღვთისმეტყველის ეკლესია - 500 მან.
7. მიხეილ ტვერელის ეკლესია - 127 მან.
8. სიონის საკრებულო ტაძარი - 1200 მან.
9. დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია - 2000 მან. (82,3-4)

საქართველოს ეკლესიის სამამულო ომში გაღებული წვლილი მხოლოდ ფინანსური გამოსაღებით არ შემოიფარგლებოდა. სამამულო ომის მთელი მსვლელობის მანძილზე, საქართველოს ეკლესია-მონასტრების კრებული მეომარ ჯარისკაცთა დახმარების საგანგებო პროდუქციას ჰქმნიდნენ, რითაც სათანადო წვლილი შეჰქონდათ თავდაცვის ფონდის გაძლიერებაში, ამ მხრივ გამოირჩეოდნენ: ჯიხეითის დედათა,

თეკლათის დედათა, მათხოჯის წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტრები: 1943 წ. 27 დეკემბერს მათხოჯის წმინდა ნინოს დედათა მონასტრის იღუმენი ქეთევანი - პატრიარქს ატყობინებდა: "მათხოჯის დედათა მონასტრის მონაზვნები ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. სახელდობრ: ქსოვენ წინდებს და ხელთათმანებს, კერავენ ტანსაცმელსა და საბნებს, ამუშავებენ მიწის ნაკვეთებს, სისტემატურად უგზავნიან ფრონტელებს საჩუქრებს. უკანასკნელ ხანებში მათ მოქსოვეს 200 წინდა და ხელთათმანი, თბილანები და სხვ: იძენენ ობლიგაციებს, ხელს აწერენ ლატარიის ბილეთებს. მონაზვნები სხვადასხვა საქმიანობით აქტიურად ეხმარებიან ფრონტელთა ოჯახებს". (79,3-4).

ფრონტის დასახმარებლად გაწეული დახმარება სხვადასხვა ხასიათის იყო: სამღვდელოება იძენდა ობლიგაციებს, ლატარიის ბილეთებს. ამზადებდა წითელი არმიელებისათვის პროდუქტს, თბილ სამოსელს, თეთრეულს და სხვა. (80,8-9). ქართული ეკლესიის ამ კუთხით მოღვაწეობამ უმაღლესი მთავარსარდლის საგანგებო მადლობა დაიმსახურა. (87;)

უკეთებდა რა მოტივირებას უმაღლესი მთავარსარდლობის დადებით დამოკიდებულებას ქართული ეკლესიისადმი, კათალიკოს-პატრიარქი მოჭირნახულე მრევლს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: "ვიმედოვნებ, რომ საბჭოთა კავშირის მეთაურის ასეთი გულითადი მადლობა გააორკეცებს ჩვენს გულმოდგინებას სამშობლოს სახელოვან დამცველთა საჭიროებისადმი და ის შემოწირულობა, რომელსაც თქვენ ყოველთვიურად გზავნით ჩვენთან თავდაცვის ფონდისათვის ომის დაწყებისთანავე, შემდეგშიც შემოვა თავის დროზე. ჩვენმა წვლილმა უკვე გადააჭარბა 30 000 მანეთს. მომავალში სახელმწიფო ბანკში შესატანად გახსნილია ჩემს სახელზე სპეციალური ანგარიში N 350022. ვარ რა დარწმუნებული, რომ ყოველი თქვენთაგანი შემდეგშიაც არ დაიშურებს გაიღოს წმინდა საქმისათვის შეძლებისდაგვარისი შესაწირავი". (87;).

საქართველოს ეკლესია და მისი სასულიერო კრებული თავის მზრუნველობას არც ომში დაღუპულთა ოჯახებს აკლებდა. ამ მხრივ, მისი განსაკუთრებული ზრუნვის საგნად

იქცა ობოლი ბავშვები, რომელთა სასარგებლოდ ეკლესიამ ბანკში ანგარიში გახსნა. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საშეფო კომისია აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით უდიდეს მადლობას უცხადებდა პირადად კათალიკოს-პატრიარქს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში აქტიურობის გამო. (91,)

კათალიკოს-პატრიარქის განმარტებით, მიუხედავად ეკლესიის მიერ მის სასარგებლოდ გაღებული მცირედი წვლილისა, ის მაინც არ წარმოადგენდა ეკლესიის ძირითად მოვალეობას. მისი აზრით, შემოწირულობათა შეკრებას უფრო ზნეობრივი კავშირის დამყარების როლი ეკისრებოდა ომში წასულთა და შინ დარჩენილთა შორის. ეს უკანასკნელნი დარწმუნებული უნდა ყოფილიყვნენ, რომ "მათი" მცირე შესაწირავი უერთდებოდა იმ თანხას, რომელიც ხმარდებოდა ომში წასულ საშობლოს დამცველ მამულიშვილებს და მათ ოჯახებს და ამის თავმდებნი იყვნენ ეკლესიის მოძღვარნი, რომელსაც ხალხი აბარებდა თავის წვლილს".

ქართველი სამღვდელოების აღნიშნული მიმართულებით მოღვაწეობა მთელი სამამულო ომის მიმდინარეობის პროცესში არ შენელებულა. განსაკუთრებული შარავანდედით შეიმოსა მისი მოღვაწეობა კავკასიის დაცვისათვის ბრძოლის პერიოდში. ქართველი სამღვდელოება როგორც მორალურად, ისე ფინანსურად სრულიად მობილიზებული აღმოჩნდა კავკასიაში განლაგებულ წითელარმიელთა გასამაგრებლად.

საბჭოთა ხელისუფლების მთავარსარდლობამ საგანგებოდ დააფასა ქართული ეკლესიის წვლილი ამ დიად საქმეში და ომის დამთავრებისთანავე საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე წარდგენილი იქნა მთავრობის უმაღლეს ჯილდოზე "კავკასიის დაცვისათვის" (90)ყ ხელისუფლებას უყურადღებოდ არც სასულიერო კრებულის დანარჩენი წევრები დარჩენია. 1945 წლის დამდეგს (შობა-ახალ წელს) საქართველოს სახკომსაბჭოს განკარგულებით სამღვდელოება დასაჩუქრებული იქნა შემდეგი სახის საჩუქრებით:

1. შალის ქსოვილი 12 მეტრი

2.	მამაკაცის დრაფის პალტო	2ც.
3.	მამაკაცის შალის კოსტუმი	1 ც.
4.	თხელი ქსოვილი	28 ც.
5.	კალოშები	4 წყვილი
6.	ჩექმები	1 წყვილი
7.	ქვედა საცვლები	8 წყვილი
8.	ღვინო	50 ლიტრი
9.	კონიაკი	20 ლიტრი
10.	გარჩეული კაკალი	5 კგ.
11.	თაფლი	5 კგ.
12.	ჩურჩხელა	10 ცალი
13.	თუშური ყველი	15 კგ.
14.	მანდარინი და ლიმონი	600 ცალი
15.	სხვადასხვა პროდუქტები.	600 მანეთის

(80,4).

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის წლებში განსაკუთრებული სიმწვავით წარმოჩინდა ეკლესიის დანიშნულება საბჭოთა იმპერიის პოლიტიკურ და ეკონომიურ სისტემაში. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ცნობილი იყო საქართველოს ეკლესიის წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებაში და ამ ისტორიულ ტრადიციის ნაყოფიერ გამოყენებას სწორედ ომის წლებში ლამობს. საერო ხელისუფლებას მეორე მსოფლიო ომის წლებში სოციალიზმის გადარჩენის და კომუნისტური რეჟიმის შენარჩუნებისათვის, ეკლესიის სახით ესაჭიროებოდა ძლიერი და ერთგული დასაყრდენი, რომელიც ფართოდ გაშლიდა ანტიფაშისტურ იდეოლოგიას, გაამართლებდა სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს, რითაც ძლიერ დასაყრდენს შექმნიდა კაპიტალისტური ბანაკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მიმართულებით რეგიონალურ ეკლესიებს და მათ შორის ქართულსაც, უაღრესად დადებითი როლის შესრულება შეეძლო. რითაც ხელისუფლება ცდილობდა მისთვის მეტად საშიში ეროვნული მოძრაობიდან მის ჩამოცილებას და რაც ყველაზე საგულისხმოა, საბჭოთა ქვეყნის ეკონომიური სიძლიერე გადამწყვეტ როლს შეასრულებდა ქვეყნის დაცვის საქმეში.ამ მხრივაც, ეკლესიას დიდი მისია დაეკისრა, მას სათანადო სახსრები უნდა გადაესროლა ომისათვის თავდაცვის

ფონდში და თავისი წვლილი შეეტანა სოციალიზმის შენარჩუნების საქმეში. ამავდროულად, ქართულ ეკლესიას რესპუბლიკაში პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობის გარანტის როლი დაეკისრა.

ქართული ეკლესიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სწორად აუღო ალღო საბჭოურ პოლიტიკას და ისეთი პოზიცია დაიკავა, რომელიც არა თუ ეროვნული ეკლესიის გადარჩენის, არამედ მისი წინსვლის საწინდარიც უნდა ყოფილიყო. იგი აქტიურად ებმება ფაშიზმის წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლაში, სათანადო წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეში და ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს.

მთელი ომის მსვლელობის მანძილზე ქართული ეკლესია უძლებს ხელისუფლების მხრიდან ყოველნაირ გამოცდას, პირნათლად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, სამამულო ომში შეაქვს თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური წვლილი, რითაც უმაღლესი საერო ხელისუფლების მხრიდან იმსახურებს როგორც სიტყვიერ მადლობას, ჯილდოებს, ისე ეროვნული ეკლესიის სასარგებლო დირექტივებს.

3. ქართული ეკლესიის ადგილი და დანიშნულება საერთაშორისო პოლიტიკაში (1941-1945)

საბჭოთა სახელმწიფოსთვის დიდი სამამულო ომი მეორე მსოფლიო ომის განუყოფელი ნაწილი იყო, ამიტომაც ამ ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებას ღრმა კვალი უნდა დაემჩნია იმდროინდელი მსოფლიოს ბედში.

მეორე მსოფლიო ომი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა იმ პოლიტიკის გაგრძელება იყო, რამაც განსაკუთრებული ნიადაგი მოუმზადა ფაშიზმის აღზევებას და, რაც გარკვეულწილად უდიდეს საფრთხეს უმზადებდა მსოფლიოს ხალხებს, ამ ომში გამოიხატა 30-იანი წლების კაპიტალისტური სამყაროს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონზომიერება: წამყვანი იმპერიალისტური ქვეყნების მძაფრი დაპირისპირება მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის, კაპიტალისტური სისტემის განუყოფელი ბატონობის აღდგენისათვის. იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა ნიადაგზე წარმოშობილი ეს ომი თავისი მასშტაბების, ადამიანის მსხვერპლის, მატერიალურ ფასეულობათა განადგურებისა და უმნიშვნელოვანეს სოციალურ-პოლიტიკური შედეგების მიხედვით უმაგალითო იყო (18,8).

ფაშისტურ გერმანიას მსოფლიოს ხალხებზე გაბატონების ერთ-ერთ აუცილებელ და გადამწყვეტ პირობად მიაჩნდა საბჭოთა სახელმწიფოს განადგურება. დასავლეთის სახელმწიფოთა მიუნხენის პოლიტიკა იმ ვარაუდს ემყარებოდა, რომ იმპერიალისტური წინააღმდეგობანი შეიძლებოდა დაძლეულიყო სსრკ წინააღმდეგ ფაშისტურ სახელმწიფოთა ომის საშუალებით. მათ "სურდათ დაწყებულიყო ომი კაპიტალისტურ სამყაროსა და იზოლირებულ საბჭოთა ქვეყანას შორის. მაგრამ ისე მოხდა, რომ თვით კაპიტალის-ტური სამყაროს შიგნით დაიწყო" (9,619).

ომი მისი მსვლელობის პირველ ეტაპზე თავისი ხასიათით იმპერიალისტური იყო, რადგან ომში ჩაბმულ ორივე მხარეს ამოძრავებდა იმპერიალისტური მიზნები, ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოებს, პირველ რიგში — გერმანიას მსოფლიოს გადანაწილება, ხოლო ინგლისს, საფრანგეთს — თავიანთი

კოლონიური იმპერიების შენარჩუნება. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ომში ჩაბმამ (1941წ. 22 ივნისი), ფაშისტური გერმანიის მასსზე მოულოდნელი თავდასხმის შედეგად, ძირეულად შეცვალა მეორე მსოფლიო ომის ხასი-ათი. სსრკ დიდი სამამულო ომის დაწყებით დასრულდა მე-ორე მსოფლიო ომის გადაქცევა იმპერიალისტურ სამართლიან და გამათავისუფლებელ ომად ფაშისტური ბლოკის სახელ-მწიფოთა წინააღმდეგ. (11,7). ეს ომი საბჭოთა იმპერიისათვის თავდაპირველად თავდაცვით ხასიათს ატარებდა.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული რიგი კაპიტალისტური ქვეყანა კერძოდ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები შეშფოთებას გამოთქვამდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის ამ ომში დამარცხება სოციალისტური ბანაკის აბსოლუტურ გაბატონებას გამოიწვევდა მსოფლიოში, მაგრამ, არც ამ უკანასკნელის გამარჯვება შედიოდა მათ ინტერესებში. განსაკუთრებული სიმწვავით ეს საკითხი დადგა ინგლისის წინაშე მაშინ, როცა ფაშისტური გერმანიის სპეცდანიშნულების უზარმაზარი არმია კავკასიის მისადგომებთან განლაგდა. შეიქმნა საშიშროება, რომ, თუ გერმანელები შევიდოდნენ კავკასიაში, მისი (ინგლისის) ჯარები მოექცეოდნენ აფრიკაში მებრძოლი ინგლისის არმიის ზურგში. დიდი ბრიტანეთის წინაშე გაჩნდა პრობლემა — რა მოხდებოდა კავკასიაში გერმანიის ჯარების შესვლის შემთხვევაში — დაიწყებოდა პარტიზანული ბრძოლები გერმანიის წინააღმდეგ, როგორც ეს მოხდა ბელორუსიაში, უკრაინასა და რუსეთში თუ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კავკასიელები მათ, როგორც საბჭოთა იმპერიული პოლიტიკისაგან განმათავისუფ-ლებლებს შეხვდებოდნენ. ამ მიმართულებით გააქტიურდა დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავდა ინგლისის არმიაში მომსახურე კავკასიური წარმომავლობის სამხედრო თანამშრომლების პოლიტიკური ორიენტაციის შესწავლას; შექმნილ სიტუაციაში, ამიერკავკასიის მოსახლეობის ინტერესების დადგენას, კერძოდ, მოისურვებდნენ თუ არა ისინი რუსეთის მიერ

წართმეული პოლიტიკური თავისუფლების აღდგენას, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ქვეყანა მათ ამ საქმეში დახმარებას აღუთქვამდა და სხვა (47,7). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რიგი კაპიტალისტური ქვეყანა და მათ შორის ინგლისიც, პოლიტიკური მოტივით მხარს არ უჭერდა საქართველოს, რამაც მას ერთგვარად ნდობა დაუკარგა ქართველ ხალხში (47.7). აღნიშნული კი მეტად სავალალო უნდა ყოფილიყო ინგლისისათვის მეორე მსოფლიო ომის პირობებში, რის გამოც მისთვის აუცილებელი გახდა კავკასიისადმი განსაკუთრებული პოლიტიკური კურსის შემუშავება. ინგლისის ხელისუფლების ანტისაბჭოური პოლიტიკა ამიერკავკასიისა და კერძოდ, ქართველი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის მისწრაფებათა სპეკულაციის გზით ხორციელდებოდა, რაც საბჭოთა ქვეყანას დაშლით ემუქრებოდა. მით უფრო, რომ თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის შიგნით არსებულ არამყარ პოლიტიკურ ორიენტაციას. ამ უკანასკნელმა ფაქტორმა განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი სამამულო ომის წლებში, როდესაც საბჭოურ იმპერიას არსებობის ყველაზე სერიოზული საფრთხე შეექმნა.

ომის შედეგად, საბჭოთა იმპერიაში გამწვავებული რიგი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, ეროვნული და სხვა საკითხი საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან აქტიურ გადამჭრელ ღონისძიებათა გატარებას მოითხოვდა. განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა ეროვნული საკითხი. საბჭოთა ხელისუფლებამ კარგად იცოდა თავისივე პოლიტიკის შედეგად თვითმყოფადობისათვის მებრძოლი ხალხების მისდამი განწყობა, და, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში ისინი შეეცდებოდნენ პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლას. ამ მხრივ, განსაკუთრებულად საშიშ რეგიონად კავკასია ითვლებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების წინაშე აქტიურად დადგა კავკასიის ხალხებთან დამოკიდებულების საკითხი. მან საგანგებოდ შეიმუშავა მათთან მიდგომის მეთოდები და ხერხები, არ მიეცა მოკავშირისათვის კავკასიაში თავიანთი მიზნების განხორციელების საშუალება.

ზემოაღნიშნული საკითხის მოგვარებაში საბჭოთა ხელისუფლება სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. კავკასიელი ხალხები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ და თითოეულ მათგანს თავისი მყარი პოლიტიკური ორიენტაცია გააჩნდა, რაც გამოწვეული იყო მათი ნაციონალური, სარწმუნოებრივი და გეოპოლიტიკური სხვადასხვაობით. ამიტომ, ხელისუფლებას თითოეულ მათგანთან მიდგომის თავისებური მეთოდ-ხერხები უნდა შეემუშავებინა. დაუშვებელი იყო ამიერკავკასიის ხალხების ერთ ჭრილში განხილვაც. ყოველ მათგანს თავისი ნაციონალური ინტერესები და მისწრაფებანი გააჩნდა, ამიტომ თითოეულ მათგანს თავისებური მიდგომა სჭირდებოდა.

ამ ასპექტში ქართველები ყველაზე უფრო რთულ სურათს ქმნიდნენ. სტალინის, როგორც ქართველის ფენომენი სერიოზულ ძალას წარმოადგენდა საქართველოში საბჭოური ორიენტაციის ძლიერი ფრთის არსებობისათვის. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელი იყო როგორც ანტისაბჭოთა, ისე ანტირუსული განწყობა. ბუნებრივია, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ქართველებს გერმანიის პოზიცია დაეჭირათ. მეორეს მხრივ, ქართველები ხელისუფლების თვალში არა მარტო ძლიერი ნაციონალისტური სულისკვეთების ხალხი იყო, არამედ დემოკრატიული ლიბერალური ტრადიციების მქონე ერი, ამიტომ ნაცისტური იდეოლოგია მათთვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ თუ მოკავშირეები ქართველების ნაციონალურ უფლებებს დაიცავდნენ და მათი სუვერენული ეროვნული სახელმწიფო აღდგებოდა, ისინი გაცილებით მეტი მონდომებით იბრძოლებდნენ მოკავშირეების, ვიდრე ნაცისტური გერმანიის მხარეზე (47.10). ამიტომ საბჭოთა ქვეყნისათვის კავკასიის საკითხში ე.წ. მოკავშირე სახელმწიფო-ები არანაკლებ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდნენ, ვიდრე ფაშისტური გერმანია.

საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დღის წესრიგში დადგა საკითხი დაესწრო მას მოკავშირეთა გეგმებისათვის. საბჭოთა ხელისუფლებისათვის კარგად იყო ცნობილი ამიერკავკასიის

ხალხების მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ და ისიც, რომ დასაშვები იყო მათი მხრიდან ასეთი შემთხვევის გამოყენება. მართალია, ამ ხალხების ერთიანობის იდეის რეალიზაციაზე ყოველთვის გამთიშველი ძალები მძლავრობდნენ (სომხეთს თავისი გეოპოლიტიკური სიტუაციის გამო იძულებითი და უალტერნატივო ნაბიჯი ჰქონდა გადასადგმელი და ვერ გაწ-ყვეტდა კავშირს რუსეთთან, აზერბაიჯანს რჩებოდა არჩევანის ვარიანტის შესაძლებლობა, ხოლო საქართველოს პოლიტი-კური სუვერენიტეტის პრობლემა ეჯაჭვებოდა მისი მეზობ-ლების ინტერესებს,), მაგრამ არსებულ სიტუაციაში ისინი, თუ რაიმე გადამჭრელი ღონისძიებებით არ იქნებოდნენ დაკმა-ყოფილებულნი, ხელისუფლებისათვის დასაყრდენ ობიექტებად ვერ გამოდგებოდნენ. ამავდროულად, მთავრობა აცნობიერებ-და იმასაც, რომ დასახელებულ რესპუბლიკებში არსებულ ანტისაბჭოურ ძალებს ზურგს უმაგრებდა მათივე წიაღიდან საზღვარგარეთ გასული საზოგადოების სხვადასხვა ფენებისაგან შემდგარი ემიგრაცია, რომელიც ყოველგვარ ზომებს ღებულობდა და თავდაუზოგავად იბრძოდა, რათა არსებულ სიტუაციაში ამიერკავკასიის ხალხებს ეს შესაძლებლობა თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ (47.8-9).

საბჭოთა ხელისუფლებას თეირანის კონფერენციის წინ საქართველოში უნდა აემოქმედებინა ისეთი პოლიტიკური მექანიზმი, რომელიც არსებულ სიტუაციას გაანეიტრალებდა და დასახელებულ რესპუბლიკებს მისი პოლიტიკური კურსის დასაყრდენ ობიექტად აქცევდა. აღნიშნულ საქმეში კი უდიდესი როლისა და მისიის შესრულება კავკასიაში ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა მინიჭებოდა, რის აუცილებ-ლობასაც როგორც ქვეყნის საშინაო, ისე საგარეო ვითარება იძლეოდა. ხელისუფლება აშკარად ხედავდა, რომ აუცი-ლებელი იყო სარწმუნოების სფეროში რადიკალური ცვლი-ლებების შეტანა, რასაც, ბუნებრივია, პარტიის გენერალური ხაზიდან დროებითი გადახვევა უნდა მოჰყოლოდა. ამ მიმართულებით ხელისუფლება ცდილობს "საეკლესიო რეფორმები" ისეთი შებურვილი პოლიტიკით გაატაროს,

რომ მისი ინტერესები ამ მიმართულებით არ შეილახოს.

ეკლესიის თავის ინტერესების სფეროში მოქცევით ხელისუფლება იბრძვის მის ჩამოცილებას ეროვნული მოძრაობიდან და უდიდეს მისიად უსახავს ერთიანი, საბჭოთა სახელმწიფოს დაცვას და მის ინტერესებში ჩადგომასა და ანტიფაშისტური იდეოლოგიის ხელმძღვანელობას. ასეთი პოლიტიკის გატარებისათვის ხელისუფლება გზებისა და მეთოდების ძიებას რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიისადმი მიდგომით იწყებს. რამეთუ ამ უკანასკნელის საშუალებით უნდა მოეძია ეროვნულ ეკლესიასთან მიახლოების საშუალებანი. ამ მიზანს ემსახურებოდა ი.ბ. სტალინის მიერ 1943 წლის 4 სექტემბერს მიტროპოლიტების: სერგის, ალექსისა და ნიკოლოზის კრემლში საგანგებო მიღება, რომლის შედეგადაც 8 სექტემბერს, მოსკოვში მოეწყო ეპისკოპოსთა კრება, რომელმაც მიტროპოლიტი სერგი აირჩია პატრიარქად. საეკლესიო კრება ძალზედ მკირერიცხოვანი იყო. მასში მონაწილეობდა 20 სასულიერო იერარქი, რამაც საბაბი მისცა განსაზღვრულ საეკლესიო წრეებს, საზღვარგარეთ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მაღვდელთმსახურებს განეცხადებინათ, რომ საეკლესიო კრებას არ ჰქონდა პატრიარქის აჩევის სათანადო უფლებამოსილება. აღნიშნულს საზღვარგარეთის სასულიერო ემიგრაცია იმით ხსნიდა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ი.ბ. სტალინის ზეწოლით ხდებოდა, რათა თეირანის კონფერენციის წინ ის მოკავშირეებს, კომუნისტური რეჟიმის შენილბული ფორმით წარსდგებოდა და სხვა (44.26). აღნიშნული კი, ხელისუფლებისათვის არასახარბიელო იყო. იგი ძთელი ძალისხძევით ცდილობს ერთის ძხრივ, ეკლესიასთან დამოკიდებულების ფრონტალური გაუმჯობესებით ქვეყნის შიგნით სტაბილურობის მიღწევას, საერთო ძალების მობილიზაციას ომში წარმატების მოსაპოვებლად, მისთვის სასარგებლო აგიტაცია-პროპაგანდის გაწევისა და მის სამომავლო პოლიტიკის ერთგულ გამტარებლად ქცევას, ხოლო მეორეს მხრივ, საზოგადოების თვალში ეკლესიის გარკვეული პრესტიჟს უზრუნველყოფას, რადგან იმჟამად, რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა მინიჭებული ბალკანეთში,

ახლო აღმოსავლეთ-სა და ჩრდილო აფრიკაში ანტიფაშისტურ პატრიოტულ მოძრაობებთან, რელიგიურ წრეებთან მჭიდრო კონტაქტების მოგვარებაში. არანაკლები შესაძლებლობები ჰქონდა მართლმადიდებლურ ეკლესიას გავლენიან რელიგიურ-კლერიკალურ მიმდინარეობებთან მჭიდრო კონტაქტების დასამყარებლად ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში, რომელთაც შესწევდათ უნარი გარკვეული ზეგავლენა მოეხდინათ ადგილობრივ ხელისუფლებაზე (44.26).

სწორედ ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული თეირანის კონფერენციის წინ (1943წ. 28 ნოემბერი 1 დეკემბერი) სსრ კავშირის ხელისუფლების მხრიდან ეკლესიაში სასწრაფოდ გატარებული ღონისძიებები, რომელსაც ნიადაგი უნდა მოემზადებინა (გერმანიის დამარცხების შემთხვევაში) საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი პოლიტიკისათვის.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებას ამ მიმართულებით სხვა, უფრო შთამბეჭდავი მიზნებიც ამოძრავებდა და ეს საბჭოთა სახელმწიფოს ახალი რელიგიური კურსი უნდა ყოფილიყო, რითაც გარკვეულწილად, ხელოვნურად ჰქმნიდა მსოფლიოს სხვა ეკლესიების რუსეთის ეკლესიისკენ მისწრაფებისა და კონტაქტების აუცილებლობას. ამ უკანასკნელის ავტორიტეტის ამაღლებასა და მისდამი ნდობას. თავის მხრივ, მართლმადიდებლური ეკლესიისათვის ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო ომის წლების საბჭოური სარწმუნოებრივი პოლიტიკა. ასეთი სახით გადაეჯაჭვა ერთმანეთს მეორე მსოფლიო ომის წლებში სარწმუნოებრივი და პოლიტიკური ინტერესები, რაც აშკარად გამოიხატა ძათ ჰარმონიულ, ერთობლივ თანამშრომლობაში. აღნიშნული კი საბჭოური პოლიტიკის მსოფლიოში გამარჯვების გარანტი უნდა ყოფილიყო. ყოველივე ზემოთქმულის პოლიტიკურ ცხოვრებაში რეალიზაციას კი ბუნებრივია, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მსოფლიოში ავტორიტეტის ამაღლების პირობა უნდა მოემზადებინა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოთა ხელისუფლების ინტერესის სფეროში იმჟამად განსაკუთრებულ ადგილს საზღვარგარეთ არსებული საბჭოთა ემიგრაციის სამრევლოთა

დამორჩილება შეადგენდა. საზოგადოდ ცნობილია, რომ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა სახელმწიფო გასხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო საზოგადოების სხვა ფენებთან ერთად არა ერთმა სასულიერო პირმა დატოვა და საზღვარგარეთ ანტისაბჭოთა იდეოლოგია გააჩაღა, მათ ჩამოაყალიბეს "კარლოველების" საეკლესიო გაერთიანება, რომელიც "საზღვარგარეთის რუსულ ეკლესიად", ანუ რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლად აცხადებდა თავს საზღვარგარეთ. საზოგადოება ჩამოყალიბდა 1921 წელს ცენტრით იუგოსლავიაში. მათ მიერ შემუშავებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საერთო პლატფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა მონარქიული წყობილების აღდგენას რუსეთში. "კარლოველების" ორგანიზაციას საკმაოდ სოლიდურად აფინანსებდა ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახური. კარლოველები მხარს უჭერდნენ ფაშიზმს, რადგან სწორედ მას უკავშირებდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას. საზოგადოებამ ფართოდ გაშალა საგამომცემლო და საპროპაგანდო მუშაობა მეორე მსოფლიო ომში. ცალკეულ რესპუბლიკათა მორწმუნეების გადმობირების მიზნით, ისინი, საგანგებო აგენტურის მეშვეობით საბჭოთა ქვეყანაში აწარმოებდნენ კომუნისტური წყობის ძირგამომთხრელ საქმიანობას, რითაც სერიოზულ ზიანს აყენებდნენ საბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკას*. მოგვიანებით მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, "კარლოველებმა" იუგოსლავიიდან (საბჭოური პოლიტიკის აღმოსავლეთ ევროპაში შეჭრის გამო) ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაინაცვლეს, სადაც ჩამოაყალიბეს "მართლმადიდებლურ საქმეთა საძმო", რომელმაც ადგილზე განაგრძო საქმიანობა (17.195).

ბუნებრივია, საბჭოთა ხელისუფლება ვერ შეეგუებოდა მის ძირგამომთხრელ პოლიტიკას, და აქედან გამომდინარე მისი გამტარებელი ორგანიზაციის არსებობასაც, მაგრამ რადგან იმ ეტაპზე აშკარა და რადიკალურ პოლიტიკას

* ეხელველობაში გაეაქვს ანტისაბჭოური ელემენტების საქმიანობა სსრკ-ს სხვადასხვა რესპუბლიკაში: ბელორუსიაში, უკრაინაში, საქართველოში, ყირიმულ აუხაზეთში, რომლებმაც ნაყოფიერი ნიადაგი მეკ-ის ორგანიზაციებში პოოეკს. იხ. ე. "ბერძნული ფოეისტი" N3, 1937, გვ. 43,55.16-19

ვერ მიმართავდა, ამჯობინებდა სახელმწიფოს ცენტრალური ეკლესიის (რუსული მართლმადიდებლური ეკლესია) "გაძლიერებითა" და მისი უფლებების "გაფართოებით" დაპირისპირებოდა ქვეყნის გარეთ მომქმედ ანტისაბჭოურ ეკლესიას, რაც უნდა გამოხატულიყო ემიგრანტული რუსული სამრევლოების მის სისტემაში შემომტკიცებით. აღნიშნული პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით, საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი მთავრობის მცდელობაა შიგნით კავშირში. ავტონომიურ ეკლესიათა აბსოლუტური დაქვემდებარება რუსულ ეკლესიაზე, რომლებიც საერთო საბჭოურ ინტერესებს გაატარებდნენ და მსოფლიოში საბჭოთა კავშირს ავტორიტეტს შეუქმნიდნენ. ზემოაღნიშნული ითვალისწინებდა ქართული ეკლესიის საკითხსაც. საბჭოთა მთავრობა მისთვის ნაცადი ფრთხილი ხერხებით იბრძვის ქართული ეროვნული ეკლესიის რუსულ ეკლესიასთან შემომტკიცებისათვის და ამ საქმეში იძულებულია გაითვალისწინოს ამ უკანასკნელის დიდი ხნის მისწრაფება - ავტოკეფალიის აღიარება. ხელისუფლება ცდილობს მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რაც ქართველ სასულიერო მოღვაწეთ შეუქმნიდა ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობის შთაბეჭდილებას, ფაქტიურად კი, მას რუსული ეკლესიისა და საერო ხელისუფლების სასარგებლო იარაღად აქცევდა. ამ მიზნით საკავშირო სახკომსაბჭოსთან დაარსდა ეკლესიის საქმეთაა საბჭო, რომელთა შეუთანხმებლად რეგიონალურ ეკლესიებს საშუალება არ ეძლეოდათ დამოუკიდებლად გადაეწყვიტათ საშინაო საკითხები.

ამით იყო განპირობებული იმჟამად ხელისუფლების მიერ ქართული ეკლესიის დიდი ხნის მისწრაფების გათვალისწინება (ავტოკეფალიის აღიარება,), რომელიც ხელისუფლებამ მისი ერთგული რუსული ეკლესიის მეშვეობით განახორციელა 1943 წლის 31 ოქტომბრის რუსეთ-საქართველოს საეკლესიო განჩინების საფუძველზე და, რითაც გარკვეულწილად საფუძველი მოუმზადა ქართულ ეკლესიას ქვეყნის პოლიტიკურ კურსში ჩასართავად, რაც ამ უკანასკნელისათ-ვისაც იმჟამად სასურველი უნდა ყოფილიყო (46.14) ამის ნათელი დადასტურებაა 1944 წელს მოსკოვში მოწვეული ეპისკოპოსთა კრება, რომელზედაც

ჩამოყალიბდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მმართველობის ფორმულა; ბუნებრივია, მონოლითური საეკლესიო ორგანიზაციის სისტემაში გათვალისწინებული იყო ქართული ეროვნული ეკლესიის ადგილიც (მხოლოდ მასთან განსაკუთრებული მიდგომის ფორმით) (44.27).

როგორც უკვე აღვნიშნეთ საბჭოთა ხელისუფლება სამამულო ომის მსვლელობისას საეკლესიო სფეროში გასატარებელ ღონისძიებებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას უკავშირებდა, რაზეც ნათლად მეტყველებდა 1944 წლის მაისში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის სერგის გარდაცვალებისთანავე ახალი პატრიარქის არჩევის საკითხი. საეკლესიო ცხოვრების ეს მნიშვნელოვანი მოვლენა შესანიშნავ საბაბად იქცა საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის ნაწილობრივი მოგვარებისათვის, რუსეთის პატრიარქის ასარჩევად მოწყობილ საგანგებო საეკლესიო კრებაზე საზღვარგარეთიდან მოიწვიეს რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიების იერარქები, მათ შორის რუსი ეროვნების მიტროპოლიტი ვენიამინი ამერიკის შეერთებული შტატებიდან; მაღალი იერარქები: რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, საბერძნეთიდან და ახლო აღმოსავლეთიდან. კრებაზე მიწვეულ იქნა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე სხვა თანმხლებ სასულიერო პირებთან ერთად (44.27).

აღსანიშნავია, რომ საეკელესიო განხეთქილების შემდეგ (1917 წ.), პირველი შემთხვევა იყო, როდესაც საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ოფიციალურად იქნა მიწვეული რუსეთის საეკლესიო კრებაზე. საქართველოს ეკლესიის დელეგატის ნაუმ შავიანიძის საოჯახო არქივში დაცული დოკუმენტი გვაძლევს იმის შესაძლებლობას შევნიშნოთ, რომ საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქს არაჩვეულებრივი გულისხმიერებით შეხვდა არა მარტო რუსეთის სასულიერო წოდება, არამედ საერო ხელისუფლების წარმომადგენლებიც, მაგ., რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის კარპოვის კალისტრატე ცინცაძესთან განსაკუთ-რებული შეხვედრა; ასეთივე დამოკიდებულება გამოხატა საზღვარგარეთის უმაღლესმა სამღვდელოებამ (97.).

სახელმწიფო ხელისუფლების მიერ უმაღლეს დონეზე

მოწყობილი საეკლესიო კრება აშკარად მეტყველებს მის ამ საკითხით დაინტერესებას და საერთაშორისო მნიშვნელობაზე. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ ომით გამოწვეულ სიძნელეებს, რომლის მიუხედავად, აღნიშნულმა ღონისძიებამ მაღალ დონეზე ჩაიარა და თავისი მისია უმაღლეს დონეზე შეასრულა.

საეკლესიო კრება გაიხსნა 1945 წლის 31 იანვარს სოკოლნიკში, აღდგომის ტაძარში და სამუშაო პროგრამამ საბჭოთა ხელისუფლებას სერთაშორისო ასპარეზზე მსოფლიო სამღვდელოებაში ავტორიტეტი მოუხვეჭა. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა იმდროინდელი საზღვარგარეთული პრესის მონაცემები: "მთელი სლავობა აღფრთოვანებული იყო საეკლესიო კრებით და მის სხდომებზე მართლმადიდებელ იერარქთა გამოსვლებით. მოსკოვში უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა მისალმების დეპეშები" (44.28-83).

ამ მიმართულებით არც ეკლესია აყოვნებდა: საეკლესიო კრების მიმართვაში აღნიშნული იყო ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ ხალხის გმირული ბრძოლისათვის ეკლესიის მადლობა მთავრობისადმი, პირადად სტალინისადმი.

საეკლესიო კრებამ შეასრულა თავისი ამოცანა — აირჩია ახალი პატრიარქი, მიტროპოლიტი ალექსი (ერისკაცობაში ს.ვ. სიმანსკი). კრების ორგანიზატორულ მომზადებაში ეკლესიას დიდი დახმარება გაუწია რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეთა საბჭომ. ი.ბ. სტალინის მიერ საბჭოს დავალებული ჰქონდა მთავრობის სახელით მიტროპოლიტ ალექსისათვის მიელოცა პატრიარქად კურთხევა, მიერთმია მისთვის სამახსოვრო საჩუქარი, რომლის ღირებულებაც განსაზღვრული იყო 25-30 ათასი მანეთით; "მადლობა გადაეხადათ" საზღვარგარეთელ სტუმრებს, რომელთა საჩუქრების მაშინდელმა ღირებულებამ ნახევარი მილიონი მანეთი შეადგინა (44.27).

როგორც ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტებიდან ჩანს, მთავრობის პოლიტიკურმა კურსმა გაამრთლა: "მეტროპოლში" პატრიარქ ალექსის ინტრონიზაციასთან დაკავშირებულ მიღებაზე ალექსანდრიის პატრიარქი ქრისტეფორე აღნიშნავდა: "მარშალი სტალინი... ჩვენი

ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი ადამიანი, ეკლესიადამი იჩენს ნდობას და კეთილგანწყობილია მისდამი. მარშალ სტალინს, უმაღლეს მთავარსარდალს, რომლის ხელმძღვანელობითაც ხორციელდება არნახული მასშტაბის სამხედრო ოპერაციები, ამისათვის უხვად აქვს მომადლებული ღვთიური მადლი და კურთხევა, რუსი ხალხი თვისი დიდი ბელადის გენიალური ხელმძღვანელობით შეუპოვარი თავგანწირვით გამანადგურებელ დარტყმებს აყენებს თავის საუკუნოვან მტრებს" (44,28). როგორც ირკვევა მსოფლიო საეკლესიო იერარქები კარგად იყენენ ინფორმირე-ბული საომარი ოპერაციების მსვლელობით. სწორედ საეკლესიო კრების მიმდინარეობის დროს საბჭოთა არმიამ გაარღვია მოწინააღმდეგის გამაგრებული ხაზი ოდერზე და სილეზიის მნიშვნელოვანი სამრეწველო რაიონი დაიკავა, რის შედეგადაც ბრძოლებმა გერმანიის ტერიტორიაზე გადაინაცვლა და მის არსებობას საფრთხე შეუქმნეს (15,105).

ომის დასასრულის მოახლოება დღის წესრიგში აყენებდა ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობის საკითხს, რასაც ასახვა უნდა ეპოვნა სსრ კავშირის საშინაო პოლიტიკაშიც. ამითაც იყო განპირობებული ხელისუფლების დამოკიდებულების შემდგომი გაუმჯობესება ეკლესიასთან. ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა სახელმწიფოს სარწმუნოებრივი პოლიტიკა მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიებზე არ ვრცელდებოდა. ის მოიცავდა საბჭოეთის საზღვრებში მოქცეულ ყველა რელიგიური აღმსარებლობის ცენტრს. ერთიანი პოლიტიკური კურსის გატარება აუცილებელს ხდიდა ყველა რელიგიური დაჯგუფებისა და ძრევლის დაქვემდებარებას ერთ სარწმუნოებრივ ცენტრზე და, ვინაიდან მაჰმადიანური და სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობა რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ვერ დაემორჩილებოდა, ეს საქმე უნდა შეესრულებინა ე.წ. "მოსკოვის საბჭოს", რომლის იურისდიქციაში საბჭოთა კავშირის ყველა რელიგიური ცენტრი მოექცეოდა. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა, რომ ჯერ კიდევ 1943 წელს სტალინი ხელს აწერს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას სომხეთის სახკომსაბჭოსთან სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის საქმეთა საბჭოს შექმნის

/შესახებ; 1944 წლის მაისში იგი არ ეწინააღმდეგება ჩრდილო კავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს შექმნას. შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან რელიგიური კულტის საქმეთა საბჭოს შექმნის თაობაზე, რომელსაც უნდა განეხორციელებინა კავშირი ქვეყანაში რეგისტრირებულ ყველა რელიგიურ ორგანიზაციასა (გარდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისა) და საკავშირო მთავრობას შორის. (46,30)

როგორც ვხედავთ, ხელისუფლება ეკლესიასთან დამოკიდებულების ფრონტალურ გაუმჯობესებას აწარმოებს, რაც ომის წლებში მისივე პოლიტიკური კურსის ორგანული ნაწილი უნდა ყოფილიყო. საერთაშორისო პოლიტიკიდან გამომდინარე ხელისუფლება თეირანისა და ყირიმის კონფერენციების წინაშე სათანადოდ ძლიერი, რომ წარმდგარიყო, ერთ შემთხვევაში, რუსულ ეკლესიაში აგვარებს თავის საქმეს მსოფლიო ეკლესიათა გულის მოსაგებად, მეორე შემთხვევაში, ანიჭებს ავტოკეფალიას რესპუბლიკათა ეკლესიებს (საქართველოსა და სომხეთის ეკლესიები, ჩრდილო კავკასიის მუსლიმთა მმართველობა). აღნიშნულს კი, საბჭოური პოლიტიკისათვის არა მარტო საშინაო საქმეებში უნდა შეეტანა დიდი ცვლილებები, არამედ საერთაშორისოშიც. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით საბჭოური პოლიტიკა იმასაც ითვალისწინებდა, რომ დასახელებული ორი ერის დიასპორა საზღვარგარეთ უდიდეს ძალას წარმოადგენდა და მათი ფინანსური სიძლიერე მისი სამომავლო პოლიტიკისათვის გასათვალისწინებელი უნდა ყოფილიყო.

მართალია, ხელისუფლება განსხვავებული ძრწ'ა'ძსის რელიგიებთან "შემწყნარებლობას" იჩენს, მაგრამ იგი განსაკუთრებით რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას "ენდობა", რადგან ერთიანობის პრინციპის დაცვით იგი ბუნებ-რივია, გაცილებით უკეთ და ადვილადაც მოახერხებდა მისთვის სასარგებლო პოლიტიკის განხორციელებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეკლესიის პოზიცია ამ მიმართულებით ერთგვარად ორიგინალური იყო. იგი აშკარად არ ეწინააღმდეგება ერთიანი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის ინტერესების დაცვას, აქტიურად ებმის ხელისუფლების მიერ

შემოსავაზებულ პოლიტიკურ კურსში და გვევლინება ამავე პოლიტიკური კურსის დამცველისა და გამმართლებლის ინიცი-ატორად. ამ მხრივ საინტერესოა კ. ცინცაძის წერილები მსოფლიოს მართლმადიდებლური ეკლესიების (კონსტანტინე-პოლის, დანიის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, სინას მთის, რუმინეთის და სხვათა) მეთაურებისადმი, სადაც აღნიშნავს: "ახლოვდება დღე, რომელსა შინა ჩვენს ყურთა სმენას დაატკბობს ზეციური გალობა: დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

ამასთან დაკავშირებით გული გვეტყვის, ახლობელ არს, ოდეს უფლისა ჩვენისა და ჩვენის მოკავშირეების სამხედრო ძალითა მხნეობით ანგელოზთა მიერ უწყებული მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება მტკიცე ნიადაგს მოუპოებს ქვეყანასა ზედა..." (44,30)

აღნიშნული კი იმაზე მეტყველებს, რომ ქართული ეკლესია თანამიმდევრულად ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას, მაგრამ მის ბრმა იარაღად გამოყენებას ვერ ეგუება, რაც იმავდროულად გამოიხატა საკავშირო სახკომსაბჭოსთან ეკლესიის საქმეთა საბჭოს დაარსებასთან დაკავშირებით გატარებულ ღონისძიებათა წინააღმდეგ ბრძოლით. იგი მხედველობის არედან არ უშვებს მისი ქვეყნისა და ეროვნული ეკლესიის ინტერესების შელახვას და ყველა მის საჭირბოროტო საკითხს დროისა და ვითარების შესაბამისად აყენებს როგორც ადგილობრივი, ისე უმაღლესი ხელისუფლ-ების წინაშე და აქტიურად მოითხოვს ამ მიმართულებით გადაჭრილ ღონისძიებათა გატარებას.

მართალია, ხელისუფლება მისთვის ჩვეული მოხერხებით ცდილობს შეაფერხოს ეროვნული ეკლესიის მოთხოვნილებე-ბის დროულად გადაჭრა, მაგრამ ფაქტი, რომ კომუნისტური რეჟიმის მძვინვარების პერიოდში ეკლესიას არსებობის საშუალება გააჩნია, საბჭოეთს საერთაშორისო ასპარეზზე დიდ სახელს უხვეჭდა.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის პირობებში საბჭოთა წყობის სისტემაში, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას საერთაშორისო პოლიტიკაში უდიდესი მისია დაეკისრა, რის

აუცილებლობასაც როგორც ქვეყნის საშინაო, ისე საგარეო ვითარება იძლეოდა — ხელისუფლება აშკარად ხედავდა, რომ აუცილებელი ხდებოდა სარწმუნოების სფეროში რადიკალური ცვლილებების შეტანა.

აღნიშნული პოლიტიკის გატარებისათვის ხელისუფლება გზების და მეთოდების ძიებას რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიისადმი მიდგომით იწყებს, რამეთუ ამ უკანასკნელის საშუალებით უნდა მოეძია ეროვნულ ეკლესიასთან მოახლოების გზები და საშუალებანი. სწორედ ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული თეირანის კონფერენციის წინ (1943წ.) სსრ კავშირის ხელისუფლების მხრიდან ეკლესიაში სასწრაფოდ გატარებული ღონისძიებები, რომელსაც ნიადაგი უნდა მოემზადებინა საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი პოლიტიკისათვის. ამავდროულად, ხელისუფლება ხელოვნურად ქმნის მსოფლიოს ეკლესიების რუსეთის ეკლესიისაკენ მისწრაფებებისა და კონტაქტების აუცილებლობას, ამავე პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია საზღვარგარეთ არსებული რუსულ საძრევლოთა ხელთგდების მცდელობა.

აღნიშნული პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით, უმაღლესი ხელისუფლების მცდელობაა შიგნით კავშირში ავტონომიურ ეკლესიათა აბსოლუტური დაქვემდებარება რუსულ ეკლესიაზე; რომლებიც საერთო საბჭოურ ინტერესებს გაატარებდნენ და მსოფლიოში საბჭოთა კავშირს ავტორიტეტს შეუქმნიდნენ. აღნიშნულ საქმიანობაში კი ქართულ ეკლესიას არც თუ მცირე როლის შესრულება შეეძლო. სწორედ ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული იმჟამად ხელისუფლების მიერ ქართული ეკლესიის დიდი ხნის მისწრაფების გათვალისწინება (ავტოკეფალიის აღიარება რუსეთის სინოდის მიერ) და მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა გატარებას სახელმწიფო ხელისუფლება ქვეყნის საგარეო პოლიტიკას უკავშირდება.

ქართული ეკლესიის პოზიცია ამ მიმართულებით ერთგვარად ორიგინალურია. იგი აშკარად არ ეწინააღმდეგება ერთიანი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის ინტერესების დაცვას, აქტიურად ებმის ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ პოლი-ტიკურ კურსში და გვევლინება ამავე პოლიტიკური კურსის დამცველისა და გამმართლებლის ინიციატორად.

თავი მესამე - ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება

მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, რუსეთის ხელისუფლების მიზანი — მოექცია საქართველო მის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში, ბუნებრივია, გულისხმობდა ამ უკანასკნელის იდეოლოგიურ დაპყრობასაც, რომელ საქმეებშიც წამყვანი ადგილი ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებას ეკავა. აღნიშნულის შედეგი იყო 1811 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება.

ქართველი ხალხი და მისი ეკლესია არასოდეს შერიგებია ეროვნული ეკლესიის უფლების ხელყოფას და ამ მიმართულებით ბრძოლა წლების მანძილზე არ შეუწყვეტია, პირიქით, ის ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში საეკლესიო და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხს ერთობლივი მოთხოვნით აყენებდა. აღნიშნული მაგალითი არა ერთი მოგვეპოვება ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რომელმაც ევოლუციის მეტად რთული ეტაპები განვლო და ქართველ ხალხს ამ საქმეში მდიდარი გამოცდილება შესძინა. მაგალითად, 1905-1907 წლების რევოლუციამ საქართველოში ბიძგი მისცა და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელშიც წამყვანი ადგილი ეროვნული ეკლესიის იურიდიული უფლების აღდგენის საკითხს ეკავა. რევოლუციის წლებში ქართველი სამღვდელოება და მოწინავე საზოგადოებრიობა ავტოკეფალიის მოთხოვნაში ხედავდა სამშობლოს თავისუფლების საქმეში გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს (16,16).

ქართულ ეკლესიას სახელმწიფოს განვითარების საქმეში პროგრესული პოლიტიკური პოზიციის გამოვლინებას დიდი ისტორიული გამოცდილება გააჩნდა. იგი ყოველთვის თანაუგრძნობდა და თავისი სათანადო წვლილი შეჰქონდა ერის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველოს ეკლესია ყოველთვის ქვეყნის ერთიანობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი იყო და ცდილობდა იდეოლოგიურად გაეერთიანებინა

საზოგადოების ფენები; შეექმნა საქართველოს მთლიანობისა და განუყოფელობის ერთიანი რწმენა და სათავეში ედგა მთელი ერის კულტურულ ცხოვრებას. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში საქართველოს ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე ეროვნული თავისუფლებისა და ეკლესიის თვითმოწესეობისათვის ბრძოლა ერთდროულად მიმდინარეობდა და ქვეყნისა და ერის გადარჩენის საქმეში წამყვანი ადგილი ეკავა.

აღსანიშნავია, რომ მთელი მე-19 ს-ის მიწურულისა და მე-20 ს-ის დასაწყისის ქართველი სამღვდელოების მოძრაობას თან სდევს რუსეთის სამღვდელოების მღელვარებანი რუსული ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოცალკევების შესახებ.

როგორც ცნობილია, რუსეთის ისტორიაში საერო ხელისუფლებას ეკლესია პეტრე პირველმა დაუმორჩილა. დაახლოებით 200 წლის განმავლობაში რუსეთის სასულიერო წოდება მრავალგზის შეეცადა საეკლესიო დამოუკიდებლობის მოპოვებას, მაგრამ უშედეგოდ. პეტრე პირველის დროიდან მოკიდებული საერო ხელისუფლების მხრიდან ეკლესიის დამორჩილების პროცესი არ შეჩერებულა და შემდგომ ხანაში რუსეთის მმართველებმა ეს საქმე კლასიკურ ფორმებამდე დახვეწეს. (16,16)

მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ისეთი ვითარება, როდესაც ორივე ეკლესიას (რუსეთის და საქართველოს) საბოლოოდ უნდა გამოეხატა საკუთარი დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი, ამასთან ქართულ ეკლესიას კიდევ ერთი ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი — განთავისუფლებული ყოფილიყო რუსული ეკლესიის ბატონობისაგან. საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ორივე ერის მოწინავე სამღვდელოება ცდილობდა ერთმანეთისადმი დახმარების აღმოჩენას. ქართული სასულიერო ფენა სოლიდარობას უცხადებდა რუს სამღვდელოებას. რადგან კარგად უწყოდა, რომ მხოლოდ პატრიარქობის აღდგენითა და რუსული ეკლესიის სახელმწიფო ბიუროკრატიისაგან გამიჯვნით შეიძლებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. სწორედ, ქართული და რუსული ეკლესიების საერთო ინტერე-სების, მათი ბრძოლების შეჯერების ფონზე უნდა იქნეს განხილული ქართული ეკლესიის იურიდიული

უფლების აღდგენის შემდგომი ეტაპი, რაც რუსული ეკლესიის მხრიდან ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებაში გამოვლინდებოდა.

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, განვითარების ახალ ფაზაში შედის. ომით გამოწვეულმა მძიმე შედეგებმა, 1916 წლიდან ახალი რევოლუციური სიტუაციის მომწიფება დაჩქარა. 1917 წლის თებერვალში კი დაამხო მეფის მთავრობა, გაიმარჯვა რუსეთის მეორე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ, რაც რუსეთის ისტორიაში უდიდესი გარდატეხის მომასწავებელი იყო. თებერვლის რევოლუცია ხელსაყრელი იყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. ამიტომ, იგი ამ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს დადებითად შეხვდა და პირველი დღეებიდანვე ჩადგა დროებითი მთავრობის სამსახურში. დროებითი მთავრობისადმი თანადგომით მართლმადიდებლური ეკლესია იმედოვნებდა მის საბოლოო დამოუკიდებლობის მოპოვებას და ძველი უფლებებისა და ავტორიტეტის აღდგენას სახელმწიფოში (7.174).

რევოლუციის მხარდაჭერის საპასუხოდ ეკლესია უფლებრივი მდგომარეობის გასამყარებლად საჭიროებდა პატრიარქობის ინსტიტუტის აღდგენას, რაც შეაჩერა სოციალისტური რევოლუციის მოახლოებამ.

რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესს ენთუზიაზმით გამოეხმაურა ქართველი სამღვდელოება და წლების მანძილზე მისდამი მხარდაჭერა იმედს აღუძრავდა ქართველ ავტოკეფალისტებს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენაში, რაც ქვეყანაში "ძექძნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთის სასულიერო და საერო ხელისუფლებასთან შესათანხმებელი იყო.

თანდათანობით ნათელი გახდა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია არ ითვალისწინებდა საქართველოს ეროვნულ თავისუფლებას. იგი ყველანაირად ცდილობდა ახალი მმართველობითი ფორმით შეენარჩუნებინა თავისი ძალაუფლება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში. რადგან რუსეთში საერო და სასულიერო ძალა-უფლება ერთი ინტერესით მოქმედებდნენ, ბუნებრივია,

ისინი ამ საქმეში ვერც განსხვავებულ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. სწორედ ამიტომ, რუსეთის მთავრობა ძალაში ტოვებდა უწმინდესი სინოდის კომპეტენციას საქართველოს ეკლესიაზე, მაქსიმალურ უფლებებს უნარჩუნებდა ეგზარქოსს, რაც ბიძგს აძლევდა ქართველ ავტოკეფალისტებს გადამჭრელი ღონის-ძიებებისათვის მიემართათ და, რაც გამოიხატა ამ უკანასკნელის მიერ დროებითი მთავრობის აბსოლუტურ დაუმორჩილებ-ლობაში (7,176). აღნიშნულის შედეგად, ქართველმა სამღვდე-ლოებამ მოწინავე ინტელიგენციის ენერგიული მხარდაჭერით 1917 წლის 12 მარტს მცხეთის საკათედრო ტაძარ'ში გამო-აცხადა საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურ უფლებებში, რასაც ქართველმა საზოგადოებამ მხარი დაუჭირა. რუსეთის სასულიერო ხელისუფლება ბუნებრივია, ვერ შეეგუებოდა პოზიციების დაკარგვას კავკასიაში და ითხოვს ქართული ეკლესიის ტერიტორიული უფლებების დაუკმაყოფილებლობას (19,9). დროებითი ხელისუფლება ითვალისწინებს სასულიერო მთავრობის ნებას, საკუთარ ინტერესებს და საქართველოს ეკლესიის ნაციონალურ უფლებებს ცნობს. ასეთი გადაწყვეტი-ლებით რუსულ ეკლესიასა და დროებით მთავრობას უნდა შეენარჩუნებინა ძალაუფლება ა/კ-ის რუსულ სამრევლოებზე. აღნიშნულის საფუძველზე საქართველოში შეიქმნა კავკასიის სასულიერო მმართველობის კომიტეტი (შემდგომში კავკასიის საეგზარქოსო), რომელსაც უნდა გაეერთიანებინა კავკასიის არაქართველი მრევლი. აღნიშნულ კომიტეტს, მომავალი რუ-სული სახელმწიფოს გარეუბნებში იდეოლოგიური მესაჭის მოვალეობა უნდა ეტვირთა, რაც არაფრით განსხვავდებოდა ცარიზმის დროინდელი მმართველობისაგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ მმართველობის ფორმების სახეცვლილებას. ასეთ გადაწყვეტილებას ქართველმა სამღვდელოებამ და მოწი-ნავე საზოგადოებამ პროტესტი გამოუცხადა. მათთვის ცხადი გახდა, რომ ამ მეთოდით რუსული ეკლესია კვლავ თავის კომპეტენციაში ტოვებდა ქართულ ეკლესიას (80,5). საქართველოს ეკლესიის დროებით აღმასრულებელ კომიტეტს მოწინააღმდეგე მხარე უნდა

დაერწმუნებინა, რომ მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობით ერთ ტერიტორიაზე ორი ერთმორწმუნე უფლებამოსილი ეკლესიის არსებობა ყოვლად დაუშვებელი იყო, რომ იქ მცხოვრები ყველა ქრისტიანი ერი ემორჩილება ადგილობრივ ნაციონალურ ეკლესიას, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა გარეშე ეკლესიის მიერ ადგილობრივი ეკლესიის უფლებების შელახვას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე, ქართველმა საზოგადოებამ მკაცრად დაგმო სინოდის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება და შენიშნა, რომ ქართული ეკლესიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მის ეროვნულ, ისე ტერიტორიულ ავტოკეფალიას. რომ ქართული ეკლესიის მხოლოდ ეროვნული დამოუკიდებლობა ერთმანეთს დაუპირისპირებდა არაქართველ და ქართველ მრევლს. ქართულმა ეკლესიამ მიიჩნია, რომ საქართველოს რუს მოსახლეობას თავისი ეპისკოპოსი ჰყოლოდა, რომელიც მსოფლიო საეკლესიო კანონების თანახმად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს დაემორჩილებოდა*.

აღნიშნულის შესახებ 1917 წლის 23.III-ის დეკლარაციაში ქართულმა ეკლესიამ ა/კ-ის კომისარიატის დროებითი ხელისუფლებისაგან მოითხოვა ავტოკეფალიის ტერიტორიული საზღვრების აღიარება. დეკლარაციის მიხედვით, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა მთელი მართლმადიდებელი მოსახლეობა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიიდან, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებიდან, ბათუმისა და აფხაზეთ-ბზიფის (ბიჭვინთიდან გაგრამდე) რეგიონებიდან, სოჭის ოლქზე მიმაგრებული მართლმადიდებელი მრევლი (19,18). 1917 წლის 17 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა კირიონ II (7,183). უწმინდესმა სინოდმა კი აღნიშნული დადგენილება საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის საბაბად გამოიყენა და საქართველოს რუსი მრევლისადმი გამოგზავნილი ეპისტოლეებითა და ქართული ეკლესიისადმი დაუმორჩილებლობის პროპაგანდით კიდევ უფრო დაძაბა ორ ერს შორის ურთიერთობა. (80,12-13)

---

* მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების მე-17 მუხლი

უწმინდესმა სინოდმა საქართველოში დახურა რუსული სამრევლოები, აღნიშნულს იურიდიული ფორმაც მისცა და 1917 წლის 10.7-ს N 4423-ის დადგენილებით უწმინდესმა სინოდმა შეიმუშავა დროებითი წესები ა/კ-ის რუსული ეკლესიისათვის შემდეგ გუბერნიებში: თბილისის, ელიზავეტოპოლის, ბაქოს, ერევნის, ქუთაისის და შავიზღვისპირეთის ოლქებში: ყარსის, ბათუმის, იმიერკასპის, ართვინის, ზაქათალის და სოხუმის. დადგენილება მოიცავდა 5 პუნქტს: 1. კავკასიის რუსულ საეგზარქოსოში შედიან რუსი მართლმადიდებლები და არაქართული მოსახლეობა სურვილის მიხედვით; 2. საეგზარქოსოს კათედრა არის თბილისში; 3. ეგზარქოსი იწოდება თბილისის მიტროპოლიტად და კავკასიის ეგზარქოსად; 4. საეგზარქოსო იყოფა ეპარქიებად, რომლებსაც მართავენ ეპისკოპოსები და ექვემდებარებიან ეგზარქოსს; 5. საეგზარქოსოს მართავს სასამართლო-ადმინისტრაციული და საეკლესიო-საგანმანათლებლო დაწესებულებანი (19,28). დადგენილება იმავე წელს განიხილა და დაამტკიცა რუსეთის დროებითმა მთავრობამ.

საქართველოს ეკლესიამ მრავალგზის სცადა აღედგინა ტერიტორიული უფლებით საეკლესიო მეზობლური ურთიერთობა უწმინდეს სინოდთან, ქართული სასულიერო მოღვაწენი მთელი ძალისხმევით მეცადინეობდნენ, რათა საქართველოს არაქართველი მართლმადიდებელი მრევლი დაერწმუნებინა ქართული ეკლესიის მათდამი კეთილგანწყობილებაში, მათი ეროვნული უფლებების შეუზღუდველობაში: ... "ძენო და ასულნო ჩვენთვის ძვირფასო რუსეთის ეკლესიისანო! ნუ ერწმუნებით მაცდურ სიტყვას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ძმას ძმაზე ამხედრებდა. ეს შემაძრწუნებელი ხმები ამოდის იმათ გულიდან, რომელნიც მხოლოდ შურით სუნთქავენ, სხვისი სიკეთილი სწყურიათ და ეწაფებიან ძმის სისხლს, გამონადენს მათგანვე ჭრილობათაგან. ... ქართველი სამღვდელოება თანაზიარ და ძმურ სამუშაოდ თქვენთან ერთად განსახორციელებლად სახელმწიფოებრივ ახალ დებულებათა და შესამუსრავად შეუპოვარ და მძლავრის მოწინააღმდეგისა, რომელიც არის ყველანაირ თავისუფლებათა უბოროტესი მტერი" (23, 24-25) ასე მიმართავდა ეპ. ლეონიდე

(ოქროპირიძე) რუს მრევლს, მაგრამ მდგომარეობა კვლავინ-დებურად უცვლელი რჩებოდა.

უეკლესიოდ დარჩენილი რუსი მოსახლეობა, რომლის რაოდენობრივი მაჩვენებელი საარქივო მონაცემებით საქარ-თველოში იმხანად 308684 ერთეულს უდრიდა, სხვადასხვა სექტებში ერთიანდებოდა. ამ და სხვა გადახრების წინააღმდეგ ბრძოლას აქტიურად აწარმოებდა კავკასიის საეგზარქოსო, რამეთუ, არსებული გარემოება ძირს უთხრიდა რუსული საეკლესიო ინტერესების გამარჯვებას კავკასიაში. ასეთი იყო ის ისტორიული წინამძღვრები, რომლებიც წინ უსწრებდა საბჭოთა პერიოდში გაგრძელებულ ბრძოლას ქართული ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.

როგორც უკვე აღინიშნა, თვითმპყრობელობის დამხობა რუსეთში არ მოასწავებდა დამკვიდრებული მმართველობის პოზიციის შეცვლას საქართველოსა და საერთოდ კავკასიასთან მიმართებაში. რუსეთის ახალი წყობა კვლავინდებურად დაინტერესებული იყო საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობით, მისი რუსეთის გავლენის სფეროში მოქცევით. ამ საქმეში კი ისტორიული გამოცდილებით, ტრადიციულად ისევ რუსულ ეკლესიას უნდა ეტვირთა წამყვანი მოვალეობა. რუსეთში მიმდინარე ხანგრძლივმა რევოლუციურმა და საგარეო ომებმა საძირკველი შეურყია როგორც რუსულ სახელმწიფოებრივ აპარატს, ისე მის იდეოლოგს - ეკლესიას, ამიტომ, ბუნებრივი იყო ის მძიმე და კატაკლიზმებით აღსავსე დაძაბული ცხოვრება, რომელსაც რუსული ეკლესია ეწეოდა მრევლთან, თუ საერო ხელისუფლებასთან ურთიერთობაში, რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას უნდა მოენახა ახალი გზები საერო მთავრობასთან თანამშრომლობაში, რაც შეუნარჩუნებდა ეკლესიას სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ არსებობას და ამავდროულად დააკმაყოფილებდა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს; გაამარ-ჯვებინებდა მას კავკასიის სარწმუნოებრივ ბრძოლაში. რუსული ეკლესიის მხრიდან რთულად გარკვევა პოლიტიკურ ლაბირინ-თებში არ უნდა იყოს გასაკვირი, რამეთუ პარალელურად ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი რუსეთის სახელმწიფოს სამომავლო სისტემა; მიმდინარეობს ძალთა

დაპირისპირება, უფლებათა გადანაწილების რთული და შეუპოვარი ბრძოლა. აქედან გამომდინარე, უჭირს რუსულ ეკლესიას. თუ მხედ-ველობაში მივიღებთ რუსული ეკლესიისა და და საერო ხელისუფლების ერთსულოვან ინტერესებს კავკასიაში (ამ საქმეში, ისინი ყოველთვის ჰარმონიულად თანამშრომლობდნენ და საამისო არა ერთ ფაქტსა და მოვლენას იცნობს ქართული და რუსული ისტორიოგრაფია). ნათელი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ რუსული ეკლესიის შიდა უწესრიგობა პირდაპირ ზემოქ-მედებდა საქართველოში მცხოვრებ არაქართველი მოსახ-ლეობის სულიერ ცხოვრებაზე, რაც უდაოდ ამღვრევდა ქარ-თულ ეკლესიაში დამოუკიდებლობის საბოლოო მოპოვები-სათვის ჯერ კიდევ გამძაფრებულ ბრძოლას. ქართული ეკლესიის მესვეურნი კვლავინდებურად იღწვიან რუსეთის სასულიერო ხელისუფლებისაგან ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების მოპოვებას. რადგან, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვება პირდაპირ იყო დაკავშირებული რუსეთის ეკლესიის შიგნით მიმდინარე პროცესებთან, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ წარმოდგენილ ნაშრომში მიმოგვეხილა XX ს-ის 10-იანი წლების მიწურულიდან, ვიდრე 20-იანი წლების ბოლომდე რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდგომ, რუსეთის ეკლესიამ, დროებითი მთავრობისაგან მიიღო პატრიარქობის აღდგენის უფლება. 1917 წლის 5 ნოემ-ბერს რუსეთის ეკლესიის პატრიარქად არჩეულ იქნა ტიქონი. (20,12)

დროებითი მთავრობის მიერ ამ ნაბიჯის გადადგმა გამოწ-ვეული იყო არა საეკლესიო კანონიკური ინტერესების დაცვის მიზნით, არამედ პოლიტიკური მოტივებით. ეკლესიას ესაჭიროებოდა მხარის დამჭერი, რომელიც მართლმადიდებ-ლობის დროშის ქვეშ გააერთიანებდა ძალებს მოსალოდნელი სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

პატრიარქობის აღდგენა რუსეთში თანმხვედრი პროცესი აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, რუსული

ეკლესიისათვის უკვე ცნობილი იყო სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულება სარწმუნოებისადმი და ეკლესიამ იმის შიშით, რომ მოსალოდნელი რევოლუცია მის ინტერესებს არ დაიცავ-და, თავდაცვის მიზნით უახლოეს კრებაზე მიიღო დადგენი-ლების პროექტი სახელმწიფოში რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის, მისი უფლებრივი მდგომარეობის შესახებ (20,18-19).

ეკლესია იმედოვნებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ გააღიზიანებდა მასებს და მმართველობის ისეთ ფორმას შეიმუშავებდა, სადაც ეკლესიას თავისი ადგილი ექნებოდა. მაგრამ, როდესაც პირველი საბჭოთა დეკრეტი მიწის შესახებ ამოქმედდა და ის საეკლესიო მიწებსაც შეეხო, დაიწყო მათი ნაციონალიზაციის პროცესები, გამოაშკარავდა სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი. აქტიურად დაიწყო ეკლესიის დამანგრეველი ეტაპი, რისთვისაც სახელმწიფო წყობილება თანდათანობით, გადამჭრელ ღონისძიებებს ატარებდა.

აღნიშნულმა ვითარებამ რუსეთის სამღვდელოების პროტესტი გამოიწვია; საკუთარი უფლებების დაცვას სათავეში ჩაუდგა რუსული ეკლესიის მამამთავარი, პატრიარქი ტიქონი. სისტემატური ხასიათი მიეცა პატრიარქ ტიქონის მოწოდებას, რუსეთის ყველა ეპარქიაში, რომლებიც ითვალისწინებდა მორწმუნე ერის დაუმორჩილებლობას საბჭოთა ხელისუფლე-ბის კანონიერებისადმი, ხოლო ისინი, ვინც პატრიარქის მოწოდებას არ შეასრულებდა გადაეცემოდა ანათემაზე. (20, 86). სამღვდელოების მეცადინეობას უკვალოდ არ ჩაუვლია. ხალხთა საკმაოდ ფართო მასები საბჭოთა ხელისუფლებას დაუპირისპირდა. ძიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ყო-ველ ღონეს ხმარობდა შეეჩერებინა საეკლესიო გამოსვლები, ის სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენდა. ხშირი იყო წითელ არმიასთან შეტაკების შემთხვევები, აუარებელი მსხვერპლი, მაგრამ კომპრომისი ხელისუფლების მხრიდან არ ჩანდა, პირიქით ზეწოლა ეკლესიაზე უფრო დამძიმდა. აღნიშნული პერიოდი ცნობილია რუსეთის ისტორიაში სის-ხლიანი რეპრესიებით, ეკლესია-მონასტრების მასიური განად-გურებით და ა.შ. ამასთან, საერო ხელისუფლება ნაცად ხერხს მიმართავდა, აგენტურის

მეშვეობით ცდილობდა ეკლე-სიის შიგნიდ განხეთქილების ჩამოგდებას, რაც საშუალებას მისცემდა შეეჩერებინა საბჭოური პოლიტიკით გაღიზიანებული ხალხთა მღელვარებანი. გააქტიურდა სამღვდელოების იმ ნაწილის გადმობირება, რომელიც უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებას სხვადასხვა მიზეზებით ემდუროდა და ახალ ხელისუფლებასთან შეთანხმებული მოქმედებით თავიანთი საქმეების მოხერხებულად წარმართვას ლამობდა. აღნიშნული, მთავრობას საშუალებას აძლევდა მკაცრი რეპრესიებისათვის მიემართა. საბჭოთა მთავრობას ესაჭიროებოდა ისეთი ძალა, რომელიც დათრგუნავდა ანტისაბჭოურ რუსულ ეკლესიას. ამით იყო განპირობებული 1918წ. მარტში პეტროგრადში სასულიერო პირთა ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელმაც მხარი დაუჭირა ახალ საეკლესიო-პოლიტიკურ კურსს. ახალი საეკ-ლესიო ორგანიზაცია, თავს "ცოცხალ ეკლესიას," ხოლო მიმართულებას "ობნოვლენიას" (აქედან გამომდინარეობს "ობ-ნოვლენები" მ.ბ.), უწოდებდა. მან აქტიური მუშაობა გააჩაღა პატრიარქ ტიქონის წინააღმდეგ. ის პატრიარქს ადანაშაულებ-და საეკლესიო კურსის ჩიხში შეყვანაში და მოითხოვდა მის მიერ პატრიარქის ხარისხის ჩამოხსნასა და გადადგომას (20,20), რასაც მიაღწია — ის პატიმრობაში აიყვანა.

ამრიგად, რუსეთის სახელმწიფოებრიობის ისტორიაში შეიქმნა ახალი ყაიდის ეკლესია, რომელიც ძველისაგან განსხვავებით არა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი არსებობის პრეტენზიას აცხადებდა, არამედ მისი პოლიტიკის განმახორციელებელი და იდეოლოგი გახდა. საბჭოთა ხელისუფლება გახდა წყალგამყოფი ზოლი ტიქონელებისა და ობნოვლენელებისათვის, თეთრი და შავი სამღვდელოები-სათვის, კონტრევოლუციონერებისა და რევოლუციონერები-სათვის. სასტიკად აიკრძალა და საღვთისმსახურო პრაქტიკიდან ამოღებულ იქნა პატრიარქის მოხსენება, სრულიად უცერემონიოდ თავისუფლდებოდნენ ტაძრებიდან ის ღვთისმსახურნი, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ ობნოვლენელების წინააღმდეგ. (20,29)

ამრიგად დასრულდა რუსული ეკლესიის სახელმწიფოსაგან

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის 200 წლიანი ისტორია, საბჭოურმა პოლიტიკამ, ეკლესიაში ჩამოგდებული განხეთქილების მეშვეობით შესძლო რუსულ ეკლესიაზე გამარჯვება.

შემდგომი პერიოდიდან, საბჭოთა მთავრობამ ობნოვლენელების სწრაფვა საეკლესიო ძალაუფლების ხელთგდებისათვის, დროებით შეაჩერა. მთავრობამ 1924 წლის 21 მარტს გამოსცა დადგენილება, რის საფუძველზეც პატრიარქი ტიქონი საბჭოთა ხელისუფლებამ შეიწყალა იმ მოტივირებით, რომ იგი საბჭოთა ხელისუფლებისათვის საშიშროებას აღარ წარმოადგენდა (20,29).

20-იანი წლების შუა პერიოდიდან საბჭოთა ხელისუფლება ეკლესიის მიმართ არბილებს პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებს. აღნიშნული, რამდენიმე პირობით იყო განპირობებული — ჯერ ერთი, 20-იან წლებში ხელისუფლების მიერ ჩატარებულმა რეპრესიებმა, რომელშიც განსაკუთრებით სასულიერო ფენა დაზარალდა, გამოიწვია მოსახლეობის აღშფოთება; განსაკუთრებით ეს ითქმის საბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარე ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე, სადაც მთელი სისმწვავით წარმოჩინდა ნაციონალური საკითხი, და, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა ქართველი სამღვდელოებაც (მხედველობაში გვაქვს 1924 წლის ამბოხება და ამ საქმეში ქართული ეკლესიისა და მისი კრებულის წვლილი). ამ შემთხვევაშიც, საქართველოში, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნა უშუალოდ იყო გადაჯაჭვული ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებასთან. მერე პირობად შესაძლებელია მივიჩნიოთ ის მძიმე ეკონომიკური ვითარება, რომელიც ახალშექმნილ სახელმწიფოში სუფევდა; მატერიალური სიდუხჭირე მოსახლეობაში სულიერ კრიზისს იწვევდა, რაც ქვეყნის პოლიტიკურ კურსს სერიოზულად ვნებდა. მთავრობას ესაჭიროებოდა მორჩილი, მომთმენი და ერთგული მასა, რომელ საქმეშიც მას ყველაზე ნაყოფიერ დახმარებას ეროვნული ეკლესიები გაუწევდნენ და ის სასულიერო პირები, რომლებიც ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. აღნიშნულით იყო გამოწვეული ასეთი

სასულიერო პირების პატიმრობიდან განთავისუფლება, მისი იდეოლოგიური შემზადება და საბჭოთა სახელმწიფოს სამსახურში ჩაყენება. მათ შორის იყო რუსეთის ყოფილი პატრიარქი ტიქონიც, რომელიც ხელისუფლებამ გაანთავისუფლა და ამით ხალხთა მასების გული მოიგო. იგივე ითქმის საქართველოსადმი მიმართებაშიც. ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას მიმართაც. შემდგომ პერიოდში, საბჭოთა წყობილება გამორჩეულ ლოიალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ქართული ეკლესიისა და მისი სასულიერო კრებულის მიმართ. ეს განსაკუთრებით ითქმის კათალიკოს-პატრიარქზე - ხალხის სულიერ მწყემსმთავრებზე, რამეთუ მათი ავტორიტეტი მასებში, ამ უკანასკნელთა აზროვნებას რადიკალურად ცვლიდა. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ მიზეზი იმისა, რომ ამ დროიდან მოყოლებული ქარველი სასულიერო მამები ცდილობენ სახელმწიფო პოლიტიკის შებურვილი აღიარებით გააკეთონ ქართული საქმე, გადაარჩინონ ეროვნული ეკლესია საბოლოო განად-გურებისაგან.

საბჭოური პოლიტიკით გამოწვეული საეკლესიო განხეთქილება რუსეთში უკიდურესად მწვავე ხასიათს იღებდა, რაც სახელმწიფოს ინტერესებში აღარ იყო. ობნოვლენურმა მიამართულებამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა, მან პირნათ-ლად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა — შეუკვეცა ფრთები ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევებული არსებობის სურვილს, დაუქვემდებარა ის სახელმწიფოს და სოციალისტური წყობისათვის ხელისშემშლელ პირობად იქცა, პატრიარქი ტიქონი აქტიურად იწყებს ახლებური სასაულიერო ორგანოს ჩამოყალიბებას. მან თანამებრძოლ ავტოკეფალისტებს მოუწოდა ობნოვლენელებთან შემორიგებისაკენ, მაგრამ ამავდროულად, არ იყო საეკლესიო რეფორმის რადიკალურად მომხრე. ის უკავშირდება რესპუბლიკათა მართლმადიდებლური ეკლესიების მეთაურებს და მათთან თანამშრომლობით ცდილობს საბჭოთა წყობის პირობებში ეკლესიის მეტ-ნაკლები უფლებების შენარჩუნებას, მსოფლიოს საეკლესიო კრებათა კანონმდებლობის დაცვას. ასეთთა რიცხვში იყვნენ ქართველი

მღვდელმთავრები, რომლებიც ამ შემთხვევაშიც პროგრესულად მოაზროვნე რუს სასაულიერო ფენებთან ერთად, ცდილობენ ეროვნული ეკლესიის უფლებათა დაცვას.

რუსეთის ხელისუფლების "გათიშე და იბატონეს" პოლიტიკამ ეკლესიაში სავალალო შედეგი მოუტანა სსრკ-ს სახელმწიფოებრიობას. საბჭოთა კავშირის ფართო ტერიტორიაზე, საერთო პოლიტიკის განხორციელებისათვის მთავრობას ყველა სფეროს ცენტრალიზაცია ესაჭიროებოდა, ბუნებრივია, ეს საკითხი ეკლესიასაც ეხებოდა: სახელმწიფო პოლიტიკურ კურსს დაქვემდებარებული რუსული ეკლესია საეკლესიო მმართველობის ცენტრი უნდა ყოფილიყო ყველა რესპუბლიკის მართლმადიდებლური ეკლესიისათვის. საქმე კი სხვაგვარად წარიმართა. რეგიონალურმა ეკლესიებმა, რუსულ ეკლესიაში მიმდინარე განხეთქილებით ისარგებლეს და წინ წამოსწიეს ავტოკეფალობის აღიარების საკითხი. ბრძოლა საეკლესიო ორ დაჯგუფებას შორის რეგიონალურ ეკლესიებზეც განევრცო. ორივე მხარე იბრძვის სამრევლოებზე ძალაუფლების მოპოვებისათვის. ობნოვლენელები იბრძვიან საქართველოს ეკლესიაში შეღწევისათვის, ქართველ სამღვდელოებას ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას ჰპირდებიან, თუ მათ მუშაობის პირობას შეუქმნიდნენ საქართველოში. ქართული წერილობითი წყაროები საამოსო ცნობებს საკმაოდ გვაწვდიან (79,6). ობნოვნელური მიმართულების წინააღმდეგ ბრძოლამ განსაკუთრებული სახე მიიღო მიტროპოლიტ სერგის ხელმძღვანელობით. მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას, დადგა ხელსაყრელი პერიოდი რუსულ ეკლესიაში პატრიარქობის აღდგენისათვის. უმაღლესმა ხელისუფლებამ დააფასა ეკლესიისა და მისი ხელმძღვანელის როლი დიდ სამა-მულო ომში და ნება დართო ეკლესიას 1943 წლის 8 სექ-ტემბერს მოეწვია მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა კრება, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ასარ-ჩევად და პატრიარქთან არსებული წმინდა სინოდის შესაქ-მნელად. ეპისკოპოსთა კრებამ მიტროპოლიტი სერგი ერთსულოვნად აირჩია მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად.

კრებამ ერთხმად მიიღო მიტროპოლიტ სერგის მიმართვა

სსრ კავშირის მთავრობისადმი, რომელშიც გამოხატული იყო მადლობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიისადმი გამოჩე-ნილი ყურადღებისათვის (24,3). სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საბჭოთა ხელისუფლებისა და რუსული ეკლესიის ინტერესები რეგიონალური მართლმადიდებლური ეკლესიების მიმართ, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ქართული ეკლესია. საბჭოთა მთავრობა თავისი პოლიტიკის გამტარებელ ერთგულ რუსულ ეკლესიასთან ერთად ეძიებს გზებსა და ხერხებს ქართულ ეკლესიაზე სრული უფლების მოპოვებისათვის და ამ საქმეში იძულებულია გაითვალისწინოს ქართული ეკლესიის დიდი ხნის მოთხოვნა - ატოკეფალიის აღიარება.

სრულიად რუსეთის პატრიარქის არჩევას კმაყოფილებით შეხვდა საქართველოს ეკლესია. ქვეყნის პოლიტიკურმა ვითარებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა, საქართველოს ეკლესიის უფლებათა აღიარებისათვის. კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ ისეთი პოზიცია შეიმუშავა, რომელიც ადგილიდან დაძრავდა ქართული ეკლესიისათვის მეტად საშურ საქმეს - აღედგინა ძმური ურთიერთობა ორ ერთმორწმუნე ეკლესიათა შორის, რომლის შედეგიც იქნებოდა რუსეთის მხრიდან ქართული ეკლესიის ავტოკეფა-ლიის აღიარება რასაკვირველია, ამ შემთხვევაში გასათვალის-წინებელია ის საშინაო და საერთაშორისო ვითარებანიც, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის ორმოციანი წლების მღელვარე ცხოვრებაში. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასეთ პირო-ბად მეორე მსოფლიო ომი უნდა მივიჩნიოთ. სამამულო ომში ქართული ეკლესიის დიდი დამსახურება, საქართველოს ეკლესიის მეთაურს უფლებას აძლევდა, რომ ერთხელ კიდევ აღეძრა რუსული ეკლესიის მიერ ეროვნული ეკლესიის დამო-უკიდებლობის აღიარების საკითხი. ამ მიმართულებით, საქარ-თველოს კათალიკოს-პატრიარქი, კალისტრატე იწყებს დიპლომატიურ მუშაობას და საბაბად იყენებს რუსულ ეკლე-სიაში პატრიარქობის სოციალური ინსტიტუტის აღდგენას.

1943 წლის 14 სექტემბერს კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ დეპეშა გაუგზავნა სრულიად რუსეთის პატრიარქს სერგის და მიულოცა ამ უმაღლეს იერარქიაზე

არჩევა. გამოთქვა იმედი, რომ დები ეკლესიები რუსული და ქართული იცხოვრებდნენ ერთმანეთთან მშვიდობით და თანაზიარად, ღვთის სადიდებლად და შეთანხმებით (80,29). საპასუხო დეპეშა, რომელიც პატრიარქმა სერგიმ გამოგზავნა თბილისში, გამოხატავდა ქართული ეკლესიის გამოხმაურებით გამოწვეულ უდიდეს სიხარულს. მან გამოთქვა სურვილი, რომ "თანაცხოვრება ეკლესიებისა ხელს შეუწყობდა ამ ორ ხალხს შორის ურთიერთობის კვლავ უფრო გაღრმავებას" (80, 29).

აღნიშნული ვითარება, სსრკ-ს პოლიტიკური კურსის სისხლხორცეული ნაწილი იყო. ხელისუფლებისათვის აშკარა გახდა, რომ ქართული ეკლესიის მორჩილებაში მოყვანისათვის უკვე მომწიფებული ვითარება შეიქმნა და აქტიურ ქმედებაზე გადავიდა. ომის წლებში საბჭოთა მთავრობას განსაკუთრებით ესაჭიროებოდა ერთიანი, დარაზმული არმია სოციალიზმის დაცვისა და შენარჩუნებისათვის. მხოლოდ ასეთი მეთოდით იყო იმ ეტაპზე შესაძლებელი ქვეყნისა და მისი პოლიტიკური კურსის გადარჩენა. სახელმწიფო ხელისუფლებას მოხდა სერიოზულ კომპრომისზე წასვლა და ეს კომპრომისი ქართული ეკლესიის უფლებამოსილების აღიარება იყო რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მხრიდან. მე-20 საუკუნის 40-იანი წლები სწორედ ასეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენის შემამზადებელი ეტაპია, რომელიც ქართული ეკლესიისათვის წარმატებით დაგვირგვინდა.

ორი საეკლესიო იერარქის ურთიერთობისაკენ ლტოლვამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ 1943წ. 28 ოქტომბერს დაიწყო ძთელ რიგ საკითხებზე ''ძებაძზადებელი ძოლაპარაკებები. ამ მისიით რუსეთის პატრიარქმა სერგიმ საქართველოს საკათალიკოსოში წარმოგზავნა მისი წარმომადგენელი, სტავროპალისა და პიატიგორსკის არქიეპისკოპოსი მეუფე ანტონი. საქართველოს სასულიერო ხელისუფლებასთან შეხვედრისას არქიეპისკოპოსმა ანტონმა აღნიშნა, რომ ის პატრიარქისაგან მოვლინებული იყო საქართველოს ეკლესიის ხელისუფლებასთან, რათა ადგილზე გაბოერკვია რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის ლოცვითი და კანონიკური განხეთქილების ლიკვიდაციის საშუალებანი. მან საეკ-

ლესიო კანონმდებლობიდან გამომდინარე აღნიშნა, რომ საეკ-ლესიო საზღვრები უნდა დამთხვეოდა სამოქალაქოს, რომ რუსული საპატრიარქო თანახმა იყო ელიარებინა საქარ-თველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია საქარ-თველოს სსრ-ს საზღვრებში. პარალელურად, მან ქართული ეკლესიისაგან კატეგორიულად მოითხოვა სახელმწიფო პოლიტიკური კურსის აღიარება, მისდამი ერთგულება, რაც უნდა გამოხატულიყო რუსული ეკლესიის ანტიკანონიკური დაჯგუფების უარყოფაში, მათთან ყოველგვარი ურთიერთობის აღკვეცაში. იმისათვის, რომ ეკლესიათა შორის ლოცვითი გაერთიანება წმინდა კანონების დაცვის საფუძველზე მომხდარიყო, მისი უწმინდესობის საქართველოში წარმომად-გენლობითი მოვალეობა იყო: ამომწურავად და შეძლების-დაგვარად, წერილობითი ფორმით, ქართული ეკლესიის მესვეურთ ეპასუხათ რიგ კითხვაზე, რომლებზეც პასუხსაც უნდა გადაეწყვიტა ქართული ეკლესიის ბედი. ასეთ კითხვათა შორის იყო: რა ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოს ეკლესია ანტირუსულ საეკლესიო დაჯგუფებებთან?

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს კითხვაზე ვრცელი პასუხის გაცემა მოუხდა. მან მოკლე ისტორიული ექსკურსით მიმოიხილა ქართული ეკლესიის ერთგულება მართლ-მადიდებლური ორთოდოქსალური რწმენისადმი: დაიმოწმა გიორგი მთაწმინდელის სიტყვა წარმოთქმული 1053 წელს ანტიოქიის პატრიარქის პეტრე მესამის წინაშე, ასევე, მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ქართლის მეფის თეიმურაზ პირველისა და ოდიშის მთავრის ლევან ძეორის დადიანის წარგზავნილ ქართველ სამღვდელოებათა შეხვედრა რუსეთის სასულიერო პირებთან, სადაც ქართველებს მოუწიათ დამტკიცება, რომ კათოლიკურ აღმსარებლობას არ იზიარებ-დნენ (6,49) და მართლმადიდებლური მრწამსის ერთგული დამცველი იყვნენ; პატრიარქმა ასევე დაიმოწმა მოსკოვის მიტროპოლიტ ფილარეტის სიტყვები (1867წ.), რომელმაც საქართველოს ეკლესია მოიხსენია - "უძველესი მართლმადი-დებლობის ერთგულ მცველად და რუსული ეკლესიის მართლმადიდებლობის მოწმედ". (80,20). კათალიკოს-

პატრიარქის შენიშვნით, ქართულ ეკლესიას არ გააჩნდა ანტიკანონიკური გადახრა, რომელიც ხელს შეუშლიდა რუსეთსა და საქართველოს ეკლესიებს შორის ლოცვით, კანონიკურ ურთიერთობათა აღდგენას. (80,23).

ქართველი და რუსი სასულიერო პირების შეხვედრაზე წამოიჭრა კიდევ არაერთი კითხვა, სახელდობრ: ჰყავდათ თუ არა მათ დაოჯახებული ეპისკოპოსები? არიან თუ არა მეორედ ქორწინებაში მყოფი სასულიერო პირნი? ხომ არა აქვთ ლოცვითი ურთიერთობანი ანტიკანონიკურ ჯგუფებთან, რომლებიც განკვეთილნი და განკიცხულნი არიან რუსული ეკლესიიდან და მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კათალიკოს-პატრიარქმა დაარწმუნა იგი ამომწურავი პასუხებით, არქიეპისკოპოსმა ანტონმა მისი უწმინდესობის მოსკოვის პატრიარქის მიერ ბოძებული უფლებამოსილებით, კანონიკურად შესაძლებლად ჩათავლა ეთხოვა ნებართვა ერთობლივ მსახურებაზე, რომელიც შედგა 1943 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს უძველეს საკათედრო ტაძარში სიონში, რითაც ფაქტიურად აღსდგა ლოცვითი თანაზიარება ორ ეკლესიას შორის. საღმრთო ლიტურგიის მსახურებაში კათალიკოს-პატრიარქისა და არქიეპისკოპოსს ანტონის გარდა მონაწილეობდნენ: ყოვლადუწმინდესი დიმიტრი, ნინოწმინდის ეპისკოპოსი, კათალიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი და თბილისის ქართველი და რუსი დაბალი სამღვდელოება. აღნიშნული მოვლენა მიმანიშნებელი იყო რუსული ეკლესიის მხრიდან ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებისა (8,25).

ლოცვით-კანონიკური ურთიერთობის აღდგენა რუსეთსა და საქართველოს ეკლესიებს შორის იყო უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა საქართველოს ისტორიაში. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ საეკლესიო-პოლიტიკური კურსის ის ნაწილი იყო, რომელიც დიდი ბრძოლით, პოლიტიკური სიფრთხილითა და არაჩვეულებრივი სიბრძნით გადაწ-ყვიტა საქართველოს ეკლესიის იმდროინდელმა ხელმძღვა-ნელობამ, კათალიკოს-პატრიარქის კ. ცინცაძის საეკლესიო პოლიტიკური სიბრძნე თვით არქიეპისკოპოსმა ანტონმაც აღნიშნა: "პატივი და დიდება თქვენ, რადგან

თქვენ პირველი იყავით სიყვარულისა და მშვიდობის ინიციატორი ორ ეკლე-სიას შორის! პატივი და დიდება თქვენ, რომ პირველმა მოი-სურვეთ და შეიცანით ორ წმინდა ღვთიურ ეკლესიებს შორის ლოცვით და კანონიკურ ურთიერთობათა აღდგენის მნიშვ-ნელობა და აუცილებლობა! ... როგორ შეიძლება გაჩუმება და როგორ არ მივესალმოთ თქვენს უწმინდესობას თქვენი სულიერი ხედვით სიძლიერისა და თქვენი დროული და ღირსეულად საქები მტკიცე განზრახვისათვის?!" (46,15-16).

არქიეპისკოპოსმა ანტონმა თავის მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა რუსი ხალხის რელიგიურ თავისებურებებზე და მათი ინტერესების დაცვაზე საქართველოში. იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მთელ ერუდიციას მოახმარდა და გაითვალისწინებდა მის საკათალიკოსოში მყოფი რუსი ხალხის რელიგიურ თავისებურებებს, შევრდომილთ ეკლესიური წეს-ჩვეულებებისადმი; პატივისმცემელთ დიდი ეკლესიური დღესასწაულებებისადმი: მოყვარულთ ეკლესიური ღვთისმსახურებისა და ტაძრებისა და მიუჩენდა მათ ისეთ მღვდელთმსახურთ, რომლებიც გაითავისებდნენ ამ განსაკუთრებულებას და თავიანთ საღვთისმსახურო განწყო-ბით, სათანადო გულმოდგინებითა და კეთილკრძალულებით აღასრულებდნენ მათთვის ღვთისმსახურებას.

საეკლესიო პარაკლისისა და საბჭოთა სახელმწიფოს, მისი მმართველობისა და მხედრობის დღეგრძელების შემდეგ წარმოითქვა მრავალჟამიერი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქისა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისადმი.

ნიშანდობლივია, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კ. ცინცაძის მიმართვა რუსეთის პატრიარქ სერგისადმი, სადაც წარმოჩენილია ამ უკანასკნელის ღვაწლი და დამსახურება ეკლესიის წინაშე. კათალიკოს პატრიარქი მეუფე სერგის ღვაწლს საქართველოს მიმართ არა მარტო დღევანდელობით, რამედ წარსულიდანაც ხსნის: "უწმინდესის ნების გამომ-ხატველი, ჩვენთვის მშვიდობის გამომცხადებელი, სიკეთის მახარობელი (ესაია 52,7) თქვენ ხართ, თქვენო

მაღალუსამ-ღვდელოესობავ, წარსულში ჩვენს შორის დიდხანს მცხოვრები ათ წელზე მეტი ხნის მანძილზე ჩვენი ბავშვების ქრისტიანული სწავლებისა და ღვთისმეტყველებითი შემეცნებით გამამდიდრებელი, ახლა კი არც ისე იოლი შრომის, რუსეთის გულიდან საქართველოს გულისაკენ მოგზაურობის საკუთარ თავზე მტვირთველი". (46,18). საფიქრებელია, რომ რუსეთის პატრიარქს საეგზარქოსოში უმოღვაწია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, სერგის კარგად უნდა სცოდნოდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია, მისი მრევლის ზნე-ჩვეულებანი და მისდამი მიდგომის გზებიც.

მოსკოვს დაბრუნებულმა არქიეპისკოპოსმა ანტონმა საანგარიშო მოხსენებით სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის სერგის წინაშე ასეთი სახის განცხადება გააკეთა: "გამომდინარე იქიდან, რომ რადიკალურად შეიცვალა საქართველოს სახელმწიფოებრივი (იურიდიული) მდგომარეობა, მართალია იგი რჩება სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად, მაგრამ უკვე საბჭოთა კავშირის ნაციონალურ რესპუბლიკებთან ერთად და მათ მსგავსად აქვს თავისი განსაზღვრული სახელმწიფო ტერიტორია და მმართველობა, ამიტომ მართლმადიდებელი რუსული ეკლესია აბარებს რა წარსულს ყოველგვარ სჯულისმიერ ანგარიშსწორებებს და ცდილობს სიხარულით ხელგაშლილი შეხვდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას, რომელიც მუდამ ეძიებდა რუსეთის ეკლესიასთან თანამშრომლობას ლოცვებში და საიდუმლოებებში" (80,15).

აღნიშნულის საფუძველზე, რუსეთის უწმინდესმა სინოდმა განაჩინა: მიიღება რა მხედველობაში, რომ საქართველოს უწმინდესმა კათალიკოს-პატრიარქმა ქართველი იერარქიის სამღვდელო დასისა და სამწყსოს სახელით დაამტკიცა ქართული ეკლესიის უცვლელი გადაწყვეტილება, როგორც წარსულში ასევე აწმყოში და მომავალშიც დარჩეს წმინდა მოციქულთა და წმინდა მამათა მიერ გადმოცემული მართლმადიდებელ სარწმუნოებაში, შეინარჩუნოს და დაიცვას ეკლესიის კანონები, აღიარებულ იქნას:

ა) ყოვლადუსამღვდელოეს სტავროპოლის

მთავარეპისკოპოსის ანტონის მოქმედება კანონიერად, რომელმაც 1943 წლის 31 ოქტომბერს უწმინდეს კათალიკოსთან და მისდამი დაქვემდებარებულ სამღვდელოებასთან ერთად აღავლინა ლოცვა და ევქარისტია. რითაც არ დაარღვია მოსკოვის უწმინდეს პატრიარქის მიერ ყოვლად უსამღვდელოეს მთავრეპისკოპოსისადმი მინიჭებული უფლებამოსილება. ამგვარად:

ბ) ჩვენდა სასიხარულოდ აღდგენილია ლოცვითი და ევქარისტული ურთიერთობა ქართულ და რუსულ ორ ავტოკეფალიურ და-ეკლესიებს შორის:

გ) ეცნობოს მომხდარის შესახებ საქართველოს სსრ-ს ფარგლებში მყოფ მართლმადიდებელ სამწყოსს, და განვუმარტოთ მათ, რომ ამიერიდან მათი ვალია ღვთისმსახურებისას მოიხსენიონ იერარქიული თანმიმდევრობით საქართველოს უწმინდესი კათალიკოსის და სხვა იერარქების სახელები და უეჭველად საიდუმლოთა აღსრულებისათვის მიმართონ ქართველ მღვდელთმსახურებს, როგორც მართლმადიდებლებს:

დ) ეთხოვოს საქართველოს უწმინდეს კათალიკოს-პატრიარქს მიიღოს საქართველოს სსრ-ში მცხოვრები მართლმადიდებელი რუსი მრევლი თავის საჭეთმპყრობილებაში და მიეცეს მათ უფლება შეინარჩუნონ თავიანთ მღვდელმსახურებაში და სამრევლო პრაქტიკაში ის წესები და ჩვეები, რაც მიიღეს მათ რუსული ეკლესიისაგან მემკვიდრეობით;

ე) ეთხოვოს საქართველოს უწმინდეს პატრიარქს მიიღოს თავის გამგებლობაში საეკლესიო საქმეები და სომხეთში მყოფი მართლმადიდებელი რუსი მრევლი, რომლებიც მართალია არ იმყოფებიან საქართველოს სსრ-ს ფარგლებში, მაგრამ მანძილის სიშორის ან სხვა მსგავსი სიშორის გამო უჭირთ მიმართონ რუსულ საეკლესიო მმართველობას. რის შესახებაც ეცნობოს აგრეთვე საქართველოს უწმინდეს კათალიკოს-პატრიარქს, განსაკუთრებული საპატრიარქო მიწერილობით, ასლი გაეგზავნოს საქართველოს სსრ-ს ფარგლებში მყოფ რუს მართლმადიდებელ მრევლს და აგრეთვე ეუწყოს წერი-ლობითი ბრძანება ყოვლადუწმინდეს

ალეუტის მიტრო-პოლიტს. (80,15)

სინოდალური განჩინების შემდეგ რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა სერგიმ წერილი გაუგზავნა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს კალისტრატეს, რომელშიც მიუთითებდა, რომ არ უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რაც იწერებოდა და ითქმოდა ქართული ეკლესიის წინააღმდეგ, თუ მხარდასაჭერად. ასევე, არ უნდა დაიწყოს ურთიერთან-გარიშსწორებანი, რომლებიც ხელს უშლიდნენ მოცემული საკითხისადმი მიუკერძოებელ მიდგომას. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია უკვე აღარ არის ამ ორ ეკლესიას შორის ცილობის საგანი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებში რუსეთის ეკლესია ცნობდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის ავტოკეფალიას მის განჩინებაში: აღავლენდა ლოცვით და ევქარისტულ კავშირს მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და საეკლესიო წესების დოგმატების დაცვის პირობით, კერძოდ, განშორებას ლოცვით ურთიერთობისაგან პირებთან და საზოგადოებებთან, რომ-ლებიც განყენებული იყვნენ ზიარებიდან რუსული მართ-ლმადიდებელი ეკლესიის სამსჯავროს მიერ (80,16).

"უწმინდეს პატრიარქ სერგის მიმართვა საქართველოში მცხოვრებ მართლმადიდებელ რუსებისადმი; საქართველოში მცხოვრეა ყველა სამღვდელოებას, ბერებს და მონაზვნებს"

პატრიარქი აღნიშნავდა, რომ საქართველოსა და რუსეთის ორ მართლმადიდებელ ეკლესიას 25 წლის მანძილზე თავიანთი ცოდვების გამო არ ჰქონდა საშუალება თანაზიარი ყოფილიყო საქართველოს ეკლესიის არც მღვდლებთან და არც მღვდელმთავრებთან, რჩებოდნენ ყოველგვარი სამწყსო და საეკლესიო ნუგეშისცემის გარეშე, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ვერ სწვდებოდნენ რა საეკლესიო უთანხმოების არსს, დადიოდნენ ქართულ ტაძრებში ლოცულობდნენ მღვდელმთავრებთან ერთად და იღებდნენ მათგან ზიარებას, მაგრამ გადიოდნენ რა ტაძრიდან, არ შეიძლება გულში დარწმუნებული ყოფილიყვნენ, კარგს აკეთებდნენ თუ არა. ამ მდგომარეობამ გასტანა არა ერთი და ორი, არამედ 25 წელი.

1943 წელს 31 ოქტომბერს განხეთქილება დამთავრდა, გაბრწყინდა ეკლესიური მშვიდობა და ეჰვი წარსულს ჩაბარდა. რუს მრევლს, მცხოვრებს საქართველოში უფლება ენიჭებოდა კათალიკოს-პატრიარქის მეთაურობით ელოცა მათთან ერთად ტაძარში, მიეღო წმინდა საიდუმლოებანი და ეგრძნო თავი ქართულ ეკლესიაში, როგორც ჭეშმარიტი ღმერთის სახლში.

პატრიარქმა თავის მოწოდებაში აგრეთვე ძალიან შთამაგონებლად მიმართა რუს მორწმუნეთ საქართველოს ეკლესიის უპირატესობაზე: "ვადიდოთ საქართველოს ღვთისსათნომყოფელთა კრებული: საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა სწორი ნინო და მრავალრიცხოვანი ქართველი მოღვაწენი, რომლებიც რუსეთის წმინდა ნათლობამდე მრავალი წლით ადრე უკვე ანათებდნენ მსოფლიოში ქრისტეს მადლით. გვჯერა, რომ ზეცაში განდიდებული საქართველოს ლოცვით, ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის შუამადგომლობით თავის წილხვედრ საქართველოსადმი" (80,16-17)

პატრიარქმა სერგიმ ეს უდიდესი მნიშვნელობის აქტი აუწყა აღმოსავლეთის პატრიარქებს: ყოვლად უწმინდესობისადმი მიმართვაში აღნიშნა,რომ "1917 წელს საქართველოს ეკლესიამ გამოაცხადა თავი ავტოკეფალურად, არ მიუღია რა ამაზე

რუსეთის უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების ნებართვა, რასაც მოჰყვა განხეთქილება ლოცვით ურთიერთობაში მართლმადიდებლურ და ეკლესიებს შორის. პირველ ხანებში ქართველებს ჰქონდათ შერიგების მცდელობა, მაგრამ რუსეთის მხრიდან ეს მცდელობა კატეგორიულად უარყოფილი იქნა. წმინდა სინოდი, როგორც სახელმწიფო დაწესებულება თავს მოვალედ თვლიდა დაეცვა იმპერიის ძირითადი კანონები, რომლის მიხედვითაც მეფის ხელისუფ-ლების იმპერიის მთელ ტერიტორიაზე საეკლესიო საქმეებში მოქმედებდა მხოლოდ სინოდის მეშვეობით. შესაბამისად საქართველოშიც. მაგრამ შემდგომაც, უკვე სინოდის გარეშე, რუსეთის მხარეს ეჭირა იგივე პოზიცია, ნაწილობრივ ინერციით და ნაწილობრივ ქართველთა "თვითნებობაზე" გულისტკივილის გამო. ასე გრძელდებოდა მთელ 25 წელი, - რუსეთში პატრიარქობის აღდგენამდე. ეს აღდგენა გახდა საქართველოს უწმინდეს კათალიკოსისათვის სასურველი მიზეზი, აღედგინა ურთიერთობა რუსეთის ეკლესიასთან დაკავშირებით. მან გამოთქვა სურვილი და იმედი, რომ ამიერიდან ეს ორი ეკლესია იცხოვრებდა ერთმანეთთან მშვიდობით და თანაზიარად ღვთის სადიდებლად.....

..... ანტონის მოხსენების შემდეგ წმინდა სინოდმა გამო-იტანა განჩინება და აღიარა რუსეთის ეკლესიის ურთიერთობის აღდგენა საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიასთან. პატრიარქი გამოთქვამდა რწმენას, რომ მათი უწმინდესობა აღმო-სავლეთის პატრიარქები დაამტკიცებდნენ ამ შერიგებას (80,17).

რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიათა შორის კანონიკურ-ევქარისტული ურთიერთობის აღდგენა, საჭიროებიდან გამომდინარე დიდი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისათვის. ხსენებული აქტის საფუძველზე საქართველოს ეკლესიას საშუალება ეძლეოდა ლოცვით-კანონიკურ ურთიერთობაში შესულიყო მსოფლიო ეკლესიასთან, რომლის წარმომადგენლები იყვნენ: მსოფლიო პატრიარქი უწმინდესი ბენიამინი, ალექსანდრიის პატრიარქი - უნეტარესი ქრისტეფორე, ანტიოქიისა და მთელი

აღმოსავლეთის პატრიარქი - უნეტარესი ალექსანდრე, იერუსალიმის პატრიარქი უნეტარესი ტიმოთე და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი სერგი (46,9-10).

საქართველოში მცხოვრები რუსი მორწმუნენი სიხარულით შეხვდნენ ამ აქტს. განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიესალმენ ქართული ეკლესიის უფლებათა აღდგენას სამამულო ომის შედეგად კავკასიაში და კერძოდ საქართველოში მცხოვრები ევაკუირებული რუსი და სხვა ერის მართლმადიდებლური მოსახლეობა. მიღებული დოკუმენტის საფუძველზე, მათ უფლება ეძლეოდათ საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის ტერიტორიაზე ესარგებლათ ყველა იმ უფლებებით და წეს-ჩვეულებების შენარჩუნებით, რითაც ისარგებლებდა ქართველი მრევლი (80,16).

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებამ განსაკუთრებული აღშფოთება გამიწვია საქართველოსადმი ოპოზიციურად განწყობილი რუსი სამღვდელოების ერთ ნაწილში, რომელიც პატრიარქ სერგის საეკლესიო კურსის მოწინააღმდეგე იყო.

რუსეთის უწმინდესი სინოდის განჩინების საფუძველზე საქართველოში მცხოვრებმა რუსმა მოსახლეობამ ყოველი მხრიდან მიაშურა კათალიკოს-პატრიარქს შუამდგომლობის აღსაძვრელად საქართველოს მთავრობის წინაშე, დროებით დახურული ეკლესიების ამოქმედებისათვის (76,6,) მაგრამ იმ ხანად უშედეგოდ.

საქართველოში რუსული ეკლესიების ამოქმედებას არა ერთი დაბრკოლება აღმოუჩნდა, ჯერ ერთი, საბჭოთა ხელისუფლება ეძიებდა გზებს, რათა რეგიონალურ-ნაციონალურ ეკლესიებს ფართო უფლებები არ ჰქონოდა; მათ უნდა შეემუშავებინათ ისეთი აპარატი, რომელიც ამ უკანასკნელთა საქმიანობის კონტროლს გასწევდა; მცირე მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ გააქტიურდა რუსეთის წმინდა სინოდის მიერ განკვეთილ დაჯგუფებათა მხრიდან საქართველოს რუს სამრევლოთა ხელში ჩაგდების მცდელობა. საქართველოში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდა ის სამღვდელოება, რომლებმაც ავტოკეფალიის (1917წ.) გამოცხადებით განაწყენებულებმა საქართველო მიატოვეს, რუსეთს მიაშურეს

და იქ "ობნოვნელების" დაჯგუფებებს შეუერთდნენ. ისინი შენიღბული ფორმით ცდილობდნენ კათალიკოს-პატრიარქი-საგან მიეღოთ უფლება საქართველოს რუსულ სამრევლოებში შტატებში აღდგენაზე. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი-სადმი გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში" ობნოვნელების "ლიდერი ("პროტოსვიტერი") ალექსანდრე ვედენსკი - პატრიარქისაგან ითხოვდა, რომ "მისი მდივანი იოანე ლოზო-ვი, რომელიც "უწინ" საქართველოს იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიას წინამძღვრობდა დაბრუნებულიყო თბილისში და აღდგენილიყო შტატში (80,1). საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ხელმძღვანელობდა რა რუსეთის პატრიარქის განჩინებით, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა განშორებას ლოცვით ურთიერთობისაგან იმ პირებთან და საზოგადოებებთან, რომელნიც განყენებულნი იყვნენ რუსული ეკლესიის სამსჯავროს მიერ, წინააღმდეგობას უწევდა მოძალადეებს, მაგრამ მათი თავაშვებულობის ალაგმვა ჭირდა. ობნოვნელები და მათი აგენტები რუს საზოგადოებაში ავრცელებდნენ ცრუ ხმებს, თითქოს "საქართველოს იურის-დიქციაში მოხვედრილი რუსი მორწმუნეები, ვერ შეინარ-ჩუნებდნენ თავიანთ ეროვნულ წესჩვეულებებს, არწმუნებდნენ მათ თავიანთ წეს-ჩვეულებების "უმჯობესობაში" და "აზიურის" დევნის აუცილებლობაში" (80,6-9). ყოველივეს გამო, საქართველოს ეკლესიის ტერიტორიულ მთლიანობას კვლავ საფრთხე დაემუქრა. რის საფუძველსაც აშკარად იძლეოდა აფხაზეთსა და აჭარაში შექმნილი ვითარება. საქარ-თველოს ამ რეგიონში ობნოველთა აგრესიამ მთელი სიმძაფ-რით იჩინა თავი. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, აფხაზეთის რუსული ეკლესიები გაუქმებული იყო და ისინი ანტიკანონი-კური საეკლესიო მიმართულების სასულიერო ფენის წარმომადგენელთა თავშესაფარს წარმოადგენდა. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ გარემოებას ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოსთან ერთად ჯერ კიდევ არ არსებობდა ცალკე ორგანო, საქართველოს საეკლესიო საბჭოს სახით, რაც მრევლსა და ეკლესიის

ხელისუფალთ მისცემდა საშუალებას თავიანთი საეკლესიო მოთხოვნილებანი ადგილზევე დაეკმაყოფილებინათ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 1943წ. 8 ოქტომბერს მოსკოვში დაარსდა სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა საბჭო, რომელ-საც საქართველოს ეკლესია დაექვემდებარებოდა, რაც რუსე-თის ეკლესიას საქართველოს ეკლესიის შინაურ საქმეებში ჩარევის შესაძლებლობას აძლევდა.

ამრიგად, ქართული ეკლესიის თვითმყოფადობას ახალი საფრთხე შეექმნა, იმ ძველებურად რუსული ეკლესიის იურისდიქციის დამოკიდებულებაში აღმოჩნდა, რომელზეც კონტროლი სახელმწიფო ხელისუფლებას უნდა გაეწია. ქართული ეკლესიის სასულიერო ფენამ სწრაფად აუღო ალღო მოსალოდნელ საშიშროებას და შესაფერისი ქმედება დაიწყო. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა არაერთგზის აღძრა საკითხი სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების წინაშე საქართველოს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან საკუთარი საბჭოს დაარსების შესახებ, რომელიც საქართველოს ეკლესიას გაუწევდა მეთვალყურეობას, მფარ-ველობა-დახმარებას, (80,86-87) მხოლოდ ასეთი გზით იყო შესაძლებელი რუსული ეკლესიისაგან თავის დახსნა, რომ არ მომხდარიყო მის ხელმძღვანელობასთან და სახელმწიფო ხელისუფლებასთან დაპირისპირება.

საერო ხელისუფლების მხრიდან ამ მიმართულებით ქმედება მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ სასულიერო ტიტულატურიდან ამოღებული იქნა სიტყვა "რუსეთის" და დარჩა "მართლმადიდებელი ეკლესიის", იურიდიულად, საქართველოს რწმუნებული, რუსეთის ეკლესიისათვის რწმუნებულზე მორჩილებაში რჩებოდა (80,86-87). ამ უხერხული მდგომარეობის შესახებ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კვლავ აღძრა საკითხი, ამჟამად უკვე საკავშირო სახკომსაბჭოს "მოსკოვის საბჭოს" ხელმძღვანელთან გ.გ. კარპოვთან. კათალიკოს-პატრიარქი აღნიშნავდა, რომ "მისი, ე.ი. რუსეთის რწმუნებულის საქართველოში დანიშვნა ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ დამოუკიდებელი უხუცესი ეკლესია ემორჩილებოდა უმრწმესს ეკლესიას. კარპოვმა თავის

მხრივ კათალიკოს-პატრიარქს აღუთქვა, რომ ამ საკითხს პირადად შეათანხმებდა ი.ბ. სტალინთან" (80,86-87). კათალიკოს-პატრიარქი ხსენებული საბჭოს რწმუნებულს მიანიშნებდა, რომ ამ საკითხს ჰქონდა არა მარტო ეკლესიური, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც. იგი კატეგორიულად მოითხოვდა:

1. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ საბჭოს დარქმეოდა ან "რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიათა საბჭო" ან "მართლმადიდებელ ეკლესიათა საბჭო".

2. საქართველოს სახკომსაბჭოსთან შექმნილიყო საქართველოს ეკლესიის საქმეთა საბჭო კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ საბჭოს რწმუნებულის თავმჯდომარეობით" (80,87).

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ზემოთხსენებულს იმით ხსნიდა, რომ დიდმპყრობელური აზრებით გაჟღენთილი პირნი ვერ ურიგდებოდნენ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას : ასეთნი ბლომად მოიპოვებოდნენ არა მარტო საქართველოსა და კავშირის სხვა რესპუბლიკებში, არამედ თვით მოსკოვის საპატრიარქოს კანცელარიაში. სანიმუშოდ, კათალიკოს-პატრიარქს მოჰყავდა წმ. სინოდის კანცელარიიდან გამოგზავნილი წერილები, სადაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იმ ტიტულით არ მოიხსენებო-და, რაც მას 1943წ. 19 აქტით მიეკუთვნა.

კათალიკოს-პატრიარქი მთავრობას მიანიშნებდა, რომ "მთე-ლი საუკუნის მანძილზე რუსეთის სინოდიდან მედგარი ბრძო-ლით მოპოვებული საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული მთლიანობა, რუსეთის მღვდელმთავრების შეცვლით, რომ არ დარღვეულიყო, პატრიარქი ითხოვდა რუსული სამრევლო-ების გახსნის შუამდგომლობათა განხილვას, რაც მას საშუა-ლებას მისცემდა დროულად დაეკმაყოფილებინა პირველ ეტაპზე აფხაზეთის მრევლის მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ეს კუთხე ეკლესიურად რუსეთის საეკლესიო იურისდიქციაში მოექცეოდა, რაც ქართული ეკლესიის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას მოასწავებდა. აღნიშნული კი

ეწინააღმდეგებოდა როგორც მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობას, ისე საქართველოსა და რუსეთის ეკლესიათა შეთანხმების აქტს" (80,9).

ქართული სამღვდელოება მოსალოდნელ საშიშროებაზე აფრთხილებდა სახელმწიფო ხელისუფლებას, უწინასწარ-მეტყველებდა სამომავლო დაძაბულობას, ერთა შორის დაპირისპირებულობას და ითხოვდა საეკლესიო რეაქციულ ძალთა ალაგ-მვას, რამე თუ ქართული ეკლესია არ იყო გარანტირებული, რომ რუსული ეკლესიის სათავეში ყოველთვის პროგრე-სულად მოაზროვნე ძალები იქნებოდნენ (80,9). აღნიშნულით იყო განპირობებული საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ანდერძი, სადაც ის მომავალი თაობისაგან ითხოვს, რომ მის მიერ აღებული გეზი და მიმართულება არ შეცვლილიყო (89). მას ღრმად სწამდა, რომ ასეთი პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი გეზი შესძლებდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის გადარჩენას და ეროვნული თვითმყოფა-დობის შენარჩუნებას.

ამრიგად, როგორც ჩანს, ქართული ეკლესიის თვითმყოფა-დობის აღიარებისათვის ბრძოლამ ხანგრძლივი და მძიმე პერიოდი განვლო. ეს მეტად რთული პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობდა და ქვეყნის საშინაო, თუ საგარეო პოლიტი-კურ ვითარებებთან ღრმად იყო გადაჯაჭვული. ქართული ეკლესიის ხელმძღვანელობის დიდ დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ყველა დროის, პოლიტიკურ კატაკლიზმებში გარკვევის საოცარი უნარი. ისინი კარგად ულებდნენ ალღოს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, მის შესაფერისად მოქმედებდნენ და ყველა ხელსაყრელ გარემოებას ეროვნული ეკლესიის სასარგებლოდ იყენებდნენ. ნიშანდობლივია, რომ სწორედ საქართველოს ეკლესიისათვის ყველაზე უმძიმეს პერიოდში-კომუნისტური რეჟიმის დროს, ქართული ეკლესია აღწევს უდიდეს გამარჯვებას, ნაყოფიერად იყენებს მის ღვაწლს სამამულო ომში და იპოვებს ეროვნული ეკლესიის იურიდიული უფლების აღიარებას რუსული მართლმადიდებ-ლური ეკლესიისაგან.

ქართული ეკლესია განთავისუფლდა კარჩაკეტილობისაგან, გაიჭრა მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიათა სამოღვაწეო

ასპარეზზე და უდიდესი პირობა შექმნა მისი საბოლოო აღიარებისათვის მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიათა მესვეურებისაგან. ამ დიდმა ისტორიული მნიშვნელობის აქტმა კი დაგვირგვინებული სახე მიიღო მხოლოდ ჩვენი საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში - საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ისა და საქართველოს საერო ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით და მსოფლიო დამოუკიდებელ ეკლესიათა ისტორიაში, ღირსეული ადგილი დაიკავა ქართულმა სამოციქულო ავტოკეფალურმა ეკლესიამ.

დასკვნა

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში საბჭოურ სისტემაში შემავალი ყველა რესპუბლიკის მსგავსად, საქართველოც განვითარებული სოციალიზმის სტადიაში შევიდა, იგი, როგორც საბჭოთა იმპერიის შემადგენელი ნაწილი, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ცენტრს ექვემდებარებოდა და დამოუკიდებელი მოქმედების უფლება არ გააჩნდა.

სარწმუნოების საკითხში ლენინური პრინციპის განხორციელება ითვალისწინებდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნას, თუ თავის დროზე ცარიზმი ხალხთა ასიმილაციის იდეოლოგიური საფუძვლის მომზადებას მართლმადიდებელ ეკლესიას აკისრებდა, კომუნისტურმა სისტემამ უარყო ეკლესიის სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რადგან ეკლესია ეროვნული ინტერესების მატარებელი იყო. საეკლესიო ეროვნული იდეოლოგია სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა კომუნისტურ იდეოლოგიას და, ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა ქვეყნის ძირითად ამოცანად იქცა.

ასეთმა პოლიტიკამ განსაკუთრებული გამოვლინება მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინა წლებში ჰპოვა, როდესაც საბჭოთა მთავრობა რესპუბლიკათა ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ყველაფერს აკეთებდა, რომ ცენტრიდან მომავალი გენერალური ხაზი სარწმუნოებრივ სფეროში რეალიზირებული ყოფლიყო — ჩამოეცილებინა ეროვნული ეკლესიები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან, მოეხდინა მათი სრული ნეიტრალიზაცია და ამით განემტკიცებინა თავისი პოზიციები ქვეყანაში, დაეკავებინა წამყვანი ადგილი ხალხში და შეექმნა ძლიერი ავტორიტეტი. საამისოდ, საბჭოთა სახელმწიფომ ჩამოაყალიბა საკუთარი სტრატეგიული ამოცანები, შესაბამისი იდეოლოგია და მუშაობის განსაკუთრე-ბული მეთოდ-ხერხები.

აღნიშნულმა საკითხმა ევოლუციის მკვეთრად ურთიერთგანსხვავებული ეტაპები განვლო, რომელიც საბჭოთა მთავრობას დროის შესაფერისად მოქმედებისაკენ უბიძგებდა. ამით იყო განპირობებული, რომ მეოცე საუკუნის 30-40-იანი წლების საბჭოური სარწმუნოებრივი პოლიტიკა ხშირ ცვლილებას განიცდიდა, ზოგჯერ ფრთხილი, ზოგჯერაც

მკაცრი მეთოდებით ხასიათდებოდა, მაგრამ ყველა შემთხვევაში, ის არ უხვევდა ლენინურ პრინციპს - დაეცა ეკლესიის ავტორიტეტი ხალხში, ჩამოეცილებინა ის სახელმწიფოსაგან, მოექცია იზოლაციაში, გამოეყენებინა მისი ავტორიტეტი საკუთარი სისტემის განმტკიცებისათვის და ამით დაეკავებინა ის ადგილი, რომელიც ისტორიულად ეკლესიას გააჩნდა სახელმწიფოებრივ მმართველობაში.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ სხვა რესპუბლიკათა ხელმძღვანელობის მსგავსად მკაცრი რეზოლუციები მიიღო ცენტრიდან მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში, რომელთა განხორციელებაც მთელი სიზუსტით უნდა მომხდარიყო. საქართველოს ხელმძღვანელობას დაევალა ქართველი ხალხის თვალში გაემართლებინა საბჭოური ანტირელიგიური პროპაგანდა, აეხსნა რელიგიით გამოწვეული მავნებლობის შედეგები და ა.შ. ასრულებდნენ რა ცენტრიდან მომდინარე დირექტივებს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, მათ თავიანთი საქმიანობით დიდი მორალური და მატერიალური ზიანი მიაყენეს ქართულ ეკლესიასა და მის კრებულს.

ქვეყანაში რელიგიის დაძლევისა და ათეიზმის დამკვიდრების საქმეში, საბჭოთა მთავრობა სხვადასხვა საზოგადებრივ ორგანიზაციებს ეყრდნობოდა. სწორედ მათი მეშვეობით უნდა მომხდარიყო ქვეყნის საშინაო პოლიტიკის სარწმუნოებრივ საკითხში მნიშვნელოვანი გარდაქმნები. მოგვიანებით, აშკარა გახდა, რომ 20-30-იან წლებში ეკლესიის მიმართ გატარებულმა მკაცრმა პოლიტიკამ 40-იან წლებში მისთვის საპირისპირო შედეგები გამოიღო. სამამულო ომის პირობებში 20-30-იანი წლების სარწმუნოებრივი პოლიტიკა მიუღებელი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, ამ საქმის განმხორციელებელმა საზო-გადოებებმა ("მებრძოლ უღმერთოთა კავშირი") ცენტრიდან მიმდინარე დირექტივების საფუძველზე შეცვალეს მოქმედების ტაქტიკა. აშკარა გახდა, რომ საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, საბჭოთა წყობა ცვლის ეკლესიასთან დამოკიდე-ბულების პოლიტიკას, რასაც ბუნებრივია, ასახვა უნდა ეპოვნა "მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" საქმიანობაშიც. ანტირე-ლიგიური

პროპაგანდა შეიცვალა ანტიფაშისტური პროპაგან-დით. ამავდროულად, "ორგანიზაციას" დაევალა გაეგრ-ძელებინა შენიღბული ფორმით ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდეოლოგიაზე კონტროლი და მისდამი კონკურენცია; აემაღლებინა მოსახლეობაში პარტიის ავტორიტეტი; დაეცვა ქვეყანა მოსალოდნელი ეროვნული ექსცესებისაგან; ეკონო-მიკურად და პოლიტიკურად გაემაგრებინა ფრონტი და რაც მთავარია, კონტროლი გაეწია და არ დაეშვა ეკლესიისა და მრევლის მჭიდრო კონტაქტები - ეკლესიის ზემოქმედება ეროვნული ინტერესების გაღვივების კუთხით. მიუხედავად ომით შექმნილი დიდი დაბრკოლებებისა, ანტირელიგიურმა ორგანიზაციამ მეტ-ნაკლებად მაინც შეძლო სახელმწიფოს დავალების შესრულება, სათანადო წვლილი შეეტანა მისი სარწმუნოებრივი პოლიტიკური კურსის განმტკიცებაში და ხელი შეუწყო საბჭოთა ქვეყნის მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებას.

სამამულო ომის პირობებში, საბჭოთა სახელმწიფოს გარეშე მხარდამჭერ ძალასთან ერთად ესაჭიროებოდა ერთგული დასაყრდენი, რომელიც დაეხმარებოდა მას გარეშე აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთ-ერთ ასეთ გარანტად საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესია მიიჩნია. მისი დახმარებით უნდა განხორციელებულიყო მოსახლეობის სოციალისტური სახელმ-წიფოს ინტერესებში მოქცევა; საბჭოთა წყობის ავტორიტეტის ამაღლება; ანტიფაშისტური იდეოლოგიის წარმოსახვა; მსოფლიოს პოლიტიკურ ნდობის მოპოვება და ა.შ. ამით იყო განპირობებული, რომ საბჭოთა მთავრობა წინა წლებისაგან განსხვავებით რადიკალურად იცვლის საეკლესიო პოლიტიკას მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მთავრობა არ უცხადებს ეკლესიას აბსოლუტურ ნდობას და მასზე განსხვავებული მეთოდებით აგრძელებს ზედამხედველობას. საბჭოთა ხელისუფლების ურთიერთობა ეკლესიასთან, რეგიონალური ეკლესიებისადმი ფრთხილ დამოკიდებულებაში ვლინდება. ის აარსებს ისეთ სასულიერო ორგანოს, რომელიც კურირებას გაუწევს რესპუბლიკების ეროვნულ ეკლესიებს, დაუქვემდებარებს მათ ცენტრს - რუსულ მართლმადიდებულ ეკლესიას, რომლის სახელმწიფო

სამსახურში ჩაყენებისათვის თავდაუზოგავად იღწვის საერო ხელისუფლება. ასეთი მეთოდით, საბჭოთა მთავრობას მუდმივ მეთვალყურეობაში ჰყავს რესპუბლიკათა ეკლესიების საქმიანობა. მათ რიცხვში იყო საქართველოს ეკლესიაც.

საქართველოში კომუნისტური რაჟიმის დაარსების დღიდან, ქართული ეკლესია სრული გადაგვარების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ბუნებრივია, საქართველოს ეკლესია ვერ შეეგუ-ებოდა მისი ისტორიული ფუნქციის დაკარგვას; ეკლესიის საშინაო საქმეებში ჩარევას; მისი იურიდიული უფლებების ხელყოფას. 20-30-იანი წლებისაგან განსხვავებით, ქართულმა ეკლესიამაც მთავრობასთან მიდგომის ხერხები და მეთოდები შეცვალა. მან დროისა და ვითარების შესაბამისი მოღვაწეობა დაიწყო. საბჭოურ პოლიტიკასთან ლავირების მეთოდით სასულიერო კრებული იღწვის ეროვნული ეკლესიის გადარ-ჩენისათვის, კერძოდ, ეტაპობრივად ითხოვს საერო ხელისუფ-ლებისაგან ეკლესიის სასარგებლო ღონისძიებების გატარების უფლებას.

ქართული ეკლესიის სასულიერო კრებულისა და მისი ერთგული მრევლის მეცადინეობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. საბჭოთა მთავრობამ გაითვალისწინა რა ეკლესიის დამსახურება დიდ სამამულო ომში, კომპრომისულ პოლიტიკას დაადგა და ქართველი სამღვდელოების მოთხოვ-ნები ნაწილობრივ დააკმაყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ 40-იან წლებში საეკლესიო რეფორმაციისათვის მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა დიდი ნაწილი ხელოვნურად ფერხდებოდა. რაც გამოწვეული იყო იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ დაუშვებდა ქართული ეკლესიის უფლე-ბათა აბსოლუტურ და რეალურ აღდგენა-გაფართოებას, პირი-ქით, ის ცდილობდა ტაქტიანი ქმედებით ქართული ეკლესიის დაუძლურებას, ცენტრზე - რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე დაქვემდებარებას, რათა ის მუდმივ მეთვალყურე-ობაში ჰყოლოდა და მისი ფაქტიური მართვა გაადვილებოდა.

ომის წლებში, საბჭოთა ქვეყნის ეკლესიასთან განსაკუთრე-ბული მიდგომის, მისდამი დამოკიდებულების შეცვლის მრავალ მიზეზთა შორის ნიშანდობლივია ეკლესიის

ჩართვა საბჭოური წყობილების პოლიტიკურ და ეკონომიურ სისტემაში. საქართ-ველოს საბჭოთა მთავრობისათვის ცნობილი იყო ქართული ეკლესიის წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებაში და ამ ისტორიული ტრადიციის ნაყოფიერ გამოყენებას სწორედ ომის წლებში ცდილობს, ამავდროულად, სოციალისტური წყობილების გადარჩენისათვის მთავრობას ეკლესიის სახით ესაჭიროება ძლიერი და ერთგული ძალა ქვეყნის შიგნით სტაბილურობის შესანარჩუნებლად, ასევე ანტიფაშისტური იდეოლოგიის წარმართვისათვის, რითაც ძლიერ პოზიციას იძენდა კაპიტალისტური ბანაკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მიმართულებით რეგიონალურ ეკლესიებს და მათ შორის ქარ-თულ ეკლესიასაც დიდი როლის შესრულება შეეძლო: 1. შეენარჩუნებინა საქართველოში პოლიტიკური სტაბი-ლურობა; 2. აღმოეფხვრა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებ-ლობისაკენ მისწრაფებანი; 3. მოსახლეობის ინტერესები მიემართა სოციალისტური სახელმწიფოს დაცვისაკენ; 4. გაეძლიერებინა ფრონტის ზურგი; სათანადო სახსრები გადაერიცხა თავდაცვის ფონდში.

ასეთ რთულ პოლიტიკურ ვითარებას ქართულმა ეკლესიამ ზუსტად აუღო ალღო და ისეთი პოზიცია შეიმუშავა, რომელიც არა თუ ქართული ეკლესიის გადარჩენის, არამედ მისი წინსვლის საწინდარიც უნდა ყოფილიყო. ის, აქტიურად ებმება ფაშიზმის წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლაში; მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას ქვეყნის საერთო ინტერესების დაცვისაკენ; სათანადო წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიურ სიძლიერეში და ყველა ამ მიმართულებით წარმატებებს აღწევს.

მეორე მსოფლიო ომის პირობებში, საბჭოთა წყობილების სიტემაში ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას საერ-თაშორისო პოლიტიკაშიც უდიდესი მისია დაეკისრა, რის აუცილებლობასაც როგორც ქვეყნის საშინაო, ისე საგარეო ვითარება იძლეოდა.

საბჭოთა მთავრობისათვის აშკარა გახდა, რომ აუცილე-ბელი იყო სარწმუნოების სფეროში რადიკალური ცვლილე-ბების შეტანა. ამ მიმართულებით ის ეკლესიასთან დამოკიდე-

ბულების ფრონტალურ გაუმჯობესებას აწარმოებს, რაც ომის წლებში მისი პოლიტიკური კურსის ორგანიული ნაწილი უნდა ყოფილიყო. საერთაშორისო არენაზე ავტორიტეტის და ძლიერების მოსაპოვებლად, საბჭოთა ხელისუფლება ერთის მხრივ ეკლესიისადმი ლოიალური დამოკიდებულებით თავისკენ იბირებს მსოფლიო ეკლესიებს; ქვეყნის შიგნით ავტოკეფალურ ეკლესიებს ანიჭებს დამოუკიდებელ უფლებებს და ამით ძლიერ გარანტს იქმნის, როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე ანტიფაშისტური ბლოკის ქვეყნებს შორის. ამ მეტად რთულ საქმეში, შუამავლის ფუნქცია სწორედ ეკლესიას დაეკისრა, რასაც მან წარმატებით გართვა თავი.

აღნიშნული მიზნის განხორციელებაში უდიდესი როლი მიენიჭა რესპუბლიკების ეკლესიებს. ამ მხრივ განსაკუთრებულად საინტერესო შეიქმნა ასკ-ის ეკლესიები. მათ შორის ქართული ეკლესიაც. ეს უკანასკნელნი კავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში დადებითი ფუნქციის მატარებელნი გახდნენ. ამავდროულად, საბჭოთა მთავრობისათვის გათვალისწინე-ბული იყო ქვეყნის ომის შემდგომი პოლიტიკური მოწყობის საკითხიც, სადაც ასევე ეკლესიას მიენიჭა დიდი მნიშვნელობა. ხელისუფლება იბრძვის საბჭოეთის ავტონომიურ ეკლესიათა დაქვემდებარებისაკენ რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე. მათ ერთობლივად უნდა გაეტარებინათ საბჭოური ინტერესები მსოფლიოში და ქვეყნისათვის ძლიერი ავტორიტეტი შეექმნათ. საამისოდ, მთავრობას გათვალისწინებული ჰქონდა ეროვნული ეკლესიების მოთხოვნები (ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება რუსული ეკლესიის მხრიდან), რომელთა აღსრულე-ბას ის ქვეყნის საგარეო პოლიტიკას უკავშირდება.

ქართული ეკლესიის ამ მიმართულებით გამოვლენილი პო-ზიცია მეტად ორიგინალურია. ის აშკარად არ გამოდის საბ-ჭოთა სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ, პირიქით, აქტიურად ებმის სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსში და გვევლინება მის დამცველად და გამმართველის ერთ-ერთ ინციატორად.

ქართული ეკლესიის ინტერესები ამ მეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში იურიდიული უფლებების მოპოვებით შემოიფარგლებოდა. საბჭოური წყობილების დასაწყისიდანვე, ქართული ეკლესიის კრებულის საქმიანობაც ამ მიართულებით წარმოებდა და მისი მცდელობა იყო ყოველი ხელსაყრელი მდგომარეობის თავის სასარგებლოდ გამოყენება. გაერკვა რა აღნიშნულ პოლიტიკურ კატაკლიზმებში ქართული ეკლე-სიის ხელმძღვანელობა, ის ყველანაირად ცდილობდა შექ-მნილი ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენებას და საერო ხელისუფლებისაგან კომპრომისულ ნაბიჯებს ითხოვდა. ქარ-თული ეკლესიის სასულიერო კრებულის დიდ დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ყველა დროის მძიმე პოლიტიკურ კატაკ-ლიზმებში გარკვევის გონივრული მეთოდი და ქმედებანი. ნიშანდობლივია, რომ სწორედ საქართველოს ეკლესიისათვის ყველაზე მძიმე პერიოდში — კომუნისტური რეჟიმის მმართვე-ლობის ხანაში, ქართული ეკლესია აღწევს უდიდეს გამარჯვებას — ნაყოფიერად იყენებს მის დიდ ღვაწლს სამამულო ომში და იპოვებს ეროვნული ეკლესიის იურიდიული უფლების აღიარებას რუსული მართლმადიდებულური ეკლესიისაგან.

ქართულ ეკლესიას შესაძლებლობა მიეცა გამოსულიყო მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა სამოღვაწეო არე-ნაზე, შეიქმნა აშკარა პირობა მისი სამომავლო აღიარე-ბისათვის მსოფლიოს ეკლესიებისაგან, რომლის განხორ-ციელებაც მხოლოდ 90-წლების დასაწყისში მოხდა.

Orthodox Church of Georgia in 30-40 s of XX century

The church problem was one of the principal questions at the end of 30 s of XX century on the political course of the soviet system.

The given question distinctly passed opposed stages of evolution of the soviet ideology.

The documents of archieves make clear that politics of the Government was severe.

One of the ways of Lenin theses realization was the separation of state and church.

The soviet power tried to eradicate joint activity of state and local church serving the interests of nation by different methods. The Party leaders aspired the humiliation of the national church activity among people. They also tried to suppress historical tradition _ Georgian orthodox church and harmonic cooperation of the state and to inculculate communist ideology.

During the world was II the Soviet Power changed its politics attitude to a church. But it didn't absolutely mean that church and its community was confident organ for the Government. The state began to establish the methods of supervision over church.

At the beginning of the war the national church of Georgia supported antifascist orientation. By this way church openly opposed fasust politics and its activities assisted to carry out the aims had been made by the state. In life.

Грузинская православная церковь 30-40-е годы XX века

Первая глава - "Грузинская церковь в политической системе Советского Союза".

§1. Религиозная политика советского строя и грузинская церковь накануне Отечественной войны (30-е годы XX века).

На исходе 30-х годов XX века церковная проблема в политическом курсе советской системы стала одной из главных. В советской идеологии она прошла четко выраженные этапы эволюционного развития. Соответствующие архивные данные убедительно подтверждают, что политика правительства относительно церкви в эти годы была осторожной и одновременно жесткой. Партия объявила непримиримую борьбу "буржуазным элементам". Среди последних были и служители церкви, которые в любое время могли причинить вред партии. Поэтому правительство стало проводить жесточайшие меры против духовенства. Эти репрессии явились действенным средством для правительства в деле приобретение и дальнейшего сохранения своего политического могущества.

Ленинские тезисы в вопросе вероисповедания осуществлялись путем отделения церкви от государства. Только таким путем можно было в отдельных нациях, входящих в состав СССР, выкорчевывать стремление к национальному самоопределению, самосуществованию, для которого идеологической опорой была и церковь.

Партии было известно, что совместные действия государства и местной церкви служили национальным интересам, закладывали в массах основу национальной самобытности. Это, естественно, противоречило идеологии партии. Советское правительство пыталось провести выкорчевывание в таком направлении разными методами. Вожди партии стремились опорочить авторитет национальной церкви в глазах народа, уничтожить историческую традицию - единое гармоническое сотрудничество Грузинской православной церкви и государства на этом фоне утвердить коммунистическую идеологию.

Из всего вышесказанного следует, что национальная церковь оказалась перед идеологически сильным врагом. Если в период господства самовластия грузинская церковь, хотя и православная, но отличная от традиционно функционирующей (например, русской православной) церкви, оказалась под угрозой ассимиляции, то в эпоху правления советской системы создалась угроза вообще разрушения основ церкви.

Отмеченное положение становилось более опасным не только для общественного развития, но и для морально-нравственного состояния отдельных лиц, что могло завершиться окончательным уничтожением нации.

Прогрессивно мыслящие деятели грузинской церкви хорошо видели новую опасность, созданную существующим положением, которое в период царизма представляло продолжение вероисповеднической политики правительства. Эта политика обнаружила другие, более тонкие методы работы. Поэтому если в 20-е годы грузинская церковь находилась в остром напряженном противодействии относительно советской идеологии и духовные деятели активно участвовали в антисоветской политике, то в 30-е годы грузинская церковь изменила пути и методы: она всячески пыталась различными приемами лавирования воздействовать соответствующим образом на положение в стране. Этим была обусловлена политика приспособления служителей церкви того времени, которую они проводили относительно правительства и которая на первом этапе проявлялась в пассивности церкви.

§2. Место и назначение Союза воинствующих безбожников в политике советского строя.

Советское правительство в деле подавления религии большие надежды возлагало на общественные организации, используя силу которых оно должно было осуществить большие перемены во внутренней политике.

Для достижения этой цели правительство должно было выработать такие методы, которые вообще создали бы впечатление, что проведенные мероприятия в указанном направлении осуществлялись с помощью сознательно мыслящей части общества. Именно эту часть общества правительство называет "сознательной силой", с помощью которой оно пытается создать самостоятельную организацию, чего частично достигает. Исходя из своей же политики, подбирает соответствующее название "Союз воинствующих безбожников".

Для активизации пропагандистской работы в массах и плодотворного осуществления поставленных целей "Союз воинствующих безбожников" приобрел печатный орган__газету "Еретик", которая позднее реорганизовалась в журнал под названием "Борющийся атеист". Наряду с центральным советом СВБ ("Союз воинствующих безбожников") существовало антирелигиозное издательство и его лекторское бюро. В центральный совет грузинского СВБ входило до 60 районных центров

Абхазии, Аджарии, Северной Осетии и других районов. В 1929 году центральный совет грузинского СВБ вливается в систему центрального совета "Союза воинствующих безбожников". Это свидетельствовало о том, что центральный совет СВБ должен был получать рабочие директивы из центра. С этого момента деятельность СВБ, с одной стороны, приняла широкие масштабы и, с другой стороны, сделала более гибкими методы и способы работы. Правительство стремится вовлечь в это дело интеллектуальные силы страны, использовать их в деле защиты партийных интересов. Этим был обусловлен тот факт, что правительство включило Академию наук СССР в работу по повышению идейно-политического уровня отмеченной организации. При Академии было основано специальное отделение - Научно-исследовательский центр по изучению истории религии и атеизма, который был обязан защищать курс политики относительно вероисповеданий. В этом направлении активной стала мобилизация средств по агитации и пропаганде.

В начале 40-х годов на организацию СВБ возложили особую функцию. Международная напряженность вокруг Советского Союза, начало Второй мировой войны накладывали на СВБ, большую ответственность перед советским правительством. Правительство пытается провести сильный надзор над ячейками СВБ, искоренить оставшиеся в нем порочные стороны, создать могучую основу в борьбе за советский политический курс против религии.

Общеизвестно, что ввязывание Советского Союза во вторую мировую войну поставило достижения социализма перед серьезной опасностью, и, что бесспорно, государство требовало от Верховного руководства внесения серьезных изменений как во внешнюю, так и во внутреннюю политику. В многонациональном государстве фактор войны мог стать внутри страны условием для свершения интересов отдельных лиц, выступающих против советского строя. Именно проникновение в сферу интересов этих сил и перенос их устремлений в рамки общих социалистических интересов должны были стать в этой войне гарантом победы намеченных партией и правительством целей намеченных партией и правительством целей. Отсюда следовало, одновременно с началом войны в порядке дня "Союза воинствующих безбожников" стало изменение назначения и функций в политическом курсе государства, что, бесспорно, должно было быть направлено для мобилизации масс в борьбе против фашистских сил.

Отсюда же следовала необходимость для правительства изменить способы и средства подхода к церкви, что, естественно, должно было найти отражение в деятельности названного "Союза". Этим был

обусловлен тот факт, что руководство страны поставило новые задачи перед "Союзом", перенесло его внимание на пропагандистскую работу против фашизма и сознательно отвело его от антирелигиозной пропаганды. Можно сказать, что работа советского руководства в этом направлении для того периода жизни страны стала залогом серьезной победы. Советское правительство смогло в некоторой степени найти подход к церкви, объединиться в общих интересах защиты Отечества и проявить лояльное отношение к религии.

II глава - Грузинская церковь во время II мировой войны (1941-1945 гг.)

§1. Советская политика вероисповедывания и грузинская церковь в период II мировой войны

В Грузии со дня установления коммунистического режима грузинская церковь оказалась перед опасностью полного уничтожения и ее историческая функции в деле развития-продвижения вперед в высшей степени ограничилась.

На исходе 30-х годов деятели грузинской церкви действовали согласно времени, предпочитали проявлять лояльное отношение к правительству, что на том этапе должно было быть залогом сохранения церкви и паствы.

Несмотря на лояльное отношение правительства к церкви, оно все же относилось без доверия к ней. Отсюда, естественно, следует, что церковь осталась объектом постоянного надзора со стороны правительства. Отмеченная политика даже в условиях трудного военного времени не утратила своего значения.

В отмеченной тревожной ситуации советская страна нуждалась не только в поддержке внешних могучих сил, но и в первую очередь в создании внутри своей территории верных и надежных опор, которые могли бы стать мощной основой для сплочения сил страны в борьбе против внешней агрессии. Одним из таких гарантов правительство признало церковь, именно с ее помощью в Грузии и в других республиках существующие национальные интересы должны были влиться в общий социалистический интерес. Поэтому советское правительство изменяет пути и методы подхода к церкви, со всей целеустремленностью пытается использовать ее большой авторитет в народе для осуществления своих интересов, призвать население к защите Родины против агрессора, отдалить церковь от национальных интересов,

направить ее против идеологии фашистского течения, установить дружественные отношения с церковью и тем самым приобрести доверие со стороны мировой политики и т.д. Изменение отношения правительства к церкви не означало того, что церковь и ее совет представляли для правительства орган, облеченный доверием. И правительство приступило к выработке новых методов для надзора над церковью.

Грузинская национальная церковь с начала войны приняла антифашистскую ориентацию. Таким путем она явно противостояла фашистской политике и своей деятельностью способствовала государству в проведении в жизнь мероприятий. Грузинское духовенство верило, что солидарность с государством будет плодотворной как для страны, так и для церкви.

В 1942 году обороноспособность СССР встала перед серьезной опасностью. Возникнувший в стране целый ряд политических, экономических, военных и других вопросов подводил государство к необходимости проведения многих изменений во внешней политике. Для стабилизации положения в стране правительство сделало церковную политику более гибкой. В данном случае оно глубоко продумало и признало важное значение церкви в проводимом курсе правительства. Можно полностью допустить, что вероисповедническая политика советского правительства в это время была компромиссной и представляла животрепещущую часть ее общей политики. Ярким подтверждением этого является приказ Верховного Главнокомандующего от 8 октября 1942 года Союза Советских Социалистических республик о создании отдельного Совета церковного дела, который раньше существовал вместе с Советом народных комиссаров. В этом отношении ярко проявляется осторожная политика правительства относительно церкви. Правительство пытается создать такой орган, который проведен надзор и курьирование национальных церквей, подчинит их русской православной церкви. Чтобы заслужить преданность последней, самоотверженно действует национальный аппарат. Таким путем был бы достигнут постоянный надзор над республиканскими церквами со стороны руководства правительства и в нужном случае имелась бы возможность принять чрезвычайные меры. Именно поэтому существующая при русской церкви юриспруденция Совета распространилась в масштабе всего Союза. Она подчинила православные церкви всего Союза. В их числе оказалась грузинская церковь.

§2. Политико-экономический вклад грузинскщй церкви в Великую Отечественную войну (1941-1945 г г.)

В условиях II мировой войны советскому правительству было известно, что немецкий фашизм возлагал большие надежны на духовенство, тем более, что антисоветское духовенство организовывало специальные группы по борьбе с Советами, а фашистское движение связывало с "Российским национально-освободительным движением".

Естественно, что в таких условиях советское правительство должно было выработать такой курс, который перечеркнул бы гитлеровские цели и поставил бы на службу государственных интересов региональные церкви Советского Союза. С полной ответственностью можно сказать, что в этом деле советская идеология достигла полной победы.

Одновременно с началом войны грузинская церковь проявила свою позицию. Исходя из того, что Грузинская республика находилась в составе Советского Союза, грузинская церковь была обязана признать курс правительства, защищать его интересы и проявить преданность. Одновременно, в создавшейся ситуации, чтобы спасти свою церковь и достигнуть полной ее независимости, было бы полезным сотрудничество с национальным правительством и русской церковью, что должно было стать залогом его победа. При таком решении грузинская церковь одновременно привела бы в порядок несколько цел:

1. Вступила бы в ряда стран и обществ, борющихся против фашизма.
2. Приобрела бы "доверие" советского правительства.
3. Стремилась бы к защите и спасению национальной церкви и признанию ее юридических прав.

Деятельность грузинской церкви и ее духовного свода не прошла безрезультатной. Ни на одном этапе советского строя грузинская церковь не имела такой глубокой и значительной функции и не проходила периода такой успешной деятельности. С полной ответственностью должны заявить, что в деле единодушия населения Грузии и в его борьбе за "Великую Родину" - СССР_львиная доля участия приходилась на грузинскую церковь: национально-политическая стабилизация в Грузии за годы войны была большой заслугой грузинской церкви, что признало советское правительство и отразило в компромиссной политике вероисповедания.

В Великой Отечественной войне деятельность грузинской церкви не ограничилась только политическим вкладом. Она развернула большую работу по финансовым вкладам в Фонд защиты. Инициатором вложений пожертвований в Фонд защиты был сам глава грузинской

церкви - каталикос-патриарх. По его распоряжению в действующих церквах во время каждого молебна собирались добровольные пожертвования, в конце месяца собранная сумма с приложением соответствующего акта собиралась в секретариате каталикос-патриарха, а отсюда отправлялась в государственную казну.

Несмотря на то, что грузинская церковь добровольно вносила финансовые и материальные средства, правительство с помощью Делового Совета русской православной церкви продолжало надзор над грузинской церковью.

Помощь, оказанная фронту со стороны церкви, носила разный характер: духовенство приобретало облигации, лотерейные билеты, заготавливало продукты для красноармейцев, теплую одежду, белье и др. Деятельность грузинской церкви с этой стороны заслужила благодарность Верховного Главнокомандующего.

На всем протяжения войны грузинская церковь выдерживает любое испытание со стороны правительства, самоотверженно выполняет взятые на себя обязательства, вносит свой политико-экономический вклад в дело Отечественной войны, чем заслуживает со стороны Верховного национального правительства как словесную благодарность, медали, так и получает полезные для национальной грузинской церкви директивы.

§3. Место и назначение грузинской церкви в международной политике (1941-1945 гг.)

В Советской империи в результате войны обострился ряд политических, экономических, военных, национальных и многих других вопросов, что требовало со стороны советского правительства проведения активных решающих мероприятий. Среди них по своей особой остроте выделялся национальный вопрос. Советское правительство хорошо знало в результате своей политики отношение к нему народов, стремящихся к национальному самоопределению, и что при удобном случае они попытаются бороться за политическую свободу. С этой стороны особо опасным регионом оставался Кавказ.

Перед советским правительством со всей остротой встал вопрос отношений с народами Кавказа. В этом аспекте грузины создавали самую трудную картину. Если бы союзники защитили национальные права грузин и их суверенное национальное правительство, они с большим энтузиазмом воевали бы на стороне союзников, чем на стороне нацистской Германии. Из оказанного следует, что для Советского правительства в вопросе Кавказа т.н. союзные республики представляли не меньшую опасность вместе с фашистской Германией.

Накануне Тегеранской конференции для Советского правительства в порядке дня встал вопрос вадействования на Кавказе и в частности в Грузии национального вопроса, который нейтрализовал бы существующую ситуацию и названные республики сделал бы опорными объектами его политического курса. В отмеченном деле главнейшая роль и исполнение миссии должно было принадлежать православной церкви Грузии, необходимость чего создавало как внутреннее, так и международное положение. Правительство явно видело, что назревала необходимость внесения радикальных перемен в сфере вероисповедания, что, естественно, должно было сопровождаться временным отходом партии от генеральной линии. В этом направлении правительство пытается провести "церковные реформы так, чтобы его основные интересы не пострадали.

Для проведения вышеуказанной политики правительство начинает искать пути и методы подхода к русской православной церкви, чтобы с ее помощью найти ближайшие пути и средства для сближения с национальной церковью.

Должно быть отмечено и то, что правительство в этом направлении задействовало и другие, более впечатляющие цели и это должен был быть новый религиозный курс советского правительства, чем в определенной мере искусственно создавалась необходимость устремления других церквей мира к русской церкви и создания контактов о ней. Для возвышения ее авторитета и укрепления доверия к ней русская православная церковь со своей стороны должна была признать приемлемой советскую политику вероисповедания в годы войны. Для реализации в политической жизни всего вышеназванного Советскому правительству, естественно, нужно было подготовить условия для создания мирового авторитета.

Следовательно, в условиях II мировой войны в системе советского строя на грузинскую православную церковь была возложена величайшая миссия в международной политике, необходимость которой создавали как внутреннее состояние страны, так и международное положение. Правительство явно видело, что возникла необходимость внесения радикальных изменений в сферу вероисповедания.

С целью реализации отмеченной политики Верховное правительство внутри Союза проводило попытки подчинения автономной церкви под эгидой русской церкви. Такое подчинение позволило бы проводить в жизнь общие советские интересы и создало бы мировой авторитет Советскому Союзу.

В отмеченных действиях немалая роль выпала на грузинскую церковь. Именно поэтому правительство должно было предусмотрить давние

устремления грузинской церкви (признание автокефалия Русским Синодом) и целый ряд мероприятий, проведение которых правительство связывало с международной политикой.

Позиция грузинской церкви в этом направлении однозначно оригинальна. Она явно не противоречит защите интересов единой страны_Советского Союза, активно сливается с политическим курсом, предложенным правительством, и проявляет себя инициатором защиты и оправдания этой политической версии правительства.

III глава. Признание автокефалии грузинской церкви (1941 - 1945 гг.)

Борьба грузинской церкви за независимость имеет многовековую историю, которая прошла сложные этапы эволюции и приобрела для грузинского народа большой опыт.

Во время второй мировой войны настал период у русской церкви восстановления патриархии. Верховное правительство оценило роль церкви и ее руководства в Великой Отечественной войне и позволило церкви 8 сентября 1943 г. созвать собрание епископов православной церкви, которое избрало митрополита Сергия патриархом Москвы и России. Этот факт с удовлетворением встретила грузинская церковь. Политическое положение в стране создало благоприятные условия для признания прав грузинской церкви. В то же время для правительства стало явным, что созрела обстановка привести к подчинению грузинскую церковь, и оно приступило к активным действиям.

Правительству пришлось пойти на серьезный компромисс__это было признание прав грузинской церкви со стороны русской православной церкви. В 40-е годы XX века подготовительный этап такого многозначительного явления плодотворно завершился.

В пределах Грузинской Советской Социалистической республики русская церковь признавала автокефалию грузинской православной церкви в ее подчинении. Между русской и грузинской православной церквами установились канонико-эквaристные отношения.

Это было значительным явлением. На основе упомянутого акта грузинской церкви давалась возможность войти во взаимоотношения с мировой церковью молитвенно-каноническим путем.

Признание независимости грузинской церкви вызвало особое возбуждение в одной части оппозиционно настроенного русского духовенства в Грузии. Особую агрессивность проявляла группировка обновленцев.

Итак, как видно, борьба за признание окончательной самостоятельности

грузинской церкви пришла длительный и тяжелый период. Этот в высшей степени сложный процесс протекал поэтапно и был связан прочной цепью с внутренней и международной политической обстановкой страны. Надо признать большую заслугу руководителей грузинской церкви, их необыкновенную способность разбираться в катаклизмах всех времен. Они хорошо разбирались в создавшейся в стране обстановке, действовали согласно ей и использовали каждое удобное обстоятельство в интересах национальной церкви. Знаменательно, что именно в самый тяжелый для грузинской церкви период - время коммунистического режима она достигает величайшей победы, плодотворно использует свой вклад в дело Отечественной войны и находит признание своих юридических прав со стороны русской православной церкви.

Этот акт большого исторического значения получил полностью завершенный вид только в начале 90-х годов нашего столетия.

ბიბლიოგრაფია

I სამეცნიერო ლიტერატურა

1. ანტირელიგიური სახელმძღვანელო წრეების და თვითგანვითრებისათვის, თბ.,1941

2. ბრეჟნევი ლ.ი., ლენინური კურსით 1, 1971 (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VIII, თბ., 1980)

3. ბრეჟნევი ლ.ი., მშრომელთა კომუნისტური აღზრდის შესახებ, სიტყვები ად სტატიები, თბ., 1976 (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VIII, თბ., 1980)

4. თოდაძე ვ.ა., თოდაძე ნ.ვ., საქართველოს მართლმადი-დებლური ეკლესია XIX-XXსს., თბ., 1995

5. ლენინი ვ.ი., სოციალიზმი და რელიგია, ბ., 1937

6. პავლიაშვილი ქ.დ., კათოლიკური ეკლესია და საქართველო (XVII ს-ის I ნახევარში), თბ., 1994

7. პავლიაშვილი ქ.დ., საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წწ., თბ., 1995

8. პაპუაშვილი ნ., საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის, თბ., 1996

9. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბ., 1973

10. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VII, თბ., 1976

11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VIII, თბ., 1980

12. სახაროვი ს., მეცნიერება და რელიგია, ანტირელიგიური სახელმძღვანელო წრეებისათვის, თბ., 1930

13. სტალინი ი.ბ., თავბრუსდახვევა წარმატებებისაგან, თბ., 1955

14. სტალინური კონსტიტუცია და ანტირელიგიური პრო-პაგანდა ქოხ-სამკითხველოებში, თბ., 1939

15. სურგულაძე აბ., დიპლომატიის ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1986

16. ხუციშვილი მ., საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია, თბ., 1987

17. Ат еист ический словарь. М., 1985

18. Ист ория Великой От ечест венной Войны Совет ского Союза 1941-1942 гг.. т .VI. М..1965

19. Егоров Вл.. К истории провозглашения грузинами авт окефалии своей церкви в 1917 году. М.. 1917

20. Шишкин А.А. Сущност ь и крит ическая оценка «Обновленческого расскола русской православной церкви». Казань. 1970

II საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაციები

21. ბრიუკი გ., რელიგია მშრომელთა ჯანმრთელობის მტერია, გაზ. კოლექტიური შრომა, თბ., 1941, N23

22. გაზ. კომუნისტი, 1924, 1, II

23. გაზ. კომუნისტი, 1943, N27

24. გაზ. კომუნისტი, 1943, N 90

25. გაზ. კომუნისტი, 1944, N 98

26. იაროსლავსკი ემ., მუკის 15 წლისთავი, ჟურნ. "მებრძოლი ათეისტი", თბ., 1940, N5

27. მალცევი ი.დ., საქართველოს მუკის რაისაბჭოების მუშაობის შესახებ, ჟურნ. "მებრძოლი ათეისტი", თბ., 1941, N1

28. მანტკავა გ., ანტირელიგიური აღზრდის დაყენებისათვის სკოლაში, ჟურნ. "მებრძოლი ათეისტი", თბ., 1940, N2-3

29. ჟურნ. "მებრძოლი ათეისტი", თბ., 1937, N3

30. ჟურნ. "მებრძოლი ათეისტი", თბ., 1940, N5

31. ჟურნ. "მებრძოლი ათეისტი", თბ., 1940, N8

32. ჟურნ. "მებრძოლი ათეისტი", თბ., 1940, N9

33. ჟურნ. "მებრძოლი ათეისტი", თბ., 1941, N2

34. ჟურნ. "მებრძოლი ათეისტი", თბ., 1941, N3

35. ჟურნ. "მებრძოლი ათეისტი", თბ., 1930, N2-3

36. რელიგიური დღესასწაულების წინააღმდეგ, ჟურნ. მებრძლი ათეისტი, თბ., 1940, N7

37. სახაროვი ს., მებრძოლ უღმერთოთა კავშირის 15 წლისთავი, ჟურნ. "მებრძოლი ათეისტი", თბ., 1940, N4

38. სახაროვი ს., მეტი ყურადღება ანტირელიგიურ პროპაგანდას, ჟურნ. "მებრძოლი ათეისტი", თბ., 1941, N3

39. სახაროვი ს., მორწმუნეთა შორის მუშაობის ზოგიერთი მაჩვენებლები, ჟურნ. "მებრძოლი ათეისტი", თბ., 1941, N2-3
40. სახაროვი ს., საბჭოთა საქართველოს 20 წელი და ეკლესია, ჟურნ. "მებრძოლი ათეისტი", თბ., 1941, N2
41. სახაროვი ს., საქართველოს მუკის მუშაობის შესახებ 1940 წელში და ჩვენი ამოცანები, ჟურნ. "მებრძოლი ათეისტი", თბ., 1941, N2-3
42. ცნობილაძე თ., ბოლშევიკების დიქტატურის ისტორიიდან (რელიგიისა და ეკლესიებისადმი დამოკიდებულება 1922-1924 წწ.), ჟურნ., საქართველო, თბ., N2,1999
43. ჯაოშვილი ტ., ფართოდ გავშალოთ ანტირელიგიური პროპაგანდა, გაზ. ჭიათურის მაღაროელი, თბ., 1941, N15
44. Алексеева В. А. Маршал Сталин доверяет церквы. журн. «Атеист» М., 1989, N10
45. Каждый комсомолец - воинствующий безбож ник, газ. «Молодой Сталинец», Тб., 1941, N39
46. Журн. Журнал Московской патриархии М., 1944, N3

III გამოქვეყნებული დოკუმენტები

47. კვიტაშვილი მ., მასალები ამერიული დღიურებიდან (თეირანის კონფერენცია), ფიქრები საქართველოს მომავალზე, თბ., 1991
48. მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების აქტები
49. საკავშირო მებრძოლ უღმერთოთა კავშირის "წესდება", თბ., 1930
50. საკავშირო კომპარტიის (ბ) პროგრამა რელიგიისა და მასთან ბრძოლის შესახებ, თბ., 1941

IV გამოუქვეყნებელი საარქივო მასალა

1. საქართველოს პარტიული არქივი (შემოკლებით სპა)
51. სპა, ფ. 14, საქმე 144
52. სპა, ფ. 14, საქმე 530
53. სპა, ფ. 14, საქმე 830

54. სპა, ფ. 14, საქმე 1018

2. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (სუიცსა)

55. სუიცსა, ფ. 300 აღწ. 6, საქმე 174
56. სუიცსა, ფ. 300 აღწ. 6, საქმე 243
57. სუიცსა, ფ. 600 აღწ. 2, საქმე 581
58. სუიცსა, ფ. 1165 აღწ. 1, საქმე 23
59. სუიცსა, ფ. 1165 აღწ. 1, საქმე 57
60. სუიცსა, ფ. 1165 აღწ. 1, საქმე 65
61. სუიცსა, ფ. 1165 აღწ. 2, საქმე 41
62. სუიცსა, ფ. 1165 აღწ. 12, საქმე 42
63. სუიცსა, ფ. 1547 აღწ. 1, საქმე 132
64. სუიცსა, ფ. 1547 აღწ. 1, საქმე 138
65. სუიცსა, ფ. 1547 აღწ. 1, საქმე 139
66. სუიცსა, ფ. 1547 აღწ. 1, საქმე 140
67. სუიცსა, ფ. 1547 აღწ. 1, საქმე 143
68. სუიცსა, ფ. 1547 აღწ. 1, საქმე 144
69. სუიცსა, ფ. 1547 აღწ. 1, საქმე 145
70. სუიცსა, ფ. 1547 აღწ. 1, საქმე 146
71. სუიცსა, ფ. 1547 აღწ. 1, საქმე 147
72. სუიცსა, ფ. 1547 აღწ. 1, საქმე 148
73. სუიცსა, ფ. 1547 აღწ. 1, საქმე 149
74. სუიცსა, ფ. 1547 აღწ. 1, საქმე 150
75. სუიცსა, ფ. 1547 აღწ. 1, საქმე 151
76. სუიცსა, ფ. 1547 აღწ. 1, საქმე 163
77. სუიცსა, ფ. 1547 აღწ. 1, საქმე 165
78. სუიცსა, ფ. 1547 აღწ. 1, საქმე 174
79. სუიცსა, ფ. 1879 აღწ. 1, საქმე 1
80. სუიცსა, ფ. 1879 აღწ. 1, საქმე 2
81. სუიცსა, ფ. 1879 აღწ. 1, საქმე 3
82. სუიცსა, ფ. 1879 აღწ. 1, საქმე 5

3. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი (შემოკლებით სსცსა)

83. სსცსა, ფ. 2080, აღწ. 1, საქმე 149

4. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძს სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივი, კ. ცინცაძის ფონდი - 66

საბუთები:
84. 73
85. 77
86. 143
87. 144
88. 145
89. 149
90. 272
91. 273

5. ქუთაისის ისტორიული მუზუმის ხელნაწერთა ფონდები (ქიმ. ხ. ფ.)
92 ქიმ. 192/4326
93 ქიმ. 192/4822
94 ქიმ. 192/4887
95 ქიმ. 192/4894
96 ქიმ. 192/4687

97. ნუამ. შავიანობის საოჯახო არქივი (ქ. წყალტუბო)

სარჩევი

შესავალი 3
თავი პირველი - ქართული ეკლესია საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ სისტემაში
1. საბჭოური წყობილების სარწმუნოებრივი პოლიტიკა და ქართული ეკლესია სამამულო ომის წინ (მე-20 საუკუნის 30-იან წლებში) 16
2. "მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" ადგილი და დანიშნულება საბჭოთა წყობის პოლიტიკაში (1941 — 1945 წწ.) 45
თავი მეორე - ქართული ეკლესია მეორე მსოფლიო ომის დროს (1941 - 1945 წლებში)
1. საბჭოური სარწმუნოებრივი პოლიტიკა და ქართული ეკლესია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში 62
2. ქართული ეკლესიის პოლიტიკურ-ეკონომიკური წვლილი დიდ სამამულო ომში (1941-1945)164 93
3. ქართული ეკლესიის ადგილი და დანიშნულება საერთაშორისო პოლიტიკაში (1941-1945) 108
თავი მესამე -
ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება 123
დასკვნა 152
ბიბლიოგრაფია 170

გადაეცა წარმოებას 18.01.2002 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.01. 2002 წ.
ქაღალდის ფორმატი 60X90 1/16
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 11.
ტირაჟი——1000. შეკ. №30

ქუთაისის საავტო საზოგადოება „სანდარიას სტამბა“
ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის 33